



ბიორბი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული
ხელოვნების ისტორიისა და კვლელთა დაცვის
ეროვნული კვლევითი ცენტრი

2018 წელს განხორციელებული
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის

ანგარიში





გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი დაარსდა 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის 12 დეკემბრის განკარგულებით, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ს. ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის გაერთიანების საფუძველზე.

2008 წლის 24 სექტემბერს დამტკიცდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის წესდება, რომელშიც განსაზღვრულია ცენტრის სტრუქტურა, მიზენები და ფუნქციები.

წესდების შესაბამისად, ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **თამარ ბელაშვილი**.

სამეცნიერო მუშაობას წარმართავს სამეცნიერო საბჭო 11 კაცის შემადგენლობით. **სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი **დიმიტრი თუმანიშვილი**; **თავმჯდომარის მოადგილე** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი **მზია ჯანჯალია**; **სამეცნიერო საბჭოს მდივანი** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **მარინე ბულია**.

ცენტრის სტრუქტურა:

სამეცნიერო ნაწილი - ორი განყოფილება:

- **ძველი და შუა საუკუნეების ხელოვნების განყოფილება** (განყოფილების გამგე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი დავით ხოშტარია)
- **თანამედროვე ხელოვნების განყოფილება** (განყოფილების გამგე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მარინა გაჩეჩილაძე)
- **არქივი და ბიბლიოთეკა** (გამგე - გურამ ჟღენტი)
- **ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი** (ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი თამაზ დვალი)
- **სერგო ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია** (გამგე - მარინა ფანცხავა)

ცენტრის ფუნქციები:

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) მეცნიერული კვლევა, მისი პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საკონსერვაციო პროგრამების შემუშავება და განხორციელებული პროექტების ექსპერტიზა; საინვენტარიზაციო-საადრეცხოვო საქმიანობა; ძეგლების ფოტოფიქსაცია; საგანმანათლებლო საქმიანობა; საზოგადოების ინფორმირება; საკონსერვაციო და კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავება; სახელმწიფოს დახმარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პოლიტიკის შემუშავებაში, კერძოდ:

- ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ისტორიის სფეროებში;
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია (სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები, გამოფენები, ვებ-გვერდები, ტურისტულ-საინფორმაციო გამოცემები; მედია პროდუქცია და სხვ.);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და სრულყოფისათვის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) ობიექტების ფიქსაცია და ინვენტარიზაცია (მომრავი და უძრავი ძეგლების პასპორტების შედგენა), კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დიგიტალიზაცია, დაკომპლექტება და არქივირება;
- ხელოვნების ნაწარმოებთა ფასეულობების (ობიექტების) ექსპერტიზა მათი კულტურული ღირებულებების დადგენის მიზნით;

- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი) სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროექტებისა და მათი განხორციელების სამუშაოების ექსპერტიზა და მონიტორინგი.
- სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობა (საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები - საბაკალავრო და სამაგისტრო კურსები);
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოფიქსაცია, დოკუმენტირება, არქივირება და სხვ.
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო შეკრებების მოწყობა და მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ;
- გ. ჩუბინაშვილის ცენტრთან არსებული ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ფოტო-ლაბორატორია აწარმოებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა ფოტოფიქსაციასა და დიგიტალიზაციას. ლაბორატორიაში ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა უნიკალური ფოტო-ასახულობანი (სლაიდები, დიგიტალური გამოსახულებანი).

2018 წელს ცენტრში ირიცხებოდა 61 მეცნიერ თანამშრომელი, აქედან: 27 მთავარი მეცნიერ თანამშრომელი; 12 უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; 21 მეცნიერ თანამშრომელი; 20 ადმინისტრაციის, ბიბლიოთეკის, ფოტოლაბორატორიის თანამშრომელი და დამხმარე პერსონალი; 11 ასოცირებული თანამშრომელი.

2018 წელს ცენტრის სამეცნიერო საქმიანობა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:

1. წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება;
2. შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება;
3. შუა საუკუნეების ქვის პლასტიკა და ლითონმქანდაკეობა;
4. შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა;
5. შუა საუკუნეების ხელნაწერთა გაფორმება;
6. შუა საუკუნეების ხატწერა და მინანქარი;
7. პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება;
8. კულტურათშორისი დიალოგი;
9. ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნება;
10. ქართული სცენოგრაფია;
11. თანამედროვე ქართული არქიტექტურა;
12. ქართული ფოტოხელოვნება;
13. საარქივო მასალის დამუშავება და კვლევა;
14. კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია-რესტავრაცია: კვლევა, შეფასება, მონიტორინგი;
15. მთარგმნელობითი და საგამომცემლო საქმიანობა.

1. სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	Mzia Janjalia, Marina Bulia	Convivium , Exchanges and Interactions in the Arts of Medieval Europe, Byzantium, and the Mediterranean Seminarium Kondakovianum Series Nova, 2018, Volume 5, Issue 2, pp.33-49	ISSN:2336-3452
2	Natia Natsvlishvili	Historia Urbana , XXVI, 143-154	ISSN -1221650X
3	Giorgi Papashvili	Osmanlı Mirası Araştırmaları Dergisi Ottoman Legacy Studies , 2018 , Vol. V, # 13	10.17822 /omad.2018.112
4	David Khoshtaria	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, 2019, №3 (მიღებულია დასაბეჭდად)	ISSN - 0132 - 1447
5	Manon Liluashvili	Historia Urbana , XXVII	ISSN 1121-650X

2. სხვა პუბლიკაციები:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	მაია მანია	ბველი ხელოვნება დღეს , #8, 2018	UDK (უაკ) 72+73/76] (479.22) (051.2) ძ-493
2	მარინე ბულია	საქართველოს სიბველენი, #21, 2018, გვ. 139-194.	ISSN 1512-1321
3	მარინე ყენია	საქართველოს სიბველენი, #21, 2018, გვ. 62-85	ISSN 1512-1321
4	თაზარ დადიანი	საქართველოს სიბველენი, #22 , 2019 (მიღებულია დასაბეჭდად)	ISSN 1512-1321
5	მაია ციციშვილი,	კულტურა პლიუს , 1(II)2018	ISSN 2346-8165
6	მაია ციციშვილი,	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1918-1921 წწ. ენციკლოპედია -ლექსიკონი	ISBN 978-9941-13-718-1

7	მზია ჩიხრაძე, ქეთევან შავგულიძე	ACADEMIA #7, 2019 (მიღებულია დასაბეჭდად)	ISSN 1512-0899
8	მზია ჩიხრაძე,	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი	ISSN 1512-4088
9	მარინა მეძმარიაშვილი	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი	ISSN 1512-4088
10	თამაზ გერსამია	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი	ISSN 1512-4088
11	თამაზ გერსამია	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი	ISSN 1512-4088
12	მარიამ გაჩეჩილაძე	ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. IV	ISBN 998-99928-20
13	მარიამ გაჩეჩილაძე	ალმანახი „მწიგნობარი-2018“	
14	მარიამ გაჩეჩილაძე	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი	ISSN 1512-4088
15	გოგო ზოშტარია, მარიამ გაჩეჩილაძე	თეკლა მელაძის პერსონალური გამოფენის - „ოქრო 999,9“ კატალოგი „ფერწერა მონოტონიზმი“	
16	სოფიო ჩიტორელიძე	ACADEMIA #6, 2017-2018, გვ. 132-139	ISSN 1512-0899
17	სოფიო ჩიტორელიძე	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი	ISSN 1512-4088
18	ცისია კილაძე	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი	ISSN 1512-4088
19	ელენე თუმანიშვილი	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი	ISSN 1512-4088
20	დიმიტრი თუმანიშვილი	ACADEMIA #7, 2019 (მიღებულია დასაბეჭდად)	ISSN 1512-0899
21	დიმიტრი თუმანიშვილი	ACADEMIA #6, 2017-2018, გვ. 5-41	ISSN 1512-0899
22	კიტი მაჩაბელი	საქართველოს სიბველენი, #21, 2018, გვ. 7-19	ISSN-1512-1321
23	ეკატერინე გედევანიშვილი	საქართველოს სიბველენი, #21, 2018, გვ.20-61	ISSN-1512-1321
24	ირმა მამასახლისი	საქართველოს სიბველენი, #21, 2018, გვ. 108-122	ISSN-1512-1321

25	ნოდარ არონიშიძე	ACADEMIA #6, 2017-2018, გვ. 46-75	ISSN 1512-0899
26	სამსონ ლეჟავა, ბექა მაისურაძე	ACADEMIA #6, 2017-2018, გვ.107-118	ISSN 1512-0899
27	ნინო ჭიჭინაძე	კრებულში: პონტოელი ბერძნების კულტურული მემკვიდრეობა საქართველოში	ISBN 9941-80856-2
28	დავით ხოშტარია, მანონ ლილუაშვილი	კრებულში: პონტოელი ბერძნების კულტურული მემკვიდრეობა საქართველოში	ISBN 9941-80856-2
29	თამარ ხოსროშვილი	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი 2019 (მიღებულია დასაბეჭდად)	ISSN 1512-4088
30	ნანა ყიფიანი	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1918-1921 წწ. ენციკლოპედია -ლექსიკონი	ISBN 978-9941-13-718-1
31	სოფიო ჩიტორელიძე	არქივმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები	ISBN 978-9941-8-0504-2
32	სამსონ ლეჟავა	ბველი ხელოვნება დღეს, #8, 2018	UDK (უაკ) 72+73/76] (479.22) (051.2) ბ-493
33	სამსონ ლეჟავა	საქართველოს სიძველენი, #22, 2019 (მიღებულია დასაბეჭდად)	ISSN-1512-1321
34	ასმათ ოქროპირიძე	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი. „ჰუმანიტარული კვლევები“ (წელიწადი), VII	ISSN 1987-894

5. საერთაშორისო სამეცნიერო პროექტები

№	დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტში ჩართული პერსონალი/როლი	პროექტის სათაური	პროექტის განხორციელების პერიოდი
1	The Getty Foundation(USA), The Courtauld Institute of Art (UK) გეტის ფონდი (აშშ) და კურტოს ხელოვნების ინსტიტუტი (გაერთიანებული სამეფო)	HAA-2230-GETTY-MC	ენტონი ისტდმონდი (ხელმძღვანელი) ნიგ ბალლა (კოორდინატორი) ოია ფანჯაროდლუ (უფროსი მკვლევარი) იოანა რაპტი (უფროსი მკვლევარი) ზაზა სხირტლაძე (უფროსი მკვლევარი) ქრისტინა მარანჩი (უფროსი მკვლევარი) ნაზენი ღარიბიანი (უფროსი მკვლევარი) სუზან ბაბაი (უფროსი მკვლევარი) ნათია ნაცვლიშვილი (უმცროსი მკვლევარი) ნატალია ჩიტიშვილი (უმცროსი მკვლევარი) და სხვ.	Crossing Frontiers: Christians and Muslims and their Art in Eastern Anatolia and the Caucausus საზღვრების გადაკვეთა: ქრისტიანები და მუსლიმები და მათი ხელოვნება აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში	2016-2018
2	Social Sciences and Humanities Research Council of Canada კანადის სოცილურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კვლევის საბჭო	775035	პოლ მენინგი (ხელმძღვანელი) მზია ჩიხრაძე, თეა ტაბატაძე, ნანა ყიფიანი (სახელოვნებათმცოდნეო ანალიზი) თამთა ხალვაში (სოციოლოგიური კვლევა) ჰარშა რამი (ლიტერატურული კვლევა) ზაზა შათირიშვილი (ფილოსოფიურ- ლიტერატურული ანალიზი).	Reassembling the City: Tbilisi from Safavid Persia to Postsocialism ქალაქის ხელახლა აწყობა: თბილისი სასანიდური სპარსეთიდან პოსტსოციალიზმამდე ე	2014-2019
3	შვეიცარიის		ეკატერინე გედევანიშვილი,	ბერნის შუა საუკუნეების	2019 წლის 17- 22

	უნივერსიტეტი, მ. ჯარის ფონდი		ი. გიგიაშვილი, ნატალია ჩიტიშვილი, ირმა მამასახლისი, თამარ დადიანი	ფორუმი	სექტემბერი
4	საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი Chris Blandford Associates (UK) (კრის ბლენდფორდ ასოშიეიტსი, გაერთიანებული სამეფო)		ენდრიუ კროფტი (ხელმძღვანელი) კრის ბლენდფორდი (უფროსი კონსულტანტი) დომინიკ უოტკინსი ევან მაკარტი დენ ანდერსონი ერიკა დიაზ პეტერსენი ჰარიეტ სტენფორდი პიტერ უაითჰედი ჯულია ბენეტ სმიტი დავით ხოშტარია (კულტურული მემკვიდრეობის ჯგუფის ხელმძღვანელი) მარინე ბულია მკვლევარი მანონ ლილუაშვილი მკვლევარი ქეთევან ყავალაშვილი მკვლევარი	საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ლანდშაფტის გენერალური გეგმა	2018 წლის დეკემბერი - 2019 წლის ივნისი

6. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები

№	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტში ჩართული პერსონალი/როლი	პროექტის სათაური	პროექტის განხორციელების პერიოდი
1	217208 FR/11/12/16	დავით ხოშტარია (ხელმძღვანელი) ნათია ნაცვლიშვილი (კოორდინატორი, ძირითადი პერსონალი)	ურბანული გეგმარება და არქიტექტურული პროექტირება საქართველოს ქალაქებში (1801- 1918)	2016-2019

		გია ჭანიშვილი (ძირითადი პერსონალი) მანონ ლილუაშვილი (ძირითადი პერსონალი) გიორგი პაპაშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი)		
2	FR/216/1-40/14	მანანა სურამელაშვილი- (ხელმძღვანელი) ციცინო ჩაჩუნაშვილი (ძირითადი პერსონალი) ირინე ელიზბარაშვილი (ძირითადი პერსონალი)	გამაგრებული ისტორიული დასახლებები საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთში	2014-2018
3	FR17_221	მარიამ დიდებულიძე (ხელმძღვანელი) დიმიტრი თუმანიშვილი (ძირითადი პერსონალი) დავით ხოშტარია (ძირითადი პერსონალი) ქრისტინე საბაშვილი (ძირითადი პერსონალი) ნატალია ჩიტიშვილი (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი)	არქიტექტურის აღქმა და რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში	2018-2020
4	FR17_271	ქეთევან მიქელაძე (ხელმძღვანელი) მარიამ დიდებულიძე (ძირითადი პერსონალი); თამარ ხოსროშვილი (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი)	შუა საუკუნეების მხატვრები საქართველოში	2018-2020
5	FR 217-890	მზია ჩიხრძე (ხელმძღვანელი) ლანა ქარაია (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი) ქეთევან შავგულიძე (ძირითადი პერსონალი) მარიტა სახლთხუციშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი) მარიამ შერგელაშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი)	ინტეგრაცია და იდენტობა	2016-2019

6	Phd_F_17_153	თამარ ხოსროშვილი დოქტორანტი ძირითადი პერსონალი	საეკლესიო მხატვრობა 1801-1918 წლების საქართველოში	2017-2019
7	HE-18-339	ეკატერინე კვაჭატაძე (ხელმძღვანელი) გიორგი პაპაშვილი (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი) სამსონ ლეჟავა (ძირითადი პერსონალი) ნოდარ არონიშვილი (ძირითადი პერსონალი) მანონ ლილუაშვილი (ძირითადი პერსონალი)	მემორიალური ძეგლები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში	2018-20121
8	MG – ISE – 18 -242	ეკატერინე გედევანიშვილი (ხელმძღვანელი) ირინე გივიაშვილი (თანახელმძღვანელი) ირმა მამასახლისი (კოორდინატორი)	სეზონური სკოლა ტაო - კლარჯეთი - ისტორია და მემკვიდრეობა- მოძრავი და უძრავი ძეგლები	2019
9	FR/396/1-10/14	მზია სურგულაძე (ხელმძღვანელი) ნესტან ჩხიკვაძე (ძირითადი პერსონალი) ლელა შათირიშვილი (ძირითადი პერსონალი) მაია კარანაძე (ძირითადი პერსონალი) ნიკოლოზ ჟღენტი (ძირითადი პერსონალი) ეთერ ედიშერაშვილი (ძირითადი პერსონალი)	ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა (მონოგრაფია, ტექსტები)	2015–2018
10	HE17 28	გიორგი სანიკიძე (ხელმძღვანელი) ნიკოლოზ ნახუცრიშვილი (ძირითადი პერსონალი) ანტონ ვაჭარაძე	თეირანის ქრისტიანულ სასაფლაოთა კომპლექსის ქართული სექტორი“	2017-2019

		(ძირითადი პერსონალი)		
		დავით ჩიხლაძე (ძირითადი პერსონალი)		

7. სხვა შედეგები:

7.1. პუბლიკაცია საერთაშორისო კონფერენციის მასალებში

№	პუბლიკაციის ავტორი/ები	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	Mariam Didebulidze	Cultural Interactions in medieval Georgia Fribourg, Switzerland	ISBN 978 – 3- 95490- 228-2
2	Giorgi Papashvili	Head and Body – Evidence of Power in the Ruler Portrait between the 14th and 18th Centuries Munich, Germany	Political Iconography of the Portraits of Erekle II მიღებულია დასაბეჭდად
3	Ekaterine Gedevanishvili	Cultural Interactions in medieval Georgia Fribourg, Switzerland	ISBN 978 – 3- 95490- 228-2
4	Nina Chichinadze	Cultural Interactions in medieval Georgia Fribourg, Switzerland	ISBN 978 – 3- 95490- 228-2
5	Nina Chichinadze	Third International Scientific Workshop of the Mount Athos Centre, Thessaloniki, Greece	Monastic Arts of Mount Athos of Byzantine and Post-Byzantine Periods: Georgian Textual Evidences მიღებულია დასაბეჭდად
6	Natia Ebanoidze	შინაარსი და ფორმა Content and Form Doctoral Students International Conference Charles University, Prague, Czech Republic	Interpreting Hidden Contexts: Tracing the Embedded Paradigm in the Work of Merab Abramishvili მიღებულია დასაბეჭდად

7.2. პუბლიკაცია ეროვნული კონფერენციის მასალებში

№	პუბლიკაციის ავტორი/ები	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	თამარ ხუნდაძე	კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ ტერიტორიებზე	მიღებულია დასაბეჭდად

		2018 წელის 3 დეკემბერი, თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი	
2	მარიამ დიდებულობე	კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ ტერიტორიებზე 2018 წელის 3 დეკემბერი, თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი	მიღებულია დასაბეჭდად
3	ასმათ ოქროპირიძე	მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი 2017 წელი, 9-10 ოქტომბერი, თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი	ISBN 978-99940-728-4-2

7.3. წიგნების და სხვა ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

№	წიგნის/გამოცემის ავტორები	გამომცემლობა	წიგნის/გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1	Maia Mania	Frankfurt Georgia Made by Characters. Frankfurter Buchmesse.	
2	Maia Tsitsishvili	Warsaw	წიგნი გადმოგზავნილია საქართველოში
3	Maia Tsitsishvili	Warsaw	წიგნი გადმოგზავნილია საქართველოში
4	Nana Kipiani, Tamaz Gersamia	Frankfurt am Main Fachhochschulverlag in collaboration with LAS Press New York, NY	ISBN 978-3-947273-02-7
5	Ekaterine Gedevanishvili	Oxford University (UK)	მიღებულია დასაბეჭდად
6	Eter Edisherashvili, Nino Tsitsishvili	Cambridge Scholars Publishing (UK)	ISBN (10): 1-5275-0878-1 ISBN (13): 978-1-5275-0878-1

7.4. წიგნების და სხვა ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

№	წიგნის/გამოცემის ავტორები	გამომცემლობა	წიგნის/გამოცემის საერთაშორისო
---	---------------------------	--------------	-------------------------------

			სტანდარტული კოდი ISBN
1	ირინე ელიზბარაშვილი, მანანა სურამელაშვილი, ციცინო ჩაჩუნაშვილი	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი SEZANNE	978-9941-8-0774 -9
2	მაია მანია	საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი SEZANNE	978-9941-8-0374-1
3	ნანა მირცხულავა	თბილისი, ზებრა-2008	978-9941-8-0554-7
4	ირმა მამასახლისი	თბილისი გამომცემლობა მერიდიანი	978-9941-10-902-3
5	მარიანა ოკლეი	თბილისი, SEZANNE	978-9941-27-926-3
6	Марина Медзмариашвили	Тбилиси, Русский клуб	978-9941-8-0769-5
7	გოგო ხოშტარია, მარიამ გაჩეჩილაძე	თბილისი	კატალოგი „ფერწერა მონოტონიზმი“
8	Mariam Didebulidze	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	Fine Arts in Medieval Georgia მასალა გადაცემულია დასაბეჭდად
9	Marina Bulia	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	Medieval Georgian Wall Painting მასალა გადაცემულია დასაბეჭდად
10	Mariam Gabashvili	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	From Prehistory to Christianity (Following the Footsteps of Archaeological Cultures of Georgia Through the Perspective of Art History) მასალა გადაცემულია დასაბეჭდად
11	Davit Khoshtaria	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	Church Architecture in Medieval Georgia მასალა გადაცემულია დასაბეჭდად
12	Mariam Gachechiladze	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	Georgian Poster მასალა გადაცემულია დასაბეჭდად
13	Natalia Chitishvili	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	Bridges in Medieval Georgia მასალა გადაცემულია დასაბეჭდად
14	ვახტანგ ზერიძე, დიმიტრი თუმანიშვილი, გიორგი პაპაშვილი	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, SEZANNE	978-9941-8-0635-3

15	Giorgi Papashvili Natia Tsulukidze	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	Photography in Georgia მასალა გადაცემულია დასაბეჭდად
16	დავით ხოშტარია, მანონ ლილუაშვილი, ნინო ჭიჭინაძე	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	ISBN 978-9941-8-0856-2
17	გიორგი (გოგი) ხოშტარია	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	ნიკო ფიროსმანიშვილის მხატვრული მეთოდი მასალა გადაცემულია დასაბეჭდად
18	ეთერ ედიშერაშვილი (მზია სურგულაძე, ნესტან ჩხიკვაძე, ლელა შათირიშვილი, მაია კარანაძე, ნიკოლოზ ჟღენტი)	თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შპს პოლიგრაფი	ISBN: 9789941956409
19	სამსონ ლეჟავა ნინო ჭინჭარაული	თბილისი, 2018	ISBN # 978-9941-9543-6-8
20	სამსონ ლეჟავა	თბილისი, მაგთი 2018	ISBN # 978-9941-9543-5-7
21	თამარ ბელაშვილი	თბილისი, 2018	ISBN -978-9941-27-914-0

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა
და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

დირექტორი – თამარ ზელაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

პერსონალური შემადგენლობა:

ადმინისტრაცია:

1. ზედგინიძე ლევანი - დირექტორის მოადგილე
2. ბუკია იზა - ფინანსური მენეჯერი
3. სიმსივე ვალიდა - კანცელარიის გამგე
4. ღარიბაშვილი ნანა - საქმის მწარმოებელი

ძველი და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების განყოფილება

1. ხოშტარია დავით - განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
2. ბულია მარინე - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
3. გომელაური ნინო - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
4. ელიზბარაშვილი ირინე - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
5. თუმანიშვილი დიმიტრი - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
6. მაჩაბელი კიტი - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
7. მიქელაძე ქეთევან - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
8. ოქროპირიძე ასმათ - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
9. სანიკიძე თამაზ - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
10. დიდებულისძე მარიამ - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
11. ყენია მარინე - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
12. ჭიჭინაძე ნინო - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
13. ხუნდაძე თამარ - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
14. ხუსკივაძე ლეილა - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
15. ჯანჯალია მზია - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
16. გაბაშვილი მარიამ - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
17. გედევანიშვილი ეკატერინე - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
18. კვაჭატაძე ეკატერინე - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
19. სურამელაშვილი მანანა - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
20. ჩაჩხუნაშვილი ციცილო - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
21. ჭანიშვილი გიორგი - მეცნიერ- თანამშრომელი
22. აბაშიძე-დადიანი ქეთევან - მეცნიერ- თანამშრომელი
23. არონიშვიძე ნოდარ - მეცნიერ- თანამშრომელი
24. დადიანი თამარ - მეცნიერ- თანამშრომელი

25. ლილუაშვილი მანონ - მეცნიერ- თანამშრომელი
26. მანია ირინე - მეცნიერ- თანამშრომელი
27. ნაცვლიშვილი ნათია - მეცნიერ-თანამშრომელი
28. პატაშური გიორგი - მეცნიერ- თანამშრომელი
29. საბაშვილი ქრისტინე - მეცნიერ- თანამშრომელი
30. ჩიტიშვილი ნატალია - მეცნიერ- თანამშრომელი
31. ჩიხლაძე დავით – მეცნიერ - თანამშრომელი
32. ციციშვილი ნინო - მეცნიერ- თანამშრომელი
33. ხოსროშვილი თამარ _ მეცნიერ -თანამშრომელი
34. ხოშტარია თინათინ - მეცნიერ- თანამშრომელი
35. ჯანაშვილი ქეთევან - მეცნიერ- თანამშრომელი
36. კალანდაძე ვალერი - ლაბორანტი

თანამედროვე ხელოვნების განყოფილება:

1. გაჩეჩილაძე მარიამ - განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
2. ანდრონიკაშვილი ლალი - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
3. გერსამია თამაზ - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
4. თუმანიშვილი ელენე - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
5. ლეჟავა სამსონი - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
6. მანია მაია - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
7. მემშარიაშვილი მარინა - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
8. ოკლეი მარიანა – მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
9. ციციშვილი მაია - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
10. ხოშტარია გიორგი - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
11. ჭოლოშვილი ნინო – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
12. კილაძე ცისია - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
13. მირცხულავა ნანა - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
14. ტაბატაძე თეა – უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
15. ჩიხრაძე მზია - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
16. ჩიტორელიძე სოფიო – უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
17. ლებანიძე დალი - მეცნიერ- თანამშრომელი
18. ჭინჭარაული ნინო – მეცნიერ- თანამშრომელი
19. პაპაშვილი გიორგი - მეცნიერ- თანამშრომელი
20. ებანოძე ნათია - მეცნიერ- თანამშრომელი

არქივი და ბიბლიოთეკა

1. ჟღენტი გურამ - საარქივო-საბიბლიოთეკო სექტორის გამგე
2. კუპრეიშვილი ბაადურ - არქივარიუსი
3. ლოზჟანიძე აზა - არქივარიუსი
4. მამასახლისი ირმა - ბიბლიოთეკარი
5. კიზირია ლელა - ბიბლიოთეკარი
6. ბედუკაძე ფიქრია - ბიბლიოთეკარი

ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი

1. დვალი თამაზ - ჯგუფის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი
2. დედარიანი ფლერ - მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი

ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია

1. ფანცხავა მარინე - ლაბორატორიის გამგე
2. პეტაშვილი მზია - უფროსი არქივარიუსი
3. ვახანია ნიკა - დიგიტალიზაციის სპეციალისტი

შტატგარეშე პერსონალი

1. ყიფიანი ნანა - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
2. ედიშერაშვილი ეთერ - მეცნიერ-თანამშრომელი
3. ალხაზაშვილი ნუგზარ - მეცნიერ- თანამშრომელი
4. არჩვაძე მალხაზ - ტექნიკური ზედამხედველობის სპეციალისტი
5. ბაქრაძე მზია - არქივარიუსი
6. მაისურაძე მარინე - მთარგმნელი
7. წილოსანი ლია - კონსულტანტი
8. ხვედელიძე თეა - დამლაგებელი

ასოცირებული თანამშრომლები

1. ზოგიში მარკუს
2. გივიაშვილი ირინე
3. იამანიძე ნინო
4. ხიმშიაშვილი კახა
5. ქანთარია-ჯაბადარი თემურ
6. გაჩეჩილაძე დავით

1. პროგრამული დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მიითითებით)
1	სვანეთის საცხოვრებელი ხუროთმოძღვრება 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2019	ირინე ელიზბარაშვილი მკვლევარი

2018 წელს განხორციელდა მთის საცხოვრებელი ხუროთმოძღვრების ბიბლიოგრაფიული კვლევა ასევე წინა, 2016-2017 წლებში სვანეთის ექსპედიციების შედეგად შეგროვილ მასალაზე დაყრდნობით მოხდა ზემო სვანეთის საცხოვრებელი ხუროთმოძღვრების შესწავლა, სვანეთის საცხოვრებელი კომპლექსების სტრუქტურისა და კომპოზიციის თავისებურებების ანალიზი.

ამ ეტაპზე, გამოკვლეული იყო სვანეთის საცხოვრებელი ხუროთმოძღვრების ნაწილი. შესწავლილია ცალკეული არქიტექტურული ტიპები: კოშკი (მურ, მურყვამ), საცხოვრებელი სახლი (ქორ) თავდაცვითი კოშკით და ბოლოს ციხე-სახლი - „სვანი“, რომელიც გავრცელებულია კავკასიის მთელ მთიან რეგიონში (მეზობელ მთის რაკში, თუშეთში, ხევსურეთში, ხევში, ჩეჩნეთში, ინგუშეთში და სხვა..), ხოლო სვანეთში, მხოლოდ უშგულში გვხვდება და წარმოადგენს სამსართულიან თავდაცვით ნაგებობას, რომელშიც გაერთიანებულია „ქორ“-ის, ანუ მაჩუბისა და დარბაზის და კოშკის ფუნქცია.



საცხოვრებელი სახლი ზოგადად მთის საცხოვრებელი ხუროთმოძღვრების გამორჩეული, თვითმყოფადი მოვლენაა. სწორედ საერო ხუროთმოძღვრება ქმნის სვანეთის იმ განუმეორებელ სახეს, რომლითაც ეს მხარე განირჩევა სხვა კუთხეებისგან. აღსანიშნავია ისიც, რომ ზემო სვანეთში, სადაც მრავლადაა შემორჩენილი შუა საუკუნეების საცხოვრებელი კომპლექსები, ერთიანი მხატვრული სახის მიუხედავად, იკვეთება გარკვეული განსხვავებები თემებს შორის.

შუა საუკუნეების სვანური საცხოვრებელი თავისთავში შეიცავს საცხოვრებელ, თავდაცვით, სამეურნეო და საკრალურ მნიშვნელობას. შესწავლილია ამ რთული, მრავალწახნაგოვანი დატვირთვის მქონე სვანური საცხოვრებლის შინაარსი და სტრუქტურა, ცალკეული არქიტექტურული ელემენტების სიმბოლიკა. სვანთა შერეული წარმართულ-ქრისტიანული რწმენა, სრულიად თვითმყოფად, თავისებურ წესჩვეულებებს წარმოქმნის, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს არქიტექტურული ელემენტების ფორმირებასა და მხატვრულ სახის ჩამოყალიბებაზე.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა განსხვავებები სვანურსა და მთის სხვა რეგიონების საცხოვრებელ არქიტექტურას შორის. ეს გულისხმობს სამშენებლო მასალასა და ტექნოლოგიას, მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს და სხვა..

სვანური საცხოვრისის უნიკალურობა მის შინაარსობრივ დატვირთვაში და სხვებისგან სრულიად განსხვავებულ მხატვრულ სახეში მდგომარეობს.

2	„არ დეკო“ ქართულ ხელოვნებაში (XX საუკუნის 60 წლები) “ 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2019	ნანა მირცხულავა მკვლევარი
„არ დეკო“ გარკვეული გავლენა XXსაუკუნის 60-იანი წლების ქართულ ხელოვნებაზე , ნაკლებ შესწავლილია და ძალზედ მნიშვნელოვანია ქართული ხელოვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპის აღდგენის რთული პროცესებისათვის ცნობილია, რომ თანამედროვე ქართული სახვითი ენის სრულყოფის, ევროპული მხატვრული კულტურის მოძრაობის საერთო მიმართულების ამოცნობის პროცესში, ქართველმა ხელოვანებმა სხვადასხვა გზებს მიმართეს. მათ შორის იყო , გასული საუკუნის 20-იანი წლებში, დასავლეთ ევროპულ უახლეს მიმდინარეობებთან ერთად ჩამოყალიბებული, 40წლებში შეწყვეტილი და 60- იანებში უკანდაბრუნებული, XX საუკუნის ხელოვნების უკანასკნელი შემაკავშირებელი დეკორატიული სტილი „არ დეკო“(დეკორატიულობა ხომ ქართული მხატვრული ხედვის ორგანული, არსობრივი ნიშანია). სტილს რომელმაც განვითარების გარკვეულ ეტაპზე, სხვადასხვა ისტორიული ტრადიციების და განსხვავებულ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიურ პირობებში მყოფი ქვეყნები მოიცვა მრავალი განსხვავებული წყარო ასაზრდოებს. ის ფართოდ იყენებს სხვა ეპოქების და რეგიონების მხატვრულ სისტემებს, გამომსახველ ხერხებს (აღმოსავლური, შუასაუკუნეების ხელოვნება, ნეოკლასიციზმის მკაცრი ფორმები). მნიშვნელოვან როლს ასრულებს არაევროპული ე.წ. ეგზო-ტიკური ქვეყნების კულტურული გარემოდან მომდინარე გავლენები (აფრიკა, მექსიკა, საფრანგეთის ოკეანეთის კოლონიები). ცალკეული ელემენტების, „შემოჭრას“, ზოგჯერ რაიმეონკრეტული მოვლენის ჩარევა აძლევს საფუძველს. ნაშრომის პირველ ნაწილში გაანალიზებულია 60-იან წლებში, არ დეკო სტილის, მეორედ მოსვლის პერიოდში, სტილის აშკარა გავლენით შექმნილი ლადო გუდიაშვილის გრაფიკული პორტრეტები. შემდგომი კვლევა ითვალისწინებს იმ ნამუშევრების მოკვლევას და ანალიზს, რომლებშიც მასაზრდოებელ წყაროთა სიუხვის, გეოგრაფიული გავრცელებულობის ცვალებადობის , მხატვრულ თუ კულტურულ-ისტორიული თავისებურებების ნიშნით განსხვავებულობის მიუხედავად, 60-იანი წლების არ დეკოს უზოგადესი, მაგრამ მყარი ნიშნები ამოიცნობა.			
3	ახალი მონაცემები თბილისის ურბანული მემკვიდრეობის კვლევისა და ქალაქის განვითარების ისტორიული სურათის შეცვლისთვის ლ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე	2016-2019	მანანა სურამელაშვილი

	არეალში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).		
	2018 წელს ისტორიული ქვემო კალას ერთ-ერთი მთავარი - ლადო გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე არეალში მიმდინარე ფიზიკური სამუშაოების პროცესში გამოვლინდა არაერთი საყურადღებო სიმკვლე. ქვემო კალას ამ მონაკვეთის განაშენიანებამ, რომელმაც დღეისთვის არსებული გარეგანი სახე XIX-XX სს-თა მიჯნაზე მიიღო, არსებითად უცვლელად შემოინახა ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანული ქსელი და თითქმის უკლებლივ ყველა ნაგებობის ქვედა სართულზე ჩართული გვიანი შუა საუკუნეების სამშენებლო ფენების ფრაგმენტები, ცალკეული სათავსები და ზოგან ძველი სადგომების მთელი წყება. მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელებული ფიზიკური სამუშაოების დროს გამოვლენილ სიმკვლელთა შორის არაერთი საყურადღებო სამშენებლო ფრაგმენტი თუ მოცულობა აღმოჩნდა, როგორიცაა: - დღემდე ცნობილი XVII ს-ის სარდაფის შემცველი ლ. გუდიაშვილის მოედანი №6-სახლის ქუჩისპირა ნაწილის სარდაფის სართულში გახსნილი მცირე ზომის სფერულგუმბათიანი სათავსი, სადაც მიწის აწეული დონის მოხსნამ კიდევ დამატებით გამოავლინა აუზის ტიპის კვადრატული ჩაღრმავება; მასთან ერთად, გაიხსნა ქვის საბჯენთაღებიანი ორი კამაროვანი სადგომი და უჩვეულო გადაწყვეტის მქონე საცეცხლე ნაგებობა; - გამოვლინდა ბ. ახოსპირელის ქ. № 7-საცხოვრებელი სახლის სარდაფის სართულში დაცული საკმაოდ დიდი თონე და ასევე, XVII ს-ის სათავსიდან გადარჩენილი შეისრულნიშებიანი, საკმაოდ მძიმე ტექნიკურ მდგომარეობაში არსებული ერთი კედელი; - ლ. გუდიაშვილის მოედნის მოსაზღვრე №7/3 და №2/7 შენობებში, რომლებიც სხვადასხვა დროს აგებული ნაწილების გაერთიანების შედეგად მიღებულ რთულ კომპლექსს ქმნის, გამოვლინდა არქეოლოგიური სახით შემორჩენილი ძველი ნაგებობის ნანგრევები, რომელიც საკმაოდ რთულ გეგმას მოხაზავს და ვრცელდება არსებული ნაგებობის კედლების ქვეშ. აქვე გამოვლინდა მცირე დიამეტრის (40-50 სმ.), მიწაში ღრმად ჩაშვებული აგურისკედლებიანი მილისებრი წრიული სტრუქტურები. რომელთაგან ზოგი შესაძლებელია ძველი საკანალიზაციო სისტემის შემადგენელი ნაწილი იყოს, ხოლო ზოგიერთი -		
			
	სამაცივრე ჭას წარმოადგენდეს აღნიშნული სათავსები და ძველ ნაგებობათა ფრაგმენტები აღწერილია და შესრულებულია ფოტოგადაღება; არქიტექტურულ ფორმებსა და სამშენებლო მასალაზე დაყრდნობით ზოგად ხაზებში გაკეთებულია მათი დათარიღება, რაც შეეხება ფუნქციის იდენტიფიკაციას, ეს საკმაოდ რთულია და ყოველთვის ვერ ხერხდება, რადგან ანალოგიური მასალა ხელთ არ გვაქვს; გამოვლენილ სადგომთა სახესხვაობები დღემდე სათანადოდ არ ყოფილა გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში, ამდენად ყოველი ახალი ნიმუშის გახსნა საყურადღებო შენაძენია თბილისის ურბანული მემკვიდრეობის შესწავლის კუთხით. ახლადგამოვლენილი ნიმუშების დაგროვება სამომავლოდ მნიშვნელოვნად გააფართოვებს ჩვენს გამოცდილებას და გაზრდის მათი კლასიფიკაციის შესაძლებლობას. ხშირ შემთხვევაში ძველი ფენებისა და სადგომების შენარჩუნება შეუძლებელი ხდება შენობის მდგრადობის გაზრდის მიზნით დაგეგმილი კონსტრუქციული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, რაც კიდევ უფრო ზრდის მათი დაფიქსირების აუცილებლობას სამომავლოდ.		
4	ზოომორფულ გამოსახულებათა იკონოგრაფიის ტრადიციული	2017-2019	მარიამ გაბაშვილი

	მოტივები (ზურგისკენ თავმიბრუნებული ცხოველები) - წინაქრისტიანული ხანა და შუა საუკუნეები 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) 6.5 სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები		მკვლევარი
	2018 წლის კვლევითი სამუშაო მოიცავს ზურგისკენ თავმიბრუნებული ცხოველების მოტივის მიმოხილვას შუა საუკუნეებში. კვლევა რამდენიმე პუნქტისაგან შედგება: ა) ვიზუალური მასალის თავმოყრა; ბ) ფოტოფიქსაცია/ქსეროასლები/გრაფიკული სქემები; გ) პარალელური მასალის მოძიება; დ) შესაბამისი ლიტერატურის დამუშავება. თითოეული პუნქტის გათვალისწინებით შესრულებული კვლევისას გამოიკვეთა შემდეგი: ორი ქვაჯვარა (განთიადისა და ნათლისმცემლის) V-VI სს. განთიადის ქვაჯვარის კაპიტელზე გამოსახულია ზურგისკენ თავმიბრუნებული ხვადი ლომი, მას თან არ ახლავს დამატებითი ფიგურა და არც რაიმე კომპოზიციური სქემის ნაწილია; ნათლისმცემლის სტელაზე ზურგისკენ თავმიბრუნებული ირემი წმ. ევსტატე პლაკიდას იკონოგრაფიულ კომპოზიციაშია წარმოდგენილი; აიაზმის ეკლესიის კაპიტელი (VI ს.). კაპიტელის დასავლეთ წახნაგზე ზურგისკენ თავმიბრუნებული და ფეხებმოკეცილი ნიამორია გამოსახული. ნიამორი ერთფიგურიანი კომპოზიციითაა გადმოცემული და თან არ ახლავს დამატებითი ფიგურა ან ორნამენტი თუ არ ჩავთვლით კაპიტელის წახნაგებზე დატანებულ ორნამენტულ მოტივებს. ნიამორს ადგილობრივთან ერთად, პარალელი ნომადურ კულტურებში, კერძოდ, სკვითურ-სარმატულ „ცხოველსახოვანი სტილის“ წრეში ეძებნება. ზურგისკენ თავმიბრუნებული ირემი გვხვდება ასევე VII-VIII სს-ით დათარიღებულ წებელდის კანკელზეც, რომელიც ასევე წმ. ევსტატე პლაკიდას ნადირობის სცენაშია ჩართული. ევსტატე პლაკიდას იკონოგრაფიული სქემის შემადგენელ ნაწილად უნდა მოვიაზროთ VII ს-ის ატენის სიონის დასავლეთ ფასადზე გამოსახული ირმის რელიეფური ფიგურაც. ამ კომპოზიციას პირადაპირი პარალელი სასანური ირანის ტორეტიკულ ნაწარმოებებში ეძებნება, სადაც მეფეთა ნადირობის სცენები უხვადაა წარმოდგენილი. ატენის სიონის რელიეფი სტილური თვალსაზრისითაც სასანური მხატვრული ხელწერის ანალოგიურია. ზურგისკენ თავმიბრუნებული შვლების ერთი წყვილი გვხვდება ვალეს X ს-ის ეკლესიის კაპიტელზეც. აქ ისინი ერთმანეთის გვერდიგვერდ, წრიულ მოჩარჩოებაში არიან ჩართულნი და პლასტიკური გადაწყვეტით ძლიერ ემსგავსებიან გვიანბინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ ცულებზე გამოსახულ ამავე იკონოგრაფიის ცხოველთა ერთ კონკრეტულ ჯგუფს. კანკელის ორი მცირე ფრაგმენტი ჩართული რუისის XI ს-ის ფერისცვალების ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის წყობაში, სადაც ორივეგან ზურგისკენ თავმიბრუნებული გრიფონია გამოსახული. ამათგან ერთი ჩასმულია წრიულ ლიობში, რომელსაც ფართო და გლუვი საპირე შემოუყვება, მეორე კი, მის ზემოთ მდებარე, ასევე წრიულ ჩარჩოშია მოთავსებული. ჩარჩოს დიზაინი გვაგულისხმებინებს, რომ მისი ნახატი ორსავე მხარეს კიდევ უნდა გაგრძელებულიყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამგვარი წრიული ხვეული მათში ჩართული ფიგურებით, რამდენიმე უნდა ყოფილიყო. ორივე ფრაგმენტი ე.წ. „Inhabited		



Scrolls“-ის ტრადიციას აგრძელებს, რომელსაც სათავე ანტიკური ხანის მოზაიკებში ეძებნება. გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ზურგისკენ თავმიბრუნებული ცხოველები

მხოლოდ წმ. ევსტატე პლაკიდას იკონოგრაფიულ სცენას უკავშირდება და წარმოდგენილია მოხატულობით (მაგ., შველი, XIV ს-ის ლაღამის საფასადო მხატვრობიდან, ირემი ჩუკულის ეკლესიის XVII ს-ის ინტერიერის მხატვრობიდან (დასავლეთი კედელი). ისინი გვხვდება ასევე ნაქარგობებშიც (XVIII ს-ის საკოსი, სადაც მოხსენებულია გულქან ლორთქიფანიძე; XVIII ს-ის ხატის ფარდა, სადაც წარმოდგენილია წმ. ევსტატეს ოჯახი; XVIII ს-ის ნაქარგი ხატი წმ. ევსტატეს ნადირობის სცენით, წარწერაში მოხსენებულია გიორგი თარხან-მოურავი; ხატის ფარდა წმ. ევსტატეს ნადირობის სცენით, წარწერაში მოხსენიებულია ელისაბედ მამულაშვილი, XIX ს-ის დასაწყისი).

ზემოჩამოთვლილი ნიმუშები ხელოვნების სხვადასხვა დარგს ეკუთვნის და განსხვავებულ ქრონოლოგიურ ეტაპებზეა შექმნილი. თითოეული მათგანი გამორჩეული მხატვრული სტილითაა შესრულებული და შესაბამისად საჭირო გახდა მათი კლასიფიკაცია თანადროული ძეგლების მხატვრული ტენდენციების გათვალისწინებითაც. შედეგად გამოვლინდა რამდენიმე საგულისხმო მიმართულება: ა) ზურგისკენ თავმიბრუნებული ცხოველების ჯგუფი, რომელთა გენეზისი საქართველოს წინაქრისტიანულ კულტურებს უკავშირდება; ბ) მათგან გამოირჩევა კონკრეტული ქვე-ჯგუფები, რომლებიც აღმოსავლური (სასანური) და ნომადური (სკვითურ-სარმატული) ხაზის გაგრძელებას წარმოადგენს. ორივე მიმართულების ფიგურები ლოგიკურად გადადიან ადრექრისტიანულ ძეგლებზე ქრისტიანული მსოფლალქმისა და განსხვავებული ესთეტიკის მიუხედავად. ის ვერ ეწინააღმდეგება საუკუნეთა სიღრმეებში ფორმირებულ მხატვრულ ტრადიციებს, რადგან საზოგადოების ან კონკრეტული შემოქმედის მენტალურ ველში არსებული მხატვრული პერცეფციები ძლიერი ინერციით ინარჩუნებს მათ; გ) წმ. ევსტატე პლაკიდას იკონოგრაფიული სქემა, რომელიც ადრეული შუა საუკუნეებიდან ჩნდება და არსებობას განაგრძობს გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით ხელოვნების სხვადასხვა დარგებზე (ქვის რელიეფური პლასტიკა, მონუმენტური მხატვრობა, ნაქარგობა).

5	შუა საუკუნეების ბერძენი მხატვრები საქართველოში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2020	ქეთევან მიქელაძე
---	--	-----------	------------------

საკვლევი თემა მიზნად ისახავს შუა საუკუნეების საქართველოში ჩამოსული ბერძენი მხატვრების, კერძოდ, კედლის მხატვრობის ოსტატების შესახებ ცნობების შეგროვებასა და ანალიზს; მათ მიერ შესრულებული



მოხატულობების განხილვას. შესასწავლად შერჩეულია

ის მხატვრები, რომელთა სახელები ფერწერულ წარწერებში დასტურდება. 2018 წელს შევავროვე მასალა სამი ბერძენი ოსტატის შესახებ; ადგილზე გავეცანი მათ მოხატულობებს ბოზნეშში, მაღალაანთ ეკლესიასა და გრემში; დავამუშავე ისტორიული წყაროები ამ მოხატულობათა დამკვეთების შესახებ და ასევე მათი საქტიტორო წარწერები.

6	გ. ჩუბინაშვილი ცენტრში დაცული მხატვარ სერგო	2016-2021	მარიამ გაჩეჩილაძე - პროექტის ხელმძღვანელი
---	--	-----------	--

	ქობულადის არქივის დამუშავება 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).		(მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია) სოფიო ჩიტორელიძე მკვლევარი (მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია) მარინა მემმარიაშვილი მკვლევარი (ხელნაწერი ტექსტის გაშიფვრა-გაანალიზება, თარგმნა (რუსულიდან-ქართულად)) დალი ლებანიძე მკვლევარი (ხელნაწერი ტექსტის გაშიფვრა-გაანალიზება, თარგმნა (რუსულიდან-ქართულად))
სერგო ქობულადის არქივი მოიცავს მხატვრის ორიგინალურ ნამუშევრებს, ჩანახატებსა და მე-20 საუკუნის უმნიშვნელოვანეს წერილობით დოკუმენტებს. 2018 წელს განხორციელებული სამუშაო გულისხმობდა: ნამუშევრების სკანირებას, შესწავლას, კლასიფიკაციას, გაანალიზებასა და არქივიზაციას; ხელნაწერი ტექსტების გაშიფვრა-გაანალიზებას და თარგმნას რუსულიდან ქართულ ენაზე; თარგმნილი მასალის პუბლიკაციისთვის მომზადებას. წელსვე, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ამ ცენტრის სპეციალისტთა მიერ, განხორციელდა სერგო ქობულადის სპექტაკლის დეკორაციის ერთი ესკიზის რესტავრაცია.			
7	ჩუბინაშვილი ცენტრში დაცული მხატვარ ჯემალ ლოლუას არქივის დამუშავება 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2017-2021	მარიამ გაჩეჩილაძე პროექტის ხელმძღვანელი (მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია, პუბლიკაცია) სოფიო ჩიტორელიძე მკვლევარი (მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია)
2018 წელს განხორციელდა მხატვარ ჯემალ ლოლუას საარქივო მასალის თანმიმდევრული შესწავლა-დამუშავება, ციფრულ ფორმატში გადაყვანა, კლასიფიკაცია, დაარქივება. არქივის დამუშავებისას გამოვლენილი მასალების საფუძველზე, ჩუბინაშვილის ცენტრის საგამოფენო დარბაზში „Ars Georgica“ მოეწყო მხატვრის უცნობი ნამუშევრების გამოფენა, რითაც განხორციელდა საარქივო მასალის გარკვეული ნაწილის პრეზენტაცია.			
8	მხატვარ გივი ვაშაკიძის საარქივო მასალის დამუშავების საფუძველზე მისი შემოქმედების შესწავლა-კვლევა. 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2019	მარიამ გაჩეჩილაძე პროექტის ხელმძღვანელი (მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია, პუბლიკაცია) სოფიო ჩიტორელიძე მკვლევარი (მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია)
2018 წელს განხორციელდა საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი, 1950-60-იან წლების თაობის ერთ-			

ერთი მნიშვნელოვანი ხელოვანის, **გივი ვაშაკიძის** შემოქმედების შესწავლა-პოპულარიზაცია. კვლევითი საქმიანობა წარიმართა, მხატვრის ოჯახის მიერ, გ. ჩუბინაშვილის ცენტრისთვის გადაცემული საარქივო მასალების საფუძველზე.

ამ ეტაპზე განხორციელდა ნამუშევრების ნაწილის, მხატვრის მიერ დაწერილი ლექსებისა და სხვადასხვა ტიპის წერილობითი მასალების სკანერება და ციფრული ვერსიის მოწესრიგება და დაარქივება. ამ ეტაპზე დამუშავებული მასალის საფუძველზე მომზადდა მოხსენება, რომელიც წარდგენილ იქნა თსუ-ს საერთაშორისო კონფერენციაზე. იხ., 6.1)

9	თანამედროვე ქართული კერამიკა (საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და კერძო საკუთრებებში დაცული კერამიკული ნიმუშების შესწავლა, ფოტოფიქსაცია 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2015-2020	სოფიო ჩიტორელიძე
---	--	-----------	-------------------------

მრავალწლიანი კვლევითი პროექტი „თანამედროვე ქართული კერამიკა“ გულისხმობს პროფესიული კერამიკის ისტორიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპების შესწავლას და სათანადო კვლევას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებია: ა)სამუზეუმო და კერძო კოლექციებში დაცული მე-20 საუკუნის კერამიკული ნიმუშების გამოვლენა, აღწერა და დაფიქსირება; ბ)მხატვარ-კერამიკოსთა შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტაციის მოძიება-დამუშავება; გ) ინტერვიუები მხატვრებთან; დ) შეგროვებული მასალის სამეცნიერო კვლევა.



2018 წლის განმავლობაში მოხდა: 1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის, დ. შვეარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის კერამიკის ფონდში დაცული ნამუშევრების ნაწილის შესწავლა-ფოტოფიქსაცია. 2.მხატვარ-კერამიკოს გ. ქართველიშვილისა და რ. ცუხიშვილის საოჯახო კოლექციებში არსებული მხატვრული ნიმუშებისა და წერილობითი დოკუმენტაციის გაცნობა-დამუშავება; 3. მხატვარ გ. ქართველიშვილის შესახებ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტაციის შესწავლა. ყოველივე ამის საფუძველზე მომზადდა მოხსენებები და სტატიები.

10	კარიკატურის ისტორია საქართველოში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2019	მაია ციციშვილი ხელმძღვანელი ნინო ჭოღოშვილი მკვლევარი, ქრისტინე დარჩია ახალგაზრდა მეცნიერი ს. ჭანტურიძე ახალგაზრდა მეცნიერი
----	---	-----------	--

კარიკატურა, როგორც სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი გამორჩეულად საინტერესო ფენომენია, რომლის არსებობის ისტორია რამდენიმე საუკუნეს ითვლის, მიუხედავად ამისა, მას დღემდე არ

დაუკარგავს აქტუალობა. ქართული კარიკატურა, პრაქტიკულად, უცნობია ფართო საზოგადოებისათვის, დავიწყებული და შეუსწავლელია სამეცნიერო წრეებში.

პროექტი მრავალკომპონენტია და მიზნად ისახავს, როგორც კვლევით-ანალიტიკურ ნაწილს, ისე მდიდარი ვიზუალური მასალის თავმოყრას.

კარიკატურა არა მხოლოდ მხატვრული, არამედ სოციო-კულტუროლოგიური ფენომენია, რომელშიც უტყუარად აისახება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მდგომარეობა. კარიკატურის სიღრმისეული კვლევა საშუალებას მოგვცემს მეტი შევიტყოთ საქართველოში სხვადასხვა დროს არსებულ სოციო-კულტურულ და პოლიტიკურ ვითარებაზე, მოგვხმარება ქვეყნის წარსულის სრულიად ახალი, მანამდე უცნობი რაკურსით წარმოჩენაში და მისი სოციო-პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების რეკონსტრუირებაში.



2018 წ. - საქართველოში მოღვაწე უცხოელი მხატვრების მიერ 1900-1920-იან წლებში შესრულებული კარიკატურის კვლევა; მასალის მოძიება საქართველოს მუზეუმებსა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

11	ქართული მოდერნისტული მხატვრობა ევროპული მოდერნიზმის კონტექსტში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2023	ცისია კილაძე მკვლევარი
----	---	-----------	---

ქართული მოდერნისტული მხატვრობა ევროპული მოდერნიზმის კონტექსტში ვრცელი საკვლევი თემაა და მრავალ საკითხს მოიცავს. კვლევითი პროექტი დაყოფილია თემატიკის მიხედვით. წინა წლებში განხორციელებული კვლევის შედეგები ნაწილობრივ შედის ამ კვლევით პროექტში. თემების ჩამონათვალია: პორტრტი და ავტოპორტრტი; ქალაქისა და ურბანული გართობის თემა, კაფეები, ცირკი, ბაღები და სხვა, ირონია და თამაშის მოტივები, თეატრის როლი მხატვრობაში, ომისა და რევოლუციის თემა, ნატურმორტი, მხატვრული ფორმის საკითხები და სხვა.

განხილული იქნება ცნობილი ქართველი მოდერნისტი მხატვრების შემოქმედება ზემოთ აღნიშნული თემების მიხედვით. ესენია: შალვა ქიქოძე, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, ვალერიან სიდამონ ერისთავი, ლადო გუდიაშვილი და სხვები.



2018 წლის მანძილზე მოძიებულ იქნა კვლევისთვის აუცილებელი ვიზუალური მასალისა და ბიბლიოგრაფიის დიდი ნაწილი და ნაწილობრივ დამუშავდა ლიტერატურა, როგორც ქართული ისე უცხოენოვანი ნაშრომები თემების ირგვლივ. მოძიებულ იქნა ევროპულ მხატვრობაში პარალელები ქართული ნიმუშებისთვის, შეირჩა კონკრეტული ნაწარმოებები და მოხდა მათი

კლასიფიკაცია. ასევე შედგა კვლევითი პროექტის ზოგიერთი თემის ანალიზი, ჩატარდა ევროპულ ნიმუშებთან შედარებითი კვლევები, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხები თემების ირგვლივ და დაიწერა კვლევები პორტრეტისა და ავტოპორტრეტების შესახებ, ასევე ქალაქისა და გართობის თემის შესახებ მოდერნიზაციულმა ცვლილებებში. დაიწერა სტატია - ირონია და თამაშის მოტივ შალვა ქიქოძის მხატვრობაში და წარმოდგენილი იქნა მოხსენების სახით სამეცნიერო კონფერენციაზე.

ასევე კვლევისას მოძიებული მასალა და გაანალიზებული სამეცნიერო დასკვნები გამოყენებული და წარმოდგენილი იქნა პედაგოგიური მოღვაწეობისას, ლექციების წაკითხვის დროს.

ამჟამად გრძელდება სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობისა და თემების ანალიზის პროცესი. რაკილა კვლევითი პროექტი ფართო და მრავალმომცველია ის საჭიროებს შემდგომ წლებშიც კვლევის გაგრძელებას.

12	მუხრანის ღმრთისმშობლის და წმ. გიორგის სახელობის ეკლესიათა XIX საუკუნის მოხატულობანი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2019	თამარ ხოსროშვილი მკვლევარი
----	--	-----------	---

მუხრანის ღმრთისმშობლისა და წმ. გიორგის სახელობის ეკლესიების კედლის მხატვრობა 19-ე საუკუნეშია შესრულებული. ეს მოხატულობები დღემდე შესწავლილი არ ყოფილა და არც რაიმე ლიტერატურა არსებობს მათ შესახებ, მხოლოდ ნიკოლოზ ბაგრატიონი (ნიკო ბური) გვაწვდის მცირე ცნობას მუხრანის ღმრთისმშობლის ეკლესიის ქტიტორისა და მომხატველის შესახებ. ამ ცნობის საშუალებით შესაძლებელი ხდება მუხრანის ეკლესიის დათარიღებაც 1860-იანი წლებით. კვლევის ფარგლებში მოვინახულე ორივე ზემოთხსენებული ეკლესია, გადავიღე მოხატულობის ფოტოები, გავაკეთე სქემები. 2018 წელს დიდწილად ვიმუშავე ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიაზე. მოხდა ორი განსხვავებული იკონოგრაფიის მქონე სცენის იდენტიფიკაცია (უძრები შვილის დაბრუნების ძალზე უცნაური რედაქცია და სცენისა „სიბრძნემან იშენა თავი თვისი“). დადგინდა ეკლესიაში გამოსახული ყველა წმინდანის ვინაობა, სიუჟეტები. წაკითხულ იქნა როგორც მაიდენტიფიცირებული, ასევე ეკლესიაში არსებული ვრცელი წარწერებიც. გამოიკვეთა მოხატულობის პროგრამის საზრისი.

13	სამეცნიერო-საცნობარო ენციკლოპედიური ტიპის თორმეტტომიანი გამოცემა "საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა" 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2002 – 2030	თამაზ დვალი პროექტის ხელმძღვანელი ფლერ დევედარიანი სტატიები კედლის მხატვრობის ძეგლებზე; დიმიტრი თუმანიშვილი რეცენზენტი; მზია ბაქრაძე ტექნიკური პერსონალი, რედაქტორი
----	---	-------------	---

სხვა არაფრით წარმოჩინდება ისე ხელშესახებად და თვალნათლად ამა თუ იმ პიროვნების ისტორიული დამსახურება, და არა მარტო ცალკეული პიროვნების, არამედ მთელი ხალხის ცხოვრება თავისი ყველა მხარით, როგორც მატერიალური კულტურის ძეგლებით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისტორიკოსისათვის და საერთოდ, ერის წარსული ცხოვრების ყველა მხარის მკვლევართათვის ძირითადი საყრდენი წერილობით საბუთებთან ერთად მატერიალური კულტურის ძეგლებია, ზოგჯერ კი მთელ

ეპოქაზე მხოლოდ მათი მეშვეობით გვიხდება მსჯელობა. ამიტომაც, რომ ყოველი ცივილიზებული ერის მეცნიერების პირველი რიგის ამოცანაა ამ ხასიათის ძეგლების აღწერა-შესწავლა და სისტემაში მოყვანა, მათი მეცნიერების სამსახურში ჩაყენება. სწორედ ამისთვისაა გამიზნული სამეცნიერო-საცნობარო, ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომიანი გამოცემა – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ – რომლის მომზადებისა და გამოცემის იდეას საფუძველი გასული საუკუნის მიწურულში ჩაეყარა. შესაბამისად, საქართველოს იმჟამინდელი მთავრობის მიერ მიღებული იქნა სპეციალური დადგენილება „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის გამოცემის შესახებ“. გამოცემის სამუშაოების კოორდინაცია იმთავითვე დაევა ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციას, თავად მასალის მომზადება კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რამდენიმე ინსტიტუტს. მათ შორის: ისტორიის ძეგლებზე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, არქეოლოგიის ძეგლებზე – ამავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს, ხოლო არქიტექტურისა და მონუმენტური ხელოვნების ძეგლებზე – გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს (ამჟამად: გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი). სპეციალურად, „აღწერილობის“ მასალის მომზადებისათვის, ინსტიტუტში შეიქმნა „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის განყოფილება“ (ამჟამად „ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი“), რომელშიც, „აღწერილობის“ მასალის მომზადებასა და გამოცემისათვის, მრავალი წლია მიმდინარეობს მიზანდასახული სამეცნიერო-კვლევითი და სარედაქციო საქმიანობა.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, „აღწერილობის“ გამოცემა იმთავითვე დაიგეგმა ტერიტორიული პრინციპით – არსებული სახელმწიფო ადმინისტრაციული დაყოფის გათვალისწინებით. შესაბამისად, საქართველო დაიყო თორმეტ რეგიონად. თითოეულ რეგიონს უნდა მიმღვნოდა ერთი წიგნი, რომელშიც შეტანილი იქნებოდა თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული უკლებლივ ყველა ძეგლი.

დღეისათვის გამოცემულია კრებულის ოთხი წიგნი, რომლებშიც მიმოხილულია საქართველოს 13 მუნიციპალიტეტის (ახმეტის, გორის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, დუშეთის, თელავის, თიანეთის, კასპის, მცხეთის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარლის და ხაშურის) 3.713 ისტორიისა და კულტურის ძეგლი, რომლებიც ილუსტრირებულია ნახაზებითა (გეგმები, ჭრილები ფასადები და სხვ.) და ნატურიდან გადაღებული ფოტოსურათებით („აღწერილობის“ უკვე გამოცემულ ოთხ ტომში მოთავსებულია დაახლ. 3.000 ილუსტრაცია). ყოველ წიგნს დასაწყისში წამდგარებული აქვს შესავალი სტატია, რომელიც გვაცნობს მოცემული რეგიონის ისტორიას, თავისებურებებს, მის წვლილსა და ადგილს საქართველოს ისტორიულ, მატერიალურ და კულტურულ ფასეულობათა შექმნაში.

„აღწერილობაში“ მასალა გაწყობილია ანბანით. მუნიციპალიტეტის ყოველ ქალაქსა თუ სოფელს, არსებული მასალიდან გამომდინარე, თან ახლავს საცნობარო სტატია. ადმინისტრაციულ ერთეულებში (ქალაქებში, სოფლებში) არსებული ძეგლები განლაგებულია აგრეთვე ანბანზე. „აღწერილობის“ გამოცემისათვის თითქმის ყველა არქიტექტურულ ძეგლზე, სპეციალურად გამოცემისათვის, ჩატარდა აზომვითი სამუშაოები, ან მოხდა ძველი ანაზომების გადამოწმება-განახლება. რეგიონის შესავალ სტატიებს ახლავს ისტორიული რუკები, ხოლო ყოველი მუნიციპალიტეტის დასაწყისში მოთავსებულია რუკა, რომელზეც დატანილია ის სოფლები და ადგილები სადაც არის ისტორიისა და კულტურის ძეგლი. ყოველ წიგნს თან ერთვის ანბანზე გაწყობილი და დანომრილი, მთლიანად რეგიონის, ცალკეული ძეგლის, კომპლექსის შესახებ არსებული ლიტერატურისა და პერიოდიკის, საარქივო მასალების ბიბლიოგრაფიული ცნობები. ასევე ანბანზე გაწყობილი სამიუბლები – პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელებისა; სახელიანი ძეგლების, მოხატული ეკლესიების, ნაგებობების, რომლებსაც აქვთ რაიმე სახის წარწერა ან წარწერის ნაშთი და ქრონოლოგიური სამიუბლები.

გამოცემა აუცილებლად შეუწყობს ხელს, არა მარტო სამეცნიერო კვლევისა და ძეგლთა დაცვისა და

გამოყენების საქმის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას, არამედ ჩვენი მატერიალური და სულიერი კულტურის, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ პროპაგანდის საშური საქმის გაუმჯობესებას.

14	უცხოელი და ქართველი მხატვრების თვალთ დანახული თბილისი/საქართველო 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2017-2019	გიორგი პაპაშვილი მკვლევარი
----	--	-----------	--------------------------------------

საქართველოს მუზეუმებსა და საზღვარგარეთ (სანქტ-პეტერბურგის რუსულ მუზეუმში) მოძიებულია თბილისის/საქართველოს ამსახველი მხატვრობა, როგორც განსხვავებული კულტურული მიმართების („ჩემი“-„უცხო“) მხატვრული გამოვლინება, გამოვლენილია მხატვრები, რომელთა შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ამ ასახულებებს და მიმდინარეობს მუშაობა მათ სტილისტურ, იკონოლოგიურ და დოკუმენტურ თავისებურებებზე.

15	მხატვრის ჩანაფიქრიდან მის რეალიზაციამდე 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-20121	ელენე თუმანიშვილი მკვლევარი
----	---	------------	---------------------------------------

თემა ეხება საკითხს, თუ როგორ ემთხვევა ან რამდენად რეალიზდება შემოქმედის თავდაპირველი ჩანაფიქრი მიღებული შედეგის დროს, რა და როგორ იცვლება მასში და საბოლოოდ, რა სახეს იძენს შექმნილი ნამუშევარი. საამისოდ კი მოსაძიებელია მასალა - იქნება ეს მხატვართა ჩანაწერები თუ ინტერვიუები, სადაც ისინი აყალიბებენ თავიანთ ჩანაფიქრს, და მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით უნდა გაკეთდეს შესაბამისი ანალიზი.

16	შუა საუკუნეების ტრაპეზები საქართველოში და მათი კურთხევის წესი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2019	ნატალია ჩიტიშვილი მკვლევარი
----	---	-----------	---------------------------------------

წლიური თემა (გარდამავალი) შეეხება შუა საუკუნეების ქვის ტრაპეზებს, მათ ფორმებს, დეკორატიულ შემკულობასა და ტრაპეზთა კურთხევის წესს საქართველოში. ამ მიმართულებით საგანგებო კვლევა ჯერ არ განხორციელებულა, მხოლოდ რამდენიმე, გამორჩეული მაგალითი მოხვდა ყურადღების ცენტრში, კერძოდ კი ის ქვის ტრაპეზები, რომლებიც გამორჩეულია თავიანთი დეკორატიული შემკულობით. ასეთია მაგალითად ქვის ტრაპეზი სოფ. ბურდიანიდან. ტრაპეზმა ყურადღება მიიპყრო თავისი მხატვრული გადაწყვეტით, სადაც მთავარ ფასადზე ფიგურული გამოსახულებებია (მაცხოვრის, ჩვილდი ღმრთისმშობლის, მოქიცულთა და წმინდა მამათა ფიგურები) განთავსებული და მხატვრულ-სტილისტური ანალიზით ის VII საუკუნეს მიეკუთვნება (ნ. იამანიძე, ახლად აღმოჩენილი ტრაპეზი სოფელ ბურდიანიდან, *საქართველოს სიძველენი*, 7-8, 2005, გვ. 31-48. თ. დადიანი, ე. კვაჭატაძე, თ. ხუნდაძე, *შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება* (თბ., 2017), გვ. 272; სურ. 568). მეორე ნიმუში, რომელიც ქვის ტრაპეზადაა იდენტიფიცირებული შედარებით გვიან პერიოდს X-XI საუკუნეებს მიეკუთვნება. იყალთოს ტრაპეზად ცნობილ ფრაგმენტზე საუფლო დღესასწაულები და წმინდა მხედართა ფიგურები ორ რეგისტრადაა განლაგებული (P. O. Шмерлинг, Плита из церкви св. Степана в селении Икалто. ქართული ხელოვნება, 8-A, 1979, გვ. 121-134; N. Iamanidzé, *Les Installations Liturgiques Sculptées des Églises de Géorgie (VIe-XIIIe siècles)*. Bibliothèque de L'antiquité Tardive, 15, Brepols, 2010; თ. დადიანი, ე. კვაჭატაძე, თ. ხუნდაძე, *შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება* (თბ., 2017), გვ. 272, სურ. 571-573.). სხვა შემთხვევებში ცალკეული ქვის ტრაპეზები

დაფიქსირებულია აღწერილობითი ხასიათის წიგნებში, რომლებიც მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ტრაპეზთა კვლევისათვის.

წლიური თემა გარდამავალია, პირველ ეტაპზე მოხდა არსებული მასალის (არასრულყოფილად) შეგროვება.



წლის განმავლობაში მოხერხდა ექსპედიციების მოწყობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (შუა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, რაჭა, ქვემო სვანეთი), სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი ქვის ტრაპეზები; მოხდა მათი ფოტოფიქსაცია, დეტალური აღწერა და აზომვა. 2019 წელს ვგეგმავ კიდევ რამდენიმე ექსპედიციის მოწყობას რათა კვლევისთვის საჭირო მეტი ვიზუალური მასალა იყოს მოგროვებული. ასევე, გადმოღებულ იქნა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ კურთხევანებში შემორჩენილი ტრაპეზთა მომზადებისა და კურთხევის ტექსტები. გარდა ამისა, შეძლებისდაგვარად გავეცანი ინტერნეტში ხელმისაწვდომ მასალას, რომელიც შეეხება ბიზანტიის სხვადასხვა რეგიონში არსებულ ტრაპეზთა კურთხევის ტრადიციებსა და ასევე შემორჩენილ არქეოლოგიურ მასალას. მომავალ წელს დაგეგმილია, ამ მასალის ანალიზი და ინტერპრეტაცია.


17	შუა საუკუნეების საფასადო ქანდაკებისა და ხალხური ტრადიციის მიმართება XVIII-XIX საუკუნეების ქართულ მემორიალურ ძეგლებზე.	2018-2020	ეკატერინე კვაჭატაძე მკვლევარი
სამწლიანი კვლევითი პროექტის მიზანია შევისწავლო შუა საუკუნეების საფასადო ქანდაკების ხანგრძლივი ტრადიციისა და ხალხური მქანდაკებლობის ხელოვნების მიმართების საკითხები, აგრეთვე ამ ტრადიციის გავლენა გვიანი შუასაუკუნეების, XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის მემორიალურ ძეგლებზე. კვლევამ უნდა გამოავლინოს შუა საუკუნეების ქართული რელიეფური სკულპტურის ძირეული ტენდენციების „სიციცხლისუნარიანობის“ ხანგრძლივობა როგორც საკულტო, ისე ხალხური ხელოვნების წიაღში; მისი არსებითი თვისებების ასახვა - მოდიფიკაცია გვიანი ხანის რელიეფურ ძეგლებზე, რომელიც ყველაზე ცოცხლად საფლავის ქვის დეკორში შენარჩუნდა. მუშაობის ამ ეტაპზე (2018 წ.) შესრულდა რამდენიმე ექსპედიცია სხვადასხვა რეგიონში, მოძიების პროცესშია პარალელური მასალა, მუშავდება სპეციალური ლიტერატურა, მზადდება პუბლიკაცია.			
18	იკვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა	2016-2021	ეკატერინე გედევანიშვილი მკვლევარი



თემა გულისხმობს იკვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობის ფუნდამენტურ კვლევას. მხატვრობის ფენების გამიჯვნას და დათარიღებას, წარმოდგენილი თემების იკონოგრაფიული თავისებურებების განსაზღვრას. მოხატულობაში ჩართული წმ. გიორგის ცხოვრების ციკლის კვლევას და იმ სტილურ-იკონოგრაფიული თავისებურებების განსაზღვრას, რომლებიც ამ ციკლს განასხვავებს ან ამსგავსებს სხვა ქართულ მოხატულობებში წარმოდგენილ ამავე შინაარსის გამოსახულებებთან.

19	ფონის ელემენტების (არქიტექტურა და პეიზაჟი) მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებანი შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში. 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018-2020	მარიამ დიდებულის მკვლევარი
----	--	-----------	--------------------------------------

თემის მიზანია შუა საუკუნეების მხატვრობის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტის განხილვა, როგორიცაა არქიტექტურული და პეიზაჟური ფონები. როგორც ცნობილია, ამ ელემენტების მხატვრული გადაწყვეტა ბევრწილად განაპირობებს ნაწარმოების მსოფლმხედველობით ასპექტს. შუა საუკუნეების ფერწერაში სივრცის ასახვის - პერსპექტივის - თავისებური ფორმა ჩამოყალიბდა, რომელსაც პირობითად უკუ-



პერსპექტივა დაერქვა, თუმცა ეს ტერმინი სრულად ვერ ასახავს რეალობას.

ყოველ კულტურულ/ეროვნულ წრეში ვხედავთ თავისებურ მიდგომას. ამ მხრივ შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა საკმაოდ თავისებურ სურათს გვაჩვენებს, საკმაოდ განსხვავებულს ბიზანტიური ნამუშევრებისგან, კონცეპტუალური თვალსაზრსით. ცხადია, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, თვით ქართულ მხატვრობაშიც ნათლად შეინიშნება მიდგომების ნაირგვარობა და ცვალებადობა.

2018 წლის ეტაპზე ჩატარებულ იქნა შემდეგი სამუშაოები: შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და დამუშავება; კედლის მხატვრობის ნიმუშების შერჩევა და ანალიზი (X-XII ს.); საველე სამუშაოები.

20	ჯვარი, როგორც ძალაუფლების სიმბოლო ადრეული შუა საუკუნეების რელიეფებზე 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2019	ქრისტინე საბაშვილი მკვლევარი
----	---	-----------	--

თემა ეხება ადრეული შუა საუკუნეების რელიეფებზე გამოსახულ კომპოზიციას, სადაც ორი ფიგურაა

გამოსახული ცენტრში აღმართული ჯვრის ორსავ მხარეს. მსგავსი გამოსახულებები გვხვდება როგორც ქვასვეტებზე (ბრდაძორი, ხანდისი) წარმოდგენილ კომპოზიკა ერთ –ერთ შემადგენელ ელემენტად, ისე ცალკე (სამწევრისი, დმანისის სიონი,ხუცისოფელი,კვასისა ჯვარი) ფასადებზე. ზოგ შემთხვევაში გამოსახულ პირებს ჯვრის ტარზე აქვთ ხელი ჩაჭიდებული (ტყემლოვანი, თონეთი.....), ზოგან მხოლოდ ერთ პირს უპყრია ცენტრში გამოსახული ჯვარი (იჯარეთი). სხვადასხვაა გამოსახული პირებიც , ზოგ შემთხვევაში გვხვდება როგორც ნათლად იდენტიფიცირებული წმინდანები, ზოგან – ისტორიული პირები, და რა თქმა უნდა აქედან გამომდინარე სხვადასხვა კონტექსტიც, რომელიც გამოსახულ ჯვარს არაერთმნიშვნელოვან დატვირთვას სძენს. უმეტესად ამგვარი კომპოზიციები ყველა შემთხვევაში შეიძლება განხილულ იქნას როგორც რწმენის , ქრისტიანობის გავრცელების, ჯვარცმის და ა.შ სიმბოლოდ , ზოგან საერთო ძალაუფლების გამომსახველ (ისტორიულ პირთა) კომპოზიკიად, ხოლო ისტორიული პირები - თანამართველებად. ამგვარი კომპოზიციები უმეტესად მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე მეთაე საუკუნემდე გვხვდება და შესაძლოა იმ ისტორიული პერიპეტიების მატიაწედ გამოდგეს რაც ამ პერიოდს ახასიათებს. როგორც ცნობილია სამეფო –სამთავროებადა დაშლილი ქვეყანის გაერთიანებამდე ბაგრატ მესამის თაოსნობით, მმართველებად სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა გვარის წარმომადგენელი დიდებულები გვევლინებიან. ამას გარდა ზოგადად საინტერესოა როგორც ამ კომპოზიციის წარმომავლობის, ასევე მისი განვითარების და სახეცვლის თუ ვარიაციათა თვალის მიდევნება და შესაძლო გარკვეული კანონზომიერების აღმოჩენაც. განსაკუთრებით კი აღნიშნული კომპოზიციის გავრცელების პერიოდის გათვალისწინებით.

21	ჰუჯაბის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2020	ქეთევან აბაშიძე მკვლევარი
ჰუჯაბის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების საეტაპო ნაგებობაა, რომელიც წარმოგვიდგენს ქართული საეკლესიო აღმშენებლობის გარდამავალ ეტაპს XII–XIII სს-დან XIV საუკუნის ტაძრული ხუროთმოძღვრების მხატვრულ მიდგომაზე. ტაძარი XIIIს–ის პირველ მეოთხედშია აგებული (ეგებ, XII–XIIIსს–ის მიჯნაზე ან XIIIს–ის 10–იან წლებშიაც კი). დღეს ის სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს, საქართველოს საზღვრიდან 400–ოდე მეტრის დაშორებით. ეს ტერიტორია გეოგრაფიულად ბოლნისის ხეობას წარმოადგენს, რომელიც ისტორიულად მუდამ საქართველოს ეკუთვნოდა, მეტიც, იგი სამეფო დომენს წარმოადგენდა. მდინარე, რომლის ერთერთი შენაკადის ხეობაშია აგებული ტაძარი, ძველი ფოლადაურია. იგი მისი შენაკადივით სათავეს ლალვარის ქედიდან იღებს. მდ. ფოლადაურის ხეობა იგივე ბოლნისის ხეობაა. XIIIს–ის პირველ მეოთხედში, ბოლნისის (მდ. ფოლადაურის) ხეობის დასაწყისში, ძველი დიდი სამონასტრო კომპლექსის ცენტრში, Xს–ის დარბაზული ტაძრის გვერდით დიდი, ჯვარგუმბათოვანი ტაძარი აუგიათ. კომპლექსის ცალკეული ნაგებობები და თავად დარბაზული ტაძარი, რომელიც თავისი გაბარიტებით საკმაოდ დიდია, და ამას მისი მინაშენი–ბჭეებიც ემატება უფრო ადრეულ შრეებსაც შეიცავენ. სამონასტრო კომპლექსის განაშენიანების სიდიდე, არსებული ნაგებობების სიმრავლით და ცალკეული ნაგებობის დიდი გაბარიტებით მეტად საყურადღებო მნიშვნელოვან მონასტერს გვისახავს წარმოდგენაში, რომლის შესახებ უკიდურესად ძუნწი წერილობითი წყაროები გაგვაჩნია, ისიც მხოლოდ XVIIIს–დან. გალავან–კოშკებიანი სამონასტრო კომპლექსის დღემდე შემორჩენილი ნაგებობების და მათი სივრცული განაშენიანების საისტორიო წყაროებთან ერთად გაანალიზება ჰუჯაბის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის ისტორიას წარმოგვისახავს უწყვეტად, დაახლოებით VIII–IXსს–დან XXს–ის დასაწყისის ჩათვლით.			

ისტორიულად ბოლნისის (მდ. ფოლადაურის) ხეობა დმანისის შემდეგ მნიშვნელოვან უმოკლეს გზას წარმოადგენდა სომხეთში გასასვლელად. ჰუჯაბის ტაძარი ბოლნისის ხეობის, ანუ მდ. ფოლადაურის ხევის დასაწყისშია აგებული ხოლო ამავე ხეობის ბოლოში წულრულაშენის გუმბათური ეკლესიაა აღმართული. ჰუჯაბი და წულრულაშენი არსებითად ერთი ტიპის ძეგლებს წარმოადგენენ. ეს ტიპი ჩვენში ჯერ კიდევ XII. შემუშავდა და განსაკუთრებული გავრცელება XIII-ის მეორე ნახევრიდან ჰპოვა XIV-ის ჩათვლით. ამ ხნის მანძილზე ჯვარგუმბათოვანი ტაძრის ამ ტიპმა ევოლუცია განიცადა – ცნობილია ორი ჯგუფი ე.წ. „ბეთანია–ქვათახევის“ ჯგუფი, რომელშიც ერთიანდება XIIს, XII–XIIIს–ის მიჯნასა და XIIIს–ის პირველ ნახევარში



აგებული ტაძრები და „საფარა–ზარზმის“ ჯგუფი, ქართული არქიტექტურის ცხოველხატული სტილის შემდეგი ეტაპი, ე.წ. „ახალი საფეხური“, რომელიც წარმოდგენილია XIII – XIVსს–ით დათარიღებული ტაძრებით. მათ შორის დროის მცირე მონაკვეთში XIIIს–ის პირველ ნახევარში და მის ბოლოს წარმოჩნდა კიდევ ერთი, მცირე ჯგუფი ტაძრების. ისინი ერთგვარ შემაკვეთიერებელ რგოლს წარმოადგენენ პირველ და მეორე ჯგუფის ტაძრებს შორის. ამ ტაძრების არქიტექტურაში უარყოფილია ძველი მიღებული, მყარი ნორმები და კანონები, თუმცა მათსავე წიაღში წარმოიქმნება ახალი, რაც ამზადებს კიდევ

„საფარა–ზარზმის“ სახელწოდებით ახალ საფეხურს. სწორედ ამ ე.წ. გარდამავალ–შუალედურ ტაძრებს განეკუთვნება ჰუჯაბის ტაძარი. ამგვარად, არქიტექტურულ–კონსტრუქციული და მხატვრული–ესთეტიკური გადაწყვეტით XII და XIIIსს–ის ტაძრების ერთიან „ჯაჭვში“ – ბეთანია, ჰნე-ვანკი – „მელიცხოვლის“ ეკლესიის გუმბათი, ქვათახევი, იკორთა, ფიტარეთი, წულრულაშენი, კოჯრის კაბენი, ახტალა, ფუმნარი, ერთაწმინდა, ქართლის მეტეხი, კარდანახის საბა-წმინდა და სხვა, ჰუჯაბის ტაძარი ერთერთი ბოლოში მდგომი ნაგებობაა წულრულაშენთან, ფიტარეთთან და სხვ. ერთად. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ამ ტაძრებიდან ორიგინალობით და ჩანაფიქრის ინდივიდუალობით გამოირჩევა, შიდა სივრცეების, დეკორატიული სისტემის და ასევე ორნამენტაციის გადაწყვეტაში ისინი ეყრდნობოდნენ ძირითადად, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, ერთ „წონხს“, ე.ი. მიდგომა, ძეგლის, როგორც ერთიანი ორგანიზმის 'ჩამოსხმაში', იყო საერთო. ჩანს, შემუშავებული იყო გარკვეული კონცეპცია ტაძრის კონსტრუქციულ–მხატვრული სახის, ხოლო მისი დამუშავება კი თითოეული ხუროთმოძღვრის ინდივიდუალობას წარმოაჩენდა.

ჰუჯაბის ჯვარ–გუმბათოვანი ტაძარი ვრცელი სამონასტრო კომპლექსის დომინანტს, ჭეშმარიტ სულიერ და ფიზიკურ ღერძს წარმოადგენს. იგი, როგორც სამონასტრო სივრცის ცენტრალური ნაგებობა, სამონასტრო განაშენიანების ყველა ნაგებობასთან არის დაკავშირებული და მეტიც, იგი მათ აორგანიზებს და კრავს ერთიანობაში.

22	XV-XVI საუკუნეების საეკლესიო მინიატურის მხატვრული თავისებურებანი ისტორიული რეალიების კონტექსტში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018-2019	ნინო ციციშვილი მკვლევარი
----	---	-----------	---

სამეცნიერო თემა XV-XVI საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელნაწერების იმ ჯგუფის განხილვას ითვალისწინებდა ისტორიულ და კულტურულ ჭრილში, რომელთა მხატვრულ გაფორმებში მნიშვნელოვან ადგილს სპარსულ–ოსმალური ორნამენტური სახეები იკავებს, რაც სიახლის, თითქოს ნაკლებ ორგანულის მიღება – გათავისების მენტალურ მზაობას ამჟღავნებს (A351; Q921; A401; K 362; K 356; K 375). თანადროული ისტორიული და კულტურული პროცესები, შიდა აწლილობა თუ სპარსეთისა და ოსმალეთის



მომდღავებული ექსპანსიური პოლიტიკა, ისლამურ აღმოსავლეთთან ნებით თუ უნებლიეთ გააქტიურებული კულტურული ურთიერთობები ის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომელიც სპარსულ-ოსმალური ხელოვნებისადმი ინტერესს განაპირობებს და ეს ინტერესი საკრალური დანიშნულების და კანონიკურ ჩარჩოებში მოქცეულ, ე.წ. პოსტიზანტიურ მხატვრობაზე ორიენტირებულ საეკლესიო მინიატურაზეც აისახება. მნიშვნელოვან როლს ამავე თვალსაზრისით დამკვეთის პიროვნული ფაქტორი თამაშობს და შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ შემორჩენილი მასალის დიდი ნაწილი

ისტორიულ სამცხეს უკავშირდება და ათაბაგთა დაკვეთით იქმნება. აღსანიშნავია, რომ წერილობითი ცნობების არარსებობის გამო განხილული მასალიდან რამდენიმე ნიმუშის გადაწერა-მოხატვის ადგილი უცნობია, თუმცა, მხატვრულ-სტილური ანალიზის შედეგად ისინიც ამავე რეგიონში შექმნილებად წარმოგვიდგება.


ქართული საეკლესიო ხელნაწერის მხატვრობაში სპარსული და ოსმალური ორნამენტული ფორმების დადასტურება ამ ნიმუშების შესახებ მნიშვნელოვნად ავსებს დღეისთვის არსებულ სამეცნიერო ცოდნას და იმ ხანად ქართულ საეკლესიო მინიატურასა და, ზოგადად ქართულ სახვით ხელოვნებაში მიმდინარე მხატვრულ მხატვრულ-კულტურულ პროცესებს ათვალსაჩინოებს.

იგეგმება აღნიშნული კვლევის გარშემო სამეცნიერო სტატიის მომზადება/პუბლიკაცია.

ბოზნევის იოანე მახარებლის ტაძრის მოხატულობა			
23	(XVII საუკუნის ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიიდან) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017 -2020	თინათინ ხოშტარია მკვლევარი

გარდამავალი კვლევითი პროექტის “ბოზნევის წმ. იოანე მახარებლის ეკლესიის მოხატულობა”. ფარგლებში დასახული მაქვს სადოქტორო ნაშრომის დაახლოებით 80 – 90 პროცენტის (საკითხის კვლევის ისტორია, პრობლემის დასმა, წყაროების მოძიება) მომზადება ყველა თანმხლები აქტივობის გათვალისწინებით, სადაც იგულისხმება: მასალების შეკრება და დამუშავება, მიზნობრივი ექსპედიციის ორგანიზება, ადგილობრივ და საერთშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, ერთობლივი პროექტი უცხოელ ბოზნევის წმ. იოანე მახარებლის ეკლესია საქართველოში მეტად გავრცელებული მცირე ზომის დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს; გეგმით ოთკუთხოვანია, შიგნით ნახევარწრიული აფსიდით. მოხატულობას ახლავს წარწერა, რომლის მიხედვითაც ის 1683 წლით თარიღდება. საბედნიეროდ ეს ის შემთხვევაა, როდესაც დამკვეთისა და მხატვრის ვინაობა ცნობილია. ჩრდილოეთ კედელზე, მედალიონში ჩასმულ წმინდანებს შუა, ლურჯ ფონზე თეთრად, ბერძნული წარწერაა წარმოდგენილი: „ვედრება ცოდვილისა მომხატველისა, მონისა დანიელისა მთაწმინდელი ბერმონაზვნისა ამ ტაძრის მომხატველისა“. ამგვარად, ტაძრის მომხატველი ათონის წმინდა მთიდან ჩამოყვანილი მხატვარია. დამკვეთად კი იმ დროისთვის ცნობილი მოღვაწე იოსებ თბილელი მოიაზრება, რომლის საქტიტორო პორტრეტიც სამხრეთ-დასავლეთ კედელზეა წარმოდგენილი. ბოზნევის ეკლესიის მოხატულობა ფერთა ნიჭიერი შეხამებით, ავტორის ხატვაში მკაფიოდ გაწაფულ ხელს მოწმობს, რითაც ქართული მხატვრობის თანადროულ მეგლთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ნიმუშია. პროექტი მნიშვნელოვანი და დროულია მე-17 საუკუნის ისტორიულ კვლევების კონტექსტში, ვინაიდან ის საშუალებას იძლევა დავინახოთ ამ პერიოდის საქართველოსთვის დამახასიათებელი კულტურული პროცესებიკერძოდ, თვალი

გავადევნოთ მის ისტორიულ ვითარებას. კვლევა პირდაპირ კავშირშია ეროვნულ იდენტობასთან. ნაშრომში განხილული ბოზნევის წმ. იოანე მახარებლის სახელობის ტაძრის მოხატულობის ფრესკები სამწუხაროდ დაზიანებული სახით შემოგვრჩა და მათი სრული და ზუსტი იდენტიფიკაციისთვის საჭიროა როგორც შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენება, ასევე პარალელების მოხმობა; იკონოგრაფიული და მხატვრულსტილისტური კვლევის მეთოდების მეშვეობით მოხატულობის თეოლოგიური შინაარსის, მისი სტილისტური ინდივიდუალობის და ეპოქალური თავისებურების განხილვა. კვლევის მიზანია ძეგლის მართებული ინდივიდუალობის წარმოჩენა და მისი ადგილის განსაზღვრა, როგორც ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიაში, ისე ბიზანტიურ ხელოვნებასთან მიმართებაში. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სხვადასხვა ავტორების მიერ გარკვეულ დონემდე ძეგლის შესწავლისა, ის საჭიროებს მეტად სიღრმისეულ კვლევას, კერძოდ მხატვრობის დეტალურ აღწერას, ასევე იკონოგრაფიულ - მხატვრული ანალიზის გაღრმავებას; საჭიროა განისაზღვროს თეოლოგიური თუ შინაარსობრივი მხარე და ასევე იკონოგრაფიული ტრადიციები. ეკლესიის მაშენებლის უკეთ გასაცნობად და წარმოსადგენად იოსებ თბილელის რამდენიმე ბიოგრაფიული ცნობაც საკმარისია. იოსებ სააკაძე საეკლესიო მოღვაწე და ამავე დროს პოეტი იყო. აქტიურად მოღვაწეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, იბრძოდა ცენტრალური ხელისუფლების გასაძლიერებლად და ახლო კავშირი ჰქონდა ვახტანგ VI-სა და არჩილ II მეფეებთან. იოსებ თბილელის სასულიერო ცხოვრება და ღვაწლი როგორც მიტროპოლიტის, არაერთ მნიშვნელოვან ადგილს უკავშირდება საქართველოში, მაგალითად, როგორც არის ნიკორწმინდა და აწყური. მისი ცხოვრების ბოლო პერიოდი კი თბილისთანაა დაკავშირებული. მის კალამს ეკუთვნის პატრიოტული, საისტორიო პოემა „დიდმოურავიანი“, სადაც მოთხრობილი და აღწერილია დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის მედგარი ბრძოლა და გასაჭირი, და გიორგი სააკაძის საგმირო მოღვაწეობა. პოემის შექმნა იოსებს მეფე არჩილ II დაუკვეთა. თბილისის მიტროპოლიტი იმდროინდელ საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რასაც ანტონ კათალიკოსის სიტყვები ადასტურებს: „საყვარელ იყო მეფეთა მაშინდელისა“.

24	მცხეთის პირველი სვეტიცხოვლის და ადრეული ქართული ეკლესიების შესახებ 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018-2020	თამაზ სანიკიძე
	1968-72 წლებში მცხეთის სვეტიცხოველში ცნობილი რესტავრატორის და მკვლევრის, პროფ. ვახტანგ ცინცაძის მიერ, აკად. გიორგი ჩუბინაშვილის მეთაურობით ჩატარდა სარესტავრაციო-საკონსერვაციო და არქეოლოგიური სამუშაოები (ვმონაწილეობდი მეც). ტაძრის სამხრეთ კართან, ისტორიულ წყაროებში მითითებულ ადგილზე, აღმოჩნდა წმ. ნინოს და წმ. მირიან მეფის სვეტიცხოვლის ნაშთები (თარიღი დადასტურდა მასალის არქეომაგინიტიური კვლევებით), რომლის შესახებაც ბ-მა ვახტანგ ცინცაძემ სპეციალური ნაშრომი გამოაქვეყნა (იხ. ქართული ხელოვნება, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, #9, თბ., 1987). ნაშრომში, ისტორიული ფაქტების ფონზე, მოცემულია ნაგებობის აღწერა, გეგმის ანაზომი და მისი მასების სავარაუდო რეკონსტრუქცია, შორეული პარალელების (მცირე აზიურის, ევროპულის) საფუძველზე. მაშინ, როცა უახლოესი ანალოგები აქვია - უფლისციხეში (რაც გვიან გავაცნობიერე). წყაროების მიხედვით, მეფე მირიანი, თხოთის მთაზე თეოფანიით შთაგონებული, დაუყოვნებლივ იწყებს ქრისტიანული სალოცავის შენებას. მაშასადამე, მეფე შემზადებულია ამისათვის. მან კარგად იცის, რომ ქრისტიანობა რომის იმპერიაში აღიარებულია ოფიციალურ რელიგიად. სრულად აქვს გათავისებული ქრისტიანობის სიკეთე ერისთვის, ქვეყნისთვის და მისთვისაც, ვითარცა მეფისთვის. იცის ისიც, რომ სხვაგან		



ქრისტიანები წარმართული დროის ბაზილიკურ სტრუქტურას იყენებენ საკუთარი ეკლესიების ასაშენებლად, მაგრამ მას უკვე მონიშნული აქვს ორიენტირი - უფლისციხე.

უფლისციხე ძვ.წ. IV ს-დან წარმოადგენს სატაძრო ქალაქს, მზისა და ცეცხლის სალოცავს, რომლის ძალა და გავლენა მოგვიანებით დამკვიდრებულმა კერპთაყვანისმცემლობამ ვერ გაანელა.

უფლისციხის ტაძრების ზოგადი ხუროთმოძღვრული აღნაგობა და წყობა ორიგინალურია - საქართველოს გარეთ არსად

იპოვება (იხ. ჩემი მონოგრაფია და ოთხ ათეულამდე სტატია), და აწ უკვე კერპთა მსხვერველი მეფე სწორედ კერპების უარისმყოფელი უფლისციხიდან იღებს ქრისტიანული ეკლესიის გეგმარებით სქემას (გამარტივებულს). წმ. ნინოს თანადგომით ხის პატარა „სახლს ღმრთისა“ ჩადგამს სამეფო ბაღში, „სამოთხესა მას სამეფოსა“ და განეფინება ქვეყანას „მზე სიმართლისა - ქრისტე“.

გეგმების მიხედვით სვეტიცხოველიც და უფლისციხის ტაძრებიც ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. ერთია მოზრდილი, ფართო დარბაზი და მეორე, მასთან კიბეებით დაკავშირებული შედარებით ვიწრო, გრძელი და სამ მონაკვეთად დაყოფილი შენობა. უფლისციხის ტაძრების ზედა მასები და თაღ-კამარები ფაქტობრივად თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი. შესაბამისად, გვაქვს საფუძველი სვეტიცხოვლის კედლებიც მათთან მიმსგავსებულად წარმოვიდგინოთ. უფლისციხეში პირველი დარბაზი თავდია - შეუძლებელია გადახურული ყოფილიყო. სახურავი ვერ ექნებოდა სვეტიცხოვლის ანალოგიურ დარბაზსაც - 1) არ ჩანს გადახურვის საყრდენი ბოძების ჩასადგმელი ღრმულები და 2) დაფარავდა (დაახშობდა) ცეცხლოვან სვეტს (ვ. ცინცაძეს დარბაზი გადახურულად აქვს წარმოდგენილი). ორივე ძეგლზე მთავარია მეორე დარბაზი (ფუნქციურად, მხატვრულად) - უფლისციხეში პირველისკენ საზეიმო კამაროვანი პორტიკით გახსნილი, რომლის წინ იდგა სამსხვერპლო-საკურთხეველი (მსგავსი ბორისა და დარმაზისხევის ვერცხლის ლანგრებზე გამოსახულ და ვანის კარიბჭის ტაძრის საკურთხევლებისა). სვეტიცხოველში ამ დარბაზის გამორჩეული მნიშვნელობა ხაზგასმულია იმითაც, რომ მისი იატაკი მთელ სიგრძეზე მოგებული იყო საგულდაგულოდ მოჭიქული ბრტყელი აგურებით (პლინთებით). აქვე, მის ცენტრალურ მონაკვეთში დაფიქსირდა კედლებისა და თაღის საყრდენი, „ლიბანის კედარისგან“ გამოთლილი ექვსი სვეტის ჩასადგმელი ღრმულები, ხოლო კიბის ბაქანზე ბაზა, რომელზედაც მეშვიდე, სასწაულმოქმედი „სუეტი იგი უდიდესი... საშუალ ეკლესიისა შესადგმელად გამზადებული“ აღიმართა „ხარისხსა თვისსა“ წმ. ნინოს ლოცვა-ვედრებით და მხოლოდ ამის შემდეგ „მეფემან განასრულა ეკლესია“.

აღნიშნულ პარალელურ ფაქტებს შეიძლება კიდევ რამდენიმე დეტალი დავამატო, მაგრამ ვფიქრობ, ისედაც ცხადია, რომ წმ. მირიან მეფისა და წმ. ნინოს სვეტიცხოველი უფლისციხის ტაძრების მინაბაძს წარმოადგენდა.

და კიდევ: ამ დროს ქვეყანაში ეროვნული სულისკვეთება საგრძნობლად არის გამძაფრებული, რაც პირველი სვეტიცხოვლის უფლისციხესთან მიმართებითაც დასტურდება.

2006 წელს კიდევ ერთხელ აიყარა სვეტიცხოვლის იატაკი. დაიგო ტაძრისთვის სრულიად შეუფერებელი მოყავისფრო მარმარილოს ფილები; ხოლო პირველი ეკლესიის წმინდა ნაშთები, ათეული წლების მანძილზე მინის ქვეშ დაცული და მიმზიდველი, დაბეტონდა სამარადჟამოდ.

25	საქართველოს ისტორიული კურორტები: ბორჯომი და აბასთუმანი XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018-2019	დავით ხოშტარია, მკვლევარი
----	--	-----------	--

ბორჯომი და აბასთუმანი თავისი უნიკალური ადგილმდებარეობისა და ბუნებრივი რესურსების წყალობით კარგად ცნობილი კურორტები იყო. მათი დაარსება და განვითარება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში უშუალოდ უკავშირდება რუსეთის სამეფო ოჯახის სამშენებლო აქტივობებს. სამეფო ოჯახის



წევრები მუდმივად ან ხანგამოშვებით ცხოვრობდნენ ამ კურორტებზე. დასრულებულმა კვლევამ უნდა წარმოაჩინოს ბორჯომისა და აბასთუმნის დაგეგმარებისა და არქიტექტურის ხასიათი და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები ფართო კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ფონზე.

კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია ითვალისწინებდა მრავალგანზომილებიან მიდგომას განსაკუთრებული აქცენტით

ფუნქციურ ასპექტზე, რაც ჩვენს შემთხვევაში გულისხმობდა ბორჯომისა და აბასთუმნის გეგმარებისა და არქიტექტურის კვლევას მათი სამკურნალო-რეკრეაციული და (მოგვიანებით) ტურისტული ფუნქციის კონტექსტში. შეგროვდა და დამუშავდა სხვადასხვა სახის პირველწყაროები - ძველი ფოტოსურათები, ცალკეული შენობების და სხვა ობიექტების (ბაღების, საინჟინრო ნაგებობების) პროექტები, დასახლებათა გეგმები, ოფიციალური დოკუმენტები, მოგზაურთა მემუარები, ძველი პრესა და სხვა. ასევე ჩატარდა მასშტაბური საველე სამუშაო და დეტალური ფოტოგადაღება ადგილზე.

2018 წელს ჩატარებულმა კვლევითმა სამუშაომ ცხადად გამოკვეთა თუ რა იყო საერთო საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის კურორტების ურბანული და არქიტექტურული განვითარების პროცესში და რა განასხვავებდა საქართველოს რეგიონის სხვა ქვეყნებისაგან; ნათელი გახდა საქართველოს XIX საუკუნის კურორტების ურბანული სახისა და არქიტექტურის ზოგადი და ცალკეული თავისებურებანი. ნათელი გახდა ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა ბორჯომისა და აბასთუმნის ურბანული იერისა და არქიტექტურის თავისებურებები - ადგილობრივი და მოტანილი სამშენებლო ტრადიციები, გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატური პირობები, ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონე, სამეფო კარის პატრონაჟი და რუსული იმპერიული პოლიტიკის სპეციფიკა.

26	პოსტმოდერნიზმის კულტურული პარადიგმა და 1980-90-იანი წლების ქართული ხელოვნება 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	1018-2019	ნათია ებანოიძე მკვლევარი
----	---	-----------	------------------------------------

2018 წლის განმავლობაში დამუშავდა თეორიული მასალა, რაც მოიცავს შესაბამის თანამედროვე უცხოენოვან ლიტერატურასა და ქართველ მკვლევართა მიერ აღნიშნულ თემატიკაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებს. განხორციელდა ვიზუალური მასალის შეჯერება დ ანალიზი.

პოსტმოდერნი დასავლური კულტურული მოვლენაა და სწორედ ამ სივრცეში გაფორმდა ის ფილოსოფიურად, თუმცა ამ პარადიგმის ფარგლებში არა მარტო დასავლეთმა, არამედ ე.წ „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნებმაც შეაბიჯეს და მათ შორის, არც საქართველოს რეალობა იყო გამონაკლისი. ომებითა და რევოლუციებით გამოწვეული ეპოქის დეჰუმანიზაცია მთელ მსოფლიოზე გავრცელდა და უნივერსალური შედეგები ჰქონდა. სხვა საკითხია, თუ რა ხარისხობრივობით იზიარებს ესა თუ ის კულტურული ფენომენი პოსტმოდერნიზმისათვის თვისობრივ კონკრეტულ ასპექტებს და რამდენად ორგანულია ის კონკრეტული ლოკალური კონტექსტისათვის.



რამდენადაც პროექტის მიზანს წარმოადგენს პოსტმოდერნიზმის კულტურული დისკურსის ქართული სახელოვნებო რეალობის ფარგლებში გააზრება, უფრო სწორად, აღნიშნული რეალობის პოსტმოდერნულ დისკურსში განხილვის შესაძლებლობის გაანალიზება, განხილულ იქნა ის სახელოვნებო პროცესები, რომლებმაც ნიადაგი შეამზადეს პოსტმოდერნული კულტურული სივრცისათვის; მოხდა განსხვავებულ კულტურულ კონტექსტთა და წინაპირობათა, კულტუროლოგიური საფუძვლების გაანალიზება; გამოიკვეთა ისეთი ნიშნები და მახასიათებლები, რომლებიც ქართულ ხელოვნებას (სხვადასხვა დარგს) დასავლურ პოსტმოდერნულ

დისკურსთან აახლოებს. გაივლო ზოგადკონტექსტუალური პარალელები. გაკეთდა გარკვეული წინასწარი დასკვნები.

თუ დასავლური პოსტმოდერნიზმი ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს (ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია, ეკონომიკა და სხვ) შეეხო და ფორმირებისა და განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს, საქართველოში ეს პროცესები არასისტემატურია. უპირველესად, გასათვალისწინებელია, რომ მაშინდელ სივრცეში არ არსებობდა დასავლური არტის სისტემის ისეთი აუცილებელი შემადგენლები, როგორიცაა არტ ბაზარი, კურატორი, დილერი, კრიტიკა და ადექვატური აუდიტორია. ამ მოცემულობის ფონზე, ქართველ არტისტებს ხელოვნებაში უნდა ჩაერთოთ და ადაპტაცია უნდა მოეხდინათ მთელ დისკურსთან, რომელიც საბჭოთა პერიოდში ქართულმა ვიზუალურმა ხელოვნებამ გამოტოვა. ამიტომაც მიმართავენ ისინი დასავლეთისათვის უკვე ისტორიად ქცეულ პრაქტიკებს. ამასთან, თუ დასავლეთში ენაზე დაფუძნებული ხელოვნებისაკენ მიდრეკილების ერთერთი მთავარი განსმსაზღვრელი ფაქტორი 20-ე საუკუნის შუა ხანებში ლინგვისტური თეორიებისადმი მიბრუნება იყო, როგორც ანგლო-ამერიკულ ანალიტიკურ ფილოსოფიაში, ასევე სტრუქტურალისტურ და პოსტ-სტრუქტურალისტურ კონტინენტურ ფილოსოფიაში (ანუ თუ დასავლელი არტისტების შემოქმედებას მყარი თეორიული საფუძვლები გააჩნდა), საქართველოში ეს პრაქტიკა უფრო დასავლურ კულტურასთან ზიარების და მასთან იდენტიფიკაციისაკენ სწავდა იყო, ვიდრე ახალ პარადიგმატულ ცოდნაზე დაფუძნებული გაცნობიერებული პროცესები.

27	როგორ წავიკითხოთ სურათი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018-2019	გიორგი (გოგო) ხოშტარია მკვლევარი
თემის 2018 წლის ნაწილში წარმოდგენილია - ხელოვნების ნიმუშის წყობისეული ანალიზის სპეციფიკა - განმსაზღვრელი ფაქტორები - შიდა და გერე დეტერმინირება. მსოფლიო ხელოვნების მაგალითებზე გამოიკვეთა - სოციო-კულტურული გარემოს სპეციფიკა, სკოლა, მასწავლებელი. პირველი ეტაპი მოიცავს კვლევას შუა საუკუნეებამდე. სიღრმისეული ანალიზითაა მიმოხილული, პირველყოფილი ხელოვნებიდან მოყოლებული - ანტიკური სამყარო, რომი შუა საუკუნეები და გამოკვეთილია თვითოეულ ეპოქაში დაკვეთის მიხედვით თუ როგორ იცვლება აღქმა და ანალიზი. მასალები წარმოდგენილია კონკრეტული ნიმუშების მაგალითებზე. ნაჩვენებია სტილის ევოლუცია, სათქმელის შესაბამისი სახვით გამოხატულებითი ხერხების ძიება და მისვლა საკითხის საბოლოო შედეგამდე. მომავალში (2019 წელს) განსაზღვრულია ხელოვნების შემდგომი განვითარების ეტაპების წარმოდგენა. უფრო მეტად გაღრმავდება ანალიზი აღორძინების ხანიდან დღემდე, როგორც დასავლეთ ევროპული ისე ქართული ნიმუშების მაგალითზე. ყოველივე ეს კი საბოლოო შედეგად ჩამოყალიბდება სახელმძღვანელოს			

სახით. ასევე ექნება ტექნიკური ტერმინოლოგიის ფუნქცია.			
28	XX საუკუნის დასაწყისის ქართული ხელოვნების მოდერნული პარადიგმები (XX საუკუნის დასაწყისის ქართული ხელოვნების ისტორია) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2016- 2020	თეა ტაბატაძე მკვლევარი
თემის ამოცანაა გამოიკვლიოს ამ პერიოდის ქართული ხელოვნების, მხატვრული ფორმისა და შინა- არსის, მასში გამოვლენილი მხატვრის მსოფლგანცდის თავისებურებები. ანუ, როგორია მოდერნული გარემოსა და მოდერნული დროის მიმართ მხატვრის თვითრეფლექსია და განიხილოს ისინი ზოგად ევროპულ მოდერნულ დისკურსთან მიმართებით.			
29	ისტორიული მუხრანის ურბანული მემკვიდრეობის კვლევა 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018-2020	ლალი ანდრონიკაშვილი მკვლევარი
სოფელი მუხრანი, ძალზედ საინტერესო მატერიალური მემკვიდრეობით ხასიათდება, რომლის ქრონოლოგიაც შუსაუკუნეებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე აღწევს. ამას ემატება საუკუნეების განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობაში გამჭდარი წეს-ჩვეულებანი თუ ტრადიციები, რაც სოფლის იდენტურობასა და მის ისტორიულ მეხსიერებას განაპირობებს. სოფელში დღესაც აღინიშნება ქეთევან დედოფლობა, გადმოცემის მიხედვით ქეთევან დედოფალმა ჯვარი სწორედ მუხრანის ეკლესიაში დაიწერა. ისტორიული მეხსიერებით დატვირთული, მასშტაბური დასახლება საბედნიეროდ დღემდე ინარჩუნებს მხატვრულ-არქიტექტურულ თუ ურბანულ გამომსახველობას. სწორედ ამიტომ მისი შესწავლის პროცესში უმნიშვნელოვანესია ყველა ღირებულებითი კომპონენტის დადგენა და გააზრება სოფლის განვითარების საერთო კონტექსტში. კვლევისას გამოიკვეთა სოფლის ისტორიული განაშენიანების ბირთვი, რომელიც ორი - მცირე და დიდი გალავნის ირგვლივ ვითარდება. განაშენიანების ქრონოლოგია შუა საუკუნეებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე პერიოდს მოიცავს. ურბანული ქსოვილი მდიდარია არქიტექტურული და ისტორიული თვალსაზრისით ღირებული ნაგებობებით, რომლებიც აყალიბებენ განაშენიანების ხასიათს. ამავდროულად ძალზედ საინტერესოა თავად ურბანული ქსოვილი, ქუჩათა მორფოლოგია და სტრუქტურა, რაც ამ დასახლების განსაკუთრებულობას ქმნის. ციტადელის კედლებს მიღმა, თლილი ქვებით მოსაზღვრული ცარიელი სივრცე გამოიკვეთა, რომელიც სავარაუდოდ ეკლესიის ან სასახლის საძირკველს უნდა შეიცავდეს. ამ ტერიტორიაზე აუცილებელია არქეოლოგიური კვლევის ჩატარება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ე.წ. დიდი გალავნის მნიშვნელობა გამოიკვეთა, რომელიც წლების განმავლობაში სოფლის განაშენიანებამ შთანთქმა. ძველი გალავნის ფრაგმენტების მეტად გამოვლენის მიზნით, სასურველია მათი შეძლებისდაგვარად გაწმენდა შეუსაბამო მინაშენებისაგან და ხედვითი არეალების განთავისუფლება ჩაშენებული მიკროსტრუქტურებისაგან, იმისათვის, რომ კვლევისთვის თვალსაჩინო იყოს გარე გალავნის მასშტაბი და ძირითადი მოცულობა. კვლევა შეეხო აგრეთვე იმ ტრადიციებისა თუ ისტორიებს, რაც დღემდე არსებობს ადგილობრივ მოსახლეობაში. შესასწავლ იქნა ისტორიული უბნების ტოპონიმების წარმომავლობა, მაგალითად, ისეთის, როგორიც არის გემანელთა უბანი - „როზენფელდი“. როგორც გამოჩნდა, მუხრანის უბნებისთვის უმეტესად დამახასიათებელი იყო ეთნიკური დაჯგუფების მიხედვით სახელის დარქმევა _ ებრაელთა უბანი, თათრების უბანი და ა.შ.			
30	სივრცის პრობლემა 1910-1920-იანი წლების ქართულ მოდერნიზმში	2012-2022	ნანა ყიფიანი მკვლევარი

	6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია		
თემა განიხილავს ქართულ მოდერნიზმსა და ავანგარდში სივრცითი აზროვნების თავისებურებას, რომელიც ათვალსაჩინოებს ზოგადად ქართული ესთეტიკური აზროვნების თავისებურებებს. ვიზუალური მასალა შედარებულია ამავე პერიოდის როგორც ევროპულ (გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ), ისე რუსული მოდერნიზმისა და ავანგარდის მასალასთან. განხილულია და გაანალიზებულია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა. თემა კვლევის პროცესში გაფართოვდა ჩარჩოები და ვიზუალურ მასალას დაემატა ამავე პერიოდის ლიტერატურული მასალა. პირველ რიგში ეს ეხება ავანგარდული წიგნის (ილია და კირილე ზდანევიჩები, კრუჩონიხი, ტერენტევი), 1925 წლის პუბლიკაციის «H2შO4» ტექსტების ანალიზს და ამ პერიოდში, ანუ 1910-1920-იან წლებში წაკითხული მოდერნისტებისა და ავანგარდის წარმომადგენლების ვერბალური ტექსტების ანალიზს სწორედ სივრცის პრობლემის, წარსულის და აწმყო დროის გააზრების კონტექსტში. ძირითადად ეს ეხება ილია ზდანევიჩის, დავით კაკაბაძის, გრიგოლ რობაქიძის, ცისფერყანწელების ტექსტების ანალიზს და მათ შედარებას ამავე პერიოდის ევროპული პუბლიკაციების ტექსტებთან - (დადაისტები, ფუტურისტები, ვორტიცისტები და სხვ.). ქვე-თემა სათაურით "სივრცის ნაკეცები". ამავე პროგრამული თემის ფარგლებში ვშიფრავ ილია ზდანევიჩის 1917 წლის ექვთიმე თაყაიშვილის ტაოსა და კლარჯეთის ექსპედიციის და მარის ჩანაწერების ინტერპრეტაციებს (გაშიფვრა პროცესშია) სამომავლო ქვე-თემისთვის „ილია ზდანევიჩი, 1917 წლის ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიცია ტაოსა და კლარჯეთში და ნიკო მარის ჩანაწერების ინტერპრეტაციები ზდანევიჩის მიერ“ ამავე თემის ფარგლებში ამჯერად იწერება ტექსტი „ნიკო ფიროსმანაშვილის ალეგორიულ-სიმბოლური ენა“ და „ილია ზდანევიჩის ონოლატრიული პენტალოგიის ალეგორია“; გეგმაშია: „პეიზაჟის ჟანრი - ბუნების თემა ქართველ მოდერნისტებთან“.			
31	ორნამენტი ქართულ ოქრომჭედლობაში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018-2020	ლეილა ხუსკივაძე მკვლევარი
თემა ითვალისწინებს ქართულ ოქრომჭედლობაში გავრცელებული ორნამენტული სახეების ქრონოლოგიურ და ტიპობრივ კლასიფიკაციას; მათი სტილური თავისებურებების განსაზღვრას; ოქრომჭედლობასა და ხელოვნების სხვა დარგებში გავრცელებული ორნამენტული სახეების, ორნამენტისა და გამოსახულების , ორნამენტისა და წარწერების ურთიერთმიმართებების კვლევას.			
32	IX-X საუკუნეების გარეჯის მრავალმთის მონასტრების გეოგრაფიისა და სტრუქტურის დადგენის მცდელობა 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2019	დავით ჩიხლაძე მკვლევარი
2018 წლის წლიური ნაშრომი წასრმოადგენს 2017 წელს დაწყებული კვლევის გაგრძელებას. 2017 წელს წმ. დავით გარეჯელის ლავრის ფერიცვალებისა და, განსაკუთრებით, "ილარიონის ფილიალის" კომპლექსების შესწავლის შედეგად მიღებულმა ზოგადმა დასკვნებმა და კონკრეტულმა ინდიკატორებმა მოგვცა საშუალება გამოვლენილიყო "ილარიონის ფილიალის" კომპლექსთან ქრონოლოგიურად და არქიტექტურულად ახლოს მდგომი კომპლექსები, რომლებიც სხვადასხვა მონასტრებში იქნა მიკვლეული. ამ			

ტიპის კომპლექსების მნიშვნელობა მეტად დიდი აღმოჩნდა გარეჯის არქიტექტურის ისტორიისათვის, ხოლო მათი გეოგრაფია მეტად ვრცელი. კვლევის რეალური შედეგების მისაღწევად მისი ფოკუსი



შევაზიწროვით და კვლევის მეორე ეტაპზე მის ობიექტად ავირჩიეთ წმ. დოდო გარეჯელის მონასტერი, რომლის არქიტექტურამაც, ვფიქრობთ სხვა მონასტრებთან შედარებით უფრო ვრცლად გამოავლინა ამ კომპლექსების თემის განვითარების სხვადასხვა საკითხები.

წმ. დოდო გარეჯელის მონასტრის კომპლექსებზე დაკვირვების პროცესში გაირკვა, თუ რა მიმართულებით განვითარდა "ილარიონის ფილიალის" კომპლექსის არქიტექტურული თემა, რა განსხვავებული თვისებები შეიძინა, როგორ და რის გამო იცვლებოდა

მისი სტრუქტურული ელემენტები, რაგვარი იყო ამ ელემენტების კომპონირების პრინციპები, ქრონოლოგიური თვალსაზრისით რომელი არქიტექტურული ნაკადების ამოკითხვაა შესაძლებელი. ამასთან გამოიყო და ჩამოყალიბდა მათი როგორც საერთო, გამაერთიანებელი პრინციპები, ისევე ინდივიდუალურად მახასიათებელი და ცალკეული, ტექნიკურ-უტილიტალური ნიშნები.

მიღებულმა შედეგებმა შესაძლებელი გახადა მაღალი სიზუსტით წარმოგვედგინა ამ, გარეჯის უდაბნოს მონასტრებს შორის ერთ-ერთი ყველა დიდი, წმ. დოდო გარეჯელის მონასტრის არქიტექტურული ჩამოყალიბების ეტაპები და გეოგრაფიული განაწილება. ამასთან, ამ მიმართულებით ჩვენი კვლევა დასრულებული არაა, რადგან ცალკე შესწავლას მოითხოვს მონასტრის ცენტრალური ნაწილი, განსაკუთრებით კი ახლად აღმოჩენილი თუ გაწმენდილი ეკლესიები და ქვებები. სწორედ ამ მიმართულებით გაგრძელდება კვლევა 2019 წლის განმავლობაში.

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	დღევანდელი ჩრდილოეთი სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე ქალკედონური ტაძრების მოხატულობათა მხატვრული თავისებურებები 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია). 6.5 სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები.	2017-1028	მარინე ბულია მკვლევარი მზია ჯანჯალია მკვლევარი

ისტორიული ლორეს კულტურული მემკვიდრეობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები საუკუნეზე მეტია ჰუმანიტარული კვლევების იმ აქტუალურ საკითხთა რიგს განეკუთვნება, რომელთა მიმართ სამეცნიერო ინტერესი კარგა ხანია გასცდა საქართველოსა და სომხეთის ფარგლებს. საერისთავოსა და მისი მიმდებარე მიწების სასაზღვრო მდებარეობამ, პოლიტიკურმა ისტორიამ, ეთნიკურად და კონფესიურად შერეულმა მოსახლეობამ, რეგიონის მემკვიდრეობისა და კულტურის ისტორიის კვლევებს სპეციფიკური



სირთულე და სიმწვავე შესძინა. დასახელებული ნაშრომი მიზნად ისახავდა ახლა ჩრდილოეთ სომხეთში მდებარე ქალკედონური ტაძრების მოხატულობათა ისტორიული, კულტურული და მხატვრული თავისებურებებისა და იდენტობის საკითხების კვლევას. განისაზღვრა მოხატულობათა შინაარსობრივი თუ იკონოგრაფიული თავისებურებები; მათი მხატვრული მიმართება თანადროულ მოწინავე თუ რეტროსპექტულ ბიზანტიურ ტრენდებთან; განისაზღვრა მათი რეგიონული თუ ზოგადქართული ნიშნები; მოხატულობები ახლებურად დათარიღდა (XIII ს-ის II ნახ); თარიღების გათვალისწინებით, განისაზღვრა მათი ადგილი, როგორც ქართული ისე ზოგადად თანადროული აღმოსავლეთქრისტიანული მხატვრობის ისტორიაში. XIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მხატვრობის არაერთმნიშვნელოვან ხასიათს უპირატესად, ის მასშტაბური ფერწერული ანსამბლები განსაზღვრავს, რომლებიც ძლიერი, დიდი ფეოდალური გვარების დაკვეთითაა შესრულებული. თამარ მეფის კარის დიდი მოხელის, ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის შთამომავლებისაა ქობაირი, მისი მმის, მანდატურთუხუცესისა და ათაბაგის, ივანეს მემკვიდრეების, მისივე დაფუძნებული და ერთხელ უკვე მოხატული ახტალა და აღმოსავლური

გემოვნებით გაწყობილი კირანცი. ყველა ეს ანსამბლი ძალზე განსხვავებულია ერთმანეთისგან გემოვნებითაც და მხატვრულადაც და სწორედ ამ განსხვავებულობით ეხმიანება ყველაზე მეტად იმ მრავალფეროვნებას, რომელიც ზოგადად ახასიათებს ამ ხანის აღმოსავლეთქრისტიანულ მხატვრობას. მათ, ტრადიციული გამოსახულებებისგან შედგენილ პროგრამებში, მნიშვნელოვან შინაარსობრივ მახვილებად იკვეთება დამკვეთთა მისწრაფებებიც და ეპოქისა თუ კუთხისთვის აქტუალური თემებიც. მაგ., ლორეს მოხატულობებში (ახტალა, კირანცი, ქობაირი), რომელსაც მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური მოსახლეობა ჰყავდა, განსაკუთრებული სიძლიერით ჟღერს ღმრთისმშობლის დიდების, უფლის განკაცებისა და მის სისხლთან და ხორცთან ზიარების თემა, რომელიც აღსაყდრებული ღმრთისმშობლის საკონქო სცენებით (ახტალა, კირანცი, ქობაირი), მისი ცხოვრების ციკლებით (ახტალა, კირანცი), ექვარისტისა ან მასზე მიმანიშნებელი გამოსახულებებით და პირი ღმრთისას უზარმაზარი გამოსახულებებითაა ხაზგასმული (ახტალა, ქობაირი, კირანცი). ღმრთისმშობლისა და ქრისტეს დიდებას ეხმიანება ასევე მათ პირველსახეებად წარმოდგენილი, წინასწარმეტყველთა ცხოვრების ციკლიც, რომელიც ასე მასშტაბურად სწორედ ამ ხანაში გვხვდება პირველად (კირანცი). ეპოქის განწყობას და ლათინების მიმართ იმ დროის საქართველოს ეკლესიის ტოლერანტობას გამოხატავს რომის ეკლესიის დიდი მამების და დასავლური მონასტიციზმის დამფუძნებელთა გამოსახულებებიც, რომლებიც ასეთი სიმრავლით მანამდე არასდროს გამოუსახავთ (ახტალა). მყარი ადგილობრივი ტრადიციისა და სხვადასხვა მიმდინარეობების ურთიერთმიმართებას ათვალსაჩინოებს ამ მოხატულობათა მხატვრული სახე. მაგალითად, ახტალის მეორე ფენის მხატვრობის დიდი, სიბრტყოვანი, უმოძრაო ფიგურების დამუშავება აშკარად მისდევს გვიანკომნენოსურ მოდელებს, თუმცა სქემატურ-გრაფიკულად გარდასახავს მათ; წმინდანთა გოროზად, თითქოს წყრომით მომზირალი სახეების დრამატულობა და ექსპრესია, განწყობით, ქრისტიანული აღმოსავლეთის მხატვრობასაც ეხმიანება და სომხურ მინიატურებსაც; ჟანრული დეტალების სიმრავლე კი მსოფლიურისადმი იმ ინტერესს მიგვანიშნებს, რომელიც ამ დროის აღმოსავლეთქრისტიანული სივრცისთვისაცაა დამახასიათებელი. კიდევ უფრო რთულია სურათი, ახტალაზე მოგვიანო, კირანცის ტაძრის მოხატულობაში. მის პროგრამულ გადაწყვეტასა და მხატვრულ სახეს საერთოდან დროითა და გეოგრაფიულად განსხვავებულ წრეებში ეძებნება მსგავსება. თუკი გუმბათში ასე უჩვეულოდ გამოსახული ღმრთისმშობლისა და ქრისტეს პრეფიგურაციული ციკლი კონცეპტუალურად იმ ციკლებს უახლოვდება, რომლებიც ადრეპალეოლოგოსური ხანის ბიზანტიურსა და ბალკანურ მოხატულობებში გვხვდება, მისი

შემადგენელი ცალკეული იკონოგრაფიული თემები კი დასავლური ტრადიციის მომდევარია, მის მხატვრულ სახეს, რომელსაც დიდი, სიბრტყობანი ფიგურების აღმოსავლურად მომრგვალებული, თვალ-წარბადაკალმული, ღიმილშეპარული, ოდნავ ნაივური სახეები განსაზღვრავს (ამ მხრივ მათ საფარის წმ საბას ტაძრის XIII საუკუნის დასასრულისა და ჭულეს წმ. გიორგის ტაძრის 1300-იანი წლების მოხატულობები ენათესავება), ლათინთა მმართველობის ქვეშ მყოფი ბერძნული მიწებისა და კვიპროსის XIII საუკუნის მოხატულობებთან ემეზნება პარალელები. განხორციელებული კვლევის შედეგები გამოქვეყნდა: კრებულში - *ქართული საეკლესიო მემკვიდრეობა ჩრდილოეთ სომხეთში* (ელექტრონული გამოცემა), 2017 (მარინე ბულია, მზია ჯანჯალია, შუა საუკუნეების ხელოვნება და თანამედროვე კვლევები - ახტალის მოხატულობა, გვ. 124-159; მარინე ბულია, მზია ჯანჯალია, კირანცის მოხატულობა და XIII საუკუნიე მეორე ნახევრის მხატვრული ტენდენციები, გვ. 160-204); ჟურნალში - *საქართველოს სიძველენი*, #20, 2017(მარინე ბულია, მზია ჯანჯალია, ახტალის მოხატულობა - ვულტურული იდენტობის საკითხები, გვ. 185-211) და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში: *Convivium*, 2018, Volume 5, Issue 2 (Mzia Janjalia, Marina Bulia, *Trends versus Cultural Context in Medieval Art: The Case of the Kirants Paintings*, გვ.33-49).

2	XIX საუკუნის ქუთაისის ურბანული დაგეგმარება. 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.1. ისტორია და არქეოლოგია 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) 6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი	2018	ნათია ნაცვლიშვილი მკვლევარი
---	---	------	--

2018 წელს პროგრამული დაფინანსებით მომზადებული ვრცელი ნაშრომი ეხება 1809 წლამდე იმერეთის სამეფოს დედაქალაქის, 1846-1917 წლებში კი რუსეთის იმპერიის საგუბერნიო ქალაქის - ქუთაისის ურბანულ განვითარების გზებსა და თავისებურებებს. წლის პირველი კვარტალი დაეთმო წერილობითი ცნობებისა (მოგზაურთა ჩანაწერები, ძველი პრესა, მოგონებები) და სამეცნიერო ლიტერატურის მოგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს. მეორე კვარტალში



განხორციელდა საარქიო და საველე სამუშაო. ქუთაისისა და თბილისის მუზეუმებსა და არქივებში მოძიებული იქნა გრაფიკული მასალა, ფოტომასალა და ოფიციალური დოკუმენტები. საველე სამუშაოს დროს მოხდა ისტორიული ურბანული სტრუქტურების კვლევა, ქალაქმშენებლობითი სპეციფიკის შედარებითი ანალიზი და ძველ ფოტოებზე აღბეჭდილი ისტორიული შენობების იდენტიფიცირება. მესამე-მეოთხე კვარტალები დაეთმო უშუალოდ ნაშრომის მომზადებას. ჩატარებული კვლევის შედეგად, ქუთაისის ურბანული განვითარება წარმოჩნდა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროცესებთან მჭიდრო

კავშირში. ნათელი გახდა ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა მისი ურბანული სახის თავისებურებები.

1809 წელს, როცა რუსეთის იმპერიის ჯარმა იმერეთის სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი დაიკავა, ის რიონის ორივე ნაპირზე გაშენებული მცირე დასახლება იყო. საქართველოს სხვა ძველი ქალაქების მსგავსად ქუთაისის ურბანული სახეც განსხვავებული ინტენსივობით მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა. მდინარის მარჯვენა ცივაბო ნაპირზე, უქიმერიონის მთის თავზე პირველი ციხე-სიმაგრე IV საუკუნეში, ქუთაისის ეგრის-ლაზიკის დედაქალაქობის დროს გაჩნდა. XI საუკუნის დასაწყისში, როცა ის

უკვე ერთიანი საქართველოს დედაქალაქია, აქვე შენდება ღმრთისმშობლის საკათედრო ეკლესია - იგივე „ბაგრატის ტაძარი“. ამიერიდან ციხესთან ერთად ის ქალაქის დომინანტი და მთავარი ორიენტირი ხდება. XV საუკუნიდან მოყოლებული ქუთაისი იმერეთის სამეფოს სატახტო ქალაქია. სწორედ ამ დროს ყალიბდება მისი ძირითადი ბირთვი, რომელიც სხვადასხვა მასშტაბით უკვე მდინარე რიონის ორივე ნაპირს მოიცავს და რომლის გარშემოც XIX საუკუნეში საგუბერნიო ქალაქი გაშენდა. რუსული ხელისუფლების მიერ გაშენებული ქალაქის მარცხენა ნაწილის გეგმარების ხასიათი მისმა შედარებით დაბალმა რელიეფმა განაპირობა. ქუჩათა მეტნაკლებად რეგულარული ქსელი მორგებულია უშუალოდ მდინარის მომიჯნავე ტერიტორიას ე. ი. მარცხენა ნაპირის ყველაზე ვაკე მონაკვეთს. ურბანული სივრცე სამხედრო და სამოქალაქო შენობები მოინიშნა, ახალი ქალაქის ცენტრში გაშენდა დიდი მოედანი. მარცხენა ნაპირისგან განსხვავებით ურბანიზაცია რიონის მარჯვენა ნაპირის განაშენიანებას მნიშვნელოვნად არ შეხებია. საგრძნობი განსხვავება მდინარის ორ ნაპირს შორის XX საუკუნის დასაწყისამდე, ქვეყნის გასაბჭოებამდე შენარჩუნდა.

3	თავისუფლების მოედნის არქიტექტურული სახეცვლილებები 1991 წლიდან დღემდე 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)	2017-2018	ციცინო ჩაჩუნაშვილი მკვლევარი
---	---	-----------	---

თავისუფლების მოედნის არქიტექტურა მუდამ განიცდიდა ცვლილებას. წლიური თემის ძირითად მიზანს



წარმოადგენს ამ გარდასახვათა შეფასება და მათი გავლენის ხარისხი ქალაქის მთავარი მოედნის და მიმდებარე ქუჩების სამომავლო განვითარებაზე. წარსული შემოქმედების მაქსიმალურად შენარჩუნება მუდამ განმსაზღვრელი იყო არაერთგზის განახლებული თბილისის ხუროთმოძღვრებისათვის. ეს ეხება როგორც მის ძველ, ასევე XIX საუკუნეში წარმოქმნილ უბნებსაც. XIX საუკუნის დასაწყისამდე ახლანდელი თავისუფლების მოედანი ქალაქის ზღუდის მიმდებარე მნიშვნელოვანი გზების შესაყარს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, გზებმა და აქ არსებულმა ადრეულმა ნაგებობებმა, რომლებსაც დღემდე არ მოუღწევია, ახალი მოედნის საყრდენი წერტილები მონიშნა. 1824-1829 წწ. აგებული კავკასიის არმიის ცენტრალური შტაბის შენობა ისეთი კუთხით დგას, რომ, როგორც ჩანს, მან ანგარიში გაუწია მის გვერდით მდგარ ნაგებობას; ახლანდელი მერიის შენობა აგებულია იმ ადგილზე, სადაც წინათ ქარვასლა იდგა; პუშკინის ქუჩაზე მდებარე სახლების ხაზი, აქ გამავალმა ქალაქის ზღუდემ მონიშნა.

ერთ-ერთი რუსი მოგზაურის ჩანაწერების მიხედვით, 1830-იან წლებში მოედანზე ჩნდება „უახლესი არქიტექტურით,, ნაგები კერძო სახლები. 1850-იან წლებში, მოედნის ცენტრში აგებული თეატრის შენობა კი უკვე გარშემორტყმულია დასრულებული და მშენებარე სახლებით. თეატრის აგების შემდეგ ბაზრობამ, რომელიც აქ იმართებოდა, ახლანდელი პუშკინის სკვერთან გადაინაცვლა, ხოლო 1885 წელს იგი ვერაზე გადაიტანეს. ამის შემდეგ მოედანმა დაკარგა აღმოსავლური ელფერი და მიიღო ევროპული იერი. რაც შეეხება ფუნქციას, XIX საუკუნეში მოედანზე იყო რამდენიმე ბანკი, საოპერო თეატრი, რომლის ძირი სართულები ქარვასლას ეკავა, სასტუმროები, ქალაქის მმართველობა და კავკასიის არმიის შტაბის შენობა.

1991 წლის ე.წ. თბილისის ომის შემდეგ და ბოლო ათწლეულში განსაკუთრებით დაჩქარდა ქალაქის მთავარი მოედნის ცვლილება. ამავე პერიოდის მიეკუთვნება მკვეთრი ჩარევები მოედნის ისტორიულად

ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ სტრუქტურაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოედნის გარემომცველი ლანდშაფტის ცვლილება, რაც გამოიწვია 1991 წელს დანგრეული შენობების ადგილზე წამომართულმა ახალმა ნაგებობებმა და 2000-იან წლებში მიმდინარე ცვლილებებმა პუშკინის ქუჩის მიმდებარე ხაზზე. უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე ამჟამად წარმოებული ფართომასშტაბიანი მშენებლობა, რომლის გავლენა გასცდა თავისუფლების მოედნის ფარგლებს. იგი ქალაქის შორი ხედების არაერთი წერტილიდან აღიქმება (მათ შორის, მტკვრის მარცხენა სანაპიროდან) როგორც არა მარტო მოედნის და მისი მიმდებარე ტერიტორიისთვის, არამედ ქალაქისთვის შეუფერებელ ნაგებობად.

4	„ნიკორწმინდის რელიეფები“ შუა საუკუნეების ხელოვნება, ქართული ქვის რელიეფი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)	2017-2018	თამარ დადიანი მკვლევარი
---	---	-----------	--

პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევა ნიკორწმინდის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) რელიეფებს ეხება.

კვლევა ნიკორწმინდის რელიეფების სრულ ანალიზს გულისხმობს და ორ ნაწილად იყოფა. პირველ



ნაწილში ტაძრის რელიეფთა იკონოგრაფიაა განხილული. ნიკორწმინდაში მოცემული ძირითადად მეორე მოსვლისა და განკითხვის დღის თემებს მიძღვნილი კომპოზიციები კარგად ჯდება რაჭის რეგიონისათვის დამახასიათებელ იკონოგრაფიაში. მონუმენტურ მხატვრობაში გავრცელებული ეს იკონოგრაფიული სქემები რელიეფის დარგში ძირითადად მხოლოდ რაჭაში გვხვდება და ამ რეგიონის ყველა

მნიშვნელოვან ძეგლს ამშვენებს (სხიერის კანკელი და ჯოისუბანი (X ს.), ნიკორწმინდა). საუკუნეთა მიჯნაზე მეორედ მოსვლისა და სამიწელი სამსჯავროს მოლოდინით შეპყრობილი ადამიანები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ამ თემებს ხელოვნებაში. სამცხე-ჯავახეთში ეკლესიათა ფასადები სამყაროს დასასრულის სიუჟეტის ამსახველი სიმბოლური კომპოზიციებით იმკობა („დანიელი ლომთა ხაროში“, „იონა წინასწარმეტყველის სასწაულებრივი ხსნა“), რაჭის მომიჯნავე სვანეთის ფრესკებზე ვედრების კომპოზიციები ჭარბობს. ნიკორწმინდაში დას. ფასადზე აღსაყდრებული ქრისტე მსაჯულის სახით გვაქვს, სამხრ. ფასადზე მეორედ მოსვლის კომპოზიციას მენაღარე ანგელოზების მონაწილეობით, აღმ. ფასადზეა „ფერისცვალება“ წარმოდგენილი. საგულისხმოა დას. პორტალის ტიმპანზე გამოკვეთილი სცენა წმ. მხედრების გამოსახულებებით, რომელიც ასევე დამახასიათებელია როგორც რაჭისთვის, ასევე მომიჯნავე სვანეთისათვის. ტაძრის იკონოგრაფიულ თემათა არჩევა სვანეთის ხელოვნებასთან კავშირზე მეტყველებს და ადასტურებს ნიკორწმინდის რელიეფების სიახლოვეს ჭედურობის თემატიკასთანაც (X-XI საუკუნეებში ეს დარგი ზუსტად ამ ორ რეგიონში განსაკუთრებულად იყო განვითარებული).

მეორე ნაწილი რელიეფთა სტილს ეხება. სტილურ ანალიზში განსაკუთრებულად ხარაჩოებზე მუშაობის შესაძლებლობამ დაგვხმარა. 2018 წლის გაზაფხულზე ნიკორწმინდაში დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ხარაჩოების აგების მერე რამდენიმე სამეცნიერო მივლინება მოეწყო (ერთი ორდლიანი ექსპედიცია გ. ჩუბინაშვილის ცენტრიდან (2018 წლის 21–22 აგვისტო), ორი ერთდლიანი გასვლა თბილისის სახელმწიფო აკადემიის დაფინანსებით (2018 წლის 13 და 27 ოქტომბერი).

XI საუკუნის კლასიკური მაგალითია ნიკორწმინდის პორტალთა რელიეფები, რომელიც სამშენებლო

წარწერით 1010–1015 წლებით თარიღდება. მოცულობით–სკულპტურულ მანერაში შესრულებული გამოსახულებები მკაფიო პლასტიკური კონტურითა და ფაქიზი დამუშავებით ხასიათდება. ნიკორწმინდის ამ ჯგუფის რელიეფები იმდენად პოპულარული გახდა XI საუკუნეში, რომ იდენტურ სტილში შესრულებულ რელიეფებს ვხედავთ იმერეთში (კაცხი, რგანი, სადაც კონკრეტული კომპოზიციები ზუსტადაა გამეორებული), ლეჩხუმში (გონის კანკელი). სულ სხვა სურათს იძლევა ფრონტონებში მოცემული რელიეფური კომპოზიციები. სტილის თვალსაზრისით ამ რელიეფთა ზუსტი ანალოგები არსად გვგვხვდება. თუმცა სახეთა და ცალკეულ დეტალთა გაანალიზებისას ცხადი ხდება, რომ ოსტატი აგრძელებს ქვედა გამოსახულებათა საერთო სტილისტურ ხაზს. მაგალითად, აქაც ვხედავთ რაჭისათვის დამახასიათებელ ტიპაჟს მძიმე ნიკაპითა და მსხვილი ცხვირით, მეორდება რაკურსები და პროფილური გამოსახულებები. თუმცა შესრულების მანერა ბევრად უფრო თავისუფალია და შედარებით ხისტი, მძლავრი ბლოკური ფორმები უხეშადაა დამუშავებული კიბისებრად მოცემული მსხვილი ნაკვეთებით. საფიქრალია, რომ ამდენად მსხვილი, „ბრუტალური“ ფორმები შორ დისტანციაზე იყო გათვლილი, რადგან მნახველი მათ მხოლოდ ქვემოდან ხედავდა. სამ ფასადზე განთავსებული რელიეფებისგან გამოიყოფა „ფერისცვალების“ გამომხატველი სცენა აღმ. ფასადზე. აქ სახეები ბევრად უფრო ფაქიზადაა გამოქანდაკებული. ნაკვეთა რბილი გადასვლები განსაკუთრებული ემოციურობის შთაბეჭდილებას ქმნის. თუ ვივარაუდებთ, რომ აქ სხვა ოსტატი მუშაობდა უნდა ვაღიაროთ, რომ ფრონტონთა რელიეფთა საერთო სტილის ერთგული რჩებოდა და სტილური განსხვავებები ძირითადად დეტალებში თუ შეიგრძნობა. ასევე შესამჩნევია დას. და განსაკუთრებით სამხრ. მხარეს გამოკვეთილი რელიეფების ერთგვარი დაუსრულებლობა. მაგ., პროფილში ნაჩვენები ანგელოზის სახის მეორე მხარე დაუმუშავებელია (და მხოლოდ გვერდიდან ჩანს), არ არის დამთავრებული სხვა წვრილი დეტალები. ასეთი დაუსრულებლობა არ ახასიათებს აღმ. ფასადის რელიეფებს. ოსტატთა განსხვავებული ხელწერის გამოყოფის გარდა პროექტის ამოცანებში ფრონტონთა რელიეფების თარიღის დაზუსტებაც შევიდა. ბოლოდროინდელი სამუშაოების პროცესში აღმჩნდა, რომ აღმ. და დას. ფასადთა კეხები ამაღლებული ყოფილა და ფარავდა გუმბათის ფრიზის ნაწილებს, სადაც მანამდე უცნობი, ნაწილობრივ დაზიანებული ფიგურული რელიეფები იქნა აღმოჩენილი. გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს ამაღლება ცოტა მოგვიანო პერიოდში უნდა მომხდარიყო. ამ თვალსაზრისით რელიეფთა შედარებითი ანალიზი (შედარება XI საუკუნის ძეგლებთან – ბაგრატის ტაძარი, კაცხი, სვეტიცხოველი, სამთავისი) გვაფიქრებინებს, რომ ეს რელიეფებიც XI საუკუნეში შესრულდა, არა უგვიანეს 1030 წლისა (ამ შემთხვევაში ბოლო ქრონოლოგიური ზღვარი სამთავისის რელიეფის თარიღია).

5	არქიტექტორი პაულ შტერნი და XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის თბილისი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, არქიტექტურა	2017-2018	მაია მანია
ჩატარებული სამუშაო მიზნად ისახავდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისში მოღვაწე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გერმანელი არქიტექტორის პაულ შტერნის ბიოგრაფიის უცნობი დეტალების დადგენას და მის მიერ აშენებული შენობების მოძიებას თბილისის სხვადასხვა საცავებში. პაულ შტერნის ბიოგრაფიის შესახებ მოძიებული ცნობები ეყრდნობა ხუროთმოძღვრის შთამომავლების არქივში (შვეიცარია, ქ. ბერნი) დაცულ დოკუმენტებს (1909 წლის 29 იანვარს თბილისში გაცემულ შტერნის ატესტატს, პაულ შტერნის საქორწინო მოწმობას და სხვ.) და მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. ინფორმაცია პ.შტერნის ადრეული საქმიანობის შესახებ კი აღებულია აგრეთვე საარემას მუზეუმის დირექტორის თანაშემწის ოლავი პესტის (Olavi Pesti -assistant director of Saaremaa Museum)მიერ მოწოდებული მასალიდან. ჩატარებული საარქივო კვლევა-ძიების შედეგად პაულ შტერნის პროექტების დიდი ნაწილი საქართველოს ცენტრალურ არქივში აღმოჩნდა. სხვადასხვა ბიბლიოგრაფიულ წყაროებში გამოქვეყნებული,			

ახლადმოძიებული პროექტებისა და ცოცხალ ქალაქში გადარჩენილი ნაგებობების იდენტიფიკაციამ, აგრეთვე პაულ შტერნის მიერ დაპროექტებული შენობების ურთიერთშედარებამ და შეჯერებამ საშუალება მოგვცა სრულად წარმოვაჩინოთ და შევაფასოთ მისი მხატვრულ-არქიტექტურული მემკვიდრეობა.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია პაულ შტერნის განუხორციელებელ პროექტებზეც.

საარქივო კვლევამ თბილისის ფარგლებს გარეთ პაულ შტერნის მოღვაწეობის კვალიც გამოავლინა. მეტიც, მისი პროექტებით აშენებული ნაგებობები ქალაქ ბაქოშიც დადასტურდა.

საარქივო და ბიბლიოგრაფიული კვლევის შედეგად მოპოვებული მასალის ცოცხალ შენობებთან შედარებამ პაულ შტერნის და მთელი მისი შემოქმედების ანალიზის საშუალება მოგვცა და პ. შტერნის, როგორც არქიტექტორის, მაღალი პროფესიული კლასი, საინჟინრო საქმის დიდი ცოდნა დაგვანახა და ინდივიდუალურობაც გამოავლინა. თბილისის გარეთუბნის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაგებობის აშენებით და მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობით (თბილისის ოპერა), მისი როლი თბილისის არქიტექტურის




ისტორიაში შეუცვლელია, მაგრამ მისი როლი წვლილი მარცხენა ნაპირის, ე.წ. თბილისის კოლონიის მშენებლობის საქმეში და მკვრივი ურბანული ქსოვილის ჩამოყალიბებაში, სრულიად შეუცვლელია.

პ. შტერნის უცნობი პროექტებითა და 1999-2018 წლებში გადაღებული პ. შტერნის ნაგებობებით ილუსტრირებული სტატია პ. შტერნის შემოქმედების შესახებ დაიბეჭდა ჟურნალში „ძველი ხელოვნება დღეს“ (08/2017, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო); მასალა პ. შტერნის თბილისისა და საქართველოში მოღვაწეობის შესახებ, ცალკე თავად შევიდა წიგნში "გერმანელი არქიტექტორები თბილისში" (2018).

6	ფარნაოზ ლაპიაშვილის შემოქმედება 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2018	მარიანა ოკლეი
ფარნაოზ ლაპიაშვილი XX საუკუნის სცენოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი		წარმომადგენელია. ლაპიაშვილს გაფორმებული აქვს მრავალი დრამატული, საოპერო და საბალეტო სპექტაკლები თბილისისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების სცენაზე. აგრეთვე, მუშაობს ქართული კინოფილმების სახოვანების შექმნაზე. მისი მხატვრული ენის მთავარი მახასიათებელია სცენური სივრცის დაგეგმარებისას ფერწერული საშუალებების გამოყენება, რაც ფერის ინტენსივობით და განათების შუქ-ჩრდილების მონაცვლეობით მიღწეულ დინამიკასა და გამომსახველობაში ვლინდება. მისი „თეატრალური“ ენა პირობითია და საკმაოდ კონკრეტულიც ამ ორი მცნების გათამაშებაზეა აგებული მხატვრის სცენური გარემო. მისი დეკორაციები მასშტაბური, მონუმენტური და ეფექტურია. ის მსახიობებზე მორგებულ კოსტიუმებს ქმნის ისტორიული ნიშნების სრული დაცვით.	

ფ. ლაპიაშვილი ფართოდ გაშლილ სადეკორაციო სივრცეს ქმნის და მხატვრული ხერხებით შესაბამის ემოციურ-იდურობას განიცდის გვთავაზობს, მაგ: მითითური იდუმალება „ოდიშის მეფის“ (1956) ან ტრაგიკული პარადულობა „ოტელოში“ (1980). კინოფილმებიდან აღსანიშნავია „ქეთო და კოტე“, „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, „დონ კიხოტი“ და სხვა. ფარნაოზ ლაპიაშვილი მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა თეატრალურ სახელოსნოს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. მისი მოწაფეები დღეს ქართული სცენოგრაფიის აღიარებული დიდოსტატები არიან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფარნაოზ ლაპიაშვილმა საქართველოში დააარსა სცენოგრაფიული სკოლა. სამწუხაროდ, დღევანდელი თაობა უკვე ნაკლებად, ან საერთოდ არ იცნობს ამ ეტაპური მხატვრის ხელოვნებას, ბევრს იგი მივიწყებული აქვს. ამიტომ, ჩვენი მთავარი ამოცანაა, სცენოგრაფიის ანალიზის საფუძველზე ვაჩვენოთ, თუ როდენ დიდი ადგილი უკავია ფ. ლაპიაშვილის სახელს თეატრისა და კინოს ისტორიაში და მოვახდინოთ მისი მხატვრობის „აღორძინება“.			
7	ადრეული შუა საუკუნეების ლიტურგიკული ნივთები საქართველოში (ბრინჯაოს საცეცხლეები) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2018	კიტი მაჩაბელი მკვლევარი
თემა ეძღვნება საქართველოში შემონახულ შუა საუკუნეების უძველეს ლიტურგიკულ ნივთებს – სახარების რელიეფური სცენებით შემკულ ბრინჯაოს საცეცხლეებს, რომელნიც გვთავაზობენ ქრისტიანული იკონოგრაფიის ადრეულ ნიმუშებს და რომელთა მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა სცილდება საკუთრივ ქართული ხელოვნების ფარგლებს, შესრულებულია სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი. შესწავლილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული საცეცხლეების უმეტესობა, მოცემულია მათი მხატვრულ-სტილური ანალიზი. მიმდინარეობს საქართველოში შემონახული საცეცხლეების ადგილის განსაზღვრა აღმოსავლურქრისტიანული ხელოვნების კონტექსტში.			
8	ჯ. იოსებიძის მონოგრაფიის „აჭის მოხატულობა. XIII საუკუნის მიწურულის ქართული მონუმენტური მხატვრობის ძეგლი“ კომენტარები თარგმანი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2018	მარინე ყენია მკვლევარი, მთარგმნელი
პროექტი წარმოადგენს შუა საუკუნეების ხელოვნების ცნობილი მკვლევარის, ჯილდა იოსებიძის, რუსულ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფიის -Роспись Ачи, ქართულ თარგმანს. ნაშრომს დართული აქვს მთარგმნელის კომენტარები და მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდგომდროინდელი ბიბლიოგრაფია მის მიერ მოხმობილ მოხატულობათა შესახებ.			
9	ილია ზდანევიჩი - შემოქმედი, მკვლევარი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2018	მზია ჩიხრაძე მკვლევარი
სამეცნიერო თემა მიეძღვნა თბილისური ავანგარდის წინამძღოლის, ილია ზდანევიჩის, როგორც მკვლევარისა და ფოტომემატიკის შემოქმედების შესწავლას. 2018 წელს ვიმუშავე ილიაზდის პირად არქივზე. თავიდან იგეგმებოდა თეატრის და კინოს მუზეუმის არქივის შესწავლა, მაგრამ მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა, ილია ზდანევიჩის პირადი არქივიდან მიმეღო ფოტო და დოკუმენტური მასალა, რომელიც საფრანგეთიდან ფრანსუა მეერმა მომწოდა, უკვე აღნიშნული მასალის შესწავლითა და ანალიზით შემოვიფრგლე. დავამუშავე ილიაზდის ფოტოები, მისი წიგნები, მისი ჩანაწერები და ნახაზები (1916 წლის ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში), განვიხილე მისი			

სამეცნიერო ნაშრომები იმის დასადგენად, თუ რა თავისებურებები ახასიათებდა ზდანევიჩის, როგორც ავანგარდისტ არტისტისა და შემოქმედს. ყოველივე კი განვიხილე ქართული მოდერნიზმის ფონზე. გავაანალიზე, თუ რა სპეციფიკური მახასიათებლები ჰქონდა ქართულ მოდერნიზმსა და როგორ ეხმიანებოდა ამ სპეციფიკას ილია ზდანევიჩის შემოქმედება და მოღვაწეობა.



ჩვენთვის საინტერესო იყო პოეტი-ფუტურისტის დამოკიდებულება საქართველოს ისტორიული წარსულისა და კულტურისადმი. ილია ზდანევიჩის არქივში დაცული მასალა ადასტურებს, რომ ის დაინტერესებული იყო ქართული არქიტექტურით, მან ტაო-კლარჯეთში მოგზაურობისას გააკეთა არქიტექტურული ძეგლების ნახაზები, ჩანახტები და ანაზომები, გადაიღო ფოტოები, ასევე მან შეისწავლა სამხრეთ საქართველოს ბუნება, გეოგრაფია (მთათა სისტემებით, მყინვარებით, ხეობებით, მდინარეებით), ისტორია, ეთნოგრაფია, ანტროპოლოგია, მოსახლეობის შემადგენლობა, მიგრაცია და ა.შ. აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით გაკეთებული აქვს ტაბულები,

გამოთვლები, რისთვისაც თავად აქვს შექმნილი მათემატიკური ფორმულები. ასეთივე ავანგარდისტი პოეტი მეცნიერულ მიდგომას ავლენს არქიტექტურისადმი. მის საარქივო მასალაში უხვდაა არქიტექტურული ნახაზები, რომელთაც თან ერთვის მის მიერვე გამოყვანილი ფორმულები. როგორც ჩანს, ილია ზდანევიჩი იმ “ოქროს კვეტას” ეძებდა, რაც ქართული ტაძრების სტრუქტურული ფუნდამენტია.

ილია ზდანევიჩი, ქართული ავანგარდის ერთ-ერთი მთავარი ფუძემდებელი, რომელიც იტალიური ფუტურიზმისა და თავად მარინეტის შემოქმედების თავყვანისმცემელი გახლდათ და მისი პოეზიით დიდად იყო დავალებული, სრულიად განსხვავებულ ტენდენციებს ამჟღავნებს როგორც საკუთარ ხელოვნებაში, ისე თავის მოღვაწეობაში. მაშინ, როცა იტალიური ფუტურიზმი და მისი მამამთავარი ტომაზო მარინეტი, თავის “ფუტურისტულ” მანიფესტში წერს: “ჩვენ გვინდა დავანგრეთ მუზეუმები და ბიბლიოთეკები, ვებრძოლოთ მორალურობას, ფემინიზმს და ყველა ოპორტუნიზტს და უტილიტარულ სიმხდალეს... ჩვენ იტალიაში ვიყენებთ ამ დამანგრეველ და ძალადობის წამქეზებელ მანიფესტს, რომლითაც ჩვენ ფუტურიზმს ვაფუძნებთ, რადგან გვინდა იტალია გავათვისოფლოთ პროფესორების, არქეოლოგების, ტურისტული გიდებისა და ანტიკვარების განგრენიდან”, ილიაზდი სწორედ ამ წარსულის და კულტურის მკვლევარად გვევლინება. ილია ზდანევიჩი ისტორიის და არქიტექტურის გარდა, მეცნიერულად შეისწავლიდა ლიტერატურას, ხელოვნებას. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ილიაზდისთვის წარსული აწმყოს საფუძველი იყო, რაზეც ის თავის ცოდნასა და შესაბამისად, თავის ხელოვნებას აფუძნებდა, რაც ესოდენ განსხვავდებოდა იტალიელი ფუტურისტების იდეოლოგიისგან, რომელთათვისაც ყველაფერი ომს უნდა გაეწმინდა, რათა ისტორიული წარსულისა და მეხსიერების დეზინფექცია მოეხდინა. მომავალი კი მხოლოდ ფუტურიზმის ფუნდამენტზე უნდა აგებულიყო. კველვის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქართულ მოდერნიზმს და მის წიაღში აღმოცენებულ ავანგარდს ზოგადად ახასიათებს ეროვნული საფუძვლების მიებისა და ეროვნულობის ნიშნით აღბეჭდილი ხელოვნების კეთების სურვილი.

10	პეტრე ოცხელის შემოქმედება 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018	მარინა მეძმარიაშვილი მკვლევარი
პეტრე ოცხელი (1907-1937) - თეატრის ქართველი მხატვარი 1927-1928წწ. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში.			



XX საუკუნის 20-იან წლებში თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების ახალმა ტენდენციებმა თავი იჩინა ქართულ სცენაზე. ამ პერიოდში ქართულმა სცენოგრაფიამ, რომელიც ცდილობდა, დროს არ ჩამორჩენოდა, თავისი მნიშვნელობით რევოლუციური, შთამბეჭდავი ნახტომი გააკეთა და ევროპული, ამერიკული თუ რუსული თანამედროვე ხელოვნების მიღწევებს მიუახლოვდა. ეს, ერთი შეხედვით მოულოდნელი წინსვლა განპირობებული და შემზადებული იყო არაერთი ფაქტორით. ამგვარ ცვლილებებს, ბიძგი მისცა საბჭოთა რუსეთიდან საქართველოში ნოვატორი რეჟისორის – კოტე მარჯანიშვილის დაბრუნებამ.

1928 წელს კოტე მარჯანიშვილმა პეტრე ოცხელი ქუთაისის დრამატულ თეატრში მიიწვია. 1927—1937 წწ.

პ. ოცხელმა შექმნა დეკორაციები და კოსტუმის ესკიზები სპექტაკლებისათვის: „ცეცხლის გამჩაღებელი“, „ურიელ აკოსტა“, „კაკალ გულში“, „ბეატრიჩე ჩენჩი“, „ოტელო“, „მშენებელი სოლნესი“ და სხვა. ამ ნამუშევრებში გამოვლინდა პეტრე ოცხელიმ თანამედროვე ხელოვნების სტილის შეგრძნება, ფორმის, ფერისა და განათების ორგანული შერწყმის უნარი გამოავლინა

პეტრე ოცხელს დრამატურგიის ვერბალური ენა ხილვად, ვიზუალურ ფორმებად გადმოაქვს, მაგრამ ახერხებს, დაიცვას ბალანსი მხატვრული სახის პირობითობასა და რეალობას შორის, რაც გამოსახულებას მეტ დამაჯერებლობას სძენს. სპექტაკლების დეკორაციათა საერთო ემოციური ატმოსფერო გმირთა ხასიათების შესატყვისია. მხატვარმა შეძლო, ლაკონიური, ზუსტად მოზომილი ხერხებით გადმოეცა დრამატული ნაწარმოების ძირითადი მომენტები.

ნაშრომში განხილულია ამ სპექტაკლების სცენოგრაფიის მხატვრული და იდეოლოგიური მნიშვნელობა და ახალგაზრდა მხატვრის თამამი ნოვატურული მიდგომა. პეტრე ოცხელმა მხოლოდ 9 სეზონი იმუშავა თეატრში, მაგრამ მოკლე დროში შექმნა ნაწარმოებები, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თანამედროვე ქართული თეატრის განვითარებაში.


	არქიტექტორი ედვინ რაისი		თამაზ გერსამია
11	6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018	მკვლევარი

ედვინ რაისი (Edwin Race), ეროვნებით ინგლისელი, იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მოღვაწე არქიტექტორი. მან გარკვეული კვალი დატოვა თბილისის და საქართველოს XIX საუკუნის არქიტექტურის ისტორიაში. სამწუხაროდ, მის შესახებ ჩვენ ცოტა რამ თუ ვიცოდით. ფაქტიურად ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ იგი არის ზუგდიდში დადიანების სასახლის პროექტის ავტორი. მაგრამ, როგორც გვიჩვენა ჩატარებულმა კვლევამ მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ჩვენ მანამდე ვთვლიდით. ედვინ რაისი დაიბადა 1819 წელს ინგლისში. 1840-იან წლების დასაწყისში, ჩვენი ვვარაუდით, მუშაობდა ყირიმში, ალუპკაში, თავად მ.ვორონცოვის სასახლის მშენებლობაზე. ამის შემდეგ რამდენიმე წელი მუშაობდა იქვე ყირიმში, კერძოდ იალტაში, არქიტექტორად, საცხოვრებელი სახლების პროექტირებაზე, თუმცა ჩვენი მონაცემებით არ ჰქონდა მიღებული სპეციალური განათლება, 1849 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა თავადმა მ.ვორონცოვმა მოიწვია იგი სამუშაოდ თბილისში ქალაქის საქალაქო არქიტექტორის მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო 1851 წლიდან იგი გადაიყვანეს და 1857 წლამდე მუშაობდა არქიტექტორად მეფისნაცვლის კანცელარიაში. ე.რაისი ხიდის პროექტის ავტორია

თბილისში - ახლანდელი 300 არაგველების ხიდის ადგილზე, რომელიც აშენდა 1850 - 1851 წლებში. თავდაპირველად ამ ხიდს ვორონცოვის სახელი უწოდეს. ასევე მის მიერ 1850-იანი წლების პირველ ნახევარში აშენებულია კიდევ ორი ხიდი მტკვარზე - გორთან და სოფელ სკრის მახლობლად. 1858 წელს ე.რასმა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, დააარსა სპეციალური სამშენებლო სასწავლებელი, რომელიც პირველი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში, რომლის აუცილებლობას იმ დროს ყველა აღიარებდა. სამწუხაროდ, შენობა რომელშიც იგი მოთავსებული იყო მთლიანად დაიწვა 1864 წელს ხანძრის შედეგად, უცხოეთიდან საგანგებოდ ჩამოტანილი ხელსასყობის ჩათვლით. 1869 წლიდან ე.რასი მუშაობს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში, ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით (გაიხსნა 1872 წელს, იყო პირველი რკინიგზა კავკასიაში), რომელსაც ხელმძღვანელობდა ბრიტანელი ინჟინრების დიდი ჯგუფი. 1873-1878 წლებში ე.რასის პროექტით, როგორც უკვე აღინიშნა, აშენდა ალბათ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობა საქართველოში - დადიანების სამთავრო რეზიდენციების მთავარი - დედოფლისეული - სასახლე ზუბდიდში. ვვარაუდობთ რომ მოგვიანებით ედვინ რასის რომელიც იყო და დარჩა დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომი დაბრუნდა სამშობლოში, ინგლისში. ჩვენი აზრით ის იყო XIX საუკუნის საქართველოში მოღვაწე უცხოელ (ევროპელ) არქიტექტორთაგან ერთადერთი ინგლისელი არქიტექტორი.

12	ქალი მხატვრები ქართულ ხელოვნებაში. მანაბა მაგომედოვას შემოქმედება 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2018	დალი ლებანიძე მკვლევარი
----	--	-----------	-----------------------------------

ყუბაჩელი ხელოვანი **მანაბა მაგომედოვა** ერთადერთი ქალი ოქრომჭედელია, როგორც დარესტანში, ასევე საქართველოში. იგი აღიზარდა საქართველოში და აქვე მიიღო განათლება ადგილობრივი ქართველი ოსტატებისგან. 1950-იანი წლებიდან მაგომედოვა აქტიურად იფინება როგორც საქართველოში, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში. მისი ნამუშევრები გამოირჩევა მაღალი ოსტატობით,



უზადო შესრულებით და ტრადიციისა და ნოვაციის საინტერესო შერწყმით. მაგომედოვას დიდი დახმარება გაუწიეს გამოჩენილმა ქართველმა მხატვრებმა ლადო გუდიაშვილმა და ელენე ახვლადიანმა. მაგომედოვას ნამუშევრები შესრულებულია - ვერცხლით, სპილენძით, ბრინჯაოთი, ასევე იყენებს ფერად მინანქარს. იგი ჭეშმარიტი მემკვიდრეა დაღესტნური ტრადიციებისა და აკეთებს იარაღსა და ჭურჭელს დარესტნური ფორმებით. გარდა ამისა იგი აღიარებს, რომ მის ნამუშევრებზე უდიდესი გავლენა იქონიეს ქართველმა ოქრომჭედლებმა.

სწორედ ქართული ორნამენტი განუყოფელი ნაწილია მისი ნამუშევრებისა. მაგომედოვა არ იფარგლება ტრადიციული ფორმებით, იგი აკეთებს პატარა ზომის დეკორატიულ ქანდაკებებს, სადღესასწაულო ლანგარებს, რელიეფებს, სამკაულებს და სხვა. მაგომედოვას გამოფენები მოეწყო მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, სადაც დიდი წარმატება ხვდა წილად. მანაბა მაგომედოვა როგორც პიროვნება და შემოქმედი, ხალხთაშორის მეგობრობის საუკეთესო მაგალითია. მის შემოქმედებაში მოხდა ქართული და დაღესტნური ოქრომჭედლობის ტრადიციების ჰარმონიული შერწყმა.

13	შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული კერამიკის ფუნქცია და იკონოგრაფია 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018	თამარ ხუნდაძე მკვლევარი
----	--	------	-----------------------------------

პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევა ეხება შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული კერამიკის, კერძოდ, რელიეფურგამოსახულებიანი ატეფიქსებისა და შორენკეცების ფუნქციისა და იკონოგრაფიის საკითხებს.

ცნობილია, რომ საქართველოში ტაძართა მშენებლობაში, სახვადასხვა ჯიშის ქვასთან ერთად, ხშირად იყენებდნენ კერამიკასაც, რომელსაც მოიხმარდნენ სამშენებლო მასალად - აგურის სახით, შენობის გადახურვისთვის - კრამიტით, იატაკის მოსაპირკეთებლად, სარკმელთა ალათებისთვის, წყლის მიღებისთვის და სხვ. ამასთანავე, ტაძართა მხატვრული გაფორმებისთვის ხშირად გამოიყენებოდა ფიგურულგამოსახულებიანი თუ წარწერიანი ანტეფიქსები და შორენკეცები.



მომცრო ზომის, ხუთკუთხა, სამკუთხა ან ნახევარწრიული ფორმის კერამიკული ფილები - ე. წ. ანტეფიქსები კრამიტის სახურავის შემადგენელი ნაწილია. ანტეფიქსებს კარნიზის თავზე აწყობენ, ან ზოგჯერ, ანტეფიქსი შერწყმულია ღარიან კრამიტთან. ანტეფიქსები კარგად აღიქმებოდა ქვემოდან და ამიტომ მათ ხშირად ამშვენებდნენ სხვადასხვა გამოსახულებებით. ამგვარად, ანტეფიქსები ორგანულად იწერებოდა ტაძრის მხატვრულ გაფორმებაში და საფასადო დეკორის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ნაპოვნია ადრეული შუა საუკუნეების უამრავი ასეთი კერამიკული ნიმუში, რომლებზეც გამოსახულება ან წარწერა (უმეტესად სავედრებელი) რელიეფური ტვიფრით არის გამოყვანილი, მაგ., ჯვრიანი ანტეფიქსები ნოქალაქიდან (4-5 სს), ამავე ხანის ანტეფიქსები აღმოჩენილია ბაგრატის ტაძრის ეზოსა და ბოყვაში; ასევე ადრეულ ხანას (5-7 სს) განეკუთვნება ანტეფიქსები შავშეთის ბოსლეთიდან წეროების გამოსახულებით და ასომთავრული წარწერით - „ქრისტე შეიწყალე მამასახლისი“, ურბნისის ქვაცხელადად ჯიხვების ფიგურებით, ახიზიდან ერთი ანტეფიქსი ირმისა და ჯვრის, მეორე - ორი ჯვრის გამოსახულებით და სხვ. მე-9-10 სს-ით თარიღდება ანტეფიქსები გველეშაპის დამთრგუნველი წმ. მხედრის გამოსახულებით ბროწეულადად (ქუთაისის მახლობლად) და დიოკლეტიანეს მლახვრელი წმ. გიორგის ფიგურითა და ასომთავრული წარწერით - „ქრისტე შეიწყალე ხცრ ..“ სოფ. ქუცნას ეკლესიიდან.

შორენკეცები - თიხის რელიეფურგამოსახულებიანი ფილები ძირითადად, ეკლესიათა კედლების დასამშვენებლად გამოიყენებოდა. შორენკეცები მზადდებოდა სპეციალური ყალიბებით, რომლებზეც გამოსახულება ჩადმავებით, სარკისებურად იყო დატანილი. ადრეული (5-7 სს) შორენკეცებიდან აღსანიშნავია, ფილა ცხოველთა ფიგურებით საღარაშენიდან (თეთრი წყარო), ფრინველისა და ბარძიმის გამოსახულებით ურბნისიდან; 8-9 სს-ის შორენკეცები - წმინდანთა ფიგურებით წირქოლიდან, დავით წინასწარმეტყველის გამოსახულებით ქურთადან, ჩვილადი ღმრთისმშობლის, წმინდანების, ძველი აღთქმის სცენების გამოსახულებებით ყანჩათის კაბენიდან და სხვ.

ჩვენთვის დანამდვილებით არ არის ცნობილი ამ შორენკეცების თავდაპირველი ადგილმდებარეობა. წირქოლში რელიეფური კერამიკული ფილები დაზიანებული, თუმცა პირვანდელი სახით შემორჩენილი ტაძრის სახურავზე აღმოაჩინეს (რესტავრაციის დროს 1952-53 წწ). შორენკეცების გამოყენება კრამიტის ფუნქციით უჩვეულო მოვლენაა და მას პარალელები არ ეძებნება. ამასთანავე, შორენკეცებს არ გააჩნია კრამიტისთვის დამახასიათებელი ნალექისგან დასაცავი ელემენტები, ამიტომ, საფიქრალია, რომ ეს ფილები სახურავის კიდეებში, გამოსაჩენ ადგილებში იყო დალაგებული (შესაძლებელია ანტეფიქსების მსგავსად, ვერტიკალურად ?). ყანჩათის კაბენის ტაძარში, რომლის პერვანდელი სახეც (8-9 სს) მე-13ს-ის რეკონსტრუქციითაა შეცვლილი, ფიგურულგამოსახულებიანი

ფილები ხელმეორედ, კედლებს შორის იყო ჩაყოლებული, როგორც ღვთიური მადლის მატარებელი წმინდა ნაწილები. შესაძლოა, თავდაპირველად, ისინიც სახურავზე ყოფილიყო განლაგებული, თუ ასეთი ტრადიცია ამ რეგიონში არსებობდა. თუმცა, მეტად სავარაუდოა, რომ საკრალურგამოსახულებიანი ფილები მრევლისთვის ადვილად სახილველ ადგილებზე - ტაძრის ფასადებსა ან ინტერიერის კედლებში ყოფილიყო ჩასმული, როგორც სალოცავი ხატები, მსგავსად სამწევრისის მე-16 ს-ის ეკლესიისა, სადაც შორენკეცები ნაგებობის გარე და შიდა კედლებზეა განთავსებული.

ადრეული ხანის (5-7 სს) ანტეფიქსებსა და შორენკეცებზე უმეტესწილად, ადრექრისტიანული იკონოგრაფიისთვის სახასიათო სიმბოლური გამოსახულებები - ჯვრები, ცხოველთა და ფრინველთა ფიგურები გვხვდება, რაც ამავე ხანის ქართულ ქვის რელიეფების რეპერტუარს ეპასუხება. უფრო მოგვიანებით, 8-9 სს-დან კერამიკულ ფილებზე და ანტეფიქსებზე ჩნდება სიუჟეტური სცენებიც, რომელთა თემატიკა, კომპოზიციური თუ სტილური გადაწყვეტა კვლავ თანადროულ ქვის პლასტიკაში პოულობს გამოძახილს.

საქართველოში არსებული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული კერამიკის ეს რელიეფურგამოსახულებიანი ნიმუშები, თავისი მხატვრული და ფუნქციური თავისებურებებით, უნიკალურია და ზუსტი ანალოგი ქრისტიანულ ხელოვნებაში არ ეძებნება. პროექტის ფარგლებში შესაძლებელი იქნა ხოლოდ რამდენიმე პარალელის მოძიება, როგორც არის მაგ. ვინიცა-კალეს (მაკედონია) ციხის ეკლესიაში აღმოჩენილი ტერაკოტის რელიეფური ფილები (6-7 სს), ტუზალკაში (ბულგარეთი, პრესლავის მიდამოები) ნაპოვნი კერამიკული ნიმუშები (9 ს) და კოპტური არტეფაქტები.

14	დასრულებული არაპროგრამული სამუშაო სახელმწიფო დაფინანსებით: თბილისის მუზეუმების გაერთიანება, სოსო წერეთლის სახლ-მუზეუმში დაცული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების პასპორტიზაცია 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018	სოფიო ჩიტორელიძე მკვლევარი
----	--	------	--------------------------------------

სამუშაო გულისხმობდა სოსო წერეთლის ბინა მუზეუმში დაცული ექსპონატების პასპორტიზაციას. 2018 წელს შესრულდა მუზეუმის 200 ექსპონატის დეტალური აღწერა, ფოტოფიქსაცია, საპასპორტო მონაცემების შედგენა. ექსპონატების ძირითად ნაწილს წარმოადგენდა მხატვარ სოსო წერეთლის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები.

15	ავტოპორტრტი ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში (შალვა ქიქოძე, ელენე ახვლედიანი, ვალერიან სიდამონ ერისთავი) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2015-2018	ცისია კილაძე მკვლევარი
----	---	-----------	----------------------------------

კვლევითი პროექტის ფარგლებში გამოკვლეულ იქნა ავტოპორტრტის თემა ზოგიერთი მოდერნისტი მხატვრის შემოქმედების მაგალითზე. ავტოპორტრტის ძალზე მრავალფეროვანი და განსხვავებული ტიპები



ქართულ სინამდვილეში მოდერნიზმის ეპოქაში ჩნდება და მოდერნიზმის პარადიგმად იქცევა. ახალი მხატვრული ფორმების ძიებასთან ერთად ხდება შემოქმედის, ადამიანის ახალი, მოდერნისტული სახის ძიებაც. მხატვრები საკუთარ თავს სხვასხვაგვარ ჭრილში ასახავენ, ავტოპორტრტი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო გამომხატველი ხდება მხატვრის ფილოსოფიისა და სამყაროსადმი დამოკიდებულებისა. შედარებით სრულად იქნა გამოკვლეული ავტოპორტრტის თემა შალვა ქიქოძის მხატვრობაში. ავტოპორტრტის თემა გაანალიზებულ იქნა როგორც საკუთრივ ქართული მხატვრობის კონტექსტში, ისე ევროპულ მხატვრობასთან მიმართებაშიც. დამუშავდა უცხოური ლიტერატურა ავტოპორტრტის თემის ირგვლივ და მოხდა ამ ლიტერატურის გამოყენება პედაგოგიური მოღვაწეობის პროცესში. ასევე

დაიწერა კვლევა ავტოპორტრტის კონცეფციის შესახებ მოდერნისტულ მხატვრობაში, სადაც განხილულია ელენე ახვლედიანის, ვალერიან სიდამონ ერისთავის, შალვა ქიქოძის, ლადო გუდიავილის და დავით კაკაბაძის ავტოპორტრეტები და ასევე ევროპული პარალელები. დაიწერა და გამოიცა სტატიები ამ თემის ირგვლივ და შედგა მოხსენება.


16	"საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა", წიგნი 1-III – საგარეჯოს მუნიციპალიტეტი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2016 – 2018	თამაზ დვალი პროექტის ხელმძღვანელი; წიგნის მთავარი რედაქტორი, 144 სტატიის ავტორი; ფლურ დევედარიანი სტატიები კედლის მხატვრობის ძეგლებზე; დიმიტრი თუმანიშვილი წიგნის რეცენზენტი; მზია ბაქრაძე ტექნიკური პერსონალი, ტექსტების რედაქტირება
----	--	-------------	---

წიგნის მოცულობაა 28 ნაბეჭდი თაბახი (448 გვერდი). წიგნში აღწერილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მდებარე 265 ისტორიისა და კულტურის ძეგლი. წიგნს აქვს შესავალი რომელშიც მიმოხილულია კახეთის ისტორია და ამ მხარის არქეოლოგიური და მატერიალური კულტურის ძეგლები. საკუთრივ მუნიციპალიტეტს ახლავს მოკლე, საცნობარო სტატია, ცალკე სტატია ახლავს ასევე ქ. საგარეჯოსა და იმ სოფლების ნაწილს, რომლებზედაც შესაძლებელი გახდა ისტორიული ცნობების მოპოვება. წიგნს ერთვის საცნობარო აპარატი და საილუსტრაციო მასალა (1000-მდე ნახაზი და ფოტოსურათი)

17	გიორგი ჩუბინაშვილის რამდენიმე წერილის კომენტარებული თარგმანი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018	დიმიტრი თუმანიშვილი მკვლევარი, მთარგმნელი
----	---	------	---

2018 წლის განმავლობაში ითარგმნა და კომენტარები დაერთო გიორგი ჩუბინაშვილის შემდეგ წერილებს: შიომღვიმე; რუისის ტაძარი; ეროვნული ფორმის შესახებ ისტორიულ არქიტექტურაში.

18	სახარების ნარატივის ვიზუალიზაცია შუა საუკუნეების ქართულ ხატწერაში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018	ნინო ჭიჭინაძე მკვლევარი
----	--	------	-----------------------------------



ნაშრომში განხილულია სახარების ნარატიული სცენებიანი შუა საუკუნეების ქართული ხატწერის ქმნილებები. გამოკვლევა ეხება ცალკეული თემის (ხარება, ლაზარეს აღდგინება, ამაღლება და ა.შ.) იკონოგრაფიულ-კომპოზიციურ და მხატვრულ თავისებურებებს, ტექსტში თვალი გაედევნება გამოყენებული ვიზუალური სქემებისა და კონცეფციების წყაროებსა და დინამიკას. ასევე დაზუსტებულია განხილული ხატების თარიღი და წარმომავლობა.

19	საქართველო და ირანული სამყარო ბრინჯაოს სარტყელთა დეკორის მიხედვით 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2018	ნინო გომელაური მკვლევარი
----	--	-----------	------------------------------------

ნაშრომში განხილულია ბრინჯაოს სარტყელთა ადრეული ნიმუშები და მათი თანმხლები კომპლექსები (ძვ.წ. II ათასწ. დასასრ.).

მომიებულია სარტყელთა დეკორის სამხრეთკავკასიური (კერამიკა, იარაღი, ძვ.წ. II ათასწ. III მეოთხე) და ირანული პარალელები (მოხატული კერამიკა, ძვ.წ. IV-III ათასწ.).

შედგენილია სარტყელთა გავრცელების რუკა, მოტივთა წინააზიური პარალელებით, რომლებითაც შეიძლება თვალი გაედევნოს შიდა ქართლის ტერიტორიაზე სარტყელთა მხატვრული სახეების შემოსვლის გზებს.

დამუშავებულია ლიტერატურა, რომელიც შეეხება განსახლველი მასალის კონტექსტსა და მის დათარიღებას.

20	სიცოცხლის ხის მოტივი თანამედროვე ხელოვნებაში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2018	სამსონ ლეჟავა მკვლევარი
----	--	-----------	--------------------------------



პროექტი გულისხმობს ქართულ ხელოვნებაში სიცოცხლის ხის მოტივის, როგორც სემანტიკურ-ვიზუალური „კოდის“ ანალიზს. არქეოლოგიური მასალებიდან განიხილება თრიალეთის თასის რელიეფური შემკულობა, გამორჩეული მაღალორგანიზებული რიტმულობითა და განმეორებადი ელემენტების მკაცრი სიმწყობრით. გაცილებით უფრო მოქნილი და დინამიკურია ბრინჯაოს ზოომორფული ბალთები, რომელნიც, მიუხედავად იმისა, რომ აქ ვეგეტაციური სტრუქტურები რქის (და არა მცენარის) სახით გვემდევა,

პასუხობს თავის საზრისით - სიცოცხლის ხის სიმბოლიკას. ქრისტიანულ კულტურაში (ადრეფეოდალურიხანის სტელებში), არაპირდაპირი სახით - ზოგან კი უფრო უშუალოდაც, ფიგურირებს სიცოცხლის ხის მოტივი, რომელშიც ზოგან ძირითადი ორნამენტალიზებული მონახაზებით და მათთან კონტრასტული და ფოკუსირებულივიტალური მოტივები, ურთიერთს ამდიდრებს. ეჭვიმუტანლად კულმინაციურია სვეტიცხოვლის მორთულობაში ჩენილი, „გაღვივებული“ ვაზი - სიცოცხლის ხე, რომელიც თავისი ფერადოვნებით, „ცეცხლოვან“ ენერგეტიკას ასხივებს და პლასტიკურად მძლავრია.

ნაშრომში განხილულ იქნა სიცოცხლის ხის მოტივი ხალხურ ხელოვნებაში. გაანაკიზდა პირველყოვლისა დედაბოძი, რომლის იერი არ ბაძავს ხის სტრუქტურას უშუალოდ, მაგრამ მასში საკუთრივ შინაარსია „სამყაროული ხის“ (axis mundi), რომელზეც „მსხმოიარებს“ ასტრალური დეკარი. მისი იერი ტექტონიკურადაა გარდასახული. ბევრად რეალურად „საცნობი“ არის მოტივები - გვხვდება ბუხრებში, თუმცა მათშიც, პირობითობის ხარისხი ხაზგასმულია, რასაც ხელს უწყობს ერთგავი „ჰერალდიკურობა“. კოლხური ოდა სახლის შემადგენელი დეკარი სიცოცხლის ხის მოტივს ორი ვერსიით გვთავაზობს: უფრო ადრეულია გამშვენებული სვეტები, რომელთა მორთულობა დედაბოძზე ნაკლებ მკაცრია და მოქნილი. სიფაქიზე ელასტიკურობის მატარებელია. აჟურულ დეკორშიც კი, თავისებური „გრაფიკული“ ეფექტი გვემდევა. აქ ორნამენტი გაცილებით „ხალისიანია“ და „მოკაზმული“, ვიდრე დედაბოძის თავდაჭერილი

მორთულობა და ვეგეტაციური კოდის მნიშვნელოვნება მატულობს. XIX-XX სსს. მიჯნის ქართულ მხატვრობაში სიცოცხლის ხის თემა ამოტივტივდა ფიროსმანაშვილის ვიზიონებში, რომლებშიც ფოლკლორულ ხედვასთან დიდი სიახლოვე ჩანს, თუმცა ინტერპრეტაციებიანაშვარად ინდივიდუალურია. დ.კაკაბაძის „იმერეთი დედაჩემი“ კი აერთიანებს ადგილის დედის ალუზიებსა და სიცოცხლის ხის აქტიურ მეხსიერებას - ამ სურათში, ხე კრავს წინა და უკანა პლანს. საბოლოოდ იგი თითქოს მტარებელია. 1960-იანი წწ. მხატვრობაში კი რ. თარხან-მოურავის „ჩვენი მასპინძლის სახლებში“ უადრესად შთამბეჭდავი ხატება გვაქვს - მძლავრი მონუმენტური დედაბოძის სახით, რომელიც აერთიანებს მთელ სოციალურ და უზარმაზარი ექსპრესიის მატარებელია.

21	კოლონიური აზროვნების შესახებ ქართულ მოდერნიზმში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2018	თეა ტაბატაძე მკვლევარი
----	--	-----------	----------------------------------

თემა წარმოადგენს მრავალწლიანი კვლევის - XX საუკუნის დასაწყისში ქართული ხელოვნების მოდერნული პარადიგმები - ნაწილს.

ჩემი დაკვირვებით, ჩვენი ქვეყნისა და მისი კულტურის ორასწლოვანი კოლონიური მდგომარეობის მიუხედავად, ქართული მოდერნიზმი და ტფილისის ავანგარდი თავისუფალია პერიფერიული აზროვნებისგან და აზროვნებითი კოლონიისგან - ცენტრის ავტორიტარიზმისგან.

ქართველი მოდერნისტების თეორიული ტექსტების, პირადი წერილებისა და სხვადასხვა ბიოგრაფიული ფაქტების გარდა, ამგვარი აზროვნება ნათლად ვლინდება შალვა ქიქოძის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის და ლადო გუდიაშვილის ნამუშევრებში, სახვით-ფორმალური წყობის, ჟანრულ-თემატური არჩევანის, სხვადასხვა მოდერნისტულ-ავანგარდული მიმდინარეობების მიმართ დამოკიდებულებასა და მათი „გამოყენების“ თავისებურებებისა თუ ნამუშევართა შინაარსობრივი მეტყველების დონეზე.

22	ნიკო ნიკოლაძის პროექტები ფოთში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018	მანონ ლილუაშვილი მკვლევარი
----	---	------	--------------------------------------

ქალაქ ფოთის ცხოვრებაში არსებითი გარდატეხა მოხდა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის მეთაურობის დროიდან 1894-1912 წლებში. ქალაქის კეთილმოსაწყობად და გასამშვენებლად ნიკო ნიკოლაძემ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. უპირველესად მან განახორციელა ნავსადგურის რეკონსტრუქცია, რომლის შედეგად ის გაფართოვდა და გადაიქცა ერთ-ერთ წყნარ, საიმედო ნავსადგურად



შავი ზღვის სანაპიროზე. ქალაქის ურბანული განვითარებისთვის მან მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. წყალდიდობისაგან ქალაქის დასაცავად მდინარეებს - კაპარჭინასა და რიონს ახალი ქვის ზღუდეები შემოართყა, ჭაობების ამოსაშრობად გაიყვანა თხრილები, გაჭრა და მოკირწყლა ახალი ქუჩები.

ნ. ნიკოლაძის დროს ფოთში აიგო სამი ხიდი - თითო-თითო რიონის ორსავე ტოტზე და ერთი მალთაყვავზე. ახალი ხიდის აგებამ (1898) ფოთის

ქალაქთმშენებლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ურბანული პროგრესი და ცვლილება გამოიწვია. მან ერთმანეთთან დააკავშირა ქალაქის მთავარი ნაწილები, რაც სულ მალე აისახა დიდი კუნძულის განვითარებაზე, რომელიც უხიდობის გამო XIX საუკუნის მიწურულამდე ჩამორჩენილი იყო. ახალი ხიდი

იწყებოდა ბულვარიდან და უერთდებოდა ევპატორიის ქუჩას (დღევანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტი), რომელიც კუნძულის ტერიტორიას ორ ნაწილად ყოფდა. ხიდის გაჩენამ ეს ქუჩა გადააქცია არა მხოლოდ უბნის მთავარ არტერიად, არამედ საფუძველი ჩაუყარა ქალაქში ახალი ცენტრის ჩამოყალიბებას. ამ დროიდან იწყება მთავარ მაგისტრალზე აქტიური მშენებლობაც უმეტესად ორსართულიანი ევროპული ტიპის სახლებით.

ქალაქის ხის დაბალი განაშენიანება ნელ-ნელა შეიცვალა აგურისა და ქვის შენობებით. საცხოვრებელ სახლებთან ერთად აშენდა სამეურნეო, ადმინისტრაციული და სასწავლებლის შენობები, ხის ეკლესიები განაშენდა აგურით. 1906-1907 წლებში ქალაქის ბაღში აშენდა წმ. გიორგის საკათედრო ტაძარი, რომელიც ფოთის მთავარ სიმბოლოდ იქცა. გაიხსნა ახალი რესტორნები, სასტუმროები და ა. შ. ამ პერიოდში გამართეს ტელეფონი, გაჩნდა საქალაქო ტრანსპორტი - ცხენის რკინიგზა ე. წ. კონკა. გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა და ორნახევარჯერ გაიზარდა მოსახლეობა. 1897-1914 წლებში მოსახლეობის რაოდენობა 7666 სულიდან მიაღწია 19667 სულს. ამდენად ნიკო ნიკოლაძის დროს ფოთი სრულიად შეიცვალა და ჩამოყალიბებული ქალაქური იერიც სწორედ ამ დროს მიიღო.

23	ტექსტის და გამოსახულების ურთიერთმიმართება ქართულ მოხატულ ისტორიულ საბუთებში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018	ეთერ ედიშერაშვილი მკვლევარი
----	--	------	---


წლიური სამეცნიერო თემა მოიცავდა ტექსტისა და გამოსახულების ურთიერთმიმართების განხილვას ქართული ისტორიული საბუთების მხატვრულ გაფორმებაში, რაც არაერთ საგულისხმო საკითხს წამოჭრის. ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საბუთის ტექსტის შინაარსის ცვლილება სხვადასხვა ეპოქებში და მისი გამოსახულების შინაარსთან მიმართება: მნიშვნელოვანია, როგორ ასახავს სხვადასხვა დროს საბუთის მხატვრობა ტექსტის შინაარსს და თანხვედრა თუ არა მას, თუ მხოლოდ დეკორატიულ ელემენტად იქცევა.

საკითხის შესწავლისას ჩნდება, რომ საბუთების მოხატვის (ჩვენთვის ცნობილი ნიმუშებით) ადრეულ ეტაპზე მხატვრობის ურთიერთმიმართება ტექსტის მხოლოდ საკვანძო მომენტის, საბუთის გადაცემის ფაქტის ლაკონურ ილუსტრირებას წარმოადგენს და რიც შემთხვევაში ნარატიულ ელემენტებსაც შეიცავს, რაც მე-14-15 (მეფე გიორგი VIII-ის საბუთები, ქსნის ერისთავ შალვა ქვენიფნეველის საბუთი) და მე-16 საუკუნის ნიმუშების მაგალითზე ჩანს (დომენტი კათალიკოსის სიგელი იტრიის მონასტრისადმი). მე-16 საუკუნიდან, უკვე არსებულ ტრადიციასთან ერთად, საბუთების მხატვრობაში ისლამური ხელოვნების დეკორატიულ ელემენტების გაჩენას თან სდევს საბუთის გადაცემის ამსახველი ფაქტის გაქრობა, რაც მე-17 საუკუნეში ირიბად (არჩილ მეფის სვეტიცხოვლისათვის ბოძებული საბუთი), ხოლო მე-18-19 საუკუნეების მიჯნის საბუთებში (იმერეთის მეფე სოლომონ II-ის დოკუმენტაცია) კვლავ ჩნდება.



გარდა თითოეული ეპოქისთვის მახასიათებელი ნიშნებისა, რომელიც ისტორიული დოკუმენტების ტექსტის და მოხატულობის ურთიერთობას წარმოაჩენს და მთელი რიგი ნიშნებით ვლინდება (ტექსტის და მხატვრობის ზომა, ფორმატი და მათი ერთმანეთთან მიმართება, ტექსტის და მხატვრული გაფორმების ერთმანეთთან შესაბამისობა თუ მათი სხვაობა და სხვა), საკითხის შესწავლისას თავს იჩენს საბუთის გამცემის: მეფის თუ სხვა სოციალური წრის ისტორიული პირთათვის მახასიათებელი თვისებები, მისი პოლიტიკური და კულტურული ორიენტირებიც.

23	სამეკლესიანი ბაზილიკების ტიპი საქართველოში	2017-2018	ნოდარ არონიშვილი
----	---	-----------	-------------------------

	6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია		მკვლევარი
	 მხატვარის დ. ბრატკარა, შიდა რელიგიური ნაგებობის გეგმა.	სამეკლესიანო ბაზილიკის განმარტებასთან დაკავშირებით, რომელიც გ. ჩუბინაშვილს უკავშირდება და მეტწილად ფუნქციური მნიშვნელობით იხსნება, ჩნდება განსხვავებული მოსაზრებებიც, რომელთა ნაწილიც, სამწუხაროდ, წერილობითი გამოკვლევის სახით არ ფიქსირდება და მხოლოდ სამეცნიერო წრის საუბრების თუ თეორიული მსჯელობის საგნად რჩება. წინამდებარე ტიპითან დაკავშირებულ ახლებურ თუ, უბრალოდ, განხვავებულ განმარტებათა ნაწილს კი, გამოკვლევათა სახით წარმოდგენილს, ვხვდებით სხვადასხვა სტატიის სახით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებითი გარდაქმნისთვის ყოველ ამ მოსაზრებას საკმაო ოდენობით აკლია სამეცნიერო არგუმენტაცია და, ამდენად, დამაჯერებლობაც. ჩვენი ფიქრით, უპირველესად საკვლევა ზემოხსენებულ მოსაზრებათა ორი მიმართულება - ტიპის განმარტების `ფუნქციური` მხარე და მისი `გენეზისის` საკითხი. სამეკლესიან ბაზილიკათა, დღემდე მიღებულ, ფუნქციურ განმარტებათა მიღმა გვხვდება ტიპის `გასხნის` სრულებით განსხვავებული შეხედულებები, რაც გენეზისის საკითხებს უკავშირდება. ამგვარად, თემის უმთავრეს ხაზს სწორედ წინამდებარე ტიპთან დაკავშირებული, დიდწილად ურთიერთმსხვაობარი, მოსაზრებების შეჯერება-შეჯამება, კრიტიკული ანალიზი და შემდგომ კი მოცემული საკითხების ახლებური გააზრება წარმოადგენს.	
24	გურამ გელოვანი. მხატვარი და თანამედროვეობა 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2018	ნინო ჭინჭარაული მკვლევარი
	2017-2018 წლებში განხორციელებული კვლევების: „გურამ გელოვანი: მხატვარი და თანამედროვეობა“, ნაწილობრივ კი, „ინტერვიუ თემაზე კრიტიკული აზროვნების საკითხები ქართულ სახელოვნებათმცოდნეო სკოლაში“ - საფუძველზე, ხელოვნებათმცოდნე სამსონ ლეჟავასთან ერთად, მომზადდა წიგნი „ გურამ გელოვანი“, რომელშიც განხილულია მხატვრის შემოქმედება, მისი პერსონალურ ისტორია, ეპოქალური კონტექსტი, რომელშიც მხატვარს უწევდა მოღვაწეობა.		
25	ურბანული გეგმარება და არქიტექტურული პროექტირება თბილისში (1801-1918) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2018	გიორგი ჭანიშვილი მკვლევარი
	თემა წარმოადგენს II ეტაპს რამდენიმე მკვლევარის მიერ შესასრულებელი პროექტისა „ურბანული გეგმარება და არქიტექტურული პროექტირება საქართველოს ქალაქებში (1801-1918)“. I ეტაპზე თემაში განხილული იყო XIXს და XXს-ის დასაწყისის თბილისის ურბანული განვითარების ისტორია. ქალაქმშენებლობის სხვადასხვა ასპექტები: მშენებლობის ისტორია, არქიტექტურული საკითხები და მათი კავშირი ეთნიკურ იდენტობასთან. თემის მიზანია მეტი ნათელი მოეფინოს ამ დროის ქალაქმშენებლობის ისტორიას. II ეტაპზე წარმოჩინდა ამ ეპოქის თბილისის ურბანული განვითარების მსგავსება აღმოსავლეთი ევროპის დედაქალაქებთან და ამგვარი ვითარების განმაპირობელი გარემოებები, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მსგავსმა ისტორიულმა ბედმა. ამავე ეტაპზე შეივსო და დაზუსტდა საარქივო მონაცემები. ქალაქთა წარმოშობა და მათი გენეზისი ძირითადად ერთმანეთის მსგავსია, თუმცა განსხვავება გამოიხატება რამდენიმე გარემოებით - დაარსებისა და განვითარების ეპოქით, გეოგრაფიული სარტყელითა და გეომორფოლოგიური რელიეფით, გეოპოლიტიკური მდებარეობითა და ისტორიული გზით. ქალაქთა უმრავლესობის ურბანული განვითარებაც დიდწილად ემსგავსება ერთმანეთს, მით უმეტეს, თუ დაახლოებით ერთგვაროვან გეოგრაფიულ სარტყელში მდებარეობენ და ისტორიული თავგადასავალითაც		



არ განსხვავდებიან დიდად.

ამ მიმართებით თბილისის განვითარება XIX-ში თანხვდება სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქალაქებისას, რომლებიც ერთის მხრივ ოსმალეთის იმპერიის სხვა ქალაქებისგან თითქმის არც განსხვავდებოდნენ, თუმცა ამასთან ეროვნული თვითგამორკვევისა და თვითდამკვიდრების პროცესში მყოფნი, თანდათან იბრუნებდნენ ევროპული ქალაქების იერს. მაგალითად 1830-იანი წლების ბელგრადის აღწერისას ევროპელი მოგზაურები მიუთითებდნენ ოსმალეთის იმპერიის

გავლენის ქვეშ არსებული ბელგრადის (იმპერიის საზღვრისპირა ისტორიული სიმაგრის) ვიწრო ქუჩაბანდების და განაშენიანების კონტრასტს, იქვე, დუნაის აღმა, მის მარჯვენა შენაკად სავას მეორე (ჰაბსბურგების იმპერიის) ნაპირზე მდებარე „ევროპულ“ ზემუნთან მიმართებაში. რაც ჩვენს შემთხვევაში ეხმიანება ოდნავ მოგვიანებით თბილისურ გაზეთში დაბეჭდილ სიტყვებს: „თბილისი... ერთგვარი იანუსია, რომელიც ერთი სახით აზიისკენ არის მიმართული, მეორეთი – ევროპისაკენ“.

ამგვარი კონტრასტი განპირობებულია ცივილიზაციის განვითარების პროცესის თავისებურებით, რაც თავის მხრივ განსაზღვრულია თანადროულ-ეპოქური გარემოებებით.

ჩვენი ინტერესის საგანია სწორედ ამ პერიოდის თბილისი და მისი ურბანული განვითარების თავისებურობანი. ზემოთ აღინიშნა თბილისის ამ პერიოდის განვითარების მსგავსება სამხრეთ-აღმოსავლურ ევროპულ ქალაქებთან. გარკვეული მსგავსება გააჩნდა მას ამიერკავკასიის სხვა მთავარ ქალაქებთანაც, რადგან ერთი გეოგრაფიული სარტყელისა და მეტ-ნაკლებად მსგავსი ისტორიის გარდა, ზოგადად ერთ პოლიტიკურ სივრცეში - რუსეთის იმპერიის ფარგლებში ვითარდებოდნენ. თუმცა თბილისს გააჩნდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რაც განპირობებული იყო სპეციფიური წინასიტორიით.

26	გეოგრაფიული გარემო და არქიტექტურა (საქართველო და სომხეთი). 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2018	ასმათ ოქროპირიძე მკვლევარი
პროექტის თემა წარმოადგენს მრავალწლიანი კვლევის გაგრძელებას. კერძოდ, 2011-2012 წლებში პროგრამული დაფინანსებით ჩატარდა კვლევა თემაზე: „მცხეთის ჯვარი და აია სოფია“. შედეგად წარმოჩინდა ქართული და ბიზანტიური საეკლესიო ხუროთმოძღვრების ეროვნული თავისებურებები მათი მსოფლმხედველობრივ-ლიტურგიული ერთიანობის პირობებში. კერძოდ, გამოიკვეთა, რომ ქართული და ბერძნული (ბიზანტიური) ტაძარი, როგორც თავისებური „მაკროსტრუქტურა“ მონუმენტური აბსტრაქციაა იმ გეოგრაფიული გარემოსი, სადაც იქმნება არქიტექტურა. შესაბამისად, ქართული „გეორგიანული“ კულტურა სამყაროს ოთხი სტიქიიდან უფრო მიწისა და ცეცხლის დომინირებას გამოხატავს, ბერძნული კი – ჰაერისა და წყლისა. ამან ასახვა ჰპოვა ტაძრების მხატვრულ მეტყველებაში. კერძოდ, ქართული ხუროთმოძღვრება ირჩევს კედლის უწყვეტობას, ხოლო ბერძნული კი პირიქით – რაც შეიძლება მეტად „ხსნის“ კედელს, რათა „უზრუნველყოფს“ ჰაერის სტიქიის შეუზღუდავობა და ა.შ. ამ კონტექსტში, ბუნებრივია, გაჩნდა კითხვა, თუ რა განსხვავებაა ქართულ და მეზობელ სომხურ არქიტექტურას შორის. მითუმეტეს, რომ მათ შორის არის მსგავსება, როგორც ტიპოლოგიური, ასევე მხატვრული, რაც ზოგადრეგიონალური ერთობის გამომხატველია, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის არის გამოკვეთილი ეროვნული განუმეორებლობა ორივე ამ კულტურისა. წარმოდგენილი ორწლიანი თემა ეფუძნება როგორც პირად ანალიზებს, ასევე, რა თქმა უნდა, სამეცნიერო ლიტერატურის დასკვნებსაც, მაგრამ ამოსავალი (დომინანტი) არის ისევ გეოგრაფიული გარემო, როგორც პირველადი იმპულსი და მისი ასახვა ხუროთმოძღვრებაში. ამ თვალსაზრისით ქართული ეკლესიის მხატვრული მეტყველება ეფუძნება მიწის სტიქიის მეტაფორულ განზოგადობას, სომხური კი – კლდისა, რადგან ეს უკანასკნელი არის			

საფუძველი სომხეთის ტერიტორიისა. შესაბამისად, ორივე ქვეყნის ეკლესიები განსხვავებულ მიდგომას ამჟღავნებს კედლის უწყვეტობის მიმართ.

27	ზემო სვანეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრება და მისი მიმართება ტრადიციულ არქიტექტურასთან 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2018	გიორგი პატაშური მკვლევარი
----	---	-----------	-------------------------------------

ზემო სვანეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრება ტიპოლოგიურად ერთგვაროვანია. აქ ძირითადად, გავრცელებულია დარბაზული ეკლესიები. გუმბათური ტაძრები შედარებით გვიან ჩნდება და ისიც მხოლოდ ერთი ნიმუშითაა წარმოდგენილი. ნაშრომში განხილულია ზემო სვანეთის ტაძრების დამახასიათებელი თავისებურებები - არქიტექტურული ფორმების გენეზისი, მწირი დეკორის ხასიათი; სვანეთის ტაძრების კავშირი და მიმართება ბარის ხუროთმოძღვრებასთან.



2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ურბანული გეგმარება და არქიტექტურული პროექტირება საქართველოს ქალაქებში (1801-1918) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.1. ისტორია და არქეოლოგია 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) 6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი 217208 FR/11/12/16	2016-2019	დავით ხომტარია (ხელმძღვანელი) ნათია ნაცვლიშვილი (კოორდინატორი, მკვლევარი) გია ჭანიშვილი (ძირითადი პერსონალი) მანონ ლილუაშვილი (ძირითადი პერსონალი) გიორგი პაპაშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი)

პროექტის მიზანია XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარების გზების შესწავლა. კვლევა ეხება საქართველოს ხუთ ქალაქს - თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, ფოთსა და ახალციხეს და ორ საკურორტო ქალაქს - ბორჯომსა და აბასთუმანს. კვლევამ უნდა წამოჭრას საკითხები, რომლებიც აქამდე არ დასმულა საქართველოს ქალაქებთან დაკავშირებით: რით განსხვავდება საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარების ხასიათი კავკასიის, ზოგადად რუსული იმპერიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებისგან? რა არის მათი ურბანული დაგეგმარებისა და არქიტექტურის

თავისებურებები? რით არის განსაკუთრებული თითოეული ქალაქი? რა კავშირი არსებობდა ურბანულ დაგეგმარებასა და კულტურულ მრავალფეროვნებას შორის? როგორ იზიარებდნენ საქართველოს ქალაქებში მცხოვრები ეთნიკურად, სოციალურად, და კონფესიურად განსხვავებული ადამიანები ერთიან ურბანულ სივრცეს? როგორ ართმევდნენ თავს ქალაქის დამგეგმარებლები მოქალაქეთა ფუნდამენტური საზოგადოებრივი საჭიროებებით უზრუნველყოფას? ახერხებდნენ თუ არა ისინი თავიდან აეცილებინათ ურბანიზაციის ისეთი უარყოფითი შედეგები, როგორიცაა ინდუსტრიული ცენტრალიზაცია, გარეუბნების სტიქიური განაშენიანება და ქალაქების გადატვირთვა? რამდენად ითვალისწინებდნენ ქალაქის ბუნებრივ ლანდშაფტსა და ტოპოგრაფიას? და ა. შ.

2018 წელს დაემთხვა პროექტის განხორციელების მესამე და მეოთხე ექვსთვიანი პერიოდები. წლის მანძილზე მიმდინარეობდა მუშაობა თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის მუზეუმებსა და არქივებში, სადაც მოძიებული იქნა პროექტისათვის აუცილებელი გრაფიკული და ფოტომასალა. ჩატარდა სავსელე სამუშაოები, რომელთა მიზანსაც შეადგენდა ისტორიული ურბანული სტრუქტურების კვლევა, ქალაქმშენებლობითი სპეციფიკის შედარებითი ანალიზი და ძველ ფოტოებზე აღბეჭდილი ისტორიული შენობების იდენტიფიკაციის სამუშაოები. მეოთხე პერიოდის ბოლოს დასრულდა საქართველოს ქალაქების ურბანული გეგმარებისა და არქიტექტურის შესახებ მოგროვილი ვრცელი მასალის დამუშავება და ინტერპრეტაცია. შესწავლილი და გაანალიზებული იქნა დიდძალი საარქივო მონაცემები - ოფიციალური დოკუმენტები, ძველი პრესა, მოგზაურთა ნაწერები, მოგონებები, ანგარიშები და სხვა. ასევე დამუშავდა სავსელე სამუშაოებით მოპოვებული მასალა. ჩატარებული კვლევის შედეგად, საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარება წარმოჩნდა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროცესებთან მჭიდრო კავშირში. ნათელი გახდა ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა თითოეული ქალაქის ურბანული სახის თავისებურებები.

2018 წელს, პროექტის მესამე და მეოთხე საანგარიშო პერიოდებში, დასახული კვლევითი ამოცანების შესასრულებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მივლინებებს უკრაინასა (22-29 მაისი) და ჩეხეთის რესპუბლიკაში (23-30 ოქტომბერი). უკრაინაში მუშაობა მიზნად ისახავდა ქვეყნის მთავარი ქალაქების - კიევისა და ოდესის ურბანული განვითარების სურათის უშუალო გაცნობას და შესწავლას საქართველოს ქალაქებთან (პირველ რიგში - თბილისთან, ბათუმთან და ფოთთან) შედარებით კონტექსტში. ჩეხეთში მივლინების მიზანი იყო ისტორიული საკურორტო ქალაქების - კარლოვი ვარის (ძველი კარლსბადი) და მარიანსკე ლაზნეს (ძველი მარიენბადი) ურბანული ანალიზი და მათი XIX საუკუნის არქიტექტურის კვლევა საქართველოს თანადროულ კურორტებთან - ბორჯომსა და აბასთუმანთან მსგავსებისა და განსხვავების გამოსავლენად. ამ მივლინებებმა უფრო ცხადად წარმოაჩინა თუ რა იყო საერთო საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის ქალაქების ურბანული განვითარების პროცესში და რა განსხვავებას საქართველოს რეგიონის სხვა ქვეყნებისაგან, რა იყო საქართველოს ქალაქების ურბანული სახისა და არქიტექტურის ზოგადი სპეციფიკა და ცალკეული თავისებურებანი. მივლინების დროს ჩატარებულმა სამუშაომ გაამყარა წინასწარი მოსაზრება, რომ საქართველოს ქალაქების ურბანულ იერს არსებითი კვალი დაამჩნია როგორც ადგილობრივმა ურბანულმა და სამშენებლო ტრადიციებმა, ისე ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებებმა და მთლიანად რეგიონის გეოპოლიტიკურმა მნიშვნელობამ.

პროექტის განხორციელების მესამე და მეოთხე პერიოდებში ჩატარებული სამუშაოს შედეგად, საბოლოოდ გამოიკვეთა საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარების ძირითადი მიმართულებები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, საერთო ტენდენციები და თითოეული ქალაქის თავისებურებები. მომზადდა ნარკვევები თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ბათუმის, ახალციხის, ბორჯომისა და აბასთუმნის ურბანული განვითარების შესახებ. ისინი ცალ-ცალკე თავებად შევა წიგნში, რომელიც გამოიცემა პროექტის განხორციელების ბოლო, მეხუთე პერიოდში, 2019 წლის მაისში.

2	არქიტექტურის აღქმა და რეპრეზენტაცია	2018-2020	მარიამ დიდებულობე
---	-------------------------------------	-----------	-------------------

	შუა საუკუნეების საქართველოში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) 6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი FR2017/ FR17_221		(ხელმძღვანელი) ნატალია ჩიტიშვილი (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი) დიმიტრი თუმანიშვილი (ძირითადი პერსონალი) დავით ხოშტარია (ძირითადი პერსონალი) ქრისტინე საბაშვილი (ძირითადი პერსონალი)
წარმოდგენილი პროექტის მიზანია ჩატარდეს კვლევა, რომელიც გაარკვევს თუ როგორ აღიქვამდნენ არქიტექტურას შუა საუკუნეების ქართველები და ახსნის მისი რეპრეზენტაციის დანიშნულებასა და ფორმებს. კვლევამ პასუხი უნდა გასცეს შემდეგ შეკითხვებს: როგორ აღიქვამდნენ შუა საუკუნეების ქართველები არქიტექტურას? შეიძლება თუ არა ლაპარაკი არქიტექტურის აღქმის სპეციფიკურად ქართულ თავისებურებებზე? რა იყო არქიტექტურის რეპრეზენტაციის მიზნები? რა გავლენას ახდენდა ისინი მასალაზე, ტექნიკასა და მხატვრულ ფორმაზე? როგორ წამოადგენდნენ შუა საუკუნეების ქართველები არქიტექტურას? როგორი იყო რეპრეზენტაციის შინაარსობრივი, იკონოგრაფიული და ესთეტიკური თავისებურებები მხატვრობაში, ქვის ქანდაკებაში, ლითონმქანდაკელობაში? როგორ განვითარდა რეპრეზენტაციის ზოგადი, სპეციფიკური და სიმბოლური ტიპები ხელოვნების სხვადასხვა სფეროში? როგორი იყო ურთიერთკავშირი რეპრეზენტაციის ტიპს, დანიშნულებას, მასალასა და სტილს შორის? რამდენად განსხვავდება არქიტექტურის ქართული რეპრეზენტაციები მონათესავე ნიმუშებისაგან ბიზანტიურ, სომხურ, დასავლეთევროპულ და ისლამურ ხელოვნებაში? პროექტი მოიცავს ექვს კვლევით თემას: 1. არქიტექტურის აღქმა შუა საუკუნეების საქართველოში; 2. არქიტექტურული ნახაზები; 3. არქიტექტურული ფონები კედლის მხატვრობაში, ხატწერაში, წიგნის მინიატურასა და ჭედურ ხელოვნებაში; 4. არქიტექტურის რეპრეზენტაციები საეკლესიო გამოსახულებებში; 5. ეკლესიათა მოდელები როგორც აკროტერიონები და საფლავის ძეგლები; 6. არქიტექტურის რეპრეზენტაცია: შეჯამება. 2018 წელს დაემთხვა პროექტის განხორციელების პირველი და მეორე ექვსთვიანი პერიოდები. გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, მუშაობა მიმდინარეობდა პროექტით დასახულ ხუთ კვლევით ამოცანაზე. ხუთივე მიმართულებით დამუშავდა თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა სფეროს ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა და პირველადი წყაროები: ჰაგიოგრაფიული თხზულებები, მატიაწეები, ლიტურგიკული ტექსტები და ისტორიული დოკუმენტები. ეს ტექსტები წარმოადგენს ფასეულ წყაროს არქიტექტურის შუასაუკუნეობრივი აღქმისა და რეპრეზენტაციის სხვადასხვა საკითხის შესასწავლად. 2018 წელს შედგა საპროექტო ჯგუფის წევრთა სამეცნიერო მივლინებები კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, ქუთაისსა და ბათუმში. მივლინებების დროს ჯგუფმა იმუშავა ადგილობრივ მუზეუმებში, სადაც მოპოვებული იქნა მნიშვნელოვანი მასალა: ქუთაისში - ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, ბათუმში - ხარიტონ ახვლედიანის სახ. მუზეუმსა და არქეოლოგიურ მუზეუმში, ახალციხეში - სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში. ჩატარდა ფართომასშტაბიანი სავსე კვლევა. დაიწყო მუშაობა ცალკეული საკითხებისადმი მიძღვნილ ნარკვევებზე, რომლებიც ცალკე თავებად შევა პროექტის ბოლოსთვის დაგეგმილ წიგნში. უკვე გაკეთებულია სამი ნარკვევის ძირითადი მონახაზი:			

„არქიტექტურის აღქმა შუა საუკუნეების საქართველოში“, „არქიტექტურული ნახაზები“ და „არქიტექტურის რეპრეზენტაციები საქტიტორო გამოსახულებებში“.

პროექტის განხორციელების მეორე პერიოდში ჩატარებული სამუშაოს შედეგად უფრო ცხადად გამოიკვეთა შემდგომი კვლევის უმთავრესი ასპექტები. ცხადი გახდა, რომ იმის წარმოსაჩენად, თუ თუ როგორ აღიქვამდნენ და გამოსახავდნენ არქიტექტურას შუა საუკუნეების ქართველები, საგანი განხილული უნდა იყოს ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ფართო ფონზე, აღმოსავლეთ საქრისტიანოსა და ისლამური სამყაროს სხვა ქვეყნების ხელოვნებასთან შედარებით კონტექსტში. არსებითად, ეს არის კვლევა, რომელიც მოიცავს შუა საუკუნეების საქართველოს მხატვრულ კულტურასა და მის სულიერ და ინტელექტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო წრეს.

3	შუა საუკუნეების მხატვრები საქართველოში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) 6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი FR17_271,	2018-2020	ქეთევან მიქელაძე (ხელმძღვანელი) მარიამ დიდებულისძე (ძირითადი პერსონალი) თამარ ხოსროშვილი (კოორდინატორი)
---	---	-----------	---

პროექტი მიზანად ისახავს შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ოსტატთა ფართო სოციალურ-კულტურულ კონტექსტში კვლევას, მხატვრის საზოგადოებრივი მდგომარეობის, მისი სტატუსის, ქტიტორისა და მხატვრის ურთიერთდამოკიდებულების წარმოჩენას. ეს საკითხები განხილული იქნება მხატვრის სახელის შემცველი ფერწერული წარწერებისა და მოხატულობათა ანალიზის საფუძველზე.

2018 წელს შესრულდა გეგმით გათვალისწინებული ყველა სამუშაო: მოეწყო სამეცნიერო ექსპედიციები ქართლში, კახეთსა და სვანეთში, რომლის დროსაც ადგილზე შევისწავლეთ 19 (საბერეები (ოთხი ეკლესიის მოხატულობა), სამთავისი, ბოზნევი, წინარეხი, გრემი, ოზაანი, კალაური, ვეჯინი, ნეზგუნი, იფრარარი, ლაგურკა, ნაკიფარი, წვირმი-ჩობამი, მაცხვარიში, ლენჯერის მხერი) მოხატულობა; წაკითხული და დაზუსტებულია ამ მოხატულობათა ისტორიული წარწერები (მხატვართა და ქტიტორთა წარწერები); შესრულდა თითოეული ძეგლის დოკუმენტაცია, ფოტოფიქსაცია; მოძიებული და დამუშავებულია ძეგლების შესახებ არსებული საარქივო მასალა, შედგა თითოეული მოხატულობის ანოტაცია და ბიბლიოგრაფია; დამუშავდა ცალკეული სამეცნიერო საკითხები.

4	ინტეგრაცია და იდენტობა 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) 6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი FR 217890	2016-2019	მზია ჩიხრძე (ხელმძღვანელი) ლანა ქარაია (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი) ქეთევან შავგულიძე (ძირითადი პერსონალი) მარიტა სახლთხუციშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი) მარიამ შერგელაშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი)
---	---	-----------	---

პროექტი „ინტეგრაცია და იდენტობა“ შეეხება უახლესი ქართული ხელოვნების ისტორიის ისეთ მოვლენას, რომელიც დღესაც სამეცნიერო კვლევების მიღმა რჩება. ესაა ქართველი მხატვრებისა და არტისტების

შემოქმედება უცხოეთში. მოვლენა, რომელიც მრავალწილად განაპირობებს საქართველოს კულტურულ ინტეგრაციას დასავლეთთან და იმავდროულად, ამდიდრებს ლოკალურ სახელოვნებო სივრცეს განსხვავებული, დასავლეთიდან შემოსული მხატვრული ღირებულებებით.

პროექტით დაგეგმილია უცხოეთში მიგრირებულ ქართველ მხატვრთა და მათი ნამუშევრების მონაცემთა ბაზის შექმნა-ინტერნეტში განთავსება; შერჩეული მხატვრებისა და არტისტების შემოქმედების მხატვრული და ფასეულობით-მსოფმხედველობრივი შეფასება; იმის დადგენა, თუ რამდენად ორგანულად ერწყმიან საქართველოდან იმიგრირებული ხელოვანნი დასავლურ გარემოს, როგორია მათი ცნობიერი დამოკიდებულება ქართული მხატვრული ტრადიციის მიმართ; მეორე მხრივ კი, რეალურად, რამდენად სპეციფიკურად – “ქართულად” წარმოჩინდება მათი ხელოვნება ასეთი კულტურული ინტეგრაციის პირობებში. საბოლოოდ უნდა დადგინდეს ემიგრანტ მხატვართა როლი ქართული თანამედროვე ხელოვნების ისტორიაში, გამოიკვეთოს რაოდენ მნიშვნელოვარ როლს თამაშობენ ეს ხელოვანები საქართველოს დასავლეთთან კულტურული ინტეგრაციის მიმართებით.

კვლევის პროცესში გამოიყენება სახელოვნებათმცოდნეო კვლევის მეთოდი, კომპარატიული მეთოდი, ინტერვიუ-სოციოლოგიური გამოკითხვა, საარქივო კვლევა და მხატვრული ნაწარმოებების მეცნიერული ანალიზი.

პროექტის შედეგები მონაცემთა ბაზისა და სტატიების სახით განთავსდება ვებ-გვერდზე და მისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის.

პროექტის პირველ ეტაპზე, 2017 წლის მაის-ივნისში ჯგუფის წევრები მივლინებით ვიმყოფებოდით გერმანია-ავსტრიასა და შვეიცარიაში, სადაც შევხვდით იქ მოღვაწე ქართველ ხელოვანებს, ავიღეთ ინტერვიუები, გავეცანით მათ მოღვაწეობას და გადავიღეთ ნამუშევრები.

პროექტის შემდეგი ეტაპი ითვლისწინებდა ამერიკაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტ ხელოვანებთან შეხვედრებს, მათთან ინტერვიუებს, მათი ცხოვრება-მოღვაწეობისა და შემოქმედების დეტალების გაცნობას.

აღნიშნული სამუშაოები ჩავატრეთ 2018 წლის იანვარში, შედეგად დაიწერა რამდენიმე ნაშრომი და სტატია.

2018 წლის ოქტომბრის ბოლოს-ნოემბრის დასაწყისში გვექონდა მივლინება საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, სადაც ასევე გავეცანით იქ მცხოვრები და მოღვაწე ქართველი არტისტების შემოქმედებას. მათთან ჩატარებული ინტერვიუებისა და საუბრების შედეგად მივიღეთ სრული ინფორმაცია ჩვენი საკვლევი თემის მთავარ კითხვებზე - რატომ, რა პირობებში მოხდა მათი ემიგრირება უცხოეთში, როგორ მოხდა მათი დამკვიდრება ახალ ადგილზე, როგორ ხდება მათი ინტეგრირება დასავლურ გარემოში, რა კავშირებს ამყარებენ ისინი ადგილობრივ მხატვრულ ძალებთან და რა კავშირებს ინარჩუნებენ ქართულ სახელოვნებო გარემოსთან, რამდენად თვლიან საკუთარ შემოქმედებას ქართული სახელოვნებო სივრცის ნაწილად და როგორ აფსებენ დღეს მომდინარე მხატვრულ პროცესებსა და საქართველოს მსოფლიო სახელოვნებო სივრცესთან ინტეგრირების საკითხებს.

5	საეკლესიო მხატვრობა 1801-1918 წლების საქართველოში დოქტორანტთა საგანმანათლებლო პროგრამა 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) PhD_F_17_153	2017-2019	თამარ ხოსროშვილი (დოქტორანტი)
---	--	-----------	--------------------------------------

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში, მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცე საუკუნის დასაწყისში შექმნილი მოხატულობების კვლევას. პირველი და მეორე საანგარიშო პერიოდში პროექტის ფარგლებში ვიმოგზაურე ბულგარეთსა და რუმინეთში, მოვინახულე მეცხრამეტე საუკუნეში შესრულებული მოხატულობები და მუზეუმები. დავუკავშირდი შესაბამის ორგანიზაციებს, სადაც შევხვდი ამ სფეროში მომუშავე ხელოვნებათმცოდნეებს. პროექტით განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად ვმუშაობდი და ახლაც ვმუშაობ თბილისის ეროვნულ არქივში ჩემი 1801-1918 წლებში შესრულებული მოხატულობების შესახებ ინფორმაციის და მასალის მოსაპოვებლად. ვეცნობი ამ პერიოდის პერიოდულ გამოცემებს.

ადგილზე ვიმუშავე მუხრანის ღმრთისმშობლის მიძინების და წმ. გიორგის სახელობის ეკლესიების და წვერის წმინდა გიორგის ეკლესიის მოხატულობებზე, გადავიღე ამ მოხატულობათა ფოტოები, გავაკეთე სქემები. ამ აქტივობების შედეგად დავამუშავე სამი საკონფერენციო თემა - ორი საქართველოში იქნა წაკითხული, ერთიც საზღვარგარეთ.

6	მემორიალური ძეგლები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) HE-18-339	2018-2021	ეკატერინე კვაჭატაძე (ხელმძღვანელი) გიორგი პაპაშვილი (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი) სამსონ ლეჟავა (ძირითადი პერსონალი) ნოდარ არონიშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი) მანონ ლილუაშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი)
---	--	-----------	--

სამწლიანი პროექტის მიზანია მემორიალურ ძეგლთა (საფლავის ქვები, მემორიალური ქანდაკება, ობელისკები, მეხსიერების ადგილებზე აღმართული მონუმენტები და სხვ.) საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოძიება, აღწერა, დეტალური ფოტოფიქსაცია, კლასიფიკაცია, ტიპოლოგიზაცია, ანალიზი. პროექტი ითვალისწინებს საქართველოში შუა საუკუნეებიდან მრავლად შემონახულ მემორიალურ ძეგლთა მოკვლევასა და შესწავლას, უმეტესწილად, ფოკუსირებულია, ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო უხვი და მრავალფეროვანი მასალის მქონე ეპოქა: XVIII-XIX სს., XX საუკუნის 20-იან წლებამდე. მრავალსახოვანია ჩვენში მემორიალურ ძეგლთა ფორმები (არქიტექტურულად გადაწყვეტილი ძეგლები, საფლავის ქვები, ცხენისა და ცხვრის ქანდაკებები, ობელისკები და სხვ.), მისი დეკორი (ანტროპომორფული, ზოომორფული, ორნამენტული რელიეფური გამოსახულებები, სოციალური და პროფესიული თემატიკის ამსახველი სიუჟეტები და სხვ.) და გამოსახულებათა სიმბოლური ენა.

პროექტი, ძირითადად, განიხილავს ქრისტიანულ მემორიალურ ძეგლებს, თუმცა, ამავედროულად მოიცავს საქართველოს კულტურულ სივრცეში თანაარსებულ სხვა კონფესიის მემორიალურ ნიმუშებსაც.

ამ ეტაპზე, პროექტის დაწყებიდან 5 თვის მანძილზე განხორციელდა რამდენიმე ექსპედიცია სამცხე-ჯავახეთის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებსა და თბილისში. მოხდა მოპოვებული ძეგლების დეტალური ფოტოფიქსაცია, აღწერა-აღწერა, აზომვა, მათი მდებარეობის GPS კოორდინატების დაზუსტება. მიმდინარეობს სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლისა და საარქივო მასალის მოძიების პროცესი. აგრეთვე მუშავდება განსახორციელებელი ექსპედიციების გეგმა-გრაფიკი, მზადდება პუბლიკაციები და დაწყებულია სამეცნიერო კონფერენციების მოსამზადებელი სამუშაოები.

7	სეზონური სკოლა ტაო - კლარჯეთი - ისტორია და მემკვიდრეობა- მომრავი და უძრავი ძეგლები 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) MG – ISE – 18 -242	2019	ეკატერინე გედევანიშვილი (ხელმძღვანელი) ირინე გივიაშვილი (თანახელმძღვანელი) ირმა მამასახლისი (კოორდინატორი)
---	---	------	--

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მიერ წარდგენილი სეზონური სკოლის პროექტი წარმოადგენს ერთობლივ პროექტს,

სადაც ჩვენს ინსტიტუციასთან ერთად ხელოვნების ისტორიის წამყვანი სამი დასავლური ინსტიტუცია იღებს მონაწილეობას (ბაზელის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის სემინარი, ფრიბურგის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის კათედრა და ფლორენციის მაქს პლანკის სახელობის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი). საზაფხულო სკოლა გამიზნულია ახალგაზრდა სტუდენტებისა და და პოსტდოქტორანტებისთვის. სამუშაო ჯგუფს შეადგენს საზაფხულო სკოლის ორი ქართველი თაოსანი ხელოვნების ისტორიკოსი, დასავლეთის სახელოვნებათმცოდნეო სკოლის სამი წამყვანი პროფესორი, ექვსი ქართველი და უცხოელი სტუდენტი და ხუთი ქართველი და თურქი პოსტდოქტორანტი. პროექტში თურქული უნივერსიტეტებიდან არჩეული სტუდენტების ჩართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს ცოდნის ინვესტირებას გულისხმობს, რადგან ტაო-კლარჯეთის ძეგლთა უმრავლესობა თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, ამდენად ამ მემკვიდრეობის შესწავლასა და კვლევას განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ძეგლების რესტავრაციაში თურქული მხარეა ჩართული, ცოდნა ამ მემკვიდრეობისა არაა შესაბამისი. ისიც უნდა ითქვას, რომ დასავლურ გამოკვლევებსა და პუბლიკაციებში, უმთავრესად, ტაო-კლარჯეთის ძეგლები გამოტოვებულია, რიგ შემთხვევაში კი სომხურად მოიხსენიება. ამ პროექტში დასვლელ მეცნიერთა ჩართვა საშუალებას მოგვცემს ტაო-კლარჯეთის კულტურულ-ისტორიული ფენომენი კავკასიურ და ბიზანტიურ კულტურათა კონტექსტში განვიხილოთ. სეზონური სკოლა სამ ფაზას მოიცავს. მიზნებიდან გამომდინარე, პირველი ფაზა მოსამზადებელი პერიოდია, მეორე - საკუთივ საზაფხულო სკოლა, მესამე კი მისი შედეგების გამოქვეყნება და შეჯამება. პირველი პერიოდი უცხოელ კოლეგებთან აქტიურ თანამშრომლობას, სამუშაო მასალებისა და პრეზენტაციების მოძიება - მომზადებას გულისხმობს. საზაფხულო სკოლის ძირითადი მსვლელობა არა აუდიტორიაში, არამედ სახელოვნებათმცოდნეო დისციპლინაში დანერგილ პრაქტიკას - საველე პირობებში მუშაობას გულისხმობს. პრეზენტაციები უშუალოდ ძეგლზე გაიმართება, რასაც აქტიური ინტერაქტიული დისკუსია მოჰყვება. ამასთან ერთად, საზაფხულო სკოლის მონაწილეებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ თბილისის მუზეუმებსა და საცავებში დაცულ ტაო-კლარჯული მემკვიდრეობის მოძრავ ძეგლებს. საზაფხულო სკოლის სამუშაო მასალა - (ფოტო დოკუმენტაცია, ბიბლიოგრაფია, პრეზენტაციები და სხვა) ინტერნეტ სივრცეში განთავსდება იმედს გამოვთქვამთ, რომ გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრის მიერ წარდგენილი სეზონური სკოლის პროექტი შემდგომშიც გაგრძელდება და რეგულარულ ხასიათსაც მიიღებს, რაც ქართული ხელოვნების კვლევის სხვადასხვა ასპექტს მოიცავს.

8	თეირანის ქრისტიანულ სასაფლაოთა კომპლექსის ქართული სექტორი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) HE17 28	2017-2019	გიორგი სანიკიძე ხელმძღვანელი ნიკოლოზ ნახუცრიშვილი (ძირითადი პერსონალი) ანტონ ვაჭარაძე (ძირითადი პერსონალი) დავით ჩიხლაძე (ძირითადი პერსონალი)
---	---	-----------	---

ქ. თეირანის დუღაბის რუსული მართლმადიდებლური სასაფლაოს დოკუმენტაციით, აქ ქართველთა 34 საფლავია. სასაფლაოს ტერიტორიაზე ქართველთა საფლავები საერთო სისტემის გარეშე არიან განაწილებული. საფლავების უმეტესობაზე ერთადერთ დეკორატიულ გაფორმებას საფლავის ჯვრები წარმოადგენენ. საფლავების საერთო რიცხვიდან მხოლოდ 6 საფლავია მხატვრულად მეტ-ნაკლებად გაფორმებული. მათგან ერთი საფლავი კლასიკურ, ორი ნეო-ბაროკულ და ორიც კონკრეტული სტილის გარეშე, ფერით გამორჩეული მასალითა და გეომეტრიულად გათამაშებული მოყვანილობითაა გაფორმებული. ჩამოთვლილ საფლავთა დეკორატიულ გადაწყვეტაში ქართული ხელოვნების მკაფიო ელემენტები არაა წარმოდგენილი, თუმცა ერთ-ერთ ნეო-ბაროკალურად გაფორმებული საფლავის თავქვის რევერსზე ქართული ეკლესიების საფასადო გაფორმების ელემენტების ალუზიები შეგვიძლია ამოვიკითხოთ.

მხატვრულ-ისტორიული თალსაზრისდით ყველაზე მნიშვნელოვანი საფლავი აკაკი ხოშტარისა

მეუღლის, მინადორა ხოშტარიას განსასვენებელია. ცნობის მიხედვით ა. ხოშტარიამ შეიძინა მიწის ნაკვეთი და მასზე აკლდამის კომპლექსი ააგო. ის შედგებოდა საკუთრივ აკლდამის, აწ გამქრალი შადრევნისა და ქვის განიერი სავარძლისგან. აკლდამა ორი ნაწილისგან შედგება – მიწის ზედა ნაგებობისგან, რომელიც ჯვარ-გუმბათური ეკლესიის მოდელს წარმოადგენს, და მიწისქვეშა, ორკამერიანი კრიპტისგან. ეკლესიის მოდელის გაფორმება ერთი მხრივ ამჟღავნებს მის კავშირს ქართულ არქიტექტურულ ტრადიციასთან, მეორეს მხრივ კი გამოკვეთს რიგ თავისებურებებს, რომლებიც აღნიშნული ტრადიციისთვის უცხო იქნებოდა. ეს წინააღმდეგობა მიგვითითებს ოსტატზე, რომელიც იცნობს ქართულ არქიტექტურას, თუმცა კი მისგან დისტანცირებულია. ირიბად ამას ადასტურებს კომპლექსის მეორე ელემენტი, სავარძელი, რომელიც ევროპული სტილების ეკლექტური შერწყმითაა გაფორმებული. სამწუხაროდ კომპლექსის ავტორის ვინაობა უცნობია, თუმცა არსებობს ქართველი ირანისტის, ჯემშიდ გიუნაშვილის მოსაზრება, რომ აკლდამის ავტორი ირანში მოღვაწე არქიტექტორი ნიკოლოზ მარკოვია. მის ამ მოსაზრებას ის გარემოებაც ამყარებს, რომ ნ. მარკოვი თბილისში დაიბადა და გაატარა მოზარდობა, ხოლო მისი საფლავი აკლდამიდან რამდენიმე ნაბიჯის დაცილებით მდებარეობს.

დულაბის სასაფლაოზე ქართველთა მხატვრულად გაფორმებულ საფლავებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათ გაფორმებაში არა რაიმე სტილური ერთობა და ისინი ორი გამონაკლისის გარდა ევროპული სტილების ნაირსახეობებს წარმოადგენენ. ქართული მხატვრული მოტივების სიმცირის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ირანის ტერიტორიაზე ერთადერთი მკაფიოდ გამოხატული ეთნიკურ-რელიგიური იდენტობის ნიშნების მქონე ნაგებობა – მინადორა ხოშტარიას აკლდამის კომპლექსის ეკლესიის მოდელი. მით უფრო სამწუხაროა, რომ 2002–3 წლების უხარისხო რესტავრაციის შედეგად ძველი უკიდურესდ მძიმე მდგომარეობაშია.

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	გამაგრებული ისტორიული დასახლებები საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთში. 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) FR/216/1-40/14	2014-2018	მანანა სურამელაშვილი (ხელმძღვანელი) ციცინო ჩაჩხუნაშვილი (ძირითადი პერსონალი) ირინე ელიზბარაშვილი (ძირითადი პერსონალი)

მიმდინარე 2018 წელს განხორცილდა სამწლიანი პროექტის დასრულება და ნაშრომის გამთლიანება, გამოსაცემად მომზადება და გამოცემა. უხვად ილუსტრირებული წიგნი, ვრცელი ინგლისურენოვანი ანოტაციით ეხება საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთში გავრცელებული გამაგრებული ისტორიული დასახლებების არქიტექტურისა და ურბანული სტრუქტურის კვლევას. კავკასიონის ქედის არეალში ფართოდ გავრცელებული ამ ტიპის დასახლებები კულტურულ ფასეულობათა ურთიერთგაცვლაზე მიუთითებს კავკასიის ხალხთა შორის; ამავე დროს, თითოეული მათგანი მკაფიო თვითმყოფადობით გამოირჩევა. ეს სოფლები ბუნებრივი ლანდშაფტისა და ურბანული სტრუქტურების შერწყმის

გამორჩეულ ნიმუშებს წარმოადგენს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა რა გავლენას ახდენდა აღნიშნული რეგიონების საზოგადოების განვითარება არქიტექტურაზე და როგორ პასუხობდა არქიტექტურა მთიელთა ცხოვრების წესს და მეურნეობის ფორმებს; საქართველოს ურბანული მემკვიდრეობის ნიმუშებს შეემატა დღემდე შეუსწავლელი მნიშვნელოვანი ურბანული დასახლებები.

ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ შედეგს წარმოადგენს სასაზღვრო გამაგრებული დასახლებებისადრეული პერიოდით დათარიღების დასაბუთება დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მათი გვიან ფეოდალური ხანით დათარიღების მოსაზრების საპირისპიროდ. ეს თავის მხრივ ნათელს ფენს მაღალმთიანი რეგიონების მჭიდრო პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ურთიერთობებს საქართველოს ბართან და ცენტრალური ხელისუფლების მიერ ჩრდილოეთ სასაზღვრო რეგიონების მნიშვნელოვან მხარედ მიჩნევას მთელი ისტორიის მანძილზე. წიგნი შეავსებს ამ სფეროში არსებულ ცოდნას და გამოყენებადი იქნება, როგორც ძველთა დაცვით სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას, ასევე, არაერთი სამეცნიერო მიმართულებისთვის. ის ხელს შეუწყობს საქართველოს სასაზღვრო გამაგრებული დასახლებების მნიშვნელობის გაცნობიერებასა და პოპულარიზაციას; დახმარებას გაუწევს მთის რეგიონების ისტორიითა და კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას, განსაკუთრებით მოსწავლეებსა და სტუდენტებს.

			მზია სურგულაძე (ხელმძღვანელი)
	ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა (მონოგრაფია, ტექსტები)		ნესტან ჩხიკვაძე (მირითადი პერსონალი)
	6. ჰუმანიტარული მეცნიერებები		ლელა შათირიშვილი (მირითადი პერსონალი)
2	6.1. ისტორია და არქეოლოგია	2015-2018	მაია კარანაძე (მირითადი პერსონალი)
	6.2. ენები და ლიტერატურა		ნიკოლოზ ჟღენტი (მირითადი პერსონალი)
	6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)		ეთერ ედიშერაშვილი (მირითადი პერსონალი)
	FR/396/1-10/14		

პროექტის სახელოვნებათმცოდნეო ნაწილში (მკვლევარი - **ეთერ ედიშერაშვილი**) განხორციელდა მხატვრულად გაფორმებული ტაო-კლარჯული ხელნაწერების მოკრება, ინვენტარიზაცია, აღწერა და კატალოგიზაცია ქრონოლოგიური არეალის მიხედვით. ამავე პერიოდში მოძიებულ იქნა ტაო-კლარჯეთში გადაწერილი და მოხატული ხელნაწერებზე არსებული ბიბლიოგრაფია და მოხდა მისი დამუშავება. სამუშაოს პროცესში მოხდა მასალის გარშემო არსებულ ცოდნასთან ახალი მონაცემების შეჯერება და დამუშავება. თანადროულ ქართულ და ბიზანტიურ მასალასთან შეჯერებით გამოიკვეთა მინიატურების რეგიონალური თავისებურებები და მისი ადგილი შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების სივრცეში.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით,	პროექტის დაწყების და დამთავრების	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
---	--	----------------------------------	--

	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	წლები	
1	Reassembling the City: Tbilisi from Safavid Persia to Postsocialism ქალაქის ხელახლა აწყობა: თბილისი სასანიდური სპარსეთიდან პოსტსოციალიზმამდე. 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 775035 Social Sciences and Humanities Research Council of Canada კანადის სოცილურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კვლევის საბჭო, კანადა	2014-2019	პოლ მენინგი (ხელმძღვანელი) მზია ჩიხრაძე, თეა ტაბატაძე, ნანა ყიფიანი (სახელოვნებათმცოდნეო ანალიზი) თამთა ხალვაში (სოციოლოგიური კვლევა) ჰარშა რამი (ლიტერატურული კვლევა) ზაზა შათირიშვილი (ფილოსოფიურ- ლიტერატურული ანალიზი).
პროექტის მიზანია გამოიკვლიოს თბილისი, როგორც ჰეტეროგენული და ისტორიულად მრავალშრიანი ერთიანობა: მრავალი „ადგილი“ ერთ მოცემულობაში. პროექტი თბილისს განიხილავს როგორც „ურბანულ კრებულს, ასამბლიაჟს“, რომელიც ადამიანური, არა-ჰუმანური ელემენტებისა და მონაწილეებისგან შემდგარ არაერთგვაროვან ქსოვილს წარმოადგენს. ამ ჰეტეროგენული მასალისა და აქტორებისგან ეწყობა და მკვიდრდება „წარმოსახვითი ქალაქები“ : ტრადიციული „ახლო აღმოსავლეთის“ ქალაქი, კოლონიალიზმის შედეგად დაყოფილი ქალაქი, მოდერნისტული ქალაქი, სოციალისტური კულტურის ქალაქი და პოსტსოციალისტური ქალაქი. პროექტის ფარგლებში ხდება განახლება ვებ გვერდი ქართული მოდერნიზმის შესახებ. გვერდის მისამართია: modernism.ge; 2018 წლის განმავლობაში, შეგროვდა ახალი მასალა ქართული მოდერნიზმის შესახებ, განახლდა გვერდის ინტერფეისი, განხორციელდა კვლევითი მივლინება ქუთაისში (ქართული მოდერნიზმის შესახებ ქუთაისის არქივში დაცული მასალის შესასწავლად), დაგეგმილია მივლინება ბაქოში.			
2	ბერნის შუა საუკუნეების ფორუმი შვეიცარიის უნივერსიტეტი, მ. ჯარის ფონდი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები	2019 წლის 17- 22 სექტემბერი	ეკატერინე გედევანიშვილი, ი. გიციშვილი, ნატალია ჩიტიშვილი, ირმა მამასახლისი, თამარ დადიანი
2019 წელს რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული საზაფხულო სკოლის მონაწილენი ბერნის შუა საუკუნეების ფორუმში მიიღებენ მონაწილეობას, სადაც ქართულ ხელოვნებას ცალკე სხდომა დაეთმობა. საქართველოს წარმოადგენს ხუთი მეცნიერი, რომლებიც 2018 წლის ნოემბერში გამოცხადებული კონკურსის საფუძველზეა შერჩეული.			
3	საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ლანდშაფტის გენერალური გეგმა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური	2018 წლის დეკემბერი- 2019 წლის ივნისი	ენდრიუ კროფტი (ხელმძღვანელი) კრის ბლენდფორდი

	ბადი Chris Blandford Associates (UK) ძირითადი კონტრაქტორი: კრის ბლენდფორდ ასოშიეიტსი (გაერთიანებული სამეფო) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.1 ისტორია და არქეოლოგია 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია, არქიტექტურა)		(უფროსი კონსულტანტი) დომინიკ უოტკინსი ევან მაკარტი დენ ანდერსონი ერიკა დიაზ პეტერსენი ჰარიეტ სტენფორდი პიტერ უაითჰედი ჯულია ბენეტ სმიტი დავით ხოშტარია (კულტურული მემკვიდრეობის ჯგუფის ხელმძღვანელი) მარინე ბულია მკვლევარი მანონ ლილუაშვილი მკვლევარი ქეთევან ყავალაშვილი მკვლევარი
ბოტანიკური ბაღის ლანდშაფტის გენერალური გეგმა მზადდება ბაღის განვითარების გენერალური სტრატეგიის შესაბამისად. გეგმის მიზნებია ბაღის განვითარება სივრცობრივ-ტერიტორიული გეგმარების პრინციპების მიხედვით, ბაღის ტერიტორიის რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა, ბაღის კოლექციებისა და ზოგადად ბუნებრივი გარემოს დაცვა, ბაღის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და საფუძვლის შექმნა ბაღისა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი პოლიტიკის ფორმირებისათვის. გ. ჩუბინაშვილის ეროვნული ცენტრი არის პროექტის განმახორციელებელი წამყვანი ორგანიზაციის კრის ბლენდფორდ ასოშიეიტსის (Chris Blandford Associates) ქვეკონტრაქტორი, პასუხისმგებელი ბოტანიკურ ბაღში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის კვლევაზე, ინვენტარიზაციაზე, შეფასებასა და რეკომენდაციების შემუშავებაზე. პროექტის ფარგლებში გ. ჩუბინაშვილის ეროვნული ცენტრის ექსპერტთა ჯგუფი ჩაატარებს შემდეგ სამუშაოებს: ბოტანიკური ბაღის ისტორიის კვლევა. თბილისის ძველი უბნის ურბანული განვითარების კონტექსტში. კვლევა დაეფუძნება როგორც საველე სამუშაოს, ისე მრავალფეროვანი პირველადი წყაროების შესწავლას (ძველი ფოტოსურათები, რუკები, პროექტები, ოფიციალური დოკუმენტები. ანგარიშები, პრესა და სხვა). ბოტანიკურ ბაღში მდებარე შენობების ინვენტარიზაცია. სამუშაო მოიცავს შემდეგ ისტორიულ შენობებსა და ობიექტებს: სამეცნიერო განყოფილებისა და ლაბორატორიის შენობა, სასტუმრო, ყოფილი მუზეუმის შენობა, მეყვავილეობის განყოფილების შენობა, ფრანგული ორანჟერეა, თამარის ხიდი, ჩანჩქერის ხიდი, ორი კოშკი, აზერბაიჯანელ მოღვაწეთა პანთეონი. გაცემდება ჩამოთვლილი შენობებისა და ობიექტების			

პასპორტები შესაბამისი ფორმის მიხედვით.

ბაღში მდებარე შენობათა ისტორიული, მხატვრული და კულტურული ღირებულების შეფასება. კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოხდება შეფასება, არის: მთლიანობა, ავთენტურობა, ისტორიული მნიშვნელობა, არქიტექტურული და/ან საინჟინრო მნიშვნელობა, კავშირი ცნობილ ადამიანებთან და მოვლენებთან, მნიშვნელობა ბოტანიკური ბაღის კონტექსტში, მნიშვნელობა ქალაქის კონტექსტში.

რეკომენდაციები ბაღში მდებარე ისტორიული შენობების რეაბილიტაცია-კონსერვაციისათვის. მეთოდოლოგიური რეკომენდაციები დაეფუძნება შენობათა არქიტექტურისა და ისტორიის კვლევას და გაითვალისწინებს მათ სხვადასხვა ასპექტს, როგორიცაა: ისტორიული, მხატვრული და კულტურული ღირებულება; დაცულობის ხარისხი, გადაკეთებები და გვიანი დანამატები; თავდაპირველი და ახლანდელი დანიშნულება; ადგილი და კავშირი ბუნებრივ გარემოსთან; ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებს შენობაზე.

რეკომენდაციები ბოტანიკური ბაღის სივრცობრივი ზონირებისათვის. რეკომენდაციები დაეფუძნება ღირებულებრივ მიდგომას, რომელიც მოიცავს ლანდშაფტსა და კულტურულ ფასეულობებს და იყენებს გარემოს ინტეგრირებული მართვის ზოგად ჩარჩოს. ამ მიდგომით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და კონსერვაცია „ჩაბუდებულია“ ერთიან სივრცით გეგმაში.

კონცეპტუალური ხედვა: კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება, დაცვა და მართვა ბოტანიკური ბაღის განვითარების კონტექსტში. კონცეპტუალური ხედვა გულისხმობს სწორ გაგებას ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედებისა, რომელმაც შექმნა ბაღის დღეს არსებული ბუნებრივი და არქიტექტურული ლანდშაფტი, და რომელიც მისცემს მას ფორმას მომავალში. კულტურული ფასეულობების როლისა და მნიშვნელობის ცხადი ხედვა გადამწყვეტია იმის უზრუნველსაყოფად, რომ კულტურული მემკვიდრეობა ჯეროვნად იყოს გათვალისწინებული ბაღის მომავალ განვითარებასა და მართვაში.

3.2.


№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	Crossing Frontiers: Christians and Muslims and their Art in Eastern Anatolia and the Caucasus საზღვრების გადაკვეთა: ქრისტიანები და მუსლიმები და მათი ხელოვნება აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.1. ისტორია და არქეოლოგია 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) 6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი HAA-2230-GETTY-MC The Getty Foundation(USA), The Courtauld	2016-2018	ენტონი ისტდმონდი (ხელმძღვანელი) ნიფ ბალლა (კოორდინატორი) ოია ფანჯაროდლუ (უფროსი მკვლევარი) იოანა რაპტი (უფროსი მკვლევარი) ზაზა სხირტლაძე უფროსი მკვლევარი) ქრისტინა მარანჩი (უფროსი მკვლევარი) ნაზენი ღარიბიანი

	Institute of Art (UK) გეტის ფონდი (აშშ) და კურტოს ხელოვნების ინსტიტუტი (გაერთიანებული სამეფო)		(უფროსი მკვლევარი) სუზან ბაბაი (უფროსი მკვლევარი) ნათია ნაცვლიშვილი (უმცროსი მკვლევარი) ნატალია ჩიტიშვილი (უმცროსი მკვლევარი) და სხვ.
„საზღვრების გადაკვეთა: ქრისტიანები და მუსლიმები და მათი ხელოვნება აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში“ წარმოადგენდა სამოგზაურო კვლევით სემინარს კავკასიის, ანატოლიისა და დასავლეთ ირანის შუა საუკუნეების ხელოვნებითა და კულტურით დაინტერესებული ახალგაზრდა მეცნიერებისათვის. პროექტი დაფინანსდა გეტის ფონდის მიერ ხელოვნების ისტორიათა დაკავშირების ინიციატივის (Connecting Art Histories Initiative) ფარგლებში. გრანტის მიმღები ორგანიზაციაა კურტოს ხელოვნების ინსტიტუტი (The Courtauld Institute of Art). სემინარის მიზანი იყო ახალგაზრდა მკვლევარებისათვის ხელის შეწყობა უფროს მეცნიერებთან ერთად რეგიონის მნიშვნელოვანი ძეგლების მოსაზრებლად და შესასწავლად. თურქეთის (ივლისი, 2016), სომხეთისა (სექტემბერი, 2016) და საქართველოს (სექტემბერი, 2017) შემდეგ ის ისრაელში (8-15 დეკემბერი, 2018) გაიმართა. სემინარის ჩატარების ძირითადი ადგილი იყო იერუსალიმი, სადაც პროექტის მონაწილეებმა მოინახულეს სხვადასხვა პერიოდის ქრისტიანული და ისლამური ხელოვნების ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი. იერუსალიმის გარდა ისინი იმყოფებოდნენ ბეთლემში, იერიქონსა და აბუ გოშში აიუბიდებისა და ჯვაროსნების პერიოდის არქიტექტურის, იატაკის მოზაიკისა და კედლის მხატვრობის ნიმუშების სანახავად. ერთკვირიანი სემინარიდან ოთხი საღამო დაეთმო სამეცნიერო დისკუსიებს. მათში მონაწილეობის მისაღებად პროექტის ახალგაზრდა მონაწილეებმა წინასწარ დაამუშავეს ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა. ამ დისკუსიების მთავარი მიზანი იყო თანამედროვე კვლევითი მეთოდოლოგიების გაცნობა და XII-XIV საუკუნეებში აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში მცხოვრები ხალხების მიერ შექმნილი და ჩვენამდე მოღწეული ხელოვნების ნიმუშების (არქიტექტურული ძეგლები, კედლის მხატვრობა, ხელნაწერები და სხვა) შესასწავლად სამომავლო გზების დასახვა.			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია მანია	გერმანელი არქიტექტორები თბილისში 978-9941-8-0374-1	თბილისი, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი	257

			SEZANNE	
	წიგნი მიზნად ისახავს XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის თბილისში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორებისა და ინჟინრების მიერ აშენებული ნაგებობების გამოვლენას და იდენტიფიკაციას. იგი შეიცავს ბიოგრაფიულ ცნობებს თბილისსა და საქართველოში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორებისა და საქართველოში დამკვიდრებული გერმანელი კოლონისტების შესახებ. წიგნი მოგვითხრობს გერმანელების მიერ თბილისში დაარსებული ორი კოლონიიდან უმთავრესის - თბილისის კოლონიის ურბანული განვითარების ისტორიას. მასში განხილულია დასახლების განვითარების ევოლუცია და გერმანელების მიერ თბილისის ურბანულ განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილი - დიდი თუ მცირე სახელოსნოები და საწარმოები -- მექანიკური, ავეჯის, ხის წარმოების, ოპტიკური ინსტრუმენტების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ეტლების დამამზადებელი თუ მანქანების შეკეთებისა თუ სხვა საამქროები და ელექტრო-მექანიკური სახელოსნოები. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია გერმანელი კოლონისტების მიერ თბილისში გამართული ლუდის ქარხნების მშენებლობაზეც. წიგნი შეიცავს საარქივო პროექტებისა და ცოცხალი შენობების კვლევის საფუძველზე დადგენილ გერმანელი კოლონისტების საცხოვრებელი შენობების კლასიფიკაციას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნაშრომში გერმანელი კოლონისტების მიერ გაშენებულ საკუთარ და საზოგადოებრივ ბაღებს. განხილულია თბილისში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორების მიერ, გამდიდრებული გერმანელი კოლონისტებისათვის აშენებულ დიდი შემოსავლიანი სახლების არქიტექტურა და სივრცითი აგებულება. XIX საუკუნის თბილისში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორების დღემდე გადარჩენილი შენობებისა და კოლონისტების სახლებისა და საწარმოების კვლევა ეყრდნობა ბიბლიოგრაფიულ წყაროებს და დიდი ხნის მანძილზე თბილისის სხვადასხვა საცავებში ჩატარებულ საარქივო და საველე კვლევას.			
2	მანანა სურამელაშვილი, ციცინო ჩაჩხუნაშვილი ირინე ელიზბარაშვილი	გამაგრებული ისტორიული დასახლებები საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთში 978-9941-8-0774 -9	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი SEZANNE	490
	წიგნი საქართველოს ჩრდილოეთი მთიანეთის სასაზღვრო დასახლებების არქიტექტურული მემკვიდრეობის კომპლექსური შესწავლი პირველ ცდას წარმოადგენს. ნაშრომში განხილულია პირიქითა ხეცსურეთის, თუშეთის და ზემო სვანეთის ისტორიული სოფლები: შატლი, კისტანი, მუცო, არდოტი, ჭონთიო, გირევი, ფარსმა, ჰელო, კვავლო, დართლო, ძველი დიკლო, სოფელი დიკლო, ჩაჟაში და ადიში. მათი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა სათანადოდ არის შეფასებული საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე. ნაწილობრივ, ან მთლიანად თავდაცვითი ნაგებობებისაგან შემდგარი ეს კომპლექსები სამეცნიერო ლიტერატურაში პირობითად აღინიშნება ტერმინით - „გამაგრებული დასახლება“, ხოლო საცხოვრებელი, რომელსაც ხშირად საბრძოლო ელემენტებიც ახლავს			

ტერმინით - „ციხე-სახლი“.

საქართველოს მთის რეგიონებში დღემდე მეტ-ნაკლებად შემონახული ისტორიული სოფლებიდან ამ დასახლებების საკვლევად შერჩევა განაპირობებულია მათი მხატვრული სახისა და ჩვენამდე მოღწეული გეგმარებითი სტრუქტურის შედარებითი სისრულით. წიგნში, აგრეთვე, ზოგადად მიმოხილულია ქვეყნის საზღვართან ახლოს მდებარე ინგუშეთის და ჩეჩნეთის გამაგრებული დასახლებები.

განხილული სოფლებისა და ნასოფლარების ურბანული არქიტექტურა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამავე დროს, იგი მჭიდრო კავშირს ამჟღავნებს მრავალეთნიკური ხალხებით დასახლებული კავკასიის მთიანეთის ტრადიციულ ხუროთმოძღვრებასთან. კლიმატურ-გეოგრაფიულ ფაქტორებთან ერთად მთის საზოგადოების სოციალური წყობისა და საშენი მასალის მსგავსება კავკასიის მთიანეთის რეგიონული სამშენებლო კულტურის საერთო მახასიათებლებს აყალიბებს. მიუხედავად ამისა, ყოველი ეთნოსის ხალხური არქიტექტურა ასახავს მის ხასიათს, გემოვნებას და ცხოვრების წესს, სადაც საუკეთესოდ ვლინდება ადგილობრივი თავისებურებები. ამის გამო, ერთგვაროვანი ტიპის ნაგებობებისაგან შემდგარი საქართველოს მთიანეთისა და მისი მეზობელი ხალხების გამაგრებული დასახლებები ურბანული თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია.

გამაგრებული დასახლებების ცალკეული ნიმუშები არაერთ ქვეყანაშია შემორჩენილი. მკვლევართა მოსაზრებით, ასეთი სამოსახლოების რაოდენობა ადრე უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. კლასობრივი ფორმაციების ჩამოყალიბებასთან ერთად, მათი რიცხვი მკვეთრად შემცირდა, თუმცა იზოლირებულ ადგილებში შემონახულმა ცოცხალმა დასახლებებმა ჩვენ დრომდე მოაღწია. მათ შორისაა პირიქითა ხევსურეთის, თუშეთის და ზემო სვანეთის ურბანული მემკვიდრეობა, სადაც საქართველოს ჩრდილოეთი სასაზღვრო ზოლის სხვა ისტორიულ მხარეებთან (მთის რაჭა, ხევი) შედარებით უკეთ შემოინახა საუკუნოვანი გამოცდილების კვალდაკვალ მიმდევარი ადგილობრივი ოსტატების მიერ აგებული საბრძოლო კოშკებისა და საცხოვრებელი კომპლექსებისაგან შემდგარი ამგვარი დასახლებები.

წიგნში ცალ-ცალკე თავი ეთმობა პირიქითა ხევსურეთის, თუშეთის და ზემო სვანეთის გამაგრებული დასახლებების ურბანულ და არქიტექტურულ მემკვიდრეობას, რომელსაც თან ერთვის სვანთა საერისთავოს X-XV სს-ის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. დამოუკიდებლად არის წარმოდგენილი საქართველოს საზღვართან მდებარე ინგუშეთის და ჩეჩნეთის გამაგრებული დასახლებების შუა საუკუნეების ხალხური არქიტექტურის ზოგადი მიმოხილვა. საქართველო ადრეული პერიოდიდანვე ამყარებდა კავშირებს ჩრდილოეთ კავკასიაში მკვიდრი – ქართული წყაროებით დურძუკების (ძურძუკების) სახელით ცნობილ – ვაინახურ ტომებთან, რომელთა ტერიტორია მოიცავს დღევანდელ ჩეჩნეთს და ინგუშეთს. ქართული სახელმწიფოსმიერ გატარებულმა პოლიტიკამ იმიერკავკასიაში ადრევე ჩაუყარა საფუძველი მჭიდრო კულტურულ თანამშრომლობას. XII საუკუნის დასაწყისში ამან ხელი შეუწყო არაძალადობრივი, ერთიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე დაფუძნებული ურთიერთობების გამყარებას საქართველოსა და მის ჩრდილოელ მეზობლებს შორის.

უკანასკნელ ხანებში ჩატარებული ერთ-ერთი გამოკვლევის მიხედვით, კავკასიური ერთობის შექმნის მრავალ წარუმატებელ მცდელობას შორის საქართველოს ისტორიის X-XII სს-ის ხანა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც კავკასიის ერთიანი კულტურული სივრცის არსებობის პერიოდი, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ხალხთა შემდგომ ისტორიაზე.

საკვლევი თემის ფარგლებში შესწავლილი სოფლებისა და ნასოფლარების განხილვა ხელს შეუწყობს კავკასიის მთიანეთის დასახლებების ურბანული და არქიტექტურული მემკვიდრეობის ფენომენის ახსნას.

3	ირმა მამასახლისი	გრემი 978-9941-10-902-3	თბილისი, ნეკრესის ეპარქია	36
---	------------------	----------------------------	------------------------------	----

წიგნი წარმოდგენს გრემის ისტორიული კომპლექსის გზამკვლევს, რომელიც ნეკრესის მიტროპოლიტის სერგის (ჩეკურიშვილის) ლოცვა-კურთხევით მომზადდა სამ ენაზე (ქართული, ინგლისური, რუსული). გზამკვლევი შეიცავს გრემის კომპლექსის ვრცელ ისტორიულ მიმოხილვას, მეგლთა აღწერილობას (არქიტექტურა, მონუმენტური მხატვრობა) და ძირითადად ტურისტებზეა გათვლილი. ბუკლეტს თან ერთვის მრავალრიცხოვანი ფერადი ფოტოები.



წიგნის ტექსტი XV-XVI საუკუნეების საქართველოსა და, კერძოდ, კახეთის ისტორიულ-კულტურული მიმოხილვით იწყება, მოკლედ აღწერს გრემის ნაქალაქარის გეოგრაფიულ მდებარეობას და ლოგიკურად გადადის საკუთრივ კომპლექსის ისტორიაზე. ისტორიული ექსკურსი საკმაოდ დაწვრილებითაა მოცემული და ძველ წყაროებსა და აქ მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალას ეყრდნობა. კომპლექსში შემავალი ნაგებობების ჩამოთვლისა და ზოგადი დახასიათების მერე ყოველი ძეგლის დაწვრილებითი აღწერაა მოცემული. ძეგლები ტურისტული მარშრუტით გათვალისწინებული

თანმიმდევრობითაა დალაგებული. არქიტექტურის მიმოხილვის გარდა ტექსტში შედის ეკლესიათა შემამკობელი ფრესკების, წარწერების ზოგადი აღწერაც, რომელსაც ისტორიული ექსკურსიც ემატება. მაგალითად, ვრცლადაა მოყოლილი ქეთევან წამებულის, კახთა მეფის ლეონის ბიოგრაფიები, ასევე ზოგადადაა მიმოხილული ამ პერიოდის გრემისათვის მნიშვნელოვან კულტურულ მოღვაწეთა და ფეოდალთა ღვაწლი.

საკუთრივ ხუროთმოძღვრების აღწერა ნაქალაქარის დაგეგმარებით იწყება. აღნიშნულია ქალაქის დაყოფა რამდენიმე უბნად. შემდგომი ტურისტული მარშრუტიც ამ დაყოფას ითვალისწინებს და წიგნის სტრუქტურას განაპირობებს. ყოველ ცალკეულ ძეგლს თავისი კონკრეტული პასაჟი ეძღვნება. დიდი ადგილი მთავარანგელოზთა კომპლექსს უჭირავს. აქ შედის მთავარანგელოზთა ეკლესია, სამსართულიანი სასახლე, სამრეკლო და სამეურნეო ნაგებობები. ტექსტში მოცემულია ამ შენობათა არქიტექტურული თავისებურებები და ისტორია. ცალკე დგას სამეფო უბანი სამეფო რეზიდენციის კომპლექსით. გზამკლევში შედის სავაჭრო უბანიც, რომელიც ცენტრალურ ნაწილს დიდი დახურული ბაზარი (ქულბაქები) და ქარვასლა წარმოადგენს. კომპლექსში შემავალი ყველა ნაგებობა საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი გარედანაც და შიგნიდანაც, რაც ტურისტების გადაადგილებაზეა გათვლილი. არ არის გამოტოვებული სოფ. გრემში შემონახული სხვადასხვა პერიოდის ეკლესიებიც.

გზამკლევი მთავრდება სპარსელების მიერ გრემის განადგურების ისტორიითა და კომპლექსის დღევანდელი მდგომარეობით. კერძოდ აღნიშნულია გრემში ახალი მონასტრისა და აბიზო ნეკრესელის სახელობის სემინარიის დაფუძნება, 2011 წელს გრემში ჩატარებული ძეგლთა სარეაბილიტაციო სამუშაოები და სამუზეუმო სივრცის მოწყობა.

4	ნანა მირცხულავა	ალექსანდრე შერვაშიძე (ჩაჩბა) -150 978-9941-8-0554-7	თბილისი, ზებრა-2008	140
---	-----------------	--	------------------------	-----



XX საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიო სცენოგრაფიის მოწინავე ტენდენციების ამსახველი ალ. შერვაშიძის მნიშვნელოვანი მოდერნისტული მხატვრული მემკვიდრეობა, ქართული ემიგრაციის ისტორიის ნაწილია, ღირსეულად დაფასებული დასავლურ სამყაროში, ტაბუდადებული და მიზანდასახულად ამოშლილი სამშობლოს მეხსიერებიდან. ალექსანდრე შერვაშიძის სახელი ბერლინის, მადრიდის, პეტერბურგის და სხვა მაღალი თეატრალური კულტურის მქონე ქალაქების დრამატულ თუ საოპერო თეატრების სცენებს უკავშირდება. მხატვრის დეკორაციების და თეატრალური კოსტიუმების ესკიზები მსოფლიოს სახელგანთქმული თეატრების მუზეუმებში და კერძო კოლექციებშია დაცული. ალ. შერვაშიძემ სცენოგრაფიულად აამეტყველა არა მხოლოდ საკუთარი თეატრალური ფანტაზია, არამედ მის

მაღალპროფესიონალიზმზე იყო დამოკიდებული პარიზული ავანგარდის, ხმაურიანი, სკანდალური, მაგრამ

დაზგური მხატვრობის მაინც, დახშული ლაბორატორიული სივრციდან, თავისი შემოქმედებითი ნიჭის ფართო ასპარეზზე გამოტანის მიზნით გამოსულა ხალი დროის ევროპული მიმდინარეობების შემქმნელ, ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ, მომავალში სახელგანთქმულ, მაგრამ სცენის მასშტაბურ სამუშაოებში გამოუცდელი მხატვრების, პაბლო პიკასოს, სალვადორ დალის, ჟორჟ რუოს, ჟორჟ ბრაკის, ანდრე დერენის და სხვათა ესკიზების სცენური განხორციელება, მათი არსებობა თეატრალურ სივრცეში.

მიუხედავად იმისა, რომ ალ. შერვაშიძის სახელი ფიგურირებს XX-XXI სს თვალსაჩინო კრიტიკოსების რეცენზიებში, დასავლური სამყაროს ენციკლოპედიურ და მემორიალურ ლიტერატურაში, არ გამოცემულა არც ერთი გამოკვლევა, რომელი სათანადოდ წარმოადგენდა ალ. შერვაშიძის შემოქმედების მასშტაბებს, იმ წვლილს, რომელიც მის სცენოგრაფიას მიუძღვის XX საუკუნის მსოფლიო თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის ისტორიაში.

წიგნის გამოცემა უმნიშვნელოვანესია ქართულ აფხაზური კულტურული მემკვიდრეობის ერთიანობის, საერთო ეროვნული ფასეულობების შენარჩუნების, თაობებს შორის გაჩენილი ნაპრალის შეესების თვალსაზრისითაც, ვინაიდან შერვაშიძეთა უძველესი საგვარეულოს შთამომავალი, ქართული კულტურის და მისი სულიერი მონაპოვრების თავდადებული გულშემატკივარი, ქართულ-აფხაზური ერთობის და განუყოფლობის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო.

5.	მარიანა ოკლეი	მოითხოვე ყველგან ლაღიდის წყლები და ქართველი მხატვრები 978-9941-27-926-3	თბილისი, SEZANNE	88
----	---------------	---	---------------------	----

დღესდღეისობით ლაღიდის წყლების თემა აქტუალურია ჩვენს ცხოვრებაში. არსებობს დიდი მოთხოვნა ამ ბრენდის აღდგენასთან დაკავშირებით რუსთაველის პროსპექტზე. შესაბამისად, ქართველი მხატვრებიც გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას და ეროვნულ გალერეაში გაიმართა გამოფენა-აქცია სახელწოდებით „მოითხოვე ყველგან“. ამ მოვლენასთან დაკავშირებით დაიბეჭდა ალბომი-კატალოგი, რომელშიც ყველა მონაწილე მხატვრის ნამუშევრია შესული. მას დართული არის ტექსტი, სადაც ასახულია „ლაღიდის წყლების“ შექმნის ისტორია, მისი მნიშვნელობა და როლი, ხაზგასმულია ის გავლენა, რომელსაც ახდენდა რუსთაველზე მდებარე „ლაღიდის წყლები“ ქართული საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

გამოფენამ გააერთიანა სხვადასხვა თაობის მხატვრების დიდი ჯგუფი. სახელმძღვანელო და გამორჩეული ხელოვანების გვერდით, წარმოდგენილი იყო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრები. ტექსტში განხილულია გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები და გახსნილია, ის თუ რა დამოკიდებულებას, პატივისცემასა და სიყვარულს გამოხატავენ შემოქმედნი ამ თემის მიმართ. ეს არის მიძღვნა იმ ქართული ფენომენისადმი, რასაც, „ლაღიდის წყლები“ ჰქვია.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 40-ზე მეტი ნამუშევარი. მასში მონაწილეობდნენ: ქეთი მატაბელი, გია გუგუშვილი, ვახო ბუღაძე, კოტე სულაბერიძე, ვახტანგ გაბუნია, ნუცა ირემიძე, მიშა გოგრიჭიანი, ოლეგ ტიმჩენკო, ილია ზაუტაშვილი, გელა წულაძე, გოჩა ალაპიშვილი, მურთაზ შველიძე, და სხვ.

6	Марина Медзмариашвили	Василий Шухаев. Долгий путь в искусстве. 978-9941-8-0769-5	Тбилиси Русский клуб	52
---	-----------------------	--	-------------------------	----

წიგნი „ვასილი შუხაევი. ხანგრძლივი გზა ხელოვნებაში“ ეძღვნება ცნობილი რუსი ფერმწერისა და გრაფიკოსის ვასილი შუხაევის შემოქმედებას, პედაგოგიურ მოღვაწეობასა და ცხოვრებას.



1910-ან წლებში რუსეთის ხელოვნებაში, სხვადასხვა ავანგარდული მიმდინარეობების გვერდით, ისახება ახალი მიმდინარეობა-ნეოკლასიციზმი. მისი ძირითადი ნიშანი იყო სურათის შექმნის დროს კლასიკური ხელოვნების ტრადიციებისა და მეთოდების გამოყენება. ამ პრინციპზე დაყრდნობით იყო შექმნილი ვ. შუხაევის სადიპლომო ნამუშევარი, დიდი ფერწერული ტილო „ვაქხანალია“ (1912წ. პეტერბურგის სამხატვრო აკადემია). ამ სურათისთვის, რომელიც ამჟამად დაკარგულია, შუხაევს მიენიჭა პრემია-მივლინება იტალიაში. 1914 წელს შეიქმნა შუხაევისა და მისი

მეგობრის ალექსანდრე იაკოვლევის ერთობლივი ნამუშევარი, ორმაგი ავტოპორტრეტი „არლეკინი და პიერო“. 1915-1921 წლებში შუხაევი რუსეტში მოღვაწეობდა-იყო პერერბურგის სამხატვრო აკადემიის ხატვის მასწავლებელი და შექმნა რიგი გრაფიკული და ფერმწერული ნამუშევარი. პეტერბურგში მან გაიცნო ქართველი ქალბატონი, ლიტერატურული სალონის მფლობელი, რუსული „ვერცხლის საუკუნის“ მუზა სალომე ანდრონიკაშვილი. 1917 წელს შუხაევმა შექმნა სალომე ანდრონიკოვას პორტრეტი (სანგინა). ამ დროიდან დაიწყო შუხაევის პირველი შეხება საქართველოს კულტურასთან. . შემდგომში, უკვე პარიზში, შუხაევი აგრძელებს ურთიერთობას სალომე ანდრონიკაშვილთან, და წერს ამ ქალბატონის პორტრეტს. პარიზში შუხაევი თანამშრომლობს ბალიევის და მეერხოლდის თეატრებთან, აფორმებს წიგნებს, ასრულებს კერძო ვილების დიზაინს და ა.შ. 1920-ან წლებში მან გაიცნო ქართველი მხატვარი ელენე ახვლედიანი. ელენე ახვლედიანის და შუხაევის მეგობრობა მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდებოდა. 1935 წელს შუხაევი საბჭოთა კავშირში ბრუნდება. 1937 წელს ცრუ ბრალდებების საფუძველზე შუხაევი და მისი მეუღლე მაგადანში გადაასახლეს. 1947 წელს შუხაევი თბილისში დასახლდა. საქართველოში შუხაევი სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა ხატვას და ფერწერას. ამ პერიოდიდან შეიმჩნევა ცვლილებები მხატვრის შემოქმედებაში. საქართველოში შუხაევის მიერ შექმნილ ნაწარმოებები-პეიზაჟები, ნატურმორტები, პორტრეტები ფერები უფრო ნათელია და სურათის განწყობა-პოეტური და ოპტიმისტური... შუხაევის შემოქმედებაში დიდი ადგილი ავტოპორტრეტის ჟანრს უკავია.

ნაშრომში შედარებულია მხატვრის ადრეული და ბოლო პერიოდის ავტოპორტრეტები. ამ შედარების საფუძველზე გამოჩნდა ის ცვლილებები, რომელიც ხდებოდა მხატვრის მსოფლმხედველობაში და აისახა შემოქმედებაში.

7	გოგი ხოშტარია, მარიამ გაჩეჩილაძე	თეკლა მელაძის პერსონალური გამოფენის - „ოქრო 999,9“ კატალოგი „ფერწერა მონოტონიზმი“	თბილისი	28
კატალოგის ტექსტი მოგვითხრობს ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში გაიმართულ, 17 წლის თვითნასწავლი მხატვრის, თეკლა მელაძის პერსონალურ გამოფენზე „ოქრო 999,9“ წარმოდგენილ ნამუშევრებზე. გაანალიზებულია ახალგაზრდა მხატვრის არც თუ ხანგრძლივი შემოქმედებითი გზა და მისი მიღწევები. გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები მხოლოდ ერთი - ოქროს ფერით და მხატვრის მიერვე შემუშავებული ტექნიკით იქნა შესრულებული, რომელსაც მხატვარმა მონოტონიზმი უწოდა. ოქროსფერი საღებავის ტონალური გრადაციებით სხვადასხვა ჟანრის (ნატურმორტი, პეიზაჟი) ფერწერული ტილოების ზედაპირზე რელიეფურადაა ამოყვანილი ფორმები და მეტად საინტერესო და ნოვატორულ მიგნებაა შემოთავაზებული.				
8	Mariam Gachechiladze	Georgian Poster ქართული სარეკლამო ხელოვნება	საქართველოს განათლების, მეცნიერების,	ტექსტი 36 გვ. 258 ილუსტრაცია.

	გადაცემულია დასაბეჭდად	კულტურისა და სპორტის სამინისტრო	
	წიგნში „ქართული სარეკლამო ხელოვნება“ წარმოდგენილია გრაფიკის დარგის ამ უმნიშვნელოვანესი სახეობის ჩასახვისა და განვითარების ისტორია საქართველოში. სარეკლამო ხელოვნების პირველი ნიმუშები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან გვხვდება და ძირითადად შრიფტით შედგენილი სათეატრო წარმოდგენების აფიშებისა და პერიოდული გამოცემებში განთავსებული ილუსტრირებული სარეკლამო ტექსტებით შემოიფარგლება. პირველი ილუსტრირებული აფიშა კი 1863 წლით თარიღდება და თვითნასწავლ მხატვარს გრიგოლ ტატიშვილს ეკუთვნის. სარეკლამო დანიშნულებისაა ასევე ნიკო ფიროსმანაშვილის დუქნ-სამიკიტნოებისთვის და სხვადასხვა საქონლის რეკლამირებისათვის (ღვინის, ჩაის) შესრულებული აბრები. მე-20 საუკუნის 10-20-იან წლებში მნიშვნელოვანია კირილე და ილია ზდანევიჩების მიერ ფუტურისტ ხელოვნათა ღონისძიებების რეკლამირებისათვის შესრულებული პოსტერები და სარეკლამო ფურცლები. პოლიტიკური პლაკატის პირველი ნიმუშები გამოქვეყნებულია 1925 წელს გამოცემულ წიგნში - Вячеслав Полонский. Русский революционный плакат.— М., 1925. უცნობი ავტორებისა და ნიკოლაი კოჩარგინის მიერ შესრულებული ათამდე პლაკატი, უმეტეს შემთხვევაში რევოლუციური მოწოდებების ქართული ტექსტებითა შედგენილი, მაგრამ არც ნახატის მხატვრული ელემენტებითა და არც ბეჭდვის მაღალი ხარისხით (ამ დროის ნაბეჭდი პროდუქციის ხარისხი ძალზედ მდარეა) არაფერი აქვს საერთო საქართველოსთან, მიუხედავად იმისა რომ მინაწერის მიხედვით, თითქოსდა ისინი თბილისშია დაბეჭდილი. ეს პლაკატები საქართველოს ნებაყოფლობითი გასაბჭოების, გაყალბებული ისტორიის დაფიქსირების მცდელობას წარმოადგენს. 1930-იანი წლების პოლიტიკური პლაკატები თითქმის იგივე - პროპაგანდისტულ ფუნქციას ასრულებს. ამ შემთხვევაში მათ შესრულებაში საქართველოში მცხოვრები მხატვრები ებმებიან (გ. მირზოევი, პ. ბუსირევი, ი. თოიძე); განსაკუთრებული როლი ითამაშა სხვადასხვა იუბილეებისათვის მათ შორის კი 1937 წელს შოთა რუსთაველის 750 წლის საიუბილეო ღონისძიებებისთვის შესრულებულმა პლაკატებმა (დ. გაბაშვილი, მ. გოცირიძე, ე. ლანსერე). 1940-იანი წლების პლაკატის ისტორიაში კი წასმევანი მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით შესრულებული პოლიტიკური პლაკატებია (ი. თოიძე „დედა სამშობლო გვიხმობს“, დ. გაბაშვილი „მესამე იმპერიის აპოთეოზი - ბლიც კრიგ - ბლიც კრახ!“). ამ წლების მნიშვნელოვანი ნიმუშები შესრულდა მხატვართა და პოეტთა გაერთიანებით შექმნილი ჯგუფის მიერ, რომელთა პლაკატები იბეჭდებოდა სარიით „ხიშტი და კალმით“ (მხატვრები: ს. ნადარეიშვილი, მ. ვადბოლსკი, ლ. გუდიაშვილი, ი. გაბაშვილი, ა. ქუთათელაძე). 1940-იანი წლების ბოლოდან - 1950-იანი წლების მიწურულამდე პოლიტიკური პლაკატები ქვეყნის აღმშენებლობისკენ მოუწოდებდა საზოგადოებას. პლაკატების ზედაპირები სხვადასხვა ხასიათის მრავალსიტყვიანი ტექსტებით შედგენილი ლოზუნგებით მოძღვრავდნენ ადამიანებს; ეს ხან ლენინის, სტალინის, მარქსის, ენგელსის და სხვა ბელადების ციტატები იყო, ხან კი სპეციალურად შედგენილი სასწავლო თუ სხვადასხვა ხასიათი დამრიგებლური ტექსტები და წინადადებები, რომელთა დასასურათებელი ნახატები რეალისტური, ხშირად ნატურალისტურად შესრულებული მრავალფიგურიანი კომპოზიციებით იყო შედგენილი და სრულ აცდენაში იყო პლაკატის ლაკონურ ენასთან. ქართული პლაკატის და არა მარტო ქართული, არამედ ზოგადად მაშინდელი სსრკ-ს პლაკატის ისტორიაში, მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა 1958 წელს, მოსკოვში ჩატარებულმა ქართული ხელოვნების დეკადისატის შესრულებულმა პლაკატებმა, რომლებიც ღონისძიებაზე წარდგენილი სხვადასხვა თეატრების სპექტაკლებისა და ცალკეული წარმოდგენების რეკლამირებისთვის იყო განკუთვნილი		

(პლაკატისტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა წამყვანი ქართველი გრაფიკოსი ვლადიმერ (ლადო) გრიგოლია; პლაკატების შექსრულებაზე მუშაობდნენაგრეთვე მხატვრები: შ. კუპრაშვილი, ვ. გიორგობიანი, ს. კაშიანი, ო. ჯიშკარიანი, დ. დუნდუა, ნ. მაღაზონია, ი. გორდელაძე, ლ. შენგელია, მ. ბერძენიშვილი, ე. ბერძენიშვილი). ამ პლაკატებისთვის მთავარი დამახასიათებელი იყო ლაკონური ენა, რომელიც მიღწეული იყო პლაკატის კომპოზიციების შედგენით ყოველგვარი ზედმეტი დეტალიზაციის გარეშე; ამა თუ იმ კონკრეტული ღონისძიების რეკლამირებისთვის სასურველი, ზოგჯერ ფრაგმენტულად ჩართული სიმბოლური ნახატით, შრიფტის ფორმებისა და ფერის შერჩევით.

1960-იანი წლების პლაკატები და აფიშები ინარჩუნებენ ამავე მიდგომას, მეტად ვლინდება მხატვართა ინდივიდუალიზმი, შემოდის შრიფტის ნაირგვარობა, ჩნდება გრაფიკული ტექნიკის გამოყენების მაგალითები. ლინოგრაფიურის ტექნიკით სრულდება კ. მარჯანიშვილის თეატრის აფიშები („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მაია წყნეთელი“ - მხატვრები: მ. და ე. ბერძენიშვილები). პლაკატის სხვადასხვა სახეობებს ქმნიან წამყვანი გრაფიკოსები: ს. ქობულაძე, ჯ. ლოლუა, ზ. ლეჟავა, ნ. და მ. მაღაზონიები, რ. მახარაძე, ა. სარჩიმელიძე, გ. მესხიშვილი, „სამეული“ და სხვები.

1960-80-იან წლებში შესრულების სტილი კიდევ უფრო მარტივდება, მატულობს ემოციურობის და მხატვრობის კიდევ უფრო მარტივი ენით გადმოცემა. პლაკატის დანიშნულებები ფართოვდება, პოლიტიკური და სააფიშო სარეკლამო ფუნქციას ემატება სამედიცინო დანიშნულების, გარემოს, ძველთა დაცვის და სხვა შინაარსის პლაკატები. ჩნდება მხატვართა ახალ-ახალი სახელები (თ. ვარვარიძე, ც. გაჩეჩილაძე, ნ. სავჩენკო, ვ. ქოქიაშვილი, ნ. ჯიშკარიანი, დ. მაღრაძე, ნ. სუმბაძე, თ. ქართველიშვილი, ს. აჯიაშვილი და სხვები).

1990-იანი წლებიდან ქვეყანაში არსებული მძიმედ განვითარებული ისტორიული პროცესების გამო პლაკატი ძირითადად პოლიტიკურ ხასიათს იძენს და საარჩევნო და სხვა ხასიათი პოლიტიკურ მართანში ებმება და თითქმის სრულად კარგავს მხატვრულ ღირებულებას.


XXI საუკუნის ქართულ სარეკლამო ხელოვნებაში კი აქტიურად ჩაერთო თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები, რითაც რეკლამის გავრცელების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობები გაჩნდა. აქტიურად ვითარდება გრაფიკის ხელოვნება, რომელიც თავის თავში ასევე სარეკლამო ფუნქციისაც ითავსებს.

9	Marina Bulia	Medieval Georgian Wall Painting შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა გადაცემულია დასაბეჭდად	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ტექსტი 38 გვ.
		წიგნი მოგვითხრობს შუა საუკუნეების ქართული მხატვრობის ისტორიას IV -დან ვიდრე XIX საუკუნის დასასრულამდე. გაანალიზებულია მხატვრობის როგორც საუკეთესო, ისე დროისთვის დამახასიათებელი ნიმუშები, მათი სტილური და იკონოგრაფიული თავისებურებები; განხილულია ქართული მხატვრობის იდენტობის, ბიზანტიური, ზოგადად, აღმოსავლეთქრისტიანული მხატვრობის ტრადიციებთან თუ აღმოსავლურ ხელოვნებასთან მისი მიმართების საკითხები. წიგნი გამოიცემა ინგლისურ ენაზე. ის მდიდრულადაა ილუსტრირებული და გათვლილია მკითხველთა ფართო წრეზე.		
10	Mariam Gabashvili	From Prehistory to Christianity (Following the Footsteps of Archaeological Cultures of Georgia	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ტექსტი 35 გვ.

		Through the Perspective of Art History) პრეისტორიული ხანიდან ქრისტიანობამდე გადაცემულია დასაბეჭდად		
	წიგნი მოიცავს არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა მიმოხილვას წინაქრისტიანული საქართველოს კულტურების კვალდაკვალ. არტეფაქტების ქრონოლოგია იწყება პრეისტორიული ხანიდან, კერძოდ მეზოლითის ხანის კლდეზე ნაკაწრი გამოსახულებებით, ე.წ. პეტროგლიფებით. სხვადასხვა დარგის მხატვრული ნაწარმოებები და ხუროთმოძღვრული ელემენტები განხილულია არქეოლოგიურ კულტურათა და ისტორიულ მოვლენათა ჭრილში. მოცემულია მათი დამახასიათებელი თვისებები, როგორც ეპოქისმიერი ისე, ინდივიდუალური მიდგომის თვალსაზრისით. გამოვლენილია პარალელები საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ, სხვა თანადროულ კულტურებთან თუ კონკრეტულ არტეფაქტებთან. კერძოდ, ნეოლით-ენეოლითის ხანის შულავერ-შომუთეფეს კულტურის საცხოვრებელი ნაგებობები, მათი სტრუქტურა, დიზაინი და მხატვრულ-სიმბოლური დანიშნულება, ამავე კულტურის მცირე ქანდაკებები, როგორც პლასტიკის პირველი ნიმუშები საქართველოს ტერიტორიაზე; ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის სამშენებლო ტრადიციები, მხატვრული ლითონის დამუშავება და კერამიკა. ცალკე გამოყოფილია ორნამენტი, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის დამოუკიდებელი მხატვრული ელემენტი; შუა ბრინჯაოს ხანის ბედენის კულტურა და თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანული კულტურა, მათი ისტორიულ-არქეოლოგიური კონტექსტი, ოქროსა და ვერცხლის მხატვრული დამუშავება, საიუველირო ხელოვნების აყვავების პირველი ფაზა, რთული ტექნიკური ხერხების სრულყოფილი ათვისება და გამოყენება; მოხმობილია პარალელური მასალა ძველი აღმოსავლეთის, კერძოდ, ურუქისა და ხეთურ-ხურიტული კულტურული მემკვიდრეობიდან; ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური ბრინჯაოს კულტურის მატერიალურ ძეგლებს, კერძოდ, ბრინჯაოს არტეფაქტებზე (ცულები, შუბის პირები, ფიბულები, სხვ.) გრაფიკული ხელოვნების განვითარების გზებს და მიეზებს; ამავე ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ნიმუშებს და ცენტრალურამიერკავკასიურ გრაფირებულ სარტყლებს, სადაც ამ ეპოქის მითოლოგიური და სიმბოლური წარმოდგენები ილუსტრირებულია მხატვრული ენით. ანტიკური კოლხეთის უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა წიგნში შემოიფარგლა ვანის ნაქალაქარში აღმოჩენილი არტეფაქტებით. ამათ ემატება ვანის ნაქალაქარის ელინისტური ხანის საგულისხმო არქიტექტურული ნაგებობის ნაშთები, რომლებიც ადგილობრივთან ერთად, ელინისტური ხანის სამშენებლო ტრადიციების რთულ და საინტერესო სინთეზს წარმოადგენს. ელინისტური ხანისავე აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლის (იბერიის) სამეფოს კულტურის არეალში ნაქალაქარების საგულისხმო ძეგლებია დაფიქსირებული, მათ შორისაა სამადლო-ნასტაკისი, კავთისხევი, ხორანთა, უფლისციხე, დაბოლოს მცხეთა. წიგნში მოკლედ არის აღწერილი თითოეული მათგანის ხუროთმოძღვრების საგულისხმო დეტალები, მოყვანილია პარალელური მასალა აქემენიდური სამშენებლო ტრადიციებიდან. გარდა ამისა, განხილულია საოქრომჭედლო ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ნიმუშები სამეფურიდან, რომელიც ახალგორის განძის სახელით არის ცნობილი. გვიანანტიკური ხანის მასალაში თავმოყრილია დიდი მცხეთის ხუროთმოძღვრების საგულისხმო ძეგლები, ასევე ოქრომჭედლობისა და			

ტორეცტიკის უბადლო ნიმუშები არმაზისხევის, ბაგინეთის, ბორის, ზღუდერის, კლდეეთისა და სხვა სამაროვნებიდან. ცალკე ადგილი ეთმობა ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების უნიკალურ არტეფაქტებს - ჭვირულ ბალთებს, რომელთა ქრონოლოგია ახ.წ. I-დან IV ს-ის შუა ხანებით შემოიფარგლება, ვიდრე ქართლში ქრისტიანული აღმსარებლობა ოფიციალურად არ გამოცხადდა.

11	Mariam Didebulidze	Fine Arts in Medieval Georgia სახვითი ხელოვნება შუა საუკუნეების საქართველოში გადაცემულია დასაბეჭდად	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ტექსტი 35გვ.
----	---------------------------	--	--	--------------



წიგნი ეძღვნება შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების რამდენიმე დარგის (ხატწერა, ჭედურობა, წიგნის დასურათება, ქვის რელიეფი, მინანქარი, ნაქარგობა) განვითარებას შუა საუკუნეების საქართველოში; მათ სპეციფიკას ზოგადად და კერძოდ ქართული ნაწარმოებების თავისებურებას, მხატვრულ გემოვნებას, შემოქმედების თვითმყოფადობას. ცალკეული დარგები განხილულია დროში განვითარების თვალსაზრისით, იკონოგრაფიისა და მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებათა გამოკვეთით და ანალიზით.

12	ვახტანგ ბერიძე (გამოკვლევა) დიმიტრი თუმანიშვილი (დანართი) გიორგი პაპაშვილი (ანოტაციები)	კულტურა და მხატვრული ცხოვრება საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) 978-9941-8-0635-3	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	172
----	---	---	---------------------------------	-----

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისადმი მიძღვნილი ქართულ-ინგლისური და უხვალ ილუსტრირებული გამოცემა „კულტურა და მხატვრული ცხოვრება საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)“ მოიცავს აკადემიკოს ვახტანგ ბერიძისა (1914-2000) და პროფ. დიმიტრი თუმანიშვილის ნარკვევებს დამოუკიდებლობის წლების კულტურულ მოვლენებზე, აგრეთვე გიორგი პაპაშვილის მიერ შედგენილ ილუსტრაციების ვრცელ სამეცნიერო-საცნობარო ანოტაციებს

13	Giorgi Papashvili, Natia Tsulukidze	Photography in Georgia ფოტოგრაფია საქართველოში გადაცემულია დასაბეჭდად	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ტექსტი 35გვ.
----	--	--	--	--------------



წიგნში აღწერილია ქართული ფოტოგრაფიის ისტორია 1921 წლიდან ვიდრე დღემდე. მოკლედაა განხილული ფოტოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები; აქ მოღვაწე უცხოელ თუ ქართველ ოსტატთა შემოქმედება; ფოტოგრაფიის მიმართება სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებთან, საზოგადოების კულტურულ და მხატვრულ მოთხოვნებთან. ასევე, დახასიათებულია ფოტოგრაფიის დოკუმენტური და მხატვრული თავისებურებანი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.

14	Natalia Chitishvili	Bridges in Medieval Georgia	საქართველოს	ტექსტი 30გვ.
----	----------------------------	------------------------------------	-------------	--------------

	ხიდები შუა საუკუნეების საქართველოში გადაცემულია დასაბეჭდად	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	
	საქართველოში ხიდების მშენებლობას მრავალსაუკუნოვანი სამშენებლო ისტორია აქვს, რაც ბუნებრივია, თუკი გავითვალისწინებთ, რაოდენ მდიდარია ქვეყანა წყლის რესურსებით. დღეს ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 100-მდე შუა საუკუნეების ხიდი თუ ნახიდურია შემორჩენილი (სამწუხაროდ, უმეტესი წილი ნახიდურებზე მოდის), იქნება ეს ქვით ნაგები თუ ხით ნაშენი ხიდები. შუა საუკუნეების ხიდების მნიშვნელოვანი ნაწილია დაცული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აჭარაში და ისტორიული საქართველოს მხარეებში ტაო-კლარჯეთ-შავშეთ-ლაზეთში (დღეს თურქეთის ტერიტორია). საქართველოში გვხვდება სხვადასხვა სახის ხიდები. გვაქვს ქვის თაღოვან-კამაროვანი ხიდები, ასევე ხიდები, სადაც ქვის ბურჯებზე მალის გადამხურავ კონსტრუქციად ხეა გამოყენებული. გარდა ამისა, შუა საუკუნეებში აქტიურად გამოიყენებოდა ხის სხვადასხვა სახეობის ხიდები (დაკიდული ხიდები, კოჭოვანი და კოჭოვან-კონსოლებიანი ხიდები და ა.შ.). ბუნებრივმა გეოგრაფიულმა რელიეფმა და წყლით უხვად მდიდარმა გარემომ განაპირობა საქართველოში უხსოვარი დროიდან ხიდების მშენებლობის უწყვეტი ტრადიციის არსებობა, რომლის არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ნიმუშია ჩვენამდე შემონახული. დღემდე შემორჩენილი შუა საუკუნეების ხიდების დიდი წილი ქვითაა ნაგები, ხოლო ხის ხიდების ძალზე მცირე ნაწილია დარჩენილი, გამომდინარე მასალის არამდგრადობისა და ისინიც გვიანი შუა საუკუნეებისა. ხშირად მდინარის ხასიათიდან გამომდინარე შესაძლოა არც ყოფილიყო საჭირო სპეციალური კონსტრუქციის მშენებლობა ნაპირიდან ნაპირზე გადასასვლელად და მარტივად გადებული ხის მორიც უზრუნველყოფდა ადამიანის მეორე ნაპირზე გადასვლას, ხანაც სპეციალურად მდინარეში ჩადებული ქვები ასრულებდა ამ ფუნქციას. უმეტესი ნაწილი ხიდებისა თუ ნახიდურებისა, რაც დღეს ისტორიულ საქართველოშია შემორჩენილი ძირითადად მიეკუთვნება განვითარებულსა და გვიან შუა საუკუნეებს, X-XI საუკუნეებიდან ვიდრე XVIII საუკუნის ბოლომდე. დღემდე მოღწეული, არცთუ მრავალრიცხოვანი არსებული ნიმუშები შუა საუკუნეების ქვისა თუ ხის ხიდებისა ცხადყოფს ხიდთა მშენებლობის თუ რაოდენ დიდი კულტურა არსებობდა საქართველოში. ეს არცაა გასაკვირი: უმველესი დროიდან მოყოლებული ქართველი მშენებლები ერთნაირად ხმარობდნენ სხვადასხვა მიზნებისთვის ხესა თუ ქვას, რითიც ესოდენ მდიდარია საქართველო, იცოდნენ მათი თვისებები და დამუშავების მაღალ ტექნიკას ფლობდნენ, ისევე როგორც ორივე მასალით მშენებლობაშიც კარგად იყვნენ გაწაფულნი. ამას დღემდე შემორჩენილი ზემოთ განხილული აჭარის XI-XII საუკუნეების ხიდების მკვირვად ნაგები თხელი თაღები და დღემდე ფუნქციური ხიდებიც ნათლად მოწმობენ. ქვით ნაგები შუა საუკუნეების ხიდები გამოირჩევა თავიანთი თხელ თაღთა მოხდენილობით და სიმტკიცით, სწორედ ეს იყო, რაც აოცებდათ ამ ხიდთა ნახვისას უცხოელ მოგზაურებსა და მკვლევარებს. შუა საუკუნეების ჩვენს დრომდე შემორჩენილი საინჟინრო ნაგებობები, იქნება ეს ქვისა თუ ხის ხიდები, ან თუნდაც აკვედუკები, გამოირჩევიან თავიანთი მაღალი საინჟინრო და არქიტექტურული გადაწყვეტით და ნათლად აჩვენებენ საქართველოში ამ ტიპის ნაგებობების მშენებლობის უწყვეტ და დიდ ტრადიციას და არქიტექტურული აზროვნებისა და სამშენებლო საქმის იმ მაღალ დონეს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უწყვეტად გადაეცემოდა თაობიდან თაობას.		

15	დავით ხოშტარია მანონ ლილუაშვილი ნინო ჭიჭინაძე	პონტოელი ბერძნების კულტურული მემკვიდრეობა საქართველოში ISBN 978-9941-8-0856-2	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი	160
ბერძნები სამხრეთ კავკასიაში რამდენიმე ტალღად ჩამოსახლდნენ პირველი დიდი ჯგუფი მეფე ერეკლე მეორემ ჩამოიყვანა 1770-იან წლებში და ლორეში დაასახლა. ისინი მემთამადნეები იყვნენ და ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის საბადოებზე მუშაობდნენ. 1800-1810-იან წლებში ბერძნები მცირე რაოდენობით ჩანან ქართლში, ძირითადად თბილისში. გადმოსახლების მეორე ტალღა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შემდგომ პერიოდზე მოდის, როცა ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიიდან რუსეთის იმპერიის სამხრეთი რეგიონებისაკენ მასობრივად დაიძრა ქრისტიანი მოსახლეობა. ბერძნების ნაწილი იმხანად თრიალეთში დასახლდა. 1864 წელს 300 კომლი ბერძენი გადმოვიდა სამცხე-ჯავახეთსა და თორში. ბერძნების კიდევ ერთი დიდი ჯგუფი ჩამოვიდა 1868-1869 წლებში, როცა ოსმალეთის ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ ახალი რეპრესიები წამოიწყო. ისინი დასახლდნენ აფხაზეთში - ისევ, როგორც ცოტა მოგვიანებით 1870-80-იან წლებში ჩამოსულები. ბერძნების ნაწილი დროთა განმავლობაში დიდ ქალაქებში - პირველ რიგში თბილისში, ასევე ქუთაისსა და ბათუმში გადასახლდა. ქვისმთლელები და კალატოზები ერივნენ საქართველოში XIX საუკუნეში დასახლებულ ბერძენთა ყველა ჯგუფში. გარდა ამისა, მათზე არანაკლებნი (შესაძლოა მეტნიც) იყვნენ ბერძენი მშენებელი ოსტატები, რომლებიც სეზონურად ან ზოგჯერ რამდენიმე წლით სამუშაოდ ჩამოდიოდნენ საქართველოში. ისინი ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომებად რჩებოდნენ და მუდმივი საცხოვრებელი ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში ჰქონდათ. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ბერძნები აშენებდნენ ქართლში, კახეთში, თორში, თრიალეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, რაჭაში, გურიაში, აჭარაში, სამეგრელოში, აფხაზეთში - როგორც დიდ ცენტრებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი), ისე პატარა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში. მათი მოღვაწეობის ძირითადი სფერო საეკლესიო მშენებლობა იყო, თუმცა აგებდნენ საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებსაც. ბერძენი მშენებლები აგურს, როგორც წესი, არ იყენებდნენ. ისინი ქვითხუროები იყვნენ და, პირველ რიგში, ქვისმთლელობით გაითქვეს სახელი. ეს რეპუტაცია მათ საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც კარგა ხანს შერჩათ. ბერძენი ქვითხუროების საქმიანობა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში მშენებლობის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. ბერძენმა ოსტატებმა შესამჩნევი კვალი დატოვეს იმდროინდელ მშენებლობაში და განსაკუთრებით საეკლესიო არქიტექტურაში. მათი ნამოღვაწარის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ამ არქიტექტურის საერთო სურათის სრულად წარმოჩენა. XIX და XX საუკუნეებში სხვადასხვა ქვეყანაში პონტოელ ბერძენთა მიგრაციამ ტრანსნაციონალური დიასპორის შექმნა გამოიწვია. მათი იდენტობა მართლმადიდებელი რელიგიით მქლენდება, რომელიც ერთი მხრივ, სხვადასხვა ქვეყანაში განსახლებული ბერძნების შემაკავშირებელი მძლავრი ფაქტორია, ხოლო მეორე მხრივ, განმტკიცებს მათ კავშირს საერთო ისტორიულ ძირებთან. სამშობლოდან მოშორებით, ახალ ტერიტორიებზე. დიასპორა სხვადასხვა სახის კულტურული პრაქტიკისა და სიმბოლოების მეშვეობით, ინარჩუნებდა იდენტობას. კულტურული გამოცდილებისა და კოლექტიური მეხსიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად რელიგიური ხელოვნება გვევლინება. სწორედ რელიგიურ კულტურაში მჟღავნდება თავისებური ფორმით ხალხის ისტორიული გამოცდილება, რომელიც რიტუალისა და ხელოვნების მეშვეობით თაობიდან თაობას გადაეცემა. დღეისათვის აღინუსხება საქართველოში დამკვიდრებულ ბერძენთა არქიტექტურისა და საეკლესიო ხელოვნების არაერთი საყურადღებო ქმნილება,				

რომლებშიც ვლინდება ეპოქის მხატვრულ-სტილური და კულტურულ-იდეოლოგიური ტენდენციები.				
16	გიორგი (გოგი) ხოშტარია	ნიკო ფიროსმანიშვილის მხატვრული მეთოდი გადაცემულია დასაბეჭდად	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი	170
წიგნი ეხება ნიკო ფიროსმანიშვილის მხატვრული მეთოდის განსაზღვრას. საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს: I თავი - მიუხედავად ვრცელი ლიტერატურისა ფიროსმანიშვილის მხატვრული მეთოდი დამაკმაყოფილებლად გახსნილი არ არის. მეთოდი როგორც აბსოლუტურად ურთიერთგანსაზღვრული საწყისებისგან შემდგარი მთლიანობა აგებულია მხატვრულ ლოგიკაზე: ასახვის საგანის სპეციფიკა, შერჩევა-განზოგადება, მასალა და ა.შ. II თავი - ხდება ეპოქის დახასიათება მე-19 ს-ის დასასრულისა და მე-20-ს დასაწყისის მხატვრული ცხოვრების დახასიათება და ფიროსმანიშვილის მოკლე ბიოგრაფიული ფაქტები. ლიტერატურის განხილვა ჩვენთვის საყურადღებო აქცენტების გამოყოფით. მაგ.: მხატვრული სახის ტიპოლოგია, ლაკონიზმის როლი, განსახვავებული შეფასებით და ა.შ. III თავი - მხატვრული ნაწარმოების მოდელი რომლის სააფუძველზეც ხდება ნიმუშების წყობისეული ანალიზი. დასაბუთება რატომ არის საჭირო ახალი შეფასება - რას ვიღებთ წარსულიდან პოზიტიურს და როგორ ვითარდება. IV თავი - განიხილება: ნატურმორტი, პორტრეტი - ტიპი, ქეიფის სცენები, მრავალ სცენიანი კომპოზიციები, ანიმალისტური ნაწარმოებები. V - დასკვნა.				
17	David Khoshtaria	Church Architecture in Medieval Georgia შუა საუკუნეების ქართული სატაძრო ხუროთმოძღვრება გადაცემულია დასაბეჭდად	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ტექსტი 35გვ.
წიგნში Church Architecture in Medieval Georgia განხილულია შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრების ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები, მათთვის დამახასიათებელი მხატვრული თავისებურებები; ქართული ხუროთმოძღვრების იდენტობის საკითხები; მისი მიმართება რეგიონისა და აღმოსავლეთსაქრისტიანოს სხვა ქვეყნების არქიტექტურასთან. წიგნი გამოიცემა ინგლისურ ენაზე და უზვად იქნება ილუსტრირებული.				

18	მზია სურგულაძე, ნესტან ჩხიკვაძე, ლელა შათირიშვილი, მაია კარანაძე, ნიკოლოზ ჟღენტი, ეთერ ედიშერაშვილი	ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა (გამოკვლევა, ტექსტები): ISBN: 9789941956409	თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შპს პოლიგრაფი	გვ. 110-126
წიგნის თავში: ტაო-კლარჯული ხელნაწერი წიგნის მინიატურა (მკვლევარი - ეთერ ედიშერაშვილი) განხორციელდა მხატვრულად გაფორმებული ტაო-კლარჯული ხელნაწერების სახელოვნებათმცოდნეო კვლევა. ხელნაწერები შეიკრიბა, განხორციელდა მასალის ინვენტარიზაცია და კატალოგიზაცია ქრონოლოგიური არეალის მიხედვით. თანადროულ ქართულ და ბიზანტიურ მასალასთან შეჯერებით გამოიკვეთა ტაო-კლარჯული მინიატურების რეგიონალური თავისებურებები და მათი ადგილი შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების სივრცეში.				
19	სამსონ ლეჟავა ნინო ჭინჭარაული	გურამ გელოვანი ISBN # 978-9941-9543-6-8	თბილისი, 2018	ტექსტი გვ. 7-35
 მონოგრაფიაში განიხილება გურამ გელოვანის, 1950-60 წწ. ცნობილი ფერმწერის შემოქმედება, მისი ეტაპური, ოფიციალურად აღიარებული ქმნილებები. ნაჩვენებია, რომ გამოქვეყნებულ კვლევებში ეს ცნობილი ოსტატი ნაკლებად არის გაანალიზებული. სათანადო შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ იგი სულაც არ ყოფილა კონიუქტურის მიმდევარი ოსტატი, არამედ სინამდვილეში, „შეფარული მამხილებელი“ აღმოჩნდა. ამასთანავე, მისი მხატვრობის ნაკლებ ცნობილი, მაგრამ დიდი ღირებულების მქონე დანატოვარი - შეძლებისდაგვარი სისრულით იქნა შესწავლილი, რის შედეგადაც ნათელი გახდა მისივე მემკვიდრეობის მასშტაბი და მნიშვნელობა.				
20	სამსონ ლეჟავა	ხუტა ირემაძე	თბილისი, მაგთი, 2018	ტექსტი გვ. 4-18



მონოგრაფიაში გაანალიზებულია 1980-იანი წწ. მნიშვნელოვანი ფერმწერის, ხუტა ირემადის დანატოვარი. მისი ფერწერა ნათელყოფს, რომ იგი ქართული „ნეოექსპრესიონიზმის“ ძალზე სერიოზული წარმომადგენელია, მაგრამ რამდენადმე ცალკე მდგომი ფიგურაა. წამყვანი მასთან არის ფემინური თემატიკა. ოსტატთან ჩვენ ვხედავთ - ერთი მხრივ, მძაფრ, ტემპერამენტისადაც ნაწერ, რამდენადმე „დიონისურ“ მატრონებს, ვიტალურთ და აგრესიულთ, რაშიც შეფარული კრიტიციზმი მჟღავნდება. მეორე მხრივ მოგვიანოდ - სურათი იცვლება -

პერსონაჟები უფრო ლირიკული ინტონაციების მატარებელია. ყველგან ჩანს სწორედ ფერმწერის ხედვა, მისი დახვეწილი „კოლორისტული“ ოსტატობა.

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია ციციშვილი (ლ. გაფრინდაშვილი მ. გეგია დ. შველიძე და სხვ.)	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1918-1921 წწ. ენციკლოპედია -ლექსიკონი ISBN 978-9941-13-718-1	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სულ 560 - 45

ქართულ ისტორიოგრაფიას დღემდე აკისრია ისტორიული ვალი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის წინაშე.

სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიოგრაფიას მთელი 70 წლის განმავლობაში არ ჰქონდა შესაძლებლობა, შეესწავლა და წარმოეჩინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია, პირიქით, საბჭოური ისტორიოგრაფია მხოლოდ იმით იყო დაკავებული, რომ უგულებელყოფდა ან დაემახინჯებინა დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია. საქართველოს ისტორიის არც ერთი პერიოდი გაუკუღმართებულა ისე, როგორც 1918-1921 წლების რეალობა.

დღეს მკითხველთა წინაშეა დამოუკიდებელი საქართველოს სამწლიანი ისტორიის ამსახველი კომპლექსური შინაარსის სწორედ ასეთი ნაშრომი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი. მისი მიზანი იყო, ენციკლოპედიური სტატიების სახით გადმოეცა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ყოვლისმომცველი ისტორია იგი შედგება 938 სტატიისაგან.

ენციკლოპედია-ლექსიკონში შეტანილი სტატიები შინაარსობრივად სამი თემისგან შედგება: პიროვნებათა ბიოგრაფიები, ორგანიზაციები და მოვლენები. ბიოგრაფიული სტატიები ეძღვნება იმ პერიოდის ცნობილ და აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეებს, საქართველოს მთავრობის, პარლამენტის და სენატის წევრებს, პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, დიპლომატებს, საზოგადო მოღვაწეებს, კულტურის სფეროს (მეცნიერების, მწერლების, მუსიკის, თეატრის, მხატვრობის...) გამოჩენილ წარმომადგენლებს და ა.შ.

წინამდებარე ენციკლოპედიის სტატიებში ასახულია ის მრავალფეროვანი სამყარო, რომელიც პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მცირე ისტორიულ პერიოდში ჩამოყალიბდა საქართველოში, ის დიდი, მასშტაბური კულტურულ-პოლიტიკური და ინტელექტუალური აღმავლობა, რომელიც რესპუბლიკის

სამწლეულში მოჰყვა ეროვნული ენერგიის განთავისუფლებას.				
2	მარიამ გაჩეჩილაძე	მხატვარი ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე ალმანახი „მწიგნობარი-2018“	თბილისი, მწიგნობართა ასოციაცია	12
სტატია ეძღვნება ალექსანდრე (შურა) ბანძელაძის შემოქმედებას. გამოკვეთილია მხატვრის ადგილი და როლი ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში. მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს მოსდევს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში (ფერწერა, ქანდაკება, დაზგური გრაფიკა) მხატვრის მიერ შეტანილი წვლილის გამოკვეთა, ძირითადი ადგილი კი საჟურნალო გრაფიკის და წიგნის ილუსტრირებას აქვს დათმობილი. კვლევა ქრონოლოგიურად მიყვება მხატვრის მიერ გაფორმებულ გამოცემებს. განსაკუთრებითაა გამოკვეთილი საეტაპო ნამუშევრები („არსენას ლექსი“ 1957 და 1966 წწ.; რედიარდ კიპლინგის „მაუგლი“ 1961 წლისა და მოგვიანო 1980-იანი წლების ილუსტრაციები); სტატიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მხატვრის მიერ გაფორმებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გაფორმებაზე მუშაობის პროცესის და მიღებული შედეგის წარმოჩენას. სტატიის შემაჯამებელ რეზიუმეში ხაზგითაა გამოკვეთილი შურა ბანძელაძის შეხედულება მომავალი თაობის, ახალგაზრდა მხატვრების, აკადემიურ საფუძვლებზე აღზრდის აუცილებლობის შესახებ.				
3	მარიამ გაჩეჩილაძე	ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. IV ISBN 998-99928-20	თბილისი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია	5
საენციკლოპედიო სტატია ეხება ილუსტრაციის განმარტებას. მიმოხილვით ტესტში წარმოდგენილია ზოგადად ილუსტრაციის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, ცალკეა გამოყოფილი ქართული ილუსტრაციის ისტორია ჩასახვიდან დღევანდელ დღემდე.				
4	სოფიო ჩიტორელიძე	არქივმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები ISBN 978-9941-8-0504-2	თბილისი, საქართველოს ეროვნული არქივი	10
ქართული პროფესიული კერამიკა 1950-1960-იანელ კერამიკოსთა შემოქმედებაში სტატია ეძღვნება 1950-1960-ანელ პროფესიონალ კერამიკოსთა მოღვაწეობას. წერილის დასაწყისში ზოგადად მიმოხილულია ის ძირითადი ფაქტორები, რამაც აღნიშნული თაობის კერამიკოსთა შემოქმედებითი წინსვლა და წარმატება განაპირობა. განხილული ნიმუშების მაგალითზე ნაჩვენებია კერამიკოსთა განსხვავებული, მრავალმიმართულებიანი ინტერესები. ცნობილია რომ, თანამედროვე ქართული პროფესიული კერამიკის ისტორია 1925 წლიდან დაიწყო, ახლად დაარსებულ თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1922 წ.). 1927 წელს ქანდაკების ფაკულტეტთან კერამიკული განყოფილება ჩამოყალიბდა. ხოლო, 1930 წლიდან სამხატვრო აკადემიის რეფორმის შემდეგ, კერამიკის ფაკულტეტიც გაიხსნა. 1930-იან წლებში თბილისის სამხატვრო აკადემიამ პირველი პროფესიონალი კერამიკოსების თაობა გამოუშვა, 1941 წლამდე ორი, ხოლო 1941 წლიდან ყოველწლიურად უშვებს. 1920–30-იანი წლების კერამიკის მიმართულების სასაწავლო პროგრამაში წამყვანი ტექნიკური საგნები იყო, დიდი ადგილი ქიმიურ კვლევებს და ამ ნიშნით წარმართულ ექსპერიმენტებს ეთმობოდა. 1940-ანი წლებიდან კერამიკის ფაკულტეტი ახალი სასწავლო პროგრამით ხელმძღვანელობდა. ტექნიკური საგნების შემცირების ხარჯზე, მკვეთრად გაიზარდა მხატვრული და სპეციალური დისციპლინები. 1930-იანი წლების ბოლოსა და 1940-იანი წლების დასაწყისში თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტზე, სასწავლო-მეთოდოლოგიურმა რეფორმამ პროფესიულ კერამიკულ ხელოვნებაში, მხატვრული და შემოქმედებითი მიმართულების ახალი ეტაპის ჩამოყალიბება განაპირობა.				



აღსანიშნავია ისიც, რომ 1939-1942 წლებში კერამიკის ფაკულტეტის პედაგოგთა რიცხვს თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული: ზაქრო მაისურაძე, ნიკოლოზ გომელაური, სულხან სულხანიშვილი, ეკატერინე ბაბლიძე, გიორგი (გოგი) ქართველიშვილი და სხვა კერამიკოსები შეემატა. ჯგუფის ერთობლივმა მოღვაწეობამ პროფესიონალი კადრების აღზრდის თვალსაზრისით უდაოდ, დარგის წარმატებული მომავალი განაპირობა.

მხატვრული კერამიკის წარმოება რთულ ტექნოლოგიურ სქემას მოითხოვს, რისთვისაც იგი გამართულ ტექნიკურ ბაზას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ქართული პროფესიული კერამიკის განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა 1958 წელს სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტთან

არსებული ტექნოლოგიური ლაბორატორიის სასაწავლო ექსპერიმენტულ სახელოსნოდ გადაკეთებას. სახელოსნო იმ დროისთვის ახალი ტექნიკური დანადგარებით მოეწყო, რაც აკადემიის სტუდენტებსა და იქ მოღვაწე კერამიკოსებს ახალ შემოქმედებით შესაძლებლობებს სთავაზობდა. გარდა სასწავლო-პრაქტიკული ფუნქციისა, სახელოსნოში მუდმივად მუშაობდნენ მხატვრები, რომლებიც ეწეოდნენ დამოუკიდებელ შემოქმედებით საქმიანობას, ამავდროულად ქმნიდნენ ეტალონებს სხვადასხვა საწარმოებისათვის და ა. შ. სახელოსნოში თავი მოიყარა ძველი და ახალი თაობის გამორჩეულმა, ინდივიდუალური ხელწერის მქონე კერამიკოსთა ჯგუფმა, რომელთა შემოქმედებამ მნიშვნელოვანი

როლი შეასრულა თანამედროვე, პროფესიული ქართული კერამიკის ისტორიაში (ამასთანვე, საგულისხმოა სახელოსნოს გარეთ მოღვაწე, დასახელებული თაობის, მხატვარ-კერამიკოსების შემოქმედებითი მოღვაწეობა).

1950-1960-იანელ კერამიკოსთა შემოქმედების მხატვრული სახის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი იყო ე. წ. „ფაიფურის პერიოდში“ (1950-იან წლები), ახალგაზრდა კერამიკოსების წითელი თიხით დაინტერესება და მისი ძირითად სამუშაო მასალად „დაბრუნება“. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე მასალა, მათ თავისთავად მდიდარ ტექნოლოგიურ გამოცდილებას, ფორმისეულ თუ დეკორატიულ მემკვიდრეობას სთავაზობდა. ასევე, დიდი როლი შეასრულა 1930-1950-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად წარმართულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა. უხვად აღმოჩენილი სხვადასხვა პერიოდის კერამიკული არტეფაქტებით ივსებოდა მუზეუმების საცავები. ვიზუალური სურათის გარდა, რომელსაც არქეოლოგიური მასალა იძლეოდა, მნიშვნელოვანი იყო მასზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევები, სადაც ისტორიულ და მხატვრულ-სტილისტურ ანალიზთან ერთად უაღრესად დიდი ყურადღება ცალკეულ ნიმუშთა თუ კოლექციების დამზადების მეთოდებსა და ტექნიკური შემკობის ხერხების შეწავლას დაეთმო. კვლევის კომპლექსური მიდგომა კერამიკოსებს საშუალებას აძლევდათ „არსებული ქართული მხატვრული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის შედეგად განვითარებინათ და შეეცნოთ ქართული მხატვრული კერამიკა იმ ახალი ტექნოლოგიური ხერხებითა და მეთოდებით, რომელიც მანამდე მას არ გააჩნდა.“ ძველი ნიმუშების შესწავლის შედეგად აღდგა ნიმუშთა დეკორატიული შემკობის არაერთი ტექნიკა, დადგინდა სხვადასხვა საღებავისა და ჭიქურის რეცეპტი. მათ შორის, შეისწავლეს ნაკეთობათა შებოლვის ტექნიკაც, რომელიც როგორც მხატვარი ეკატერინე ბაბლიძე ერთ-ერთ პირად ჩანაწერში აღნიშნავს: „უპირველესია იმ მრავალფეროვან საფუძველთა შორის, რომელთაც თანამედროვე მხატვრული კერამიკის ეროვნული სახე ეყრდნობა“.

1950-1960-იანელ კერამიკოსთა შემოქმედებისათვის შებოლილი მუქი შავი, რუხი, ყავისფერი კეცი ერთ-ერთი მკვეთრად სახასიათო ნიშანია. მუქი ფერით შექმნილი „სიმკაცრე“, სისადავე, მონუმენტურობა კარგად მიესადაგებოდა ქართული კერამიკისთვის ტრადიციულ ზომიერების გრძნობას. იგი იყო ეროვნულიც, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მატარებელი. შებოლილ კეცზე დატანილი ძუნწი გეომეტრიული ორნამენტი თუ ცხოველებისა და მხედრების სქემატურ-ხაზობრივი გამოსახულებებიც არქეოლოგიურ კერამიკასთან სიახლოვეს იჩენდა. გარდა კერამიკული დეკორისა თანამედროვე მხატვრების მიერ შექმნილ ნიმუშების შავ ფონზე მხატვრულად აჟღერდა ხევისრული ხალიჩისა და სამოსის დეკორის ფერადი ნახატები, ძველი ქსოვილებიდან შთაგონებული ფიგურული თუ დეკორატიული სახეები, ქართული ტამრის რელიეფებიდან აღებული ჩუქურთმის მოტივები, ჭედურობის ბრწყინვალე ნიმუშებს მოგვაგონებს ნაკეთობათა ზედაპირზე დაპერწილი ფერადი ჭიქურით დაფერილი

რელიეფური კოპების ელვარება და ა.შ.



გარდა ამისა თანამედროვე ყოფას მორგებულ ახალ, ზოგ შემთხვევაში ძველ ან ფუნქცია შეცვლილ ნიმუშთა ფორმებზე გამოჩნდა ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ტიპაჟები, ყოფითი სცენები და. ა.შ. 1950-1960-იანელ კერამიკოსთა შემოქმედებაში შავკრიალა კერამიკის გვერდით ასევე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტერაკოტის მასალითა და ანგობის საღებავებით მოხატულ ნიმუშებს, აღდგენითი, ფერადი და მაიოლიკის ჭიქურებით შემკობილ ნაკეთობებს, მათ შემოქმედებაში წითელ თიხასთან ერთად, დამკვიდრდა შამოთის მასალა და ა.შ.

ქართული პროფესიული კერამიკა 1950-1960-იანელ მხატვრების შემოქმედებაში მრავალი მიმართულებით განვითარდა. წამყვანი როლი კვლავ მცირე ზომის საყოფაცხოვრებო და დეკორატიულ ჭურჭელს აქვს. მათ შორის ფორმების მრავალფეროვნებით გამოირჩევა დოქები, რომლის მრავალი, განსხვავებული ვარიანტი თითქმის ყველა მხატვრის შემოქმედებაში გვხვდება. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წყლის,

ლუდის, ლიქიორის ნაკრებებს, სხვადასხვა ფორმის, ზომის და დეკორით შემკულ, ფიალებს, საკანფეტე და სახილე თასებს. არაერთმა კერამიკოსმა შექმნა განსხვავებული დანიშნულების სერვიზები - სადილის, მწვადის,

დესერტის და ა.შ.

აღნიშნული პერიოდის მხატვართა შემოქმედებაში ყოფითი დანიშნულების ნიმუშების ვიზუალური სახე მკვეთრად დეკორატიულია. უტილიტარულ დანიშნულებას შეთავსებული პლასტიკური ფორმები თამამად შეიძლება გამოდგეს ინტერიერის სამშვენისებად. ამ ნიშნით გამოირჩევა ზოომორფული და ანტრომორფული ჭურჭლის ნიმუშები.

გარდა საყოფაცხოვრებო ჭურჭლისა 1950-1960-იანელ მხატვართა შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დეკორატიული დანიშნულების ლარნაკებსა და კედლის თეფშებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიუჟეტურ, ანიმალისტურ, დეკორატიულ პლასტიკასა და პორტრეტულ კერამიკას. საინტერესოა კერამიკული მასალით შესრულებული ლიტერატურული ნაწარმოებების ილუსტრაციები. დიდი ყურადღება დაეთმო მცირე და მონუმენტური ზომის დეკორატიული პანოებისა და ფუნქციური ობიექტების შექმნას.

1950-1960-იანელ კერამიკოსებს განსხვავებული, მრავალმიმართულებიანი ინტერესები ჰქონდათ. მათი ნაკეთობებისთვის სახასიათოა შესრულების მაღალი პროფესიონალიზმი, რაც განპირობებულია - მასალის ღრმა ცოდნით, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების გაზიარებითა და მუდმივი სიახლის ძიებით. ნიმუშების მხატვრული სახის შესაქმნელად მასალისა და ფორმების მრავალფეროვნებასთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნაკეთობების დეკორირებასა და მათ ფერადოვან გამას, რომელიც სხვადასხვა ტექნოლოგიური ხერხის შერწყმითაა მიღებული და უმეტეს შემთხვევაში მდიდარი შეხამებებით გამოირჩევა; ამასთანავე, მათი კოლორიტული მახასიათებელი ტრადიციულად არ სცილდება ზომიერების ფარგლებს, რაც ნამუშევართა მხატვრულ ღირებულებასაც განსაზღვრავს. ყოველივე ამან კი, მათ კერამიკას გამორჩეული, ეროვნული ხასიათი შესძინა და ინდივიდუალური ადგილი დაუმკვიდრა, როგორც ქართულ, ისე მსოფლიო დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში.

4	ნინო ჭიჭინაძე	პონტოელი ბერძნების კულტურული მემკვიდრეობა საქართველოში ISBN 9941-80856-2	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	160 -10
---	---------------	--	---------------------------------------	---------

პონტოელ ბერძენთა ლიტურგიკული ხელოვნება

კრებულში განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე დაცული პონტოელ ბერძენთა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები - ტაძრები, ხის კვეთილი კანკელები, კედლის მხატვრობა და ფერწერული ხატები. თავი პონტოელ „ბერძენთა ლიტურგიკული ხელოვნება“ ეძღვნება ხის კვეთილი კანკელების, მხატვრობისა

და ხატწერის მხატვრულ-ისტორიული და კულტურული კონტექსტის განხილვას. პუბლიკაციის ჩემ მიერ დაწერილი ნაწილი ძირითადად აღმ. საქართველოს - წალკის, დმანისისა და თეთრიწყაროს რაიონების ტაძრებში შემორჩენილ კანკელებსა და ხატებს ეძღვნება. ლიტურგიკული ხელოვნების დასახელებული ქმნილებები პოსტიზანტიური მხატვრული ტრადიციის თავისებური გაგრძელებაა, რომელშიც სინთეზირებულია დასავლური სახვითი ტრადიცია და ხალხური ხელოვნების ესთეტიკური ნორმები.

5	დავით ხოშტარია, მანონ ლილუაშვილი	პონტოელი ბერძნების კულტურული მემკვიდრეობა საქართველოში ISBN 9941-80856-2	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	160
---	---	---	---------------------------------------	-----

პონტოელი ბერძნების მშენებლობა XIX საუკუნესა და XX საუკუნის I ნახევრის საქართველოში

ბერძნები სამხრეთ კავკასიაში რამდენიმე ტალღად ჩამოსახლდნენ. პირველი დიდი ჯგუფი მეფე ერეკლე მეორემ ჩამოიყვანა 1770-იან წლებში და ლორეში დაასახლა. 1800-1810-იან წლებში ბერძნები მცირე რაოდენობით ჩანან ქართლში, ძირითადად თბილისში. გადმოსახლების მეორე ტალღა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შემდგომ პერიოდზე მოდის.

ქვისმთელელები და კალატოზები ერივნენ საქართველოში XIX საუკუნეში დასახლებულ ბერძენთა ყველა ჯგუფში. გარდა ამისა, მათზე არანაკლები (შესაძლოა მეტნიც) იყვნენ ბერძენი მშენებელი ოსტატები. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ბერძნები აშენებდნენ ქართლში, კახეთში, თორში, თრიალეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, რაჭაში, გურიაში, აჭარაში, სამეგრელოში, აფხაზეთში - როგორც დიდ ცენტრებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი), ისე პატარა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში. მათი მოღვაწეობის ძირითადი სფერო საეკლესიო მშენებლობა იყო, თუმცა აგებდნენ საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებსაც.

ბერძენი ქვითხუროების საქმიანობა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში მშენებლობის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. მათ შესამჩნევ კვალი დატოვეს იმდროინდელ მშენებლობაში და განსაკუთრებით საეკლესიო არქიტექტურაში.

XIX და XX საუკუნეებში სხვადასხვა ქვეყანაში პონტოელ ბერძენთა მიგრაციამ ტრანსნაციონალური დიასპორის შექმნა გამოიწვია. მათი იდენტობა მართლმადიდებელი რელიგიით მქდვანება, რომელიც ერთი მხრივ, სხვადასხვა ქვეყანაში განსახლებული ბერძნების შემაკავშირებელი მძლავრი ფაქტორია, ხოლო მერე მხრივ, განამტკიცებს მათ კავშირს საერთო ისტორიულ ძირებთან. დღეისათვის აღინუსხება საქართველოში დამკვიდრებულ ბერძენთა არქიტექტურისა და საეკლესიო ხელოვნების არაერთი საყურადღებო ქმნილება, რომლებშიც ვლინდება ეპოქის მხატვრულ-სტილური და კულტურულ-იდეოლოგიური ტენდენციები.

6	ნანა ყიფიანი	ენციკლოპედია-ლექსიკონი «საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)». ISBN 978-9941-13-718-1	თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	30
---	---------------------	---	---	----

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი, ძირითადად, მოიცავს 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 18 მარტამდე განვითარებულ მოვლენებს. ენციკლოპედია-ლექსიკონში შეტანილია სტატიები ამ პერიოდის ხელოვნებაზე და საინფორმაციო სტატიები მხატვრების ბიოგრაფიებზე. ჩემი ავტორიბით დაიბეჭდა 12 სტატია: 1. 1918-1920-იანი წლების ხელოვნება; 2. ალექსანდრ ზალცმანი; 3. ალექსანდრე პიტახია, 4. დავით წერეთელი, 5. ევგენი ლანსერე, 6. თამარ თავაძე, 7. ივანე გუგუნივა, 8.

კოლაუ ჩერნიავსკი, 9. სერაპიონ ვაწაძე, 10. ფუტურისტების სინდიკატი, 11. იოსებ შარლემანი, 12. ჯგუფი 41° და ფანტასტიკური სამიკიტნო

7	ასმათ ოქროპირიძე	კრებული: სვეტიცხოველი ISBN 978-99940-728-4-2	თბილისი, საქართველოს საპატრიარქო,	164
---	-----------------------------	---	--------------------------------------	-----

წერილში - სვეტიცხოველი - განხილულია სვეტიცხოველის საკრალური საზრისი. კერძოდ იგი წარმოადგენს დაფარულ სიცოცხლის ხეს, ე.წ. „აქსის მუნდის“, რომლის „ფესვი“ – უფლის კვართია „ტანი“ – ცხოველმყოფელი სვეტი, ხოლო „გვირგვინი“ კი საბაოთის საყდარი, რომელიც XII საუკუნის ავტორიტეტული წყაროს მიხედვით (კათალიკოს-პატრიარქის ნიკოლოზ გულბერისძის საკითხავი) სწორედ სვეტიცხოველში, უფრო კონკრეტულად – ცხოველმყოფელი სვეტის თავზეა დამყარებული. სვეტიცხოველის, როგორც საკრალური სიცოცხლის ხის, სახეობრივი გასაღები თავად უფალმა მიანიშნა კვართზე ამოსული ღობანის ნამვით და მასზე გასული ბაბილოთი, რომელიც ამასთანავე, გოლგოთის ალუზიაა. სვეტიცხოველი, როგორც სიცოცხლის ხე გასაღებია ზოგადად ქართული მრავალათასწლიანი კულტურისა. სიცოცხლის ხის კულტი, რომელიც უდავოდ, არქეტიპულია და, ამდენად, ყველა კულტურის მიერ მოიაზრება, ქართული სულიერი ისტორიის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებათაგანია.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია მანია	არქიტექტორი პაულ შტერნი და XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის თბილისი UDK (უაკ) 72+73/76] (479.22) (051.2) ბ-493	ძველი ხელოვნება დღეს, #8,	თბილისი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	16
სტატია ეხება XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისში მოღვაწე ცნობილ არქიტექტორ პაულ შტერნის შემოქმედებას. იგი შეიცავს პაულ შტერნის ბიოგრაფიის ამსახველ ახალ ცნობებს და განხილულია პ. შტერნის მიერ დაპროექტებული დღემდე უცნობი ნაგებობები. ბიბლიოგრაფიულ წყაროებში არსებული და ახლადმოპოვებული საარქივო მასალის შეჯერების საფუძველზე ნაშრომში არის პ. შტერნის შენობების სტილისტური და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ცდა.					
2	მარინე ბულია	შუა საუკუნეების საქართველოში	საქართველოს სიბველენი,	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის	55

		წმინდა ნაწილების თაყვანისცემის ზოგი თავისებურების შესახებ ISSN 1512-1321	#21,2018	ცენტრი	
წმინდა ნაწილების კულტთან, მათ თაყვანისცემასთან დაკავშირებული რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური საკითხები თუ შუა საუკუნეების ხელოვნებაში მათი გამოსახვის ტრადიცია უკვე რამდენიმე ათწლეულია ბიზანტინისტური და მედიევისტური კვლევების ერთ-ერთ აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენს. საქართველოში ეს საკითხები საგანგებო შესწავლის საგანი არასდროს გამხდარა. რელიქვიებთან დაკავშირებული თითქმის ყველა ნაშრომი არსებითად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მფლობელობაში არსებული რელიქვიების მხოლოდ ისტორიას ეხება. წერილში განხილულია წმინდა ნაწილების თაყვანისცემის საქართველოში დამკვიდრებული ტრადიცია და მისი ფორმები; წერილობით წყაროებში მათი მოხსენიების სიხშირე და ქრონოლოგია; მათი დაბრძანების ადგილობრივი წესი; სხვადასხვა რიტუალებში, მათ შორის, მეფედ კურთხევის ცერემონიაში მათი მონაწილეობის შემთხვევები; ხელოვნების ნაწარმოებებში მათი გამოსახვის სიხშირე და ფორმები. საგანგებოდ განხილულია კედლის მხატვრობაში შემორჩენილი ის იშვიათი ნიმუშები, რომლებიც საქართველოს ისტორიის კონკრეტულ მოვლენებს უკავშირდება ან თავისი ეპოქის ზოგად ტენდენციებს ასახავს. მაგ., ოშკის ტაძრის მოხატულობის 1036 წლით დათარიღებული ფენის ფრაგმენტები, რომლებზეც სავარაუდოდ, საქართველოსთვის უნიკალური თემა - მეფე ბაგრატ IV-ს მეუღლისა და ბიზანტიის იმპერატორის რომანოს არგიროსის ძმის წულის ელენეს მიერ საქართველოში ჩამობრძანებული სიწმინდეების (ღმრთისმშობლის სარტყლის ნაწილი, სასწაულმოქმედი ოქონის ხატი და ა.შ) დახვედრის, ტიპურად ბიზანტიური, სადღესასწაულო ცერემონიაა ასახული; დავითგარეჯის დოდორქის მონასტრის წმ. დიმიტრის სამლოცველოს XII-XIII საუკუნეთა მიჯნის მოხატულობა, რომელიც წმ. დიმიტრის ცხოვრების, საქართველოში უმაგალითო ციკლს ასახავს და რომელშიც წმინდანის რელიქვიების უნიკალური გამოსახულებებია ჩართული; დავითგარეჯისავე ჩიჩხიტურის მონასტერში წარმოდგენილი XII-XIII საუკუნეების მიჯნის წმ. იაკობ დაჭრილის მარტვილობის უიშვიათესი სცენა, წმინდანის ნაწილების გამოსახულებებით და ფიტარეთის მოხატულობის მე-18 საუკუნის ფენაში ჩართული სცენა, რომელზეც წმ. მოციქულისთვის ღმრთისმშობლის მიერ თავისი სარტყლის გადაცემის ეპიზოდია ასახული ანუ რელიქვიისა, რომლის ისტორია ასევე საქართველოსთან არის დაკავშირებული. წმინდა ნაწილების თაყვანისცემის საქართველოში დამკვიდრებული ტრადიცია გაანალიზებულია ბიზანტიასა და ზოგადად საქრისტიანოში (წმინდა მიწა, რომი) გავრცელებული ფორმების კონტექსტში.					
3.	თამარ დადიანი	ნიკორწმინდის ქვის რელიეფები ISSN 1512-1321	საქართველოს სიბველენი, #22 (მიღებულია	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	15

		დასაბეჭდად)	
სტატია ეხება ნიკორწმინდის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის ქვის რელიეფებს და წლიური თემის ნაწილს წარმოადგენს. 2018 წლის გაზაფხულზე დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად აღმოჩენილ იქნა ახალი რელიეფური გამოსახულებები და ორნამენტები, დაფიქსირდა აღმ. და დას. მკლავთა ამაღლებაც, რაც შუა საუკუნეებშივე ჩატარებული რეკონსტრუქციაზე შეიძლება მეტყველებდეს. ამ აღმოჩენებმა ტაძრის არქიტექტურის ახლებური გააზრებისა და ცალკეული ნაწილების გადათარიღების საკითხიც წამოწიეს წინ. ამ თვალსაზრისით დადგა ტაძრის შესამკობი რელიეფების გადააზრების აუცილებლობაც. მეგლზე მუშაობისას მონაწილეობა მივიღე სამ სამეცნიერო მივლინებაში (ერთი ორდღიანი ექსპედიცია გ. ჩუბინაშვილის ცენტრმა მოაწყო (2018 წლის 21–22 აგვისტო), ორი ერთდღიანი გასვლა თბილისის სახელმწიფო აკადემიამ დააფინანსა (2018 წლის 13 და 27 ოქტომბერი). წერილში მთავარი აქცენტი რელიეფთა სტილზე კეთდება. ამ მხრივ გამოიყოფა პორტალთა რელიეფები, რომლებიც XI საუკუნის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს და შედარებით ზუსტად თარიღდება დას. ტიმპანზე მოთავსებული სამშენებლო წარწერით, რომელშიც მეცნიერთა ვარაუდით, ბაგრატ III არის მოხსენიებული. შესაბამისად ტაძრის აშენებისა და რელიეფების ამოკვეთის დრო XI საუკუნის პირველი მეოთხედით განისაზღვრება. ჩუქურთმისა და ფიგურულ რელიეფთა განხილვისას გ. ჩუბინაშვილი და ნ. ალადაშვილი ნიკორწმინდაში სამ ოსტატს ვარაუდობენ. პორტალების ოსტატისაგან განსხვავებით, ნ. ალადაშვილის დაკვირვებით, ტაძრის ფრონტონებში განთავსებული რელიეფები უფროსი თაობის ოსტატს უნდა შეესრულებინა, რაზეც გამოსახულებათა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული სტილი მიუთითებს. თუ ქვედა რელიეფები ფაქიზი სკულპტურობითა და კლასიკური პროპორციებით, რბილი კვეთით გამოიყოფა, ზედა გამოსახულებების კვეთა ბევრად უფრო „ბრუტალურია“ და ხისტი, მოცულობები მძლავრი ბლოკების სახითაა გააზრებული, ზოგი ნაწილები ფიგურებისა დაუმუშავებლადაა დარჩენილი. ეს განსხვავებები კარგად გამოჩნდა ხარაჩოებზე მუშაობის დროს, რადგან ქვემოდან შეუმჩნეველი დეტალების დანახვის შესაძლებლობა მოგვეცა. სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს აღმოჩნდა აღმ. და სამხრ. მკლავთა ფრონტონების ამაღლება. მკლავები ფარავდა გუმბათის ნაწილებს რელიეფურგამოსახულებიანი ფრიზით. ქ-ნი ქეთევან აბაშიძის ვარაუდით, ეს ამაღლება ტაძრის აშენების მერე უნდა მომხდარიყო, შესაძლოა გუმბათის დაზიანების გამო. ამ შემთხვევაში ფრონტონებს კონტრფორსთა ფუნქცია მიენიჭებოდა. აქედან გამომდინარე ამ ფასადებზე განთავსებული რელიეფების შესრულების თარიღიც რამდენიმე ათწლეულით გადაიწევა. ჯერჯერობით ნიკორწმინდის ტაძრის არქიტექტურა არ არის საგანგებოდ გამოკვლეული და მხოლოდ თეორიებით ვიფარგლებით. ამგვარად, სტატიაში სკულპტურის სტილური ანალიზის საშუალებით ამ ზედა რელიეფების თარიღის დაზუსტებას ვცდილობთ. როგორც ითქვა, ქვედა და ზედა რელიეფებს შორის დიდი სტილური განსხვავებაა, რაც ორნამენტებსაც ეხება. თუ პორტალთა გამოსახულებებისთვის ადვილად მოინახება პარალელები იმერეთისა და ლეჩხუმის XI საუკუნის სკულპტურაში (კაცხი, რგანი, გონი), ფრონტონთა რელიეფები საკმაოდ უნიკალურია შესრულების მანერის მხრივ. ერთის მხრივ ფიგურათა ბლოკურობა, კომპოზიციათა ექსპრესია, ხელების გადიდებული მტევნები IX-X საუკუნეთა მხატვრულ გემოვნებაზე მიუთითებს, მაგრამ მეორე მხრივ აღსანიშნავია წინა ეპოქებისთვის ისეთი იშვიათ მომენტები, როგორიცაა რთული რაკურსები, თავისუფალი მოძრაობა და უაღრესად მაღალი რელიეფი (5 ს-დე), რომელიც ზოგან თითქმის მრგვალ ქანდაკებაში გადადის. პროფილში გამოსახული სახეები გვერდითი კუთხიდან მთლიან სახეებს			

წარმოგიდგენს (რაც ხშირად არ ჩანს მიწიდან). მრგვალ ქანდაკებასთან მიახლოების ტენდენცია ზოგადად შეინიშნება XI საუკუნის დასაწყისის ქვის სკულპტურაში. ამის მაგალითია ბაგრატის ტაძრის სკულპტურული თავები, რომელიც ასევე ბაგრატ III-ის მეფობის დროს მიეკუთვნება. მსხვილი, „ბრუტალური“ ფორმების თვალსაზრისით კაცხის ლომის გამოსახულებაც გვახსენდება (ბაგრატ III-ის მეფობის ბოლო წლები). კვეთის მანერა, მკვეთრად ჩაკვეთილი ფართო მოცულობებით ასევე XI საუკუნის პირველი ნახევრის სვეტიცხოვლის დას. ფასადზე გამოკვეთილი აღსაყდრებული მაცხოვრის რელიეფს უახლოვდება. აღსანიშნავია ასევე ნიკორწმინდის ზედა რელიეფთა (მათ შორის გუმბათისას) დეკორაციულობა, რომელიც არა აქვს ქვედა რელიეფებს, რაც მათ სამთავისის ფასკუნჯს აახლოვებს (1030 წ.). ამდენად, თუ ნიკორწმინდის ტაძარი 1010–1015 წლებში აშენდა (ამავე პერიოდს მიეკუთვნება პორტალთა სკულპტურა), ფრონტონთა რელიეფებიც საკმაოდ მალევე უნდა შექმნილიყო, XI საუკუნის პირველ ნახევარშივე, არაუგვიანეს 1030 წლისა. ამ დასკვნებს კიდევ უფრო შეამტკიცებდა ნიკორწმინდის ხუროთმოძღვრების დაწვრილებითი სამეცნიერო კვლევა.

4	მარინე ყენია	სვანეთის მხატვრობათა აფსიდალური სქემები (IX- XIII საუკუნეები) 1512-1321	საქართველოს სიბველენი, #21	თბილისი, ბ. ჩუბინაშვილის ცენტრი	23
---	--------------	--	-------------------------------	--	----

სტატიაში განხილულია სვანეთის ფერწერული სკოლის განვითარების ორ, მნიშვნელოვან ეტაპზე (საწყისი ეტაპი - IX-XI ს-ის დასაწყისი; აყვავების ხანა - XI ს-ის II ნახ.-XIII ს-ის დასაწყისი) შექმნილ მხატვრობათა საკურთხეველის შემამკობელ მხატვრობაში გამოყენებული სქემები, მოტანილია მათი კლასიფიკაცია როგორც საკონქო კომპოზიციის იკონოგრაფიულ რედაქციათა, ისე საკურთხეველის მხატვრობის საერთო კომპოზიციის აგებულება-შემადგენლობის მიხედვით, დადგენილია ყოველ განხილულ ეტაპზე ოსტატთა მიერ მოხმობილი სქემების რაობა, საკურთხეველის შემკობის ზოგადი კანონზომიერებანი, ფერწერული სკოლის თითოეული განხილული ეტაპისთვის საკურთხეველის მხატვრობის დამახასიათებელი თავისებურებანი, გაანალიზებულ სქემათა მოხმობა-გადამუშავების დინამიკა ფერწერული სკოლის განვითარების განხილულ ეტაპებზე.

5	მაია ციციშვილი	ცნობილი მხატვრის უცნობი კოლექცია (ვ.სიდამონ-ერისთავი) ISSN 2346-8165	კულტურა პლიუს, 1(II)2018	თბილისი, შპს „ფავორიტი სტილი“	12
---	----------------	---	-----------------------------	-------------------------------------	----

სტატია ეხება ქართული მოდერნისტული მხატვრობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს-ფერმწერს, გრაფიკოსს, კარიკატურისტს, თეატრისა და კინოს მხატვარს ვალერიან სიდამონ-ერისთავს. XX საუკუნის 10-იან წლებში მოღვაწე სხვა ქართველი მხატვრების მსგავსად, ვალერიან სიდამონ-ერისთავის უმთავრეს ამოცანასაც ეროვნული ფორმის ძიება წარმოადგენდა. ამ მიზეზით, მან გარკვეული უპირატესობა ისტორიულ თემას უკვე 1910-იანი წლების დასაწყისშივე მიანიჭა. ვ. სიდამონ-ერისთავის შემოქმედება, ამ თვალსაზრისით, თანადროულ ქართულ მხატვრულ გარემოში გამონაკლისს წარმოადგენს და მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი ათწლეულების რუსულ მხატვრობასთან. შემოქმედების საწყის ეტაპზე სიდამონ-ერისთავის ნაწარმოებები ზოგიერთი ნიშნით ყველაზე მეტად აბრამცევის წრის მხატვრებისა და ნ. რერიხის შემოქმედებას ეხმიანება, ბატალური თემისთვის უპირატესობის მინიჭებით კი იგი, პირიქით, ემიჯნება რუსული ისტორიული ფერწერის წარმომადგენლებს. 1910-20 წლებში ვ. სიდამონ-ერისთავი, ისტორიული თემის გარდა, ქმნის პორტრეტებსა და ყოველდღიური მოვლენების ამსახველ ტილოებს, სადაც მხატვრის დამოკიდებულება თითქმის რამდენადმე განსხვავებულია. ვ. სიდამონ-ერისთავის



მთელი შემოქმედება მაჩვენებელია იმისა, რომ მხატვრისთვის უმნიშვნელო თემა თუ მოვლენა არ არსებობს. ერთი შეხედვით, ნაკლებად თვალშისაცემი მხატვრული ხერხებით იგი ჩვეულებრივ მოვლენას მნიშვნელოვნად აქცევს, იქნება ეს ფორმის განზოგადება, ასახულის არსის „დაჭერა“, წაგრძელებული ფორმის, თავისუფალი მონასმებით დაწერილი სიბრტყობრივი გარემო, სურათის არაჩვეულებრივად დახვეწილი, თამამი მახვილებით გამნიშვნელოვნებული, ნაკლებად მკვეთრი კოლორიტი, მსუბუქი იუმორი,

სინამდვილეში მძაფრი, მაგრამ შეპარული გროტესკი თუ სხვა.

ვალერიან სიდამონ-ერისთავის უკვე 1920-იანი წლების ნაწარმოებებში აშკარად აისახა ექსპრესიონისტული ხელოვნების ნიშნები. ამ პერიოდში შექმნილ რამდენიმე ნამუშევარში („წითელი მთესვლები“, „წითელ ცხენოსანთა შეტევა“, „ბავშვები ბაღში“) ყველაზე ზუსტად გამოიხატა ამ მიმდინარეობის განწყობა, რომელიც გარდამავალი სიტუაციისა და სპეციფიკური სოციალური კლიმატის პირობებში, საუკუნის პირველ მეოთხედში ევროპის არაერთი ქვეყნისთვის დამახასიათებელი იყო. არაა გასაკვირი, რომ გამოკვეთილად პატრიოტი მხატვარი ვალერიან სიდამონ-ერისთავი წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ ექსპრესიონისტი გამხდარიყო. არისტოკრატიული წარმომავლობის მხატვრისთვის ბოლშევიზმი არა მხოლოდ მისი სამშობლოს დაპყრობას ნიშნავდა, არამედ იმასაც, რომ ამ დრომდე შემორჩენილ ქართულ არისტოკრაციას განადგურება ელოდა.

ვალერიან სიდამონ-ერისთავმა 1922 წლიდან დაიწყო მუშაობა ქართულ თეატრსა და კინოში. თანამშრომლობდა კოტე მარჯანიშვილთან. 1922 წელს რუსთაველის თეატრში გააფორმა სპექტაკლები „ცხვრის წყარო“ და „მზის დაბნელება საქართველოში“. 1923 წელს იყო ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ პირველი დადგმის მხატვარი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, 1924 წელს კი – არაყიშვილის ოპერისა „შოთა რუსთაველი“. 1925-1943 წწ-ში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, იყო სამხატვრო აკადემიის პროფესორი (1938 წ-დან). გააფორმა საქართველოს პავილიონი ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე (1938). მუშაობდა კინოს მხატვრად (1922-1935). არის მხატვარი დაახლოებით 35 ფილმისა (რეჟ. ა. ბეკნაზაროვი – „მამის მკვლელები“ (1923); რეჟ. კ. მარჯანიშვილი – „კრაზანა“ (1928), „კომუნარის ჩიბუხი“ (1929); რეჟ. კ. მიქაბერიძე – „ჩემი ბებია“ (ი. გამრეკელთან ერთად, 1929); რეჟ. მ. ჭიაურელი – „უკანასკნელი მასკარადი“ (1934) და სხვ.).

6	მზია ჩიხრაძე, ქეთევან შავგულიძე	ნიუ იორკი, „ხელოვნების ახალი დედოფალი“	ACADEMIA #7 (მირებულია დასაბეჭდად)	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	1512-0899
---	---------------------------------------	--	---	---	-----------

ხელოვნების თანამედროვე სივრცის გაფართოვების პარალელურად, სულ უფრო რთული ხდება არტ სამყაროში ტენდენციების, გავლენების და ბაზრის შეფასება. ჩვენ ვცხოვრობთ რეგიონალიზაციის პირობებში, როდესაც ხელოვნების სცენები ყვავის როგორც სან პაოლოში, ისე სინგაპურში და სტამბოლში. მაგრამ, ამავე დროს, გავლენები გლობალურ ფინანსურ დედაქალაქებშია კონცენტრირებული - მაგ., ნიუ იორკში და ლონდონში.

აღსანიშნავია, რომ ნიუ იორკი ლიდერობს და ამ ქალაქის ხელოვნების ბაზარი მნიშვნელოვანწილად აღემატება

ყველა სხვას. ის უზარმაზარია და თავს უყრის 1000-ზე მეტ გალერეას, 75-ზე მეტ ხელოვნების

მუზეუმსა და ინსტიტუციას და 30-ზე მეტ ხელოვნების ბაზრობას. 1 000 000 დოლარზე მეტი ღირებულების ხელოვნების ნიმუშების გაყიდვების 2/3 სწორედ ნიუ იორკზე მოდის.

ნიუ იორკის სახელოვნებო სცენის განხილვის ფონზე, მნიშვნელოვანია ამ სცენაზე თანამედროვე ქართველ შემოქმედთა ადგილის განსაზღვრა. როგორ ეწერებიან ისინი ამერიკული ხელოვნების ლანდშაფტში, რამდენად მიღებული და აღიარებულია მათი ხელოვნება, მოხდა თუ არა ქართველი ხელოვნების ინტეგრირება ადგილობრივ სახელოვნებო სივრცეში და როგორ, რამდენად საინტერესო და აქტუალურ თანამედროვე ხელოვნებას ქმნიან ისინი დღეს.

ამდენად, ნიუ იორკის წამყვანი გალერეებისა თუ მუზეუმების წარდგენისას, განვიხილეთ იქ წარმოდგენილი საქართველოდან ემიგრირებული თანამედროვე არტისტების ხელოვნება, რათა ცხადად გვეჩვენებინა მათი ადგილი და მნიშვნელობა დასავლური, კერძოდ კი ამერიკული სახელოვნებო სივრცისათვის.



7	შზია ჩიხრაძე	ფიქრის ჟესტები (თანამედროვე ქართველი ემიგრანტი ხელოვნები ამერიკის შეერთებულ შტატებში), 1512-4088	ARS GEORGICA, ელექტრონული ჟურნალი. სერია B	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი georgianart.ge	28
---	---------------------	---	--	---	----

ამერიკაში მცხოვრები და მოღვაწე საქართველოდან ემიგრირებული ხელოვნების მრალაფერი კალეიდოსკოპი ამერიკული თანამედროვე ხელოვნების რთულ ლანდშაფტში სინთეზურად ეწერება.



მათი ხელოვნება იკვეთება იმ სივრცესთან, სადაც „ფერწერა, სკულპტურა, ფოტოგრაფია, ინსტალაცია, კინო, ვიდეო, პერფორმანსი, ინტერნეტ ხელოვნება და ნამუშევრები, რომელიც არ მიეკუთვნება არც ერთ განსაზღვრულ კატეგორიას“ (ქეთევან შავგულიძე) ერთად თანაარსებობს. მათი ხელოვნების პრობლემატიკის მრავალფეროვნება ასევე თანხვედრაშია იმ თემატიკასთან, რასაც დღევანდელი ამერიკელი თუ იქ მოღვაწე სხვა თანამედროვე არტისტები ეჭიდებიან. ამ პრობლემების არეალი დიდია: ფემინისტური, გენდერული თემები, სექსუალური და ეროვნული უმცირესობების, დენადი იდენტობების,

ადგილმონაცვლეობის, დევნილობის, პოლიტიკური, სოციალური პრობლემები, იდენტობის, კულტურული წარსულისა და ადგილის, ადამიანის და ბუნების ურთიერთობის, პიროვნების შინაგანი დუალობის, ქვეცნობიერში დაფარულის საკითხები... მათი ვიზუალიზაციისა და შემოქმედებითად გამოხატვის ფორმებიც პლურალურია, სადაც რეპლიკა, კომენტარი, ციტატა, მეტაფორა, რეპროდუცირება, ტექსტების მრავალშრიანობა, გამონაგონისა და ნამდვილის, ილუზორულისა და რეალურის, წარსულისა და აწმყოს აღრევა ადჰმის საზღვრების მოშლასა და მრავალგვარი მნიშვნელობების, არამდგრადი იდენტიფიკაციის ველს ქმნის, სადაც არაფერია ზუსტი, სივრცე კი ფართოდაა გახსნილი სუბიექტური წაკითხვისთვის. როგორც უკვე აღვნიშნე, თანამედროვე ქართველი ემიგრანტი ხელოვნები ორგანულად ერწყმიან ამერიკულ არტ სცენას. მათ ხელოვნებას

თავისი სპეციფიკაც აქვს, რაც საქართველოს, მათ წარმომავლობას უკავშირდება. თუმცა, პოსტმოდერნისტული კულტურისთვის უცხო ეროვნული ფორმა მათთანაც წაშლილია. ვიზუალურ-ფორმალური თვალსაზრისით ქართველი ემიგრანტი არტისტების ხელოვნება ინტერნაციონალური, გლობალურია, მაგრამ მათ მიერ შექმნილ ვიზუალურ მხატვრულ სახეებსა და იმიჯებში კოდირებული იდენტობა, გამოცდილება, ღირებულებები, განცდა, ტკივილი და ტრამვაც კი, მათი ტერიტორიალურ-ისტორიული და კულტურული ზმიდან მოდის, რაც ხშირად მათი ხელოვნების თემატური თუ ემოციური ინსპირაციის განმაპირობებელია.

8	მარინა მემმარიაშვილი	სივრცისა და დროის ასპექტი პეტრე ოცხელის სცენოგრაფიაში (მიღებულია დასაბეჭდად) ISSN 1512-4088	ARS GEORGICA ელექტრონული ჟურნალი. სერია B	გ. ჩუბინაშვილის ცენტრი georgianart.ge	11
---	-------------------------	--	---	--	----

სტატიამში განხილულია პეტრე ოცხელის სცენოგრაფიის რამდენიმე მაგალითი და გამოკვეთილია მხატვრის მიერ შუქისა და სივრცის გადაწყვეტის მეთოდები და ხერხები.

9	თამაზ გერსამია	არქიტექტორი ალექსანდრე ოზეროვი ISSN 1512-4088	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი	გ. ჩუბინაშვილის ცენტრი georgianart.ge	15
---	----------------	---	---	---	----

ალექსანდრე გრიგოლის ძე ოზეროვი XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თბილისელი არქიტექტორია. დაიბადა საქართველოში, დაბა მანგლისში, 1849 წლის 3 აგვისტოს (ძვ. სტილით). 1867 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის სამოქალაქო ინჟინერთა სასწავლებელში (1882 წლიდან სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტი), რომელიც წარმატებით დაასრულა ინჟინერ-არქიტექტორის წოდებით. 1873 წელს მუშაობას იწყებს თბილისის საგუბერნიო სამმართველოში უმცროს არქიტექტორად, შემდეგ იქვე სამუშაოს მწარმოებლად იყო. 1879 წლიდან 1885 წლამდე თბილისის საქალაქო არქიტექტორია. 1888 წელს მსახურობს ქუთაისის საგუბერნიო არქიტექტორად. 1891-92 წლებში თბილისის ხანძრისაგან დაზღვევის საზოგადოების, ხოლო 1898-1907 წლებში კი კავკასიაში საუფლისწულო მამულების არქიტექტორად. 1885-87 წლებში ღებულობდა მონაწილეობას ავჭალის წყალსადენის (ფაქტიურად პირველი თბილისის წყალსადენი) პროექტის შედგენაში. ამავე დროს იყო მისი ერთი მშენებელთაგანი.



ა.ოზეროვის პროექტით აშენდა მრავალი შენობა-ნაგებობა არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთში, სომხეთში, უკრაინაში. მის მიერ აგებული შენობებიდან ბევრი დღესაც არსებობს. კერძოდ, თბილისში ეს არის:

ყოფ. ქარვასლა კ.აფხაზის ქუჩა, 22-26, ყოფ.

მე-3 ქალთა გიმნაზია ლ.ასათიანის ქუჩა, 28, თბილისის საკრებულოს დღევანდელი შენობა (არქ. პ.შტერნთან ერთად), საქართველოს ფოსტის შენობა დავით აღმაშენებლის, 44, ყოფ. სასტუმრო "პალას-

ოტელი" რუსთაველის გამზილი, 19, "კათარზისის" დღევანდელი შენობა დავით აღმაშენებლის, 121, სახლი პუშკინისა და ნ.ვაჩნაძის ქუჩების კუთხეში, სახლი კოსტავას და ნ.ნიკოლაძის კუთხეში, სახლი კოსტავას, 12, 23, ჭოველიძის, 7, ქიქოძის, 3, 6, ჭოროხის, 9, ბორჯომის ქუჩა, 14, 16, 18 (# 14 არქიტექტორის საკუთარი სახლი) და სხვ. აღსანიშნავია, რომ არქიტექტორის ცალკეულ შენობებს მინიჭებული აქვს არქიტექტურის ძეგლის სტატუსი. თავის თანამედროვეების მსგავსად ა.ოზეროვი ასევე ეკლექტიკოსი იყო. მის ფასადებში სხვადასხვა ისტორიული სტილების არქიტექტურის მოტივებია გამოყენებული - "გუთური", "ირანული", "მავრული", "რენესანსულ-ბაროკული". 1900-იან წლებში იგი მიმართავს "მოდერნს", სადაც ხშირად იყენებს გუთური არქიტექტურის ელემენტებსაც. ამავე დროს მის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი უკავია ე.წ. ქართული სტილის შენობებს, სადაც ქართული ისტორიული არქიტექტურის მოტივებია გამოყენებული (ყოფ. საუფლისწულო ღვინის სარდაფი თბილისში, მელიქიშვილის ქუჩა, 20, თბილისის საკრებულოს სხდომათა ე.წ. წითელი დარბაზი, დ.სარაჯიშვილის სახლი თბილისში, ერეკლე II ქუჩა, 11, ჭავჭავაძეების სახლი და ღვინის სარდაფი წინანდალში). ალექსანდრე ოზეროვი გარდაიცვალა 1922 წლის ნოემბერში. დაკრძალულია თბილისში ძველ კუკიის სასაფლაოზე.

10	თამაზ გერსამია	არქიტექტორი ალექსანდრე ნიკოლაიშვილი ISSN 1512-4088	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი	გ. ჩუბინაშვილის ცენტრი georgianart.ge	29
----	-----------------------	--	--	---	----

არქიტექტორი ალექსანდრე მინას ძე ნიკოლაიშვილი - ქალაქმშენებლობითი დისციპლინის ერთ-ერთი ფუძემდებელია საქართველოში. იგი დაიბადა ქ.ფოთში 1898 წელს (სხვა მონაცემებით 1897 წელს). 1916 წელს დაამთავრა ფოთის ვაჟთა გიმნაზია. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ამავე გიმნაზიაში ასწავლიდა ხატვას და სუფთა წერას. 1918 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში თბილისში. ერთდროულად სწავლობდა ხატვას და ქანდაკებას თბილისის ხატვისა და ქანდაკების სკოლაში (ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია).

1920 წელს საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ ა.ნიკოლაიშვილი როგორც ნიჭიერი, პერსპექტიული სტუდენტი გააგზავნა უმაღლესი განათლების მისაღებად გერმანიაში. 1927 წელს მან დაამთავრა შარლოტენბურგ-ბერლინის უმაღლესი ტექნიკური სკოლის სამშენებლო ფაკულტეტის არქიტექტურის განყოფილება და მიიღო ინჟინერ-არქიტექტორის წოდება. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი გარკვეულ დროს მუშაობდა როგორც არქიტექტორ-დამპროექტებელი ბერლინში, ხოლო 1928 წლის მაისში დაბრუნდა სამშობლოში. ამ დროიდან იგი მთელ თავის ცოდნას და ენერგიას ახმარს ქართული არქიტექტურის განვითარების და წინსვლის საქმეს. ფართო ერუდიცია, განსწავლულობა, პროფესიული კულტურა საშუალებას აძლევს მას მოკლე ხანში გახდეს პიონერი ერთ-ერთი ისეთი რთული არქიტექტურული დისციპლინისა, იმ დროს ქართული არქიტექტურის სრულიად ახალი დარგისა, როგორც არის ქალაქმშენებლობა, მის მიერ ან მისი ხელმძღვანელობით გასული საუკუნის 30-60-იან წლებში დამუშავებულია საქართველოს მრავალი ქალაქების დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის პროექტები, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქებისა როგორც არის ფოთი, ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, გორი, თელავი, ზესტაფონი და სხვ., გარდა ამისა ახალი მუშათა დასახლებების, კურორტების (გაგრა, მალთაყვა, ბორჯომი და სხვ.) გენერალური დაგეგმარების პროექტი, რაიონული ცენტრებისა და სოფლების დაგეგმარება.

ქართული არქიტექტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს მისი პროექტებით აგებული - სპეციალისტების საცხოვრებელი სახლის კომპლექსი თბილისში (1933 წ.; მ. შავიშვილთან ერთად), ავჭალის ჩაის საწონი ფაბრიკა (1938 წ.) და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ა.ნიკოლაიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელსაც იგი

ეწეოდა 1928 წლიდან და გადასცემდა ქალაქგეგმარების დარგში თავის მრავალმხრივ, ღრმა ცოდნას მომავალ არქიტექტორებს.

ანკოლაიშვილი იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ერთ-ერთი პირველი წევრი და ქალაქმშენებლობის სექციის ხელმძღვანელი 1936 წლიდან. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება (1961 წ.). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

11	მარიამ გაჩეჩილაძე	1918-1921 წლების წიგნისა და პერიოდული გამოცემების მხატვრული გაფორმება (მიღებულია დასაბეჭდად) ISSN 1512-4088	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი	გ. ჩუბინაშვილის ცენტრი georgianart.ge	11
----	------------------------------	--	--	--	----

სტატიკაში ზოგადაა მიმოხილული „წერა კითხვის საზოგადოების“ ოქმებისა და ამავე პერიოდის პრესაში გამოქვეყნებული ჩანაწერები, რომლებიც აჩვენებს თუ როგორ მიზანმიმართულადაა გააზრებული კულტურის განვითარების მომავალ საქართველოში.

ძირითადი ტექსტი ეთმობა 1918-1921 წლების წიგნებისა პერიოდული გამოცემების მხატვრულად გაფორმებული ნიმუშების მიმოხილვას, ჟურნალ-გაზეთების („ემშაკის მათრახი“, „მხედარი“, „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველო“, „სახალხო გვარდიელი“, „თოლაბუსის სარტყელი“ (1909წ.), „სახალხო გაზეთი“, „შევარდენი“, „ნაკადული“) ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიების დასურათებისთვის ჩართულ ილუსტრაციებს. გამოიკვეთება მხატვრების: ოსკარ შმერლინგის, შალვა ქიქოძის, ვალერიან სიდამონ-ერისთვის, მიხეილ ჭიაურელის, ირაკლი თოიძის, ლადო გუდიაშვილის ასევე ნაკლებად ცნობილი მხატვრის კოტე ქავთარაძის ღვაწლი. კვლევის შედეგად ხდება ინიციალებით მოხსენიებული ავტორების ამოცნობა (ა.ზ., ზ.ა., ზ. - ინიციალები გულისხმობს ალექსანდრე ზალცმანს; „შავი“ - მიხეილ შავიშვილს).

სტატიკაში მიმოხილულია ასევე ამავე წლებში დასაწყისში გამოცემული ილუსტრირებული წიგნები (საბავშვო წიგნები, ფუტურისტების მიერ გამოცემული წიგნები, ეგნატე ნინოშვილის „თხზულებები“, ნიკოლოზ ბარათაშვილის „კრებული“), ექსლიბრისის ნიმუშები და პლაკატები.

12	სოფიო ჩიტორელიძე	საწარმოო კერამიკა მხატვარ მურთაზ აბაშიძის შემოქმედებაში, ISSN 1512-0899	ACADEMIA 2017-2018, #6	თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	13
----	-----------------------------	---	----------------------------------	---	----

სტატიკაში გაშუქებულია საბურთალოს საშენ მასალათა კომბინატის დაარსებისა და ფუნქციონირების ამსახველი ისტორიული ფაქტები. საწარმოს პროდუქცია კი, განხილულია კერამიკოს მურთაზ აბაშიძის ნამუშევრების მაგალითზე. მხატვარის შემოქმედება წლების განმავლობაში თბილისის საბურთალოს საშენმასალათა კომბინატის ტექნოლოგიური შესაძლებლობების კვალდაკვალ ვითარდებოდა და ყველა ის სიახლე, რაც საწარმოში დაინერგა, მხატვრის შემოქმედებაზეც აისახა, და პირიქითაც, კერამიკოსის შემოქმედებითმა და მხატვრულმა მიღებებმა გარკვეული კვალი დაამჩნია სერიულ საწარმოო პროდუქციას.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში არსებული საწარმოებიდან თბილისის საშენმასალათა კომბინატი, შედარებით მცირე მასშტაბით ხასიათდებოდა, რომლის პროდუქციაშიც უტილიტარულ ნაწარმთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი მხატვრულ-დეკორატიული დანიშნულების ნიმუშებს

ეკავა. იგი ერთ-ერთ ცნობილ საწარმოდ ითვლებოდა და მისი წარმატებები არაერთხელ აღინიშნა იმდროინდელი პრესის ფურცლებზე, რაც უდავოდ, პროფესიონალი მხატვრების მასიური პროდუქციის ნაწარმზე შემოქმედებითმა მიდგომამ განაპირობა.

ცნობილია რომ, 1955 წელს, ტექნოლოგ ვარლამ ჩარგეიშვილისა და მხატვარი გრიგოლ ლომიძის



ინიციატივით, მოხდა საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის კერამიკული საამქროს რეკონსტრუქცია, სადაც 1956-58 გაიხსნა ახალი სამხატვრო, მოსაჭიქურებელი, ფოტოკერამიკული, საგამომწვო და დამხარისხებელი საამქრო, მზა ნაწარმის საწყობი, აშენდა მაღალი მწარმოებლობის ღუმელი. ამ დროს კომბინატში სამუშაოდ მიიწვიეს სამხატვრო აკადემიის ახალიკუსდამთავრებული კერამიკოსი მხატვრები: ლევან ყიფიანი, დიმიტრი კობიაშვილი, მედეა ჩიხლაძე, რაისა ეკალაძე და სხვები. მათ შორის იყო მხატვარი მურთაზ აბაშიძეც, რომელიც 1961 წლიდან ამავე საწარმოს მთავარი მხატვარი გახდა და მისი არსებობის ბოლო წლებამდე იქ იმუშავა. კომბინატში მისული მხატვარი აქტიურად ჩაერთო საწარმოს საქმიანობაში. 1950-იანი წლების ბოლოს იგი უკვე არაერთი ეტალონის ავტორია. მხატვრის პირველი ნამუშევრები, წარმოებული პროდუქციის შესაბამისად, ძირითადად ფაიფურისა და ნახევარფაიფურის მასალით შესრულებული ნიმუშებია. აღნიშნული მასალით შესრულებული ნაკეთობები კერამიკოსის

შემოქმედებაში არც თუ მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი 1960-იან – 70-იან წლებშიც (დოქები: „ავაზა“ (1964წ.), „წინანდალი“ (1967წ.), „მეტეხი“ (1966წ.), წყლის სასმისი „უწერა“ (1970წ.), ღვინისა და კონიაკის ბოთლები „იბერია“, „მხედარი“ (1970წ.), ჩაის ნაკრები „ჩაი“ (1975წ.), „შემოქმედი“ (1976წ.) და სხვ. თუმცა, მურთაზ აბაშიძის შემოქმედების ძირითადი გამომსახველობითი მასალა წითელი თიხაა, რომლითაც ხელოვანმა არაერთი ნამუშევარი შეასრულა. მათ შორის ტერაკოტის, ფერადი ჭიქურებითა და მაიოლიკის საღებავებით დაფერილი: დოქები, კათხები, თასები და სხვა ნიმუშები (დეკორატიული დოქები: „შემოდგომა“ (1970წ.), „მცხეთა“ (1973წ.), „გურჯაანი“ (1978წ.), საყვავილე ლარნაკები: „სინათლე“ (1970წ.), „ღვთაება“ (1978წ.), სახილე ლარნაკი „ცისფერი“ (1970წ.), სუვენირი „მარანი“ (1975წ.) და სხვ.). მისთვის განსაკუთრებით საინტერესო შებოლოვით მიღებული ნაკეთობების შავი ფერის კეცი და მასთან მხატვრულად შეხამებული „ფერადი ნახატია“. „ნახატი“ კი, მართლაც მრავალფეროვანია: გეომეტრიული ჯვარხაზოვანი და ყვავილოვანი მოტივები, აბსტაქტული გამოსახულებები თუ ფიგურატიული სახეები.

მხატვრის მნიშვნელოვან ნიმუშებს წარმოადგენს არქეოლოგიური, ისტორიული კერამიკული ნიმუშების ინტერპრეტაციით შექმნილი სუვენირები, დეკორატიული ლარნაკები და სხვა ნაკეთობები. კერამიკოსი დიდი შემოქმედებითი ოსტატობით არგებს „ისტორულ მასალას“ თანამედროვე კერამიკულ ნამუშევრებს. ამ ტიპის ნიმუშები მხატვრული ხედვითა და შესრულების მანერით თანამედროვე იერს ატარებს, მაგრამ თვითოეულ ნაკეთობას საკუთარი ისტორიული მეხსიერება აქვს, რომელთანაც ასოციაციურად ხან მუქ შავად შებოლილი კეცი, ხან ნაკაწრ-ხაზოვანი ორნამენტების გეომეტრიული წყობა, ხანაც მორბენალი ირემის, ცხენისა და მხედრის სქემატურ-გრაფიკული გამოსახულებები გვაახლოვებს. 1960-იანი წლების კერამიკოსთა შემოქმედებაში ქართული კერამიკის ეროვნული ხასიათის ძიების პროცესში, საინტერესო სახე მიიღო შებოლილ კეცზე განთავსებულმა ხევსურულმა ორნამენტმა. აღნიშნული ორნამენტული მოტივი მართლაც ორგანულად მოერგო მურთაზ აბაშიძის კერამიკულ ნაკეთობებს. ამ ტიპის ნამუშევრებში გვხვდება სწორხაზოვანი გამოსახულებების რითმი, ნიმუშის ზედაპირზე მათი პროპორციული განაწილება და შავ ფონთან შეხამებული ფერადი ჭიქურების ზომიერი გამოყენება. (სუვენირი „ჯვარი“ (1960-იანი წლები), დეკორატიული ლარნაკი (1960-იანი წლები), ჩაფი „ყელსაბამი“ (1976წ.), ლარნაკი „ინგური“ (1982წ.) და სხვ.) აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გეომეტრიულ ორნამენტთან ერთად მხატვრის

შემოქმედებაში გვხვდება დასმული მხატვრული ამოცანის სხვაგვარი ინტერპრეტაციებიც. 1970-იან წლებში კერამიკოსის შემოქმედებაში მრავლადაა წარმოგდენილი, იატაკზე დასადგმელი დეკორატიული ლარნაკები, რომელიც ფაქტობრივად დაზგური ქანდაკების ფუნქციას ითავსებდა. ნიმუშების უმრავლესობა შებოლილი კერამიკაა, მოხატული ფერადი ჭიქურით შესრულებული, განსხვავებული სიუჟეტური გამოსახულებებით. მხატვრის შემოქმედებით მემკვიდრეობაში გარკვეული ადგილი უკავია მცირე პლასტიკის ნიმუშებს. ამ ტიპის ზოგი ნამუშევარი თემატურად და შესრულების მანერითაც აღნიშნული პერიოდის საბჭოთა ქარხნებში წარმოებულ კერამიკულ სკულპტურებს მოგვაგონებს (გოგონა ჩონგურით, გოგონა დოქით და სხვ.). თავისი ხასიათითა და შინაარსით, მათგან შედარებით წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს სამშენისები: „ავაზა“, „მჯდომარე“ და „არაბი ქალები“. თბილისის საშენ მასალათა კომბინატმა 1990-იან წლებამდე იფუნქციონირა. საწარმოში მუშაობის წლებში მხატვარმა 500-ზე მეტი ნიმუში-ეტალონი შექმნა. მისი მრავალი ნამუშევარი დანერგილი იყო წარმოებაში და წარმატებით იყიდებოდა ადგილობრივ ბაზარზე. გაჰქონდათ და დიდი მოწონებით სარგებლობდა საფრანგეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, თურქეთში, ვიეტნამში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში. XX საუკუნის პროფესიულ კერამიკულ ხელოვნებას ქართულ კულტურაში გამორჩეული ადგილი უკავია. საწარმოო კერამიკა კი მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომლის შესწავლის გარეშე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ამ დარგის ისტორია სრულყოფილი ვერ იქნება. მსგავსი კვლევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა საწარმოებში მოღვაწე კერამიკოსების შემოქმედებითი ბიოგრაფიების შესწავლას ეთმობა. პროფესიონალი მხატვრები ბევრს მუშაობდნენ პროდუქციის მხატვრული დონის ასამაღლებლად და თავიანთი ინდივიდუალური მხატვრული ხედვით გარკვეულ ხელწერას ამჩნევდნენ წარმოებულ პროდუქციას. აღნიშნულ კონტექსტში მხატვარ მურთაზ აბაშიძის შემოქმედება უდაოდ საინტერესო მაგალითს წარმოადგენ.					
13	სოფიო ჩიტორელიძე	მხატვარ-კერამიკოსი გიორგი (გოგი) ქართველიშვილი ISSN 1512-4088	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი (მიღებულია დასაბეჭდად)	გ. ჩუბინაშვილის ცენტრი georgianart.ge	7
წერილში განხილულია კერამიკოსის რამდენიმე ნამუშევარი და ძირითადად გაშუქებულია მხატვრის შესახებ არსებული, დღემდე უცნობი, საარქივო დოკუმენტაცია. მხატვარ-კერამიკოსი გ. ქართველიშვილი 1940-იანელი კერამიკოსთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი პირველ კურსდამთავრებულ ხელოვანებთან ერთად, წლების განმავლობაში აქტიურად ედგა სათავეში თანამედროვე ქართული კერამიკის, პროფესიული სკოლის განვითარების საქმეს. კერამიკოსი შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად 1954 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1982 წ.) ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამავდროულად, ხელმძღვანელობდა, სამხატვრო აკადემიასთან არსებულ კერამიკის სასწავლო-ექსპერიმენტულ სახელოსნოს და ა.შ. გოგი ქართველიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა 4-ათეულ წელს მოიცავს. დარგში მიმდინარე პროცესების შესაბამისად იგი მუშაობდა არაერთი მნიშვნელოვანი თემატური, სახვითი თუ ტექნოლოგიური სირთულის გადასაწყვეტად. ხელოვანს ეკუთვნის რამდენიმე მნიშვნელოვანი, საეტაპო კერამიკული ნიმუში. შექმნილი აქვს როგორც მონუმენტური, ასევე საყოფაცხოვრებო და დეკორატიული დანიშნულების ნაკეთობები, მცირე ზომის ქანდაკებები და ა.შ. 1940–1950-იან წლებში როდესაც განვითარებას იწყებს ქართული მონუმენტური კერამიკა მხატვარმა ორი მნიშვნელოვანი ნიმუში შექმნა. ესენია წყაროს არქიტექტურული კომპლექსი (1948წ.) და რელიეფური					

პანო „უხვი მოსავლის ოსტატები“ (1954წ.). თემა იმ პერიოდისათვის სრულიად ახალი იყო და გამოირჩეოდა პლასტიკური და ტექნიკური ამოცანების სირთულით. 1950–იან წლებში მხატვარმა კიდევ რამდენიმე პანო და ბარელიეფი განახორციელა. მათ შორის: ფაიანსის მასალით შესრულებული სკულპტურული–დეკორატიული პანო (1953 წელი), ასევე, ბარელიეფი „სიმინდის კრეფა“ (თიხა, 1956 წ.), „პურის დამწიფება“ (ფაიფური, 1956 წ.) და სხვ.

აღნიშნულ პერიოდში კერამიკოსმა ფაიფურისა და ფაიანსის მასალით საყოფაცხოვრებო და დეკორატიული დანიშნულების რამდენიმე ნიმუშიც შექმნა. მათ შორის ფაიანსის დეკორატიული ლარნაკი (1953 წ.), კოლმეურნე ქალის ქანდაკება (1952 წ.), ცეკვა „მთიულური“ (ქალისა და ვაჟის ფიგურები) (1954 წ.), მეთხილამურე ქალი (1955 წ.), ფაიფურის სურა (1955 წ.) და ა.შ.

მხატვრის შემოქმედებაში გამორჩეული ადგილი უკავია სარიტუალო სასმისის მარანს. მხატვარი რამდენიმეჯერ მიუბრუნდა აღნიშნულ თემას და მხატვრულად საინტერესო, განსხვავებული მარნის ნიმუში შექმნა: „ძველი თბილისი“, „კინტო“, „შანდალი“ და სხვ. ხელოვანს შესრულებული აქვს ყოფითი დანიშნულების ნაკეთობები. ისევე როგორც ბევრი მხატვრის შემოქმედებაში კერამიკოსის მიერ შექმნილ ნიმუშებში მნიშვნელოვანი ადგილი განსხვავებული მოყვანილობის საღვინე დოქებს უკავია. მათ შორის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს დოქი „ჩიტი“, რომელიც მხატვარმა 1962 წელს შეასრულა. ხელოვანმა მსგავსი ფორმის განსხვავებული დეკორით შემკული ნიმუშის რამდენიმე ვარიანტი შექმნა. ორი მცირედ განსხვავებული მათგანი დაცულია ეროვნულ გალერეაში. ეროვნული მუზეუმის კერამიკის კოლექციაში მხატვრის მიერ შესრულებული, კიდევ რამდენიმე ნამუშევარია დაცული. მათ შორისაა: სადა, მოხდენილი ფორმის, ალდგენითი ჭიქურით დაფერილი, დეკორატიული ლარნაკი, თეფშები, ფიალები, რამდენიმე საღვინე დოქი და სხვა.

კერამიკოსის ბევრ ნამუშევარს დასმული ამოცანის სირთულე და შესრულების ტექნიკური სიმძნელე ახასიათებს, გამოარჩევს ახალი მხატვრული ხედვა. ქართული ხელოვნების მდიდარი მემკვიდრეობის შესწავლითა და მისი შემოქმედებითი გააზრებით, მხატვარს შექმნილი აქვს ეროვნული ხასიათის თანამედროვე ფორმები, რომლებიც თავის ღრმა შინაასთან ერთად ყურადღებას იქცევს მარტივი ფორმებით, პროპორციული არქიტექტონიკით, სადა სილუეტით, მშვიდი ფერადონებით, რაც მნახველში დასრულებულობის, „სრულქმნადობის“ შთაბეჭდილებას ტოვებს.

თავისი მნიშვნელოვნებით კერამიკოსის შემოქმედებითი თუ პედაგოგიური მოღვაწეობა უფრო სრულყოფილ მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს, რაც მომავალი კვლევის საგანია.

14	ცისია კილაძე	ირონია და თამაში შალვა ქიქოძის შემოქმედებაში ISSN 1512-4088	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი 2018	გ. ჩუბინაშვილის ცენტრი georgianart.ge	9
----	--------------	--	---	---	---



ირონია შალვა ქიქოძის მხატვრობის ერთ-ერთი დამახასიათებელი კატეგორიაა და მის მთელ შემოქმედებას თან გასდევს. ესაა დროის მსოფლმხედველობა, ეპოქისა და სიმბოლისტური ხედვის ერთ-ერთი ნიშანი და, ასევე, მხატვრის კონკრეტული, სუბიექტური თვითგამოხატვაც. მისი შემოქმედებაში ხშირად გვხვდება თამაშის მოტივი, ცხოვრების, როგორც თეატრის, სცენის აღქმა, რომელიც ხშირად ტრაგიკომიკური და ირონიულ-ორაზროვანია ამავე დროს, უწვევსალურ - ფილოსოფიური და ჰუმანურიც არის.

შალვა ქიქოძის მხატვრული ხედვა მნიშვნელოვანწილად ჩამოაყალიბა თეატრმა და იქ მისმამოღვაწეობამ. თეატრით გატაცებამ ხელი შეუწყო ერთგვარი

უწვევსალური ხედვის განვითარებას და არა მხოლოდ ფორმის, არამედ შინაარსის

მრავალგვარობასაც. ასევე, მისი ხედვის სიმბოლურ განზომილებაში ტრანსფორმირებას, რაც სხვადასხვაგვარად გამოიხატა მის ნამუშევრებში - გაძლიერდა მეტაფორულობა და თამაშის ელემენტი, ასევე, დროის სიმულტანურობა და სივრცის სინთეზისკენ, პირობითისკენ მიდრეკილება. თეატრი და სატირული გრაფიკა მისი შემოქმედებისთვის იმპულსი იყო მოდერნისტული ხედვის გამოვლენისთვის. თეატრმა მისცა მას თავისუფლება და დააძლევინა ილუზიონისტური მიდგომები, ასევე, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო მისი ფილოსოფიური ხედვის ფორმირებასაც.


სიმბოლისტიკისთვის თეატრი სინთეზის ახალი საფუძველი გახდა და მნიშვნელოვნად განსაზღვრა თეატრისა და ხელოვნების სხვადასხვა სახის ურთიერთდამოკიდებულება. შალვა ქიქოძეს შემოქმედების ერთგვარი უნივერსალობაც თითქმის ხელოვნებათა სინთეზის იდეას გულისხმობს.

15	ელენე თუმანიშვილი	სცენოგრაფიის განვითარების ტენდენციის შესახებ (ზოგადი სურათი-მონახაზი. 1920-1970- იანი წლები) ISSN 1512-4088	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი 2018	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი georgianart.ge	18
----	------------------------------	---	--	--	----

დრო, რეჟისორი, მხატვარი, მსახიობი, სპექტაკლის მხატვრული ენა, მისი პირობითობის ხარისხი... ამ ცნებებს შორის შეიძლება დაისვას მაკავშირებელი ისარი, რომელიც მათ თანმიმდევრულობას, ერთის მეორედან გამომდინარეობას აღნიშნავს. ცხადია, ეს სქემა მხოლოდ და სინამდვილეში ბევრად რთულ, სიღრმისეულ პროცესებთან გვაქვს საქმე.

დროის ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა სპექტაკლის მხატვრული გადაწყვეტის კონცეფციაც. ერთი თეატრალური კონცეფცია იცვლებოდა სხვით, ერთი თეატრალური სტილისტიკა - მეორით. ახლებური რეჟისორული ხედვა იწვევდა სპექტაკლის სახიერი მხარის გადააზრებას, მის ხელახალ შეფასებას, შესაბამისად, იცვლებოდა სათეატრო მხატვრობის კონცეფციაც. სწორედ ამ პროცესისთვის თვალის მიდევნება და აღნიშნულ დროით მონაკვეთში მისი ზოგად ხაზებში გამოკვეთა გახლავთ ნაშრომის მიზანი.

16	ეკატერინე გედევანიშვილი	წმ. გიორგის კულტი და გამოსახულება შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში 1512-1321	საქართველოს სიძველენი, #21	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	38
----	------------------------------------	--	---------------------------------------	--	----



სტატია ეძღვნება წმ. გიორგის კულტისა და გამოსახულების ისტორიას საქართველოში. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქართული ხელოვნებისთვის დამახასიათებელ იკონოგრაფიულ თემებს მაგ., დიოკლეტიანეს მლახგრელი წმ. გიორგის გამოსახულება, წვეროსანი წმ. გიორგი და სხვა. ნაშრომში განხილულია წმინდანის ცხოვრების ციკლის ევოლუცია და საქართველოს განსაკუთრებული როლი ამ წმინდანის აგიოგრაფიულ სახვით ისტორიაში.

17	დიმიტრი თუმანიშვილი	საბჭოური არქიტექტურის გაგებისთვის ISSN 1512-0899	ACADEMIA #7,2019	თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	14
----	--------------------------------	--	----------------------------	---	----

ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის შენობის ფასადი სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ განიხილება, როგორც შუა საუკუნეების ეროვნული ხუროთმოძღვრების თანამედროვე „რენაიმაციის“ წარმატებული შემთხვევა. ფასადის პროექტი 1923 წელს იყო შემუშავებული, თუმცა, როგორც ირკვევა, ამგვარი გადაწყვეტა ჯერ კიდევ 1920 წელს იყო შემოთავაზებული, გიორგი ჩუბინაშვილის ინიციატივით. ასეთნაირად კი გამოდის, რომ დამოუკიდებლობის ხანაში (1918-1921) დაწყებული ძალისხმევა საბჭოთა დროსაც გაგრძელებულა.



როგორც ჩანს, შეცვლილ პოლიტიკურ გარემოში, დუმილი იმაზე, რაც წინა ხანაში შეიქმნა, დაწყებული კულტურული მუშაობის გადარჩენის საშუალებას წარმოადგენდა. ის, რომ მუზეუმის ფასადი მის „შინაარსზე“, როგორც ეროვნული წარსულის, მემკვიდრეობის საცავზე, მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო, შემდეგით დასტურდება: მისი წინამორბედი - კლასიცისტური სტილის ნაგებობა (არქ. ა. ზალცმანი, ლ. ბილფელდი), რომელიც კავკასიის მუზეუმს ეკუთვნოდა, კავკასიას სიმბოლურად, კლასიკურ ანტიკურ სამყაროს უკავშირებდა, მაშინ როდესაც ნაგებობის “ისლამური“ იერსახე, რომლის განხორციელება 1910 წელს დაიგეგმა (არქ. მ. ნეპრინცევი), მთლიანობაში მას „რუსულ აღმოსავლეთს“ უკავშირებდა.

18	დიმიტრი თუმანიშვილი	ხუროთმოძღვრების დაცვა-აღდგენის საკითხისთვის ISSN 1512-0899	ACADEMIA #6, 2017-2018	თბილისის აკ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	36
----	---------------------	---	---------------------------	--	----

კონსერვაციის სფეროში მოღვაწე, მე-19-მე-20 საუკუნეების თეორეტიკოსების ნაშრომებზე დაყრდნობით, წერილში განხილულია ძეგლთა კონსერვაციის ცალკეული შემთხვევები საქართველოსა და საერთაშორისო პრაქტიკაში. განხილულია ასევე განსხვავებული მიდგომები, რომლებიც ძეგლებისადმი „სამუზეუმო“ და „ადამიანზე ორიენტირებულ“ დამოკიდებულებას გულისხმობს.

19	კიტი მაჩაბელი	სამწერო-ბეჭდო სიწმიდისაი 1512-1321	საქართველოს სიძველენი, #21	თბილისი გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	12
----	---------------	---------------------------------------	-------------------------------	--------------------------------	----



საეკლესიო სამწერო-ბეჭდო (ბერძ.-ripidion, ლათ.-flabellum)-ღვთისმსახურებისას მოსახმარი, მწერების მოსაგერიებლად განკუთვნილი ნივთები, მე-4 საუკუნიდან არის ცნობილი. თავდაპირველად მათ ბუმბულის, ქსოვილის ან პერგამენტისგან ამზადებდნენ. მე-6 საუკუნისთვის მათი ფორმა საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სახეს იღებს. სამწერო-ბეჭდო მზადდებოდა ლითონის ფირფიტებისგან, მათ მრგვალი, დისკოს ფორმა ჰქონდა და სერაფიმებისა და ქერუბიმების გამოსახულებებით იყო შემკული. საქრისტიანოში შემორჩენილი სამწერო-ბეჭდო ძირითადად გვიან შუა საუკუნეებს განეკუთვნება, ამიტომაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მე-10-მე-11 საუკუნის ქართული ჭედური სამწერო-ბეჭდო, რომლებიც თავდაპირველად გიორგი ჩუბინაშვილის მიერ იყო შესწავლილი.

ადრეული თარიღის გარდა, ქართულ რიპიდები ფორმითაც გამორჩეულია. მათ არა მთელ საქრისტიანოში გავრცელებული, მრგვალი ფორმა, არამედ 5 დისკისგან შედგენილი ჯვრის ფორმა აქვთ - ერთი ცენტრში, დანარჩენები მის გარშემო. მეტად ყურადსაღებია ის სამწეროებლები, რომლებზეც დამკვეთთა წარწერებია შემორჩენილი. მაგ., ოზუჯის 10 ს-ის სამწეროებელი მეფე გიორგის (957წ.) წარწერით ; 11 ს-ის შემოქმედის სამწეროებელი პარსმან ერისთავის საქტიტორო წარწერით; აწ დაკარგული სამწეროებლები ქტიტორების : ბაგრატის, სარგისის და სტეფანოზის წარწერით, რომლებმაც ოქრომჭედელ თუთაის დაუკვეთეს ეს სამწეროებელი ერისთავ ლიპარიტ გიორგიზინასთვის და ა.შ.

20	ირმა მამასახლისი	ნადირობის სიუჟეტი ოშკის ფასადზე ISSN 1512-1321	საქართველოს სიბველენი, #21	თბილისი გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	14
----	------------------	--	----------------------------------	--------------------------------------	----

ოშკის წმ. იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსი ისტორიულ ტაოში, თორთუმის ხეობის დასავლეთით მდებარეობს. აღნიშნული ტაძარი სამეცნიერო კვლევებში არაერთგზის გამხდარა მსჯელობის საგანი. ცნობილია ის ფაქტი, რომ ოშკის ტაძარი დეკორატიულ და რელიეფურ სახეთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ტაძრის რელიეფურ დეკორში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ზოომორფულ თემატიკაზე შექმნილი კომპოზიციები. ისინი ხან ორნამენტებშია ჩაწერილი, ხან კი დამოუკიდებელი სცენის სახით თანაარსებობენ.

ჩვენი მიზანი ერთი კონკრეტული რელიეფური ფილის ჩვენებური წაკითხვის მცდელობაა, კერძოდ, სამხრეთი სარკმლის მორთულობა, სადაც ნადირობის სიუჟეტიც ასახული. აღნიშნული საკითხს არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. როგორც ირკვევა, ოშკის საკათედრო ტაძრის სამხრეთი თავსართიანი სარკმლის მორთულობა თავისებური გადაწყვეტით არაერთგზის გამხდარა მსჯელობის საგანი. ვ. ჯობაძე აღნიშნულ სიუჟეტს ნადირობის სცენად მიიჩნევს. ბოლო დროს აღნიშნულ სიუჟეტს საგანგებო კვლევა მიუძღვნეს ნატო გენგიურმა და ნინო გოდერძიშვილმა. ამ უკანასკნელთა აზრით, ეს სიუჟეტი ასტრალურ თემასთანაა დაკავშირებული.

თუმცა ჩვენი დაინტერესება ამ საკითხისადმი რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების სახვით ხელოვნებაში ნადირობის სიუჟეტს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. ამ სიუჟეტს თავისი ფესვებით ძველ აღმოსავლურ ნიმუშებთან მივყავართ. მეფის ნადირობის სიუჟეტის ამსახველი არაერთი ნიმუში გვამღევს საშუალებას, ვივარაუდოთ მის გავლენაზე შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების სახვით ნიმუშებზე. ჩვენი დაკვირვებით ირკვევა, რომ ოშკის რელიეფზე სიცოცხლის ხესთან წარმდგარ ირმებს მშვილდოსანი მონადირე უახლოვდება. იგი სროლის მზადყოფნაშია მოცემული.

საგანგებო მსჯელობას მოითხოვს სიცოცხლის ხის წინაშე წარმდგარი ცხოველების სემატიკა და მისი მიმართება მშვიდლოსან მონადირესთან. შესაბამისი ვიზუალური მასალის და საღვთისმეტყველო ტექსტების მოშველიებით. როგორც ირკვევა, სიცოცხლის ხე ჯვარცმის წინაგანგებულებაა. აქედან გამომდინარე, სრულებით შესაძლებელია ოშკის ოსტატმა ერთი შეხედვით ნადირობის უჩვეულო გამოსახულებაში დაშიფრული სახით ჯვრის წინასახე სიცოცხლის ხით შეანაცვალა. მშვილდოსანი მონადირე კი წმ. ევსტათე პლაკიდას ასახავს. წმინდანის ცხოვრების თანახმად, პლაკიდას ნადირობისას ირმის რქებში გაბრწყინებული ჯვარი გამოესახა, ღვთაებრივმა ხმამ მას ნათლისღებისკენ მოუწოდა. წმინდანს მოქცევის შემდეგ ევსტათი ეწოდა. ნიშანდობლივია, რომ IX საუკუნის დასურათებულ ფსალმუნებზე ჯვრის სახე ქრისტეს გამოსახულებით შეიცვალა, რაც ერთგვარად ხატთაყვანისმცემლთა მთავარ არგუმენტს წარმოადგენდა ხატმბრძოლთა წინააღმდეგ წარმოებულ კამათში. ნიშანდობლივია, რომ ქართულ ხელოვნებაში წმ. ევსტათეს ხილვის სიუჟეტების

ადრეული გამოსახულებზე, როგორიცაა: წებელდის კანკელის ფილა (VII-VIII სს.), მარტვილის ტაძრის რელიეფი (VII ს.), ნათლისმცემლის სტელა (VII-VIII სს.) ირმის რქებში მაცხოვრის ბიუსტია მოცემული. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენში სახვითი ტრადიცია წინ უსწრებს წმ. ევსტათის ცხოვრების ამსახველ ლიტერატურულ წყაროს.

ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, მშვილდოსანი მონადირის და სიცოცხლის ხის წინაშე წარმდგარი ირმების თემა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში აქტუალობას არ კარგავს. ისიც ცხადი ხდება, რომ ირმის მრავალსახა სემანტიკიდან გამომდინარე, იგი სიცოცხლის ხესთან მჭიდრო კავშირშია და, ამასთანვე, ღმერთთან მიახლების სახე-სიმბოლოს წარმოადგენს. უდავოა, ასევე, ჩვენ ხელთ არსებული ბოლოდროინდელი კვლევის საფუძველზე აღნიშნული იკონოგრაფიული სცენის იდენტიფიცირება წმ. ევსტათი პლაკიდასთან.

21	თამარ ხოსროშვილი	მუხრანის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის მოხატულობა ISSN 1512-4088	ARS GEORGICA სერია B ელექტრონული ჟურნალი 2019 (მიღებულია დასაბეჭდად)	თბილისი გ. ჩუბინაშვილის ცენტრი georgianart.ge	12
----	---------------------	--	--	--	----



მუხრანის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია ნიკოლოზ ედიშერის ძე მუხრანბატონის ქტიტორობით აგებულია, მასვე მოუწვევია მხატვარი ეკლესიის მოსახატად. როგორც ნიკოლოზის შვილისვილის ნიკო ბურის მოგონებიდან ირკვევა,

სწორედ ამ მხატვრის ფუნჯს ეკუთვნის დღეისათვის ძალზე ცნობილი ნახატი “მუხრანბატონების ოჯახი”. ეს მრავალმხრივ საინტერესო მხატვრობა ძალზე განსხვავდება მისი თანადროული სხვა საეკლესიო მოხატულობებისგან პროგრამით, უჩვეული მხატვრულ-იკონოგრაფიული გადაწყვეტით თუ შესრულების სტილით. ის ერთი მხრივ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ფაქტობრივად ერთადერთი ჩვენამდე შემონახული ნიმუშია კედლის მხატვრობისა, რომელიც 1860-იან წლებში შესრულდა. მეორე მხრივ, ეს ეკლესია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართველი მხატვრის გამო იმენს, რომელიც საეკლესიო მხატვრობის პარალელურად, საერო მხატვრობის ნიმუშსაც ქმნის და ამის შესახებ ცნობამაც დღევანდელ დღემდე მოაღწია.

22	David Khoshtaria	Persian Master Builders in the Cities of Nineteenth- Century Georgia ISSN - 0132 - 1447	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, 2019, №3 (მიღებულია დასაბეჭდად)	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	5
----	---------------------	--	--	---	---

XIX საუკუნის საქართველოში მომუშავე მშენებელთა შორის სპარსელები მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენდნენ. ისინი ცნობილი იყვნენ, როგორც აგურით შენების აღიარებული ოსტატები. მათ არსებითი წვლილი შეიტანეს ადმინისტრაციული შენობების, ყაზარმების, საავადმყოფოების,

ქარვასლებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში. სპარსელ ოსტატთა საქმიანობის მეორე სფერო ინტერიერების გაფორმება იყო. ისინი იყენებდნენ სეფიანთა და ყაჯართა დროის დეკორატიული ხელოვნების მდიდარ რეპერტუარს – ნაძერწ ორნამენტს, მხატვრობას, სარკეებს. მათ დამკვეთთა შორის იყვნენ მაღალი რანგის მოხელეები, მდიდარი ვაჭრები, წარჩინებულები და რუსეთის სამეფო ოჯახის წევრებიც კი. „სპარსული სტილის“ ინტერიერების შემკობაში წამყვან როლს სპარსეთიდან მოწვეული ოსტატები ასრულებდნენ, თუმცა იყვნენ ადგილობრივი ხელოსნებიც. სპარსელები ასევე ჩართულნი იყვნენ ჰიდროტექნიკური ნაგებობების - არხების, ჭეხის, კაშხლების მშენებლობაში.

XIX საუკუნის I ნახევარში სპარსელი მშენებელი ოსტატების საქმიანობის არეალი აღმოსავლეთ საქართველოთი იფარგლებოდა. მათი უმეტესობა თბილისში მუშაობდა. მომდევნო ათწლეულებში, სპარსეთიდან მასობრივი ემიგრაციის კვალდაკვალ, მათი ჯგუფები შავიზღვისპირა ქალაქებშიც – ბათუმსა და ფოთშიც გაჩნდა.

23	სამსონ ლეყავა ბექა მაისურაძე	დარბაზული არქიტექტურა და XX ს. ქართული ხუროთმოძღვრების ზოგიერთი პრობლემა ISSN 1512-0899	ACADEMIA 2017-2018	თბილისი, თსსა	11
----	---	---	------------------------------	------------------	----

ამ ერთობრივ პუბლიკაციაში განხილულ იქნა დარბაზული ხუროთმოძღვრების მიმართულებანი XX ს. ქართულ საბჭოურ (უპირატესად) და პოსტსაბჭოურ არქიტექტურაში. გამოიკვეთა, რომ დარბაზის ფენომენის მთლიანობითი წვდომა არ მომხდარა. თავი იჩინა მისმა „ფრაგმენტულობა“ აღქმამ, თუმცა ისიც გამოჩნდა, რომ დარბაზთან დიალოგის პოზიტიური მაგალითებიც მოგვეპოვება.

24	სამსონ ლეყავა	მხატვარი-მოგზაური (გ. ბუღაძის შემოქმედება) UDC (უაკი) 72+73/76 (479.22) (051.22)	ძველი ხელოვნება დღეს	თბილისი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	11
----	----------------------	---	---	--	----

სტატიის გაანალიზებულა გია ბუღაძის შემოქმედების არსებითი მახასიათებლები, კერძოდ - ფართო ინტერესი რელიგიური, მითოსური, ისტორიული თემებისადმი. გამოიკვეთა ოსტატის ხედვის მასშტაბები, მისი სწრაფვა სინთეზური აზროვნებისაკენ, მართებული სინათლის არსებითი როლი, ღრმა სემანტიკური დატვირთვა, ერთგვარი მისრიკურობა, ფერწერის ზღვართა გადალახვა და იმავდროულად ტრადიციული სახვითი სისტემის ერთგულება, მის ახალ შესაძლებლობათა გახსნის გზით.

25	ასმათ ოქროპირიძე	გეოგრაფიული გარემო და არქიტექტურა ISSN 1987-894	„ჰუმანიტარული კვლევები“ (წელიწადეული) VII	თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს გამომცემლობა	14
----	-----------------------------------	---	--	---	----

ეს არის ნარკვევი, რომელიც ეხება გეოგრაფიული გარემოს როლს კულტურის, კერძოდ, ხუროთმოძღვრების, ფორმირების პროცესში. რადგან გეოგრაფიული გარემო ის პირველადი მისტიკური ინფორმაციაა, რომელიც ადამიანის ცნობიერებას მეტაფიზიკასთან აერთიანებს. განხილულია კონტრასტული გეოგრაფიული გარემო – კერძოდ, რუსეთი, რომლის ხანგრძლივი

თოვლი ასახვას პოულობს არქიტექტურის სითეთრეში; აგრეთვე არაბეთი, რომლის ორნამენტი და არქიტექტურა სულიერი წყობით ეპასუხება ქვიშიანი უდაბნოს მირაჟულ სიფაქიზეს. ნარკვევის ძირითადი ნაწილი კი ეთმობა საქართველოსა და საბერძნეთის მდებარეობათა თავისებურებებს და ამ მიმართებაში ხუროთმოძღვრების განუმეორებლობას, რაც გვაძლევს საშუალებას, გამოიკვეთოს თავისებური „სახვითი კონცეფტი“, რომელიც აუცილებელი ორიენტირია ეროვნულობის პრობლემათა კვლევისას.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Maia Tsitsishvili	The Tbilisi Portraiture	Warsaw	210
 XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული თავადაზნაურული პორტრეტი ე. წ. „ტფილისური სკოლა“ ქართული ხელოვნების ისტორიის ღირშესანიშნავ, ისტორიული მნიშვნელობით, თვითმყოფადოფითა და მაღალი ღირსებით გამორჩეულ მოვლენათა რიგს განეკუთვნება, რომელშიც ქართული ეროვნული ხასიათი განსაკუთრებული სიმძაფრით გამოვლინდა. საქართველოში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შემორჩენილმა ფეოდალურმა წესწყობილებამ მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ხელოვნების ძლიერი ტრადიციით, განსაკუთრებით კი, გამუდმებულმა დამაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, შეაფერხა ახალი ქართული ხელოვნების ჩამოყალიბება. ამ მიზეზით დაზგური მხატვრობის განვითარებაც უფრო თავისებურად, დასავლეთის სამყაროს ქვეყნებისგან განსხვავებული გზით წარიმართა. ქართულ ხელოვნებაზე მთელი მისი ისტორიის განმავლობაში ამა თუ იმ მხატვრულ სტილთა ჩამოყალიბებისას ზემოქმედებას ახდენდა განსხვავებულ კულტურულ სამყაროთა გავლენა. „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ წანამდღვართაგან, პირველ ყოვლისა აღსანიშნავია თავად ქართული საწყისი - საქართველოს შუა საუკუნეების კედლის მხატვრობაში არსებული „საერო“ ქტიტორული პორტრეტის ხანგრძლივი ტრადიცია, რომელიც ამ სკოლის ფორმირების ჟამს ერთ-ერთი წარმართველი კომპონენტი იყო. მეორე, ასევე უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა იმდროინდელ საქართველოში საკმაოდ კარგად ცნობილი ირანული მხატვრობის ტრადიცია. ამ სკოლის სტილისტური სახის დამკვიდრებაში, უდავოდ, მნიშვნელოვანი როლი იქონია ევროპული პარადული პორტრეტის არსებითი ზეგავლენით შექმნილმა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა პარადულმა პორტრეტებმაც.				
2	Maia Tsitsishvili	Shalva Kikodze	Warsaw	180



ქართული მოდერნისტული მხატვრობის ერთ-ერთმა თვითმყოფადმა წარმომადგენელმა და გამორჩეული ნიჭის მხატვარმა, მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებაში. სრულიად ახალგაზრდა შალვა ქიქოძის ფერწერულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი შექმნილია პარიზში ცხოვრების პერიოდში წელიწად-ნახევრის განმავლობაში. შალვა ქიქოძეს საკმაოდ ადრე, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ყრმობის წლებში ჩამოუყალიბდა ინდივიდუალური, საკმაოდ მძაფრი, იუმორით გაჯერებული, მახვილი ხედვა. იგი ჯერ კიდევ მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში სწავლისას აქვეყნებდა მოსკოვურ თეატრალურ ჟურნალებში რუსი თეატრალების შარჟებსა და კარიკატურებს. შალვა ქიქოძეს ქართულ იუმორისტულ და სათეატრო ჟურნალებთანაც ჰქონდა ამგვარი თანამშრომლობა. 1918 წ-

სამშობლოში დაბრუნებული

მხატვარი დ. შვეარდნაძის მიერ ჩამოყალიბებული პირველი პროფესიული საზოგადოებრივ-

კულტურული ორგანიზაციის „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ საქმიანობაში ჩაერთო (1916). იგი აირჩიეს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მდივნად. მონაწილეობდა პირველ სამხატვრო-სამეცნიერო ექსპედიციაში ნაბახტევის ეკლესიის მხატვრობის პირების გადმოსაღებად. საქართველოში შ. ქიქოძე მჭიდროდ თანამშრომლობდა ჟურნალებთან. მისი კარიკატურები იბეჭდებოდა სატირულ-იუმორისტულ ჟურნალებში „ლახტი“ და „ემშაკის მათრახი“, თეატრალურ ჟურნალებში „თეატრი და ცხოვრება“ და „თეატრი და მუსიკა“, რუსულენოვან გამოცემაში „ხელოვნება“. მხატვარი, რეჟისორ გ. ჯაბადარის მიწვევით, მუშაობდა მის მიერ ჩამოყალიბებული სტუდიის სპექტაკლების გაფორმებაზე (1918). 1919 წ-ს შ. ქიქოძე მონაწილეობდა თბილისში „დიდების ტაძარში“ გამართულ მასშტაბურ გამოფენაში. 1920 წლის 13 იანვარს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მიერ დანიშნული სტიპენდიით არტისტი სხვა მხატვრებთან ერთად სასწავლებლად პარიზში გაემგზავრა, სადაც იფინებოდა არაერთ გალერეაში, კერძოდ, „ლა ლიკორნა“ და „დამოუკიდებელთა სალონი“. 1920 წლის დასაწყისში ევროპული კულტურის ცენტრში მოხვედრილ 26 წლის შალვა ქიქოძეს თავისი ორი მეგობრისგან – დავით კაკაბაძისა და ლადო გუდიაშვილისაგან განსხვავებით, თანადროული პარიზის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ სამინელი იმედგაცრუება დაეუფლა. მისი ფიქრები და განცდები, გარდა მისი მხატვრობისა, ახლობლებისადმი მიწერილ უაღრესად ცოცხალ და საინტერესო წერილებშიც აისახა. საბოლოოდ სწორედ პარიზში შექმნილ ნაწარმოებებში გამოაშკარავდა და ჩამოყალიბდა შალვა ქიქოძის მხატვრობისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ექსპრესიონისტული დამოკიდებულება გარემომცველი სინამდვილისადმი. ალბათ ამიტომაც მოუწევდა გული გერმანიისაკენ. პარიზში შალვა ქიქოძემ რამდენიმე თემას მიმართა, რომლებსაც თავისი განწყობის მიხედვით, შესატყვისი მხატვრული ფორმა მოუძებნა.

3	Nana Kipiani, Tamaz Gersamia (ლევან ჭოღოშვილი, აკა მორჩილაძე, დობაღდ რეიფელდი, გიორგი გერსამია, გიორგი კალანდია, ლევან ცხადაძე	Memories of Tiflis ISBN 978-3-947273-02-7	Frankfurt am Main Fachhochschulverlag in collaboration with LAS Press New York, NY	408
---	---	---	--	-----

თამაზ გერსამია

თბილისი - საქართველოს დადაქალაქი, ერთ-ერთი უძველესი ქალაქია მსოფლიოში. მისმა, როგორც ქალაქის წლოვანებამ თხუთმეტ საუკუნეს გადააჭარბა, პირველი მოსახლეები კი აქ გაცილებით ადრე გაჩნდნენ. მისი ისტორია რთული იყო. იგი მომსწრეა მშვიდობიანი ცხოვრების, ინტენსიური მშენებლობისა და კულტურული აყვავების პერიოდების, მაგრამ ამავე დროს მტრის მრავალგზის შემოსევებისაც. ყოველი

ასეთი შემოსევა წარუშლელ კვალს ამჩნევდა ქალაქის სახეს, ხოლო ირანელების შემოჭრამ XVIII საუკუნის ბოლოს, თითქმის მთლიანად გაანადგურა შუასაუკუნეების თბილისი. XIX საუკუნის დასაწყისიდან თბილისის ისტორიაში ახალი, სრულიად განსხვავებული ხანა დაიწყო, როდესაც ფეოდალური ქალაქი თანდათან კაპიტალისტურ, ხოლო აღმოსავლური "აზიური" ქალაქი ევროპულ ხასიათს ღებულობს. ორმოცდაათიანი წლებიდან განსაკუთრებით გამოცოცხლდა საზოგადოებრივი ცხოვრება, აქ თავს იყრიან ეროვნული კულტურული ძალები, არსდება ახალი ჟურნალ-გაზეთები, სამეცნიერო დაწესებულებები, აღორძინებას იწყებს ეროვნული თეატრი, ეწყობა მხატვართა გამოფენები, თბილისი დიდი კულტურული ცენტრი ხდება. ამ ცვლილებების პროცესში, როდესაც ძველი და ახალი ერთმანეთს უპირისპირდებოდა და არა მარტო ებრძოდა, არამედ ხშირად ერწყმოდა კიდეც ერთმანეთს, ქალაქის ყოფა-ცხოვრებაში ბევრი რამ თავისებური, სრულიად სპეციფიკური, საგანგებოდ "თბილისური" ჩამოყალიბდა, რასაც თბილისის გარეთ ვერსად შეხვდებით. შეიძლება ითქვას, რომ იმ დროის თბილისი, რომელიც ერთი ჟურნალისტის სიტყვით "ორსახა იანუსს ჰგავდა - ერთი სახით ახიას უყურებდა, მეორით კი ევროპას", ყველას იზიდავდა თავისი კოლორიტულობით, რომელიც მის გარეგნულ სახეშიაც გამოიხატებოდა და მის ყოფა-ცხოვრებაშიც. ამაზე მეტყველებს იმ მრავალი ევროპელის ცნობა ან მოგონება რომელშიც ისინი აღფრთოვანებით აღწერენ თბილისს. წიგნის მიზანია, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, გააცნოს და დააინტერესოს უცხოელი მკითხველი თბილისის ისტორიით და კულტურით.

ნანა ყიფიანი

ტექსტი სათაურით *Palimpsest Tiflis – Art in Tiflis*, ეძღვნება ქართულ-თბილისურ მოდერნიზმს და ავანგარდს, მის ისტორიას, თავისებურებას და ამ თავისებურების გამაპირობებელი მიზეზების კვლევას. აქედან გამომდინარე ეხება საქართველოს ისტორიასაც - პოლიტიკურს, კულტურულს, სახელოვნოს. სტატიაში გაანალიზებულია 1900-იანი - 1920-იანი წლების კულტურული ცხოვრება, არტისტული კავების გამოცდილება, ამ წლების აქტიური საგამომცემლო საქმიანობა, ავანგარდული წიგნის თავისებურებები, ცალკეულ მხატვართა შემოქმედება; თბილისის მულტიკულტურული, მულტიეთნიკური გარემო, რომელიც ასევე ბევრად განსაზღვრავს თბილისური ავანგარდის ხასიათს

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Maia Mania	Georgia Made by Characters. Frankfurter Buchmesse. # 3	Frankfurt Frankfurter Buchmesse.	37 (2)
კრებულში გამოქვეყნებული ტექსტი მოკლედ მოგვითხრობს წიგნზე „გერმანელი არქიტექტორები თბილისში“, რომელიც 2017 წლის ფრაქფურტის წიგნის ბაზრობაზე იყო წარდგენილი.				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Mzia Janjalia, Marina Bulia	Trend versus Cultural Context in Medieval Art: The Case of the Kirants Paintings. ISSN 2336-3452	Convivium, Exchanges and Interactions in the Arts of Medieval Europe, Byzantium, and the Mediterranean Seminarium Kondakovianum Series Nova, 2018, Volume 5, Issue 2	Belgium, Brepols Publisher	17
		შეიძლება ითქვას, რომ XII საუკუნის II ნახევრის ქართული მხატვრობის რთულსა და არაერთმნიშვნელოვან სახეს მყარი ადგილობრივი ტრადიციისა და თანადროული ბიზანტიური მხატვრობის სხვადასხვა ნაკადებისადმი ცხოველი ინტერესის ერთობლიობა განსაზღვრავს. ამ ხანის გამორჩეულ ნიმუშთა შორისაა ოდესღაც ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი, ახლა კი ჩრდილოეთ სომხეთში მდებარე ქალკედონურ მონასტერთაგან ერთ-ერთის, ქართული სამეფო კარის ადგილობრივ დიდმოხელეთა, ცნობილი ივანე მხარგრძელისა და მისი ვაჟის, ავაგის სამფლობელოში მდგომი, დღეს კირანცად ცნობილი მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობა. კირანცის მხატვრულ გადაწყვეტას ანალოგები რეგიონის თანადროულ მოხატულობებში (ახტალა, ქობარი) არ ეძებნება მასში ბიზანტიური სივრცის სხვადასხვა ტრენდებიც ჩანს და მათ მიმართ შერჩევითი და შემოქმედებითი დამოკიდებულებაც. ამ მოხატულობის პროგრამულ გადაწყვეტასა და მხატვრულ კონცეპტს დროითა და გეოგრაფიული თვალსაზრისით განსხვავებულ წრეებში ეძებნება მსგავსება. თუ მოხატულობის პროგრამული ნიშნები ადრეპალეოლოგოსური ხანის ბიზანტიისა და ბალკანეთის ქვეყნების ტრენდების შესატყვისია, კირანცის მსგავსი მხატვრული ხედვა, რომელიც ფიგურათა სიბრტყობრივი და ხაზობრივი გადაწყვეტის უპირატესობასა და მოცულობის ნიშნებისა და განწყობის ერთგვარ ნაივურობაში გამოიხატება, ლათინთა მმართველობის ქვეშ მყოფი ბერძნული მიწებისა და კვიპროსის XIII საუკუნის მოხატულობებში შეიძლება ინახოს. შეიძლება ითქვას, რომ კირანცის მოხატულობის არსებითი ნიშნები ლათინთა დომინაციისა და ადრეპალეოლოგოსური ხანის ბიზანტიური სივრცისთვის დამახასიათებელ რთულ კულტურულ ინტერაქციებს ეხმიანება (კირანცის მოხატულობის სტილურ კონცეპტს ქართულ მხატვრობაში XIII საუკუნის II ნახევარსა XIII-XIV სს მიჯნაზე ეძებნება პარალელები. კერძოდ, სამცხეში, საფარის წმ. საბას ტაძრის ძირითადი, XIII საუკუნის მეორე ნახევრის მოხატულობის ნაწილსა და 1300იანი წლების ჭულეს მხატვრობაში, სადაც მხატვრული გადაწყვეტის არსებითი მახასიათებელი სწორედ ახლებური ნაივურობაა, არა ემპირიული ფორმებისადმი, არამედ ემპირიული ემოციებისადმი გამოვლენილი ინტერესი). ქართული კულტურის წიაღში იმ ტენდენციების ასახვა, რომლებიც აღმოსავლეთქრისტიანულ,			

ჯვაროსნულ და ისლამურ კულტურულ გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ



სივრცეთა გადაკვეთებს გულისხმობდა არ არის საუკუნეების მანძილზე იგი კულტურათაშორისი ურთიერთობისა და მთავარ ქრისტიანულ ცენტრებთან, მათ შორის წმინდა მიწასთან, უწყვეტი და აქტიური კავშირის პირობებში ყალიბდებოდა.

კვირანცის მოხატულობა თავისი დროის არა-რიგითი მოვლენაა, რომლის დამკვეთიც უთუოდ მმართველი ელიტის ასევე არა-რიგითი ფიგურა უნდა ყოფილიყო, თავისი სპეციფიკური გამოცდილებითა და მკაფიოდ გამოხატული აღმოსავლური გემოვნებით (ეს ტაძრის არქიტექტურულ გადაწყვეტაშიც აშკარადაა გამოვლენილი და მხატვრობაშიც). ასეთ

ფიგურად ამ მიწების მფლობელის, ავაგ მხარგრძელის ქალიშვილი, ხუაშაგი გვესახება, რომელიც ოჯახურ ტრადიციებთან მიჯაჭვულობასთან ერთად, აღმოსავლურ გარემოსთან ხანგრძლივი კავშირითაც იქცევს ყურადღებას. ხუაშაგი მონღოლთა კარის მეტად გავლენიანი მოხელის, სიმდიდრით, აღმშენებლობითა და ხელოვნების პატრონაჟით ცნობილი სპარსი წარჩინებულის საჰიბ დივანის ხოჯა შამშადინის ცოლი იყო. ის 1280-იანი წლების მეორე ნახევარში, ირანში ხანგრძლივი

ცხოვრების შემდეგ, მას მერე, რაც მისი მეუღლე სიკვდილით დასაჯეს, ვაჟთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა და მამისეული ქონების დაბრუნებას შეუდგა.


კვირანცის მოხატულობა, რომელიც შუა საუკუნეების რელიგიური მხატვრობის კანონიკურ, თითქოსდა მკაცრად სტანდარტიზებულ სფეროში დამკვეთის ინდივიდუალური გემოვნების თვალსაჩინოებასთან ერთად, მისი არჩევანის თავისუფლებას, დღევანდელი გაგებით კონსერვატიულისა და პროგრესულის გაუმოქმედებლად თანაარსებობას, პროგრამული და მხატვრული გადაწყვეტის ნიშნების ესოდენ მოულოდნელ კომბინაციათა შესაძლებლობას ცხადყოფს, მკაფიოდ ათვალსაჩინოებს ახალ დროში დამკვიდრებულ აღქმაზე დაყრდნობით შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშთა განხილვისა და შეფასების პირობითობას და გვიბიძგებს დაფიქრდეთ თუ რამდენად ემთხვევა ზოგადად შუასაუკუნოვან ნიმუშთა ჩვენეული აღქმა და შეფასება ძველი დამკვეთებისა და მაყურებლებისას? აუცილებლად ნიშნავდა კი მაღალი/ელიტური ხელოვნება დღევანდელ წარმოსახვაში დამკვიდრებულ კონსტანტინოპოლურ სტანდარტს? იზომებოდა კი ეს სტანდარტი დღეს გაზიარებული ესთეტიკური ნიშნებით? თუ სხვა საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებულად აქტუალური გახდა თანამედროვე ბიზანტინისტურსა თუ მედიევისტურ კვლევებში.

2	Natia Natsvlishvili	One Town, Two Empires: Urban Planning in Late Medieval and Modern Akhaltsikhe ISSN 1221650X	Historia Urbana, XXVI	Romania, Romanian Academy Publishing	12
---	---------------------	--	-----------------------	--------------------------------------	----

სასაზღვრო ქალაქ ახალციხის ისტორია ქვეყნის სხვა ქალაქებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. გვიან შუა საუკუნეებში ის სრულიად მოსწყდა საქართველოს და ოსმალეთის იმპერიის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილის რეგიონული ცენტრი გახდა. 1828 წლიდან ახალციხე რუსეთის იმპერიის

პროვინციული ქალაქია. ეს ორი განსხვავებული პერიოდი ნათლად აისახა მის ურბანულ ქსოვილზე. ახალციხე ტიპური ორმაგი ქალაქია მდინარე ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე, ციხის გარშემო სტიქიურად გაშენებული ოსმალური ნაწილით და მარჯვენა ნაპირზე რეგულარული გეგმარების მქონე რუსული უბნით. 1830-იანი წლებიდან ქალაქის ახალი ნაწილი ევროპულ ყაიდაზე ვითარდებოდა. თანდათანობით მკვეთრი ხდებოდა განსხვავება მასა და ხელისუფლებისგან უგულვებელყოფილ ძველ ნაწილს შორის.

878 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ყარსისა და ბათუმის მიერთებამ ახალციხის, როგორც სასაზღვრო ქალაქის მნიშვნელობა შეასუსტა, ხოლო 1883 წელს თბილისი-ბათუმი-ბაქოს სარკინიგზო ხაზის გაყვანის შემდეგ მისი კომერციული ფუნქციაც დაკნინდა. ადგილობრივი ვაჭრების ნაწილმა თანდათანობით დატოვა ქალაქი. ისინი საცხოვრებლად ქუთაისსა და ბათუმში გადავიდნენ. სტატისტიკური მონაცემებით 1886 წლიდან 1897 წლამდე ქალაქის მუდმივი მოსახლეობა 16 100-დან 13 100-მადე შემცირდა და თითქმის 1873 წლისას გაუტოლდა. XIX საუკუნის ბოლოსთვის ახალციხის ურბანული ქსოვილის ჩამოყალიბება



დასრულებულია. მას 48 ქუჩა და 5 მოედანი აქვს. შენობების რაოდენობამ 3300-ს მიაღწია. აქედან 2600 საცხოვრებელი სახლი იყო, დანარჩენს კი კომერციული, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ფუნქცია ჰქონდა. ამის შემდგომ ქალაქს არსებითი ცვლილება აღარ განუცდია. ადგილობრივთა მოლოდინი ძველ ოსმალური ქალაქის მთლიანად ევროპულით შეცვლასთან დაკავშირებით არ გამართლდა. ახალციხე დარჩა პატარა, „მეორეხარისხოვანი აზიურ“ ქალაქად, სადაც არც XIX საუკუნის ურბანული თეორიები და არც მოწინავე არქიტექტორთა პროექტები განხორციელებულა. მეოცე საუკუნის დასაწყისამდე ქალაქის ძველი და ახალი ნაწილები სრულიად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან შენობების არქიტექტურული სახით, საცხოვრებელი პირობებითა და ინფრასტრუქტურით. საბჭოთა პერიოდში განხორციელებული რადიკალური ჩარევების მიუხედავად, ახალციხის ორი ნაწილის სივრცული და გეგმარებითი თავისებურებები დღესაც შესამჩნევია.

3	Mariam Didebulidze	Cultural interaction in Caucasus and Beyond: investigation issues 3- 95490- 228-2	Cultural Interactions in medieval Georgia ed. by M. Bacci, Th. Kaffenberger, M. Studer	Weisbaden Reichert Verlag	18
---	---------------------------	---	--	----------------------------------	----

სტატია ეძღვნება საქართველოს და დანარჩენი აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს კულტურულ ურთიერთობას, მხატვრულ გავლენებს, განსაკუთრებით კი ბიზანტიური ხელოვნების ზეგავლენის ხარისხს შუა საუკუნეების ხელოვნების სხვადასხვა დარგებში და სხვადასხვა პერიოდში. ნაჩვენებია შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ნაწარმოებების თვითმყოფადი და თავისებური ხასიათი და, რაც მთავარია, შემოქმედებითი მიდგომა და დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნება, გემოვნება. სტატიაში განხილულია ამ ურთიერთობების ხარისხი და ხასიათი ხელოვნების სხვადასხვა დარგებში, ამ ურთიერთობების გზები და შედეგები, ასევე ხაზგასმულია შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების არანაკლებ აქტიური კავშირი სხვა აღმოსავლეთ ქრისტიანული ქვეყნების კულტურასთან. დახასიათებული საერთო ასპექტებიც და განსხვავებული მხატვრული აზროვნებაც. განხილულია, თუ როგორ ხდებოდა ქართული ხელოვნების შეფასება სხვადასხვა დროს და რა პრობლემების და გამოწვევების წინაშე ვდგევართ ახლა.

4	Giorgi Papashvili	Landscapes, Cityscapes and Multiple Dwellers. Southwestern Georgia and Northeastern Turkey in the Lens of the Russo-Turkish War and Peace 10.17822 / omad.2018.112	Osmanlı Mirası Araştırmaları Dergisi Ottoman Legacy Studies, 2018 წელი, ტომი V, ნომერი 13	Istanbul	11
სტატიაში განხილულია 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ამსახველი, მანამდელი და შემდგომი დროის ფოტომასალა, რომელიც ამ დიდ გეოპოლიტიკურ მოვლენას უკავშირდება. კვლევა ეყრდნობა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ ე.წ. ერმაკოვის კოლექციას, რომელიც თავად დ. ერმაკოვისა და სხვა ფოტოგრაფთა ნამუშევრებს მოიცავს. ფოტოგრაფია განხილულია სამხედრო დაზვერვის, აგრეთვე მოგვიანებით კომერციული და სამეცნიერო დატვირთვის გათვალისწინებით.					
5	Giorgi Papashvili	Political Iconography of the Portraits of Erekle II	Head and Body – Evidence of Power in the Ruler Portrait between the 14th and 18th Centuries	Munich, Germany ZIKG (ხელოვნების ისტორიის ცენტრალური ინსტიტუტი)	მიღებულია დასაბეჭდად
სტატია უადრესი პერიოდის (XVIII ს. II ნახ.) ქართული დაზღური პორტრეტულ მხატვრობას, კერძოდ, ერეკლე II-ის პორტრეტთა ჯგუფს ეხება, რომელნიც დღემდე არაა იდენტიფიცირებული პოლიტიკური კონტექსტისა და შესრულების დროის გათვალისწინებით. პორტრეტები განხილულია XVIII ს. საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ფონზე; კერძოდ, რუსეთის იმპერიის დედოფალის, ეკატერინე II-ის მიერ ქართველი მეფისთვის ანდრია პირველწოდებულის ორდენის მინიჭებისა (1769) და მონარქთა მიერ ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატით (1783) გათვალისწინებული ინვესტიციური ნიშნების საქართველოში გამოგზავნასთან კავშირში.					
6	Ekaterine Gedevanishvili	Cult and Image of St. George in Medieval georgian Art ISBN 978 – 3- 95490- 228-2	Cultural Interactions in Medieval Georgia Scriinium Friburgese, 41	Weisbaden Reichert Verlag	25
აღნიშნული მოხსენება წაკითხულ იქნა შვეიცარიაში ფრიბურგის უნივერსიტეტის მიერ მოწყობილ სემინარზე, რომელიც საგანგებოდ ეძღვნებოდა შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებას (ორგანიზატორი პროფ. მიქელე ბაჩი). მოხსენება შეეხება საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული წმინდანის - წმ. გიორგის იკონოგრაფიისა და კულტის ისტორიას. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საქართველოსთვის ტრადიციულ დიოკლეტიანეს მლახვრელი დიდმოწამის გამოსახულებას. ავტორი ამ გამოსახულების შესაძლო გენეზისზეც საუბრობს. ასევე საგანგებო ყურადღება ეთმობა წმ. გიორგის ცხოვრების ციკლის ევოლუციას და ქართული „ადგილობრივი“ სცენების არსებობასა და მათ ინტერპრეტაციას.					
7	Ekaterine Gedevanishvili	A Greek –georgian Inscription and the King David the Builder. The	Text and Image in Byzantium	Oxford University	7

		Monastery of St. Catherine on Mount Sinai		2019	
სტატია ეძღვნება წმ. დავით აღმაშენებლის ცნობილ ხატს სინას მონასტრიდან. ტექსტი მოიცავს ამ ხატის იკონოგრაფიულ და ტექსტუალურ ანალიზს. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქართულ და ბერძნულ წარწერათა განსხვავებულ შინაარსსა და ხასიათს.					
8	Nina Chichinadze	Icon Patronage in Early 11th Century Georgia. An Icon of Christ with the Inscription of Bagrat III	Cultural Interactions in Medieval Georgia ISBN 978-395490-338-2	Reichert Verlag Weisbaden	15
სტატიაში, განხილულია ცაგერის მაცხოვრის ხატი საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან. ხატის თანმხლები ჭედური წარწერის თანახმად, რომელშიც მოხსენიებულია მეფე ბაგრატ I. ხატი 1001-1002 წლებში არის შესრულებული. სტატიაში განხილულია ხატზე გამოსახული მაცხოვრის იკონოგრაფიული ტიპის რაობა და მისი კავშირ-ურთიერთობები კონსტანტინეპოლის საიმპერატორო იკონოგრაფიასა და იდეოლოგიასთან. ხატის იდეური საზრისი ეხმიანება ბიზანტიურ პოლიტიკურ თეორიებსა და ასევე პასუხობს გაერთიანებული საქართველოს მეფის პოლიტიკურ საჭიროებას. ნაშრომში ნაჩვენებია თუ რა ადგილი ეკავა ხელოვნების პატრონაჟს შუა საუკუნეების ძალაუფლების დისკურსში.					
9	Eter Edisherashvili, Nino Tsitsishvili	Catholic Christianity and 17th -18th Georgia: Cultural Reflection ISBN (10): 1-5275-0878-1 ISBN (13): 978-1-5275-0878-1	Liminal Spaces of Art between Europe and the Middle East	Cambridge Scholars Publishing (UK)	14
ნაშრომში სახელოვნებათმცოდნეო, ისტორიულ, და კულტუროლოგიურ ჭრილში განხილულია XVII-XVIII საუკუნეების საქართველოსა და დასავლეთევროპას შორის არსებული კულტურული ურთიერთობები, რის ერთ-ერთ უმთავრეს განმაპირობებელს საქართველოში სხვადასხვა მიზნით ჩამოსული მისიონერები და მოგზაურები და მათ მიერ ქვეყანაში შემოტანილი ევროპული სახვითი ხელოვნების ნიმუშები წარმოადგენდა, რაც იმ პერიოდის ქართულ ხელოვნებაში ახალი იმპულსების გაჩენის და მნიშვნელოვანი სახელოვნებო პროცესების წარმოქმნის წინაპირობად იქცა.					
9	Manon Liluashvili	From Ottoman Fortress to Russian Port: Poti in the Nineteenth Century, ISSN 1121-650X	Historia Urbana XXVII	Romania, Romanian Academy Publishing	14
		ქალაქი ფოთი მდებარეობს მდინარე რიონის შესართავთან, პალიასტომის ტბასა და შავ ზღვას შუა. თითქმის უცნობია მისი შუა საუკუნეების ისტორია. ის 1578 ან 1579 წელს დაიპყრეს ოსმალებმა და აქ ციხე ააგეს. რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შემდგომ ფოთი რუსეთის იმპერიას შეუერთდა და ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა. 1858 წელს ფოთს სანავსადგურო ქალაქის სტატუსი მიენიჭა.			

რუსეთის ხელისუფლებამ მას ყურადღება მიაქცია როგორც მოხერხებულ ნავსადგურს შავი ზღვის სანაპიროზე. იმ დროისათვის ჭაობებით გარშემორტყმული ფოთი თავისი არაჯანსაღი ჰავით მალარიის წყაროს წარმოადგენდა. უპირველესად გადაწყდა მდინარე რიონზე გახსნილიყო სანაოსნო მიმოსვლა და მოწყობილიყო პორტი. ფოთის სწრაფ განვითარებას ხელი შეუწყო რიონზე ნაოსნობამ. მისი ურბანული ჩამოყალიბებისათვის უკვე 1860-იან წლებში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი - შედგა გენერალური გეგმა, რომლის მიხედვითაც გაშენდა ქალაქი. გეგმა წარმოადგენს კომბინაციას ორი განსხვავებულად დაგეგმარებული ნაწილისა - ცენტრი რადიალური, ხოლო დიდი კუნძული რეგულარული გეგმარებისა. ფოთის გეგმაში თავს იჩენს XIX საუკუნის ევროპული ქალაქების ურბანული გეგმარებისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ქალაქგეგმარების თვალსაზრისით ფოთი საქართველოს ქალაქებს შორის ერთადერთია, რომლის მშენებლობას საფუძვლად დაედო ერთიანი მხატვრულ-ხუროთმოძღვრული ჩანაფიქრი. მაგრამ მიუხედავად ამისა არ იქნა ათვისებული მისი უმთავრესი ბუნებრივი მონაცემი - შავი ზღვა. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ქალაქი 1860-იანი წლების ბოლოსა და 1870-იანი წლების დასაწყისში განვითარდა, მაგრამ ის უმეტესად ცენტრალურ ნაწილში ვითარდებოდა, და უფრო ნაკლებად დიდ კუნძულზე. 1863 წელს ნიკოლოზ შავროვის პროექტით დაიწყო ახალი პორტის მშენებლობა, რომელიც დიდხანს გაგრძელდა და ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისამდე წყალმარჩხი ზღვის გამო დიდი გემები ვერ ახერხებდნენ ნავსადგურში შესვლას.

ქალაქის ცხოვრებაში არსებითი გარდატეხა მხოლოდ ნიკო ნიკოლაძის მეთაურობის დროს - 1894-1912 წლებში მოხდა. მან ქალაქის ურბანული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა. უპირველესად გააფართოვა და კეთილმოაწყო ნავსადგური, რომელიც გახდა ერთ-ერთი საიმედო ნავსადგური შავი ზღვის სანაპიროზე. ნიკოლაძის დროს სრულიად შეიცვალა ფოთი. მან სწორედ ამ დროს მიიღო ქალაქური იერი და კეთილმოწყობილი პორტითა და რკინიგზით გადაიქცა კავკასიის მთავარ ცენტრად.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ციცინო ჩაჩხუნაშვილი	ქალაქი მცხეთა და მცხეთის წმ. ჯვრის მონასტერი	2018 წლის 16-17 ნოემბერი, თბილისი . ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელოვნების ისტორიის და თეორიის ინსტიტუტი. საერთაშორისო კონფერენცია ხელოვნებათმცოდნეობა საქართველოში: წარსული-აწმყო-მომავალი

მცხეთა და მისი მიდამოები გაჯერებულია უწყვეტი ისტორიულ/კულტურული ცხოვრების ამსახველი ნივთიერი ძეგლებით უძველესი დროიდან XIX საუკუნის ჩათვლით. მცხეთას უკავშირდება ქვეყნის ისტორიის ყველაზე უმნიშვნელოვანესი მომენტები. აღსანიშნავია, რომ ქართულმა ეკლესიამ სწორედ მცხეთასა და მის მიდამოებში შექმნა ყველა ის პუნქტი, რომლებთანაც დაკავშირებული იყო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების მოვლენები.

VIII საუკუნეში, არაბთა გამანადგურებელი შემოსევის შემდეგ, მცხეთამ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე დაკარგა ქალაქის სტატუსი და "გამოტოვა", შუასაუკუნოვანი ქალაქების განვითარების ათასწლოვანი ეტაპი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მცხეთა ქვეყნის მმართველთა ინტერესის მიღმა რჩებოდა.

1956 წლიდან მცხეთას ქალაქის სტატუსი მიენიჭა, იგი ჯერ არქეოლოგიურ/არქიტექტურულ ნაკრძალს წარმოადგენდა, ხოლო 1968 წლიდან – ქალაქ-მუზეუმს. ამავე სახელწოდებით შევიდა მცხეთა იუნესკოს მსოფლიო ძეგლთა ნუსხაში 1994 წელს. ნომინაციის თავდაპირველი სახელწოდება – „მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი“ 2005 წლიდან შეიცვალა სახელწოდებით – „მცხეთის ისტორიული ძეგლები“.

უკანასკნელ ათწლეულში განხორციელდა მცხეთის, როგორც კულტურული ლანდშაფტის დაცვისთვის მიმართული არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი. სულ ბოლოს, 2018 წლის ოქტომბერში, მცხეთის ისტორიულ ძეგლებზე (ჯვარი, სვეტიცხოველი და სამთავრო), როგორც სპეციალური დაცვის ქვეშ მყოფ ძეგლებზე, განთავსდა “ლურჯი ფარის“ ემბლემები.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, თითქოს უნდა ვიფიქროთ, რომ მკვლევართა და ძეგლთა დამცველთა ყურადღებით მოცულ მცხეთის კულტურული ლანდშაფტი მომავალშიც დაცული იქნება. მხედველობაში გვაქვს სამშენებლო საქმიანობაზე 2016 წელს დადგენილი მორატორიუმი, რომელიც უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. სამშენებლო სამუშაოების დაშვებისას კი კიდევ ერთხელ უნდა გამახვილდეს ყურადღება მცხეთის კულტურული ლანდშაფტის ფასეულობებზე და მათ შორის ერთ-ერთ უმთავრესზე, როგორცაა ორი მდინარის შესაყარი და სივრცე სვეტიცხოველსა და მცხეთის ჯვარს შორის. თითქმის ერთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ (1924 წ.), რაც დაიწყო მცხეთის წმ. ჯვრის მონასტრის კვლევა, ფიქსაცია და ნაწილობრივი აღდგენა, რაც 1930-იან წლებშიც გაგრძელდა.

რესტავრაციის ყოველი მომდევნო ეტაპის დროს აღმოჩენილი ახალი მონაცემების შედეგად მნიშვნელოვნად მდიდრდება მასალა მცხეთის ჯვრის არქიტექტურისა და მისი ისტორიის ახლებურად გასააზრებლად.

2008 წლის საპროექტო სამუშაოების დაგეგმვის დროს ყურადღება გამახვილდა აგრეთვე მცირე ტაძრის შემდეგ დეტალებზე: მცირე ტაძრის ეკვდერი ჩრდილოეთით იხსნება საგანგებოდ გაფორმებული თაღოვანი პორტალით, რომლის განიერი თალი ეყრდნობოდა აწ უკვე აღარ არსებულ წრიული მოხაზულობის მძლავრ სვეტებს. როგორც გაირკვა, ამ სახეიმი პორტალს არასოდეს ჰქონია შესასვლელის ფუნქცია. აქედან პირდაპირ მოჩანს ზედახნის მთა (ახლა იქ მაღალი ჯვარია ამართული). პორტალის მთავარი დანიშნულებაც ეს უნდა ყოფილიყო, რაც ამ ორ მნიშვნელოვან ადგილს შორის სიმბოლურ კავშირზე მიუთითებს.

2	ციცინო ჩაჩხუნაშვილი	ძველი დიკლო, როგორც ურბანული მემკვიდრეობის ძეგლი	2018 წლის 20-21 ნოემბერი. გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრი, კონფერენცია ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება
---	------------------------	--	--



დიკლო თუშეთში ჩაღმის თემის ორ პუნქტს ეწოდება ერთი მათგანი დღესაც ცოცხალი სოფელია, ხოლო მეორე - გამაგრებული დასახლება. ძველ დიკლოში მისასვლელი ბილიკი სოფელ დიკლოდან იწყება. გამაგრებული დასახლება კლდოვანი კეხიდან ამოზრდილ, შვეული კლდეებით მოსაზღვრულ კონცხზე და მის მიმდებარე დასავლეთ ფერდობზეა განლაგებული. ბუნებრივი და ხელოვნური წინაღობებით ორ ნაწილად გაყოფილი დასახლება პირობითად კონცხის და დასავლეთ ფერდობის განაშენიანებად შეიძლება განვიხილოთ. ძველ დიკლოს ერთადერთი მისასვლელი ბილიკი ჩრდილოეთიდან ჰქონდა. იგი ჯერ ორმაგ გალავანში

ექცეოდა, შემდეგ კონცხის ძირს შემოუვლიდა. აქედან კი ორმხრივად გახსნილი ტრაპეციისებური მოხაზულობის სამხრეთი სათავისი გავლით კონცხზე შეფენილ შენობათა ჯგუფამდე შეიძლებოდა მისვლა, რომელიც სოფლის განაშენიანების მთავარ ბირთვს ქმნიდა. შენობათა ჯგუფების განლაგება და გეგმარება თუშურ “გაბმულაი“-ს უახლოვდება. დასავლეთიდან კონცხის განაშენიანების ქვედა პერიმეტრს ზღუდედ შემოუყვება პირდაპირ სალი კლდეებიდან ამოზრდილი, ტერასულად განლაგებული, ფრაგმენტულად შემონახული შენობები; მათი კედლები დაახლოებით 5 მ-ის სიმაღლემდეა შემონახული.

ნასოფლარიდან სამხრეთით, კარგა მოშორებით, ხევის პირას, ფიჭვნარით დაბურულ კლდოვან ბაქანზე აღმართულია კირის ხსნარზე ფიქლის ქვით ნაგები ექვსსართულიანი კოშკი, რომელსაც თავი მორღვეული აქვს. ეს უნდა ყოფილიყო სათვალთვალო კოშკი, რომელიც აქ არსებულ ძველ გზებს აკონტროლებდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თუშეთში ადამიანი უძველესი დროიდანვე ცხოვრობს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცალკეული კოშკის თუ ციხე-სახლის თარიღი დიდად არის აცდენილი ჩვენამდე მოღწეული სოფლების და ნასოფლარების წარმოშობის და განვითარების რეალურ ისტორიას. განსაკუთრებით ეს ეხება სასაზღვრო რეგიონში შემონახულ გამაგრებულ დასახლებებს, სადაც ადრეული ურბანული სტრუქტურები უფრო მეტად არის შემონახული და მათი გათვალისწინებით შეიძლება ამოვიცნოთ დასახლებათა წარმოშობა-განვითარების ზოგადი სურათი. ეს მთიანი რეგიონების მხოლოდ იმ ადგილებში არის შესაძლებელი, სადაც ჯერ კიდევ დარჩენილია ამ ხანგრძლივი პროცესის ამსახველი ურბანული მონაცემები, ნივთიერი მასალები, ხალხური გადმოცემები და არამატერიალური ხასიათის მინიშნებები. აღსანიშნავია, რომ ძველი დიკლოვ მათ რიცხვს მიეკუთვნება.

3	მარიანა ოკლეი	ტრადიციული თემა -ახალი ხედვა. გურანდა ქლიბადის გრაფიკული ნამუშევრები	2018 წლის 16-17 ნოემბერი თბილისი, თსუ, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი საერთაშორისო კონფერენცია: ხელოვნებათმცოდნეობა საქართველოში - წარსული-აწმყო-მომავალი
---	----------------------	---	--

მოხსენებაში განხილულია, თუ როგორ იცვლება დამოკიდებულება ტრადიციული თემის ინტერპრეტაციისადმი, როგორ ტრანსფორმირდება რელიგიური თემის გააზრება თანამედროვე სახვით ხელოვნებაში. ქრისტიანულ სიუჟეტს ქართულ ხელოვნებაში უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი. აქტუალურია ის დღესაც. მხატვარმა თანამედროვე ადამიანს უნდა შესთავაზოს მარადიული ფასეულობების თავისებური აღქმა, მათი განცდა სწორედ იმგვარი „ვიზუალური ინტერპრეტაციით“, რომელსაც მნახველი გაითავისებს. შემოქმედი ახდენს ზემოქმედებას ინდივიდუალურ ცნობიერებაზე, რომელიც მისი, როგორც ავტორის, ასევე მაყურებლის პიროვნებისეული „ეგოს“ წარმოჩენაზეა მიმართული. ახალ თაობაში ეს მძაფრად წარმოჩნდა გურანდა ქლიბადის ხელოვნებაში. მოხსენებაში გაანალიზებულია მის მიერ ქრისტიანული თემატიკის თავისებური „წაკითხვა“ და სიმღერის, მეტაფორული ენის, მოვლენების შეფასების მისეული განუმეორებელი, მომაჯადოებელი გადმოცემა.

4	ირინე ელიზბარაშვილი	ჭონთიო, პირიქითა თუშეთის გამაგრებული დასახლება	2018 წლის 20-21 ნოემბერი. გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრი, კონფერენცია ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება
---	----------------------------	---	--

თუშეთი, საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონია. კავკასიონის ქედის ორივე მხარეს განფენილი დასახლებებით. მისი კიდურა ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის - პირიქითა თუშეთის სიახლოვემ ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვართან განაპირობა მისი დასახლებების განსაკუთრებული

სტრატეგიული მნიშვნელობა. მათ შორის მნიშვნელოვანია ამჟამად დაცლილი სოფელი ჭონთიო.

ჭონთიოს გეგმარება გააზრებული, რელიეფს შესანიშნავად მორგებული, განსაკუთრებულად მსხვილი, მონუმენტური შენობებისგან შედგენილი ურბანული სტრუქტურაა. განაშენიანება განიერი ქუჩით ორ ნაწილად არის გაყოფილი. შენობები მჭიდროდ, ერთმანეთის მიჯრით არის ნაშენი და გარკვეულ რიტმს ქმნის: ცენტრალურ მონაკვეთში, ციხე-სახლები სწორ ხაზზეა აგებული და განიერი ერთიანი კედლის შთაბეჭდილებას ტოვებს. კიდურა მონაკვეთებში, შენობათა გარე კონტური უფრო ცოცხალია. დინამიზმი იქმნება შეწეულ და გამოწეულ მოცულობათა მონაცვლეობით. ვიწრო გასასვლელები შენობათა შორის აკავშირებს ქუჩისპირა შენობებს შიდა განაშენიანებასთან. სოფლის ყველაზე მაღალ ადგილას, გარემოს მაკონტროლებელი, პირამიდალურსახურავიანი კოშკია აღმართული. დასახლების გარშემო განაწილებულია სალოცავები. გამორჩეული ურბანული გეგმარება და მასშტაბურობა, განაშენიანების სიმჭიდროვე, გამორჩეულად დიდი ციხე-სახლების არსებობა - ამ დასახლების გეგმარებითი სტრუქტურის წარმოშობის არქაულობაზე მეტყველებს. სავარაუდოა, რომ მსგავსად ამ სასაზღვრო ზოლში არსებული სხვა სასაზღვრო დასახლებებისა, ჭონთიოც განვითარებულ შუა საუკუნეებში უკვე არსებობდა, გვიანფოდალური ხანა, მისი აქტიური ცხოვრების ეტაპია.

5	მარიამ დიდებულის	ძველი გაგრის ეკლესია და აფხაზეთის ხუროთმოძღვრების კვლევის საკითხები	2018 წლის 3 დეკემბერი, თბილისი, კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ ტერიტორიებზე
---	------------------	---	--



მოხსენებაში განხილულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების, კერძოდ კი აფხაზეთის სამეფოს ტერიტორიაზე არსებული შუა საუკუნეების საეკლესიო ხუროთმოძღვრების კვლევის საკითხები. კერძოდ კი იმ "სამეცნიერო ომის" ძირითადი პოსტულატები, რომლებიც მოწოდებულია უარყონ აფხაზეთის სამეფოს პოლიტიკური და კულტურული კავშირი დანარჩენ ქართულ სამეფო-სამთაროებთან და სრულიად გამიჯნონ ისინი. ძველი გაგრის VII-ისეკლესიის არქიტექტურის ანალიზის

საფუძველზე ნაჩვენებია მისიმჭიდრო კავშირი თანადროული ქართლისა და განსაკუთრებით კახეთის ხუროთმოძღვრებასთან როგორც წმინდა ტექნიკურად (კედლის წყობა, მასალა, დეკორის მოტივები და ფორმა) ასევე, რაც მთავარია, ტიპოლოგიურად - სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც ძირითადად საქართველოში ჩამოყალიბდა და განვითარდა, და არ ეძებნება პარალელები საკუთრივ ბიზანტიაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ბიზანტიის პოლიტიკური და ეკლესიური გავლენა აფხაზეთში საკმაოდ ძლიერია. ძველი გაგრის ეკლესია ვერანაირად ვერ ჯდება ბიზანტიურ არქიტექტურულ შემოქმედების ფარგლებში,

6	მანანა სურამელაშვილი	მუცო - მთის ტრადიციული გამაგრებული დასახლების უნიკალური ნიმუში	2018 წლის 20-21 ნოემბერი, თბილისი, გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრი, კონფერენცია ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება
---	----------------------	--	---

მუცო პირიქითა ხევსურეთის ერთ-ერთ არქაულ გამაგრებულ ისტორიულ დასახლებას და მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. მდებარეობა მდინარისა და შენაკადი ხევის ხერთვისში, დიდ სიმაღლეზე, დასახლებებისა და ციხე-სიმაგრეთა აგების ძველთაგანვე გავრცელებულ წესს ესადაგება. მიუდგომელ შიშველ კლდეზე გაშენებული ციხე-სოფელი მცირე საკარმიდამო ნაკვეთებსაც

კი მოკლებულია. ნაგებობათა მკაცრი, უსამკაულო, შიშველი კედლების ასკეტური სისადავე და განაშენიანების ნათელი სტრუქტურა დასახლების თავდაცვით ფუნქციაზე და სიძველეზე მეტყველებს.



ხეობიდან მთის წვერამდე გაყვანილი ბილიკი, ფიქლის დიდრონი ფილებით მოგებული გზა, კლდეში ნაკვეთი საფეხურები და დასახლების შიგნით დაქსელილი ქუჩა-კიბეები ქუჩა-კიბეები აჩვენებს, რომ წარსულში მუცო კარგად მოწესრიგებული დასახლება ყოფილა. აქ, ციხე-სახლებისგან შემდგარი, განსხვავებული სტრუქტურის ორი უბანი გამოიყოფა. ყოველ უბანს საბრძოლო კოშკი ახლავს, ხოლო დასახლებიდან მოშორებით მდინარისპირა ქარაფზე საგუმბაგო კოშკია დაშენებული.

მუცოს ნაგებობათა დიდ ჯგუფს შეადგენს მიწისზედა სამარხები - აკლდამები, რომლებიც სამ განცალკევებულ სამაროვანზე ნაწილდება. მუცოს განაშენიანებიდან მოშორებით, მთის თხემზე მდებარეობს ძლიერ დაზიანებული ეკლესიის, კოშკისა და გამორჩეული გადაწყვეტის ციხე-სახლისგან შემდგარი, ციტადელის ტიპის ხუროთმოძღვრული ანსამბლი,

რომელიც დასახლების არსებობის გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე, სავარაუდოდ, განვითარებულ შუა საუკუნეებში უნდა იყოს აღმოცენებული. თემიდან გამოყოფილი და გაბატონების მოსურნე პირის ეს იზოლირებული, დამოუკიდებელ სიმაგრედ ჩაფიქრებული რეზიდენცია დიდხანს ვერ იარსებებდა გამაგრებულ დასახლებაში მცხოვრები, კოლექტიურ თავდაცვაზე ორიენტირებული საზოგადოების წიაღში.

მუცოს გამორჩეულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია ურბანული განაშენიანებიდან დაშორებით, მთის თხემის დამაგვირგვინებელი სახალხო თავშესაფრის ადგილი - „ბროლისკალო“, რომელიც ერთმანეთთან შერწყმული ბუნებრივი ლანდშაფტის და ადამიანის ხელით შექმნილი სტრუქტურების მასშტაბური მთლიანობის განსაცვიფრებელ ძეგლს წარმოადგენს.

მიუდგომელი კლდის მაღალ კალთაზე მდებარე მუცოს კომპაქტური სტრუქტურა, კლდეში ნაკვეთი და საყრდენი კედლებით შემაგრებული ურბანული ქსელი, დაუნაწევრებელი, ერთსადგომიანი ციხე-სახლების მარტივი აგებულება ქვედა სართულებში მოქცეული კლდის მასივებით, რაც მათ სიმყარეს მატებს, ზემოთ შეუვიწროვებელი სილუეტის მქონე კოშკები დიდი ღიობებით გახსნილი ბანიანი საბრძოლო სართულით, რომლებიც მშვილდ-ისრის, შურდულის და ქვების გამოყენებით ბრძოლისთვის იყო მხოლოდ ხელსაყრელი, მუცოს დიდ სიძველეზე მეტყველებს და მისი ადრე შუა საუკუნეებით დათარიღების საფუძველს იძლევა. ამასვე აჩვენებს საკრებულოს გადაწყვეტის აშკარა არქაულობა; დასახლების ხანდაზმულობისა და აქ მცხოვრებ თაობათა სიმრავლის დამადასტურებელია, ასევე, სამი სამაროვანი შესანიშნავი წყობით ნაშენი აკლდამებით.

7	მარიამ გაჩეჩილაძე	პოემა რომელიც არასდროს არ რჩება წარსულში („ვეფხისტყაოსნის“ გივი ვაშაკიძისეული ილუსტრაციები)	2018 წლის 16-17 ნოემბერი თბილისი, თსუ, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი საერთაშორისო კონფერენცია: ხელოვნებათმცოდნეობა საქართველოში - წარსული-აწმყო-მომავალი
---	-------------------	--	--

კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენების „პოემა რომელიც არასდროს არ რჩება წარსულში („ვეფხისტყაოსნის“ გივი ვაშაკიძისეული ილუსტრაციები)“ შესავალ ნაწილში მოკლე იქნა მიმოხილული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი და ბეჭდური წიგნების მხატვრულად გაფორმების ისტორია.

ხაზგასმულად იქნა წარმოწეული 1937, 1966 წლის საიუბილეო გამოცემების გაფორმება. გამოიკვეთა პოემის

დასურათებაში შეტანილი თვითოეული ხელოვანის წვლილი, როგორც ხელნაწერის მინიატურისტების (თავაქარაშვილი, წერეთლისეული და ავალიშვილისეული მინიატურების ოსტატები) ასევე მე-19-20 საუკუნის მხატვართა ღვაწლი (მ. ზიჩი, ლ. გუდიაშვილი, ს. ქობულაძე, თ. აბაკელია, ი. თოიძე, უ. ჯაფარიძე, ს. მასიაშვილი, ნ. იანქოშვილი, ლ. ცუცქირიძე, რ. ფეტვიაშვილი, ქ. მატაბელი, დ. მაჭავარიანი, ი. ოჩიაური, ლ. აბაშიძე-შენგელია, მ. ცეცხლაძე, კ. სულაბერიძე, თ. ვარვარიძე, ა. ზანძელაძე და სხვ.).

პოემის მხატვრული გაფორმების საერთო სურათის ჩვენების შემდგომ, მოხდა უშუალოდ გივი ვაშაკიძის ბიოგრაფიულ მონაცემების გაცნობა, რადგან მისი შემოქმედება მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვისაა ცნობილი. ზოგადი გაცნობის დროს გამოიკვეთა მხატვრის ძალზე საინტერესო და ნოვატორული შემოქმედებითი გზა, როგორც დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში, ასევე უშუალოდ „ვეფხისტყაოსნის“ გაფორმებაში. მასალის გაცნობისას მკაფიოდ იქნა გამოკვეთილი მხატვრის ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ექსპერიმენტული ძიებები, გამოჩნდა რომ იგი მიმართავს დასავლეთის ქვეყნების თამამედროვე ხელოვნებაში განვითარებულ სიურრეალისტურ მიმართულებას, მისი ნამუშევრებისთვის დამახასიათებელია ირეალურ, წარმოსახვით სამყაროში არსებული ადამიანის ყოფა.

გივი ვაშაკიძის მიერ შესრულებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები 130-ს აღემატება, რაც პოემის სხვა მხატვრების მიერ შესრულებულ ილუსტრაციებს რაოდენობრივად აღემატება და შესრულების სტილითაც მკვეთრად განსხვავებული. ამ შემთხვევაშიც, პოემის გმირთა მოქმედების გარემოს გამოსახვას, მათი განცდებისა და მოქმედების გადმოცემას, მხატვარი ეზოთერული აზროვნებით ახდენს.

8	მარიამ გაჩეჩილაძე	1918-1921 წლების წიგნისა და პერიოდული გამოცემების მხატვრული გაფორმება	2018 წლის 23-24 ოქტომბერი თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
---	-------------------	---	--

მოხსენების ტექსტი გადაცემულია კონფერენციის მასალებში გამოსაქვეყნებლად.

9	თამარ ხუნდაძე	კერამიკული ფილები რელიეფური გამოსახულებით შიდა ქართლის ოკუპირებული სოფლებიდან (წირქოლი, ყანჩათის კაზენი, ქურთა)	2018 წლის 3 დეკემბერი, თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი სამეცნიერო კონფერენცია კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ ტერიტორიებზე
---	---------------	---	---

მოხსენების ტექსტი გადაცემულია კონფერენციის მასალებში გამოსაქვეყნებლად.

10	სოფიო ჩიტორელიძე	„კერამიკა“ მხატვარ რომუალდ ცუხიშვილის შემოქმედებაში	2018 წლის 20-22 სექტემბერი. თბილისი, საქართველოს ეროვნული არქივი საერთაშორისო კონფერენცია „არქივმცოდნეობა, წყარომცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“
----	---------------------	---	---

მხატვარი კერამიკოსი რომუალდ ცუხიშვილი 1960–იანი წლების დასაწყისიდან გამოდის შემოქმედებით ასპარეზზე და დღემდე აგრძელებს აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას. რ. ცუხიშვილი მრავალმხრივი შემოქმედია, დეკორატიულ–გამოყენებითი ხელოვნების გარდა მუშაობს ფერწერასა და გრაფიკაში. მხატვრის მოღვაწეობის ძირითადი სფერო კი მხატვრული კერამიკაა. კერამიკოსს შექმნილი აქვს, როგორც მონუმენტური ისე მცირე ზომის დეკორატიული და ყოფითი დანიშნულების ნიმუშები. მუშაობს



ფაიფურის, წითელი თიხისა და

შამოთის მასალებით. რ. ცუხიშვილმა 1963 წელს, დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მხატვრის სადიპლომო ნაშრომი – პანო „ქვევრების რეცხვა“, რომელიც კერამიკოსმა ქ. თბილისის #1 ღვინის ქარხნის ეზოსთვის შეასრულა ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი ნამუშევარია, როგორც მხატვრის შემოქმედებაში, ასევე ქართული მონუმენტური ხელოვნების ისტორიაში. მომდევნო 1970–იან წლებში კერამიკოსმა თანაავტორ მხატვრებთან ერთად კიდევ რამდენიმე მონუმენტური კერამიკის ნიმუში შექმნა. მათ შორის: იმუშავა წყაროზე ბორჯომის

პარკისთვის, გააფორმა ლიკანის სანატორიუმის კლუბი–სასადილო. მხატვრის შემოქმედებაში ასევე მნიშვნელოვანია მცხეთის კინოთეატრი–მუზეუმისათვის შექმნილი ორი პანო – „საქართველო“ და „ბერიკაობა“. მხატვარს ეკუთვნის ექსტერიერის გასაფორმებელი მცირე ზომის კერამიკული პანოები: „ძველი თბილისი“, „თუშეთი“, „მოზამბიკური ცეკვა“ და სხვ. პანოებისათვის დამახასიათებელი სიუჟეტური თხრობაა სახასიათო მხატვრის მიერ შექმნილი დეკორატიული თევზებისთვისაც, რომელთა შორის აღსანიშნავია: „იმერეთი“, „თუშეთი“, „კალოზე“, „ნატურმორტი“ და სხვ.

საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს ძველი თბილისის მკვიდრთა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა სკულპტურული სახასიათო ტიპაჟები: „მეფოვე“, „მეარღნე“, „კახელი“ და სხვა. მცირე ზომის ქანდაკებებთან ერთად ხელოვანმა განახორციელა რამდენიმე მოცულობითი–პლასტიკური კომპოზიცია. მათ შორისაა: „ორშიმო“ და „ვარძია“.

მხატვრის კერამიკული ნაკეთობების განსხვავებული მასალა, შესრულების ტექნიკური ხერხები, ფორმები, შინაარსი მხატვრის ფართო ინტერესებისა და შემოქმედებითი შესაძებლობების მაჩვენებელია. მხატვრის ინდივიდუალური სახასიათო ხელწერით შექმნილ ნამუშევრებს გამოარჩევს პროფესიონალური ხედეა და შესრულება, რითაც კერამიკოსის შემოქმედებას თვითმყოფადი ადგილი უკავია მე–20–ე საუკუნის დეკორატიულ–გამოყენებითი ხელოვნების ისტორიაში.

11	სოფიო ჩიტორელიძე	მხატვარ–კერამიკოსი გიორგი (გოგი ქართველიშვილი)	2018 წელის 22–23 ოქტომბერი თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
----	------------------	--	---

მოხსენებაში განხილულია კერამიკოსის რამდენიმე ნამუშევარი და ძირითადად გაშუქებულია მხატვრის შესახებ არსებული, დღემდე უცნობი, საარქივო დოკუმენტაცია. მხატვარ–კერამიკოსი გ. ქართველიშვილი 1940–იანელი კერამიკოსთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი პირველ კურსდამთავრებულ ხელოვანებთან ერთად, წლების განმავლობაში აქტიურად ედგა სათავეში თანამედროვე ქართული კერამიკის, პროფესიული სკოლის განვითარების საქმეს. კერამიკოსი შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად 1954 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1982 წ.) ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამავდროულად, ხელმძღვანელობდა, სამხატვრო აკადემიასთან არსებულ კერამიკის სასწავლო–ექსპერიმენტულ სახელოსნოს და ა.შ.

გოგი ქართველიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა 4–ათეულ წელს მოიცავს. დარგში მიმდინარე პროცესების შესაბამისად იგი მუშაობდა არაერთი მნიშვნელოვანი თემატური, სახვითი თუ ტექნოლოგიური სირთულის გადასაწყვეტად. ხელოვანს ეკუთვნის რამდენიმე მნიშვნელოვანი, საეტაპო კერამიკული ნიმუში. შექმნილი აქვს როგორც მონუმენტური, ასევე საყოფაცხოვრებო და დეკორატიული დანიშნულების ნაკეთობები, მცირე ზომის ქანდაკებები და ა.შ.

1940–1950–იან წლებში როდესაც განვითარებას იწყებს ქართული მონუმენტური კერამიკა მხატვარმა ორი

მნიშვნელოვანი ნიმუში შექმნა. ესენია წყაროს არქიტექტურული კომპლექსი (1948წ.) და რელიეფური პანო „უხვი მოსავლის ოსტატები“ (1954წ.). თემა იმ პერიოდისათვის სრულიად ახალი იყო და გამოირჩეოდა პლასტიკური და ტექნიკური ამოცანების სირთულით. 1950–იან წლებში მხატვარმა კიდევ რამდენიმე პანო და ბარელიეფი განახორციელა. მათ შორის: ფიანსის მასალით შესრულებული სკულპტურული–დეკორატიული პანო (1953 წელი), ასევე, ბარელიეფი „სიმინდის კრეფა“ (თიხა, 1956 წ.), „პურის დამწიფება“ (ფაიფური, 1956 წ.) და სხვ.

აღნიშნულ პერიოდში კერამიკოსმა ფაიფურისა და ფიანსის მასალით საყოფაცხოვრებო და დეკორატიული დანიშნულების რამდენიმე ნიმუშიც შექმნა. მათ შორის ფიანსის დეკორატიული ლარნაკი (1953 წ.) კოლმეურნე ქალის ქანდაკება (1952 წ.), ცეკვა „მთიულური“ (ქალისა და ვაჟის ფიგურები) (1954 წ.), მეთხილამურე ქალი (1955 წ.), ფაიფურის სურა (1955 წ.) და ა.შ.

მხატვრის შემოქმედებაში გამორჩეული ადგილი უკავია სარიტუალო სასმისის მარანს. მხატვარი რამდენიმეჯერ მიუბრუნდა აღნიშნულ თემას და მხატვრულად საინტერესო, განსხვავებული მარნის ნიმუში შექმნა: „ძველი თბილისი“, „კინტო“, „შანდალი“ და სხვ. ხელოვანს შესრულებული აქვს ყოფითი დანიშნულების ნაკეთობები. ისევე როგორც ბევრი მხატვრის შემოქმედებაში კერამიკოსის მიერ შექმნილ ნიმუშებში მნიშვნელოვანი ადგილი განსხვავებული მოყვანილობის საღვინე დოქებს უკავია. მათ შორის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს დოქი „ჩიტი“, რომელიც მხატვარმა 1962 წელს შეასრულა. ხელოვანმა მსგავსი ფორმის განსხვავებული დეკორით შემკული ნიმუშის რამდენიმე ვარიანტი შექმნა. ორი მცირედ განსხვავებული მათგანი დაცულია ეროვნულ გალერეაში. ეროვნული მუზეუმის კერამიკის კოლექციაში მხატვრის მიერ შესრულებული, კიდევ რამდენიმე ნამუშევარია დაცული. მათ შორისაა: სადა, მოხდენილი ფორმის, აღდგენითი ჭიქურით დაფერილი, დეკორატიული ლარნაკი, თეფშები, ფიალები, რამდენიმე საღვინე დოქი და სხვა.

კერამიკოსის ბევრ ნამუშევარს დასმული ამოცანის სირთულე და შესრულების ტექნიკური სიძნელე ახასიათებს, გამოარჩევს ახალი მხატვრული ხედეა. ქართული ხელოვნების მდიდარი მემკვიდრეობის შესწავლითა და მისი შემოქმედებითი გააზრებით, მხატვარს შექმნილი აქვს ეროვნული ხასიათის თანამედროვე ფორმები, რომლებიც თავის ღრმა შინაასთან ერთად ყურადღებას იქცევს მარტივი ფორმებით, პროპორციული არქიტექტონიკით, სადა სილუეტით, მშვიდი ფერადოვნებით, რაც მნახველში დასრულებულობის, „სრულქმნადობის“ შთაბეჭდილებას ტოვებს.

თავისი მნიშვნელოვნებით კერამიკოსის შემოქმედებითი თუ პედაგოგიური მოღვაწეობა უფრო სრულყოფილ მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს, რაც მომავალი კვლევის საგანია.

12	ცისია კილაძე	ირონია და თამაში შალვა ქიქოძის შემოქმედებაში	2018 წელის 22–23 ოქტმბერი, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
----	--------------	--	--



ირონია შალვა ქიქოძის შემოქმედების ერთ-ერთი თავისებურებაა. ამავე დროს ირონია მოდერნიზმის ეპოქისთვისაა დამახასიათებელი და როგორც არაერთხელ აღნიშნულა ამ დროისა და კულტურის ერთგვარი „ავადმყოფობა“ იყო. შალვა ქიქოძის მთელ შემოქმედებას თან გასდევს ინტერესი თეატრისადმი, თამაშის ელემენტის არსებობა მის ნაწარმოებებში, ცხოვრების, როგორც თეატრის, სცენის აღქმა, რომელიც ხშირად ტრაგიკომიკური და ირონიულ–ორაზროვნია ამავე დროს, უწვევსალურ - ფილოსოფიური და ჰუმანურიც არის. მის შემოქმედებაში მუდმივად ჩნდება ორმაგობა და ოპოზიციები. ორაზროვნება რაც კვლავ ირონიას ქმნის, თუმცა ამასთანავე, მუდმივადვე მიმდინარეობს ძიება

მთლიანობისა და კანონზომიერებისა. თეატრისადმი ინტერესი სხვადასხვაგვარად გამოიხატა მის ნამუშევრებში - გაძლიერდა მეტაფორულობა და თამაშის ელემენტი, ასევე, დროის სიმულტანურობა და სივრცის სინთეზისკენ, პირობითისკენ მიდრეკილება. თეატრი და სატირული გრაფიკა მისი შემოქმედებისთვის იმპულსი იყო მოდერნისტული ხედვის გამოვლენისთვის. თეატრმა მისცა მას თავისუფლება და დაამღვინა ილუზიონისტური მიდგომები, ასევე, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო მისი ფილოსოფიური ხედვის ფორმირებასაც.			
13	თამარ ხოსროშვილი	საეკლესიო მხატვრობა 1801-1918 წლების საქართველოში	2018 წლის 20-22 სექტემბერი თბილისი, საქართველოს ეროვნული არქივი, საერთაშორისო კონფერენცია არქივმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები
მოხსენებაში ზოგადად იყო განხილული 1801-1918 წლებში ქართულ საეკლესიო მხატვრობაში მიმდინარე რთული პროცესები, რასაც ერთ მნიშვნელოვან ხაზად გასდევდა თანამედროვეთა დამოკიდებულება ამ ნიმუშებისადმი.			
14	თამარ ხოსროშვილი	მუხრანის ეკლესიის მოხატულობა	2018 წლის 22-23 ოქტომბერი, თბილისი გ. ჩუბინაშვილის ცენტრი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
მუხრანის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია ნიკოლოზ ედიშერის ძე მუხრანბატონის ქტიტორობით აგებულია, მასვე მოუწვევია მხატვარი ეკლესიის მოსახატად. როგორც ნიკოლოზის შვილისვილის ნიკო ბურის მოგონებიდან ირკვევა, სწორედ ამ მხატვრის ფუნჯს ეკუთვნის დღეისათვის ძალზე ცნობილი ნახატი “მუხრანბატონების ოჯახი”. ეს მრავალმხრივ საინტერესო მხატვრობა ერთი მხრივ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ფაქტობრივად ერთადერთი ჩვენამდე შემონახული ნიმუშია კედლის მხატვრობისა, რომელიც 1860-იან წლებში შესრულდა. მეორე მხრივ, ეს ეკლესია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართველი მხატვრის გამო იძენს, რომელიც საეკლესიო მხატვრობის პარალელურად საერო მხატვრობის ნიმუშსაც ქმნის და ამის შესახებ ცნობამაც დღევანდელ დღემდე მოაღწია.			
15	ელენე თუმანიშვილი	სცენოგრაფიის განვითარების ტენდენციის ზოგიერთი მონახაზი (1920-1970-იანი წლები)	2018 წლის 22-23 ოქტომბერი თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
16	დიმიტრი თუმანიშვილი	ქართული სოფლის მომავლისთვის	2018 წლის 20-21 ნოემბერი, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი კონფერენცია ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება
17	კიტი მაჩაბელი	ქართული საღვთისმსახურო ნივთების ისტორიისათვის (10-	2018 წლის 23-24 ოქტომბერი

		11 საუკუნეთა სამწერობლები)	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
საეკლესიო სამწერობლები (ბერძ.-ripidion, ლათ.-flabellum)- ღვთისმსახურებისას მოსახმარი, მწერების მოსაგერიებლად განკუთვნილი ნივთები, მე-4 საუკუნიდან არის ცნობილი. თავდაპირველად მათ ბუმბულის, ქსოვილის ან პერგამენტისგან ამზადებდნენ. მე-6 საუკუნისთვის მათი ფორმა საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სახეს იღებს. სამწერობლები მზადდებოდა ლითონის ფირფიტებისგან, მათ მრგვალი, დისკოს ფორმა ჰქონდა და სერაფიმებისა და ქერუბიმების გამოსახულებებით იყო შემკული. საქრისტიანოში შემორჩენილი სამწერობლები ძირითადად გვიან შუა საუკუნეებს განეკუთვნება, ამიტომაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მე-10-მე-11 საუკუნის ქართული ჭედური სამწერობლები, რომლებიც თავდაპირველად გიორგი ჩუბინაშვილის მიერ იყო შესწავლილი. ადრეული თარიღის გარდა, ქართულ რიპიდები ფორმითაც გამორჩეულია. მათ არა მთელ საქრისტიანოში გავრცელებული, მრგვალი ფორმა, არამედ 5 დისკისგან შედგენილი ჯვრის ფორმა აქვთ - ერთი ცენტრში, დანარჩენები მის გარშემო. მეტად ყურადსაღებია ის სამწერობლები, რომლებზეც დამკვეთთა წარწერებია შემორჩენილი. მაგ., ობუჯის 10 ს-ის სამწერობელი მეფე გიორგის (957წ.) წარწერით ; 11 ს-ის შემოქმედის სამწერობელი პარსმან ერისთავის საქტიტორო წარწერით; აწ დაკარგული სამწერობლები ქტიტორების : ბაგრატის, სარგისის და სტეფანოზის წარწერით, რომლებმაც ოქრომჭედელ თუთაის დაუკვეთეს ეს სამწერობელი ერისთავ ლიპარიტ გიორგიზინასთვის და ა.შ.			
18	ნინო ჭიჭინაძე	ხატი თუ რელიკვია? ტექსტილით „შემოსილი შუა საუკუნეების ქართული ხატები	2018 წლის 22-23 ოქტომბერი, თბილისი გ. ჩუბინაშვილის ცენტრი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
მოხსენება ეძღვნებოდა ტექსტილით შემკულ ხატებს. ჩემი კვლევის შედეგად გამოვთქვი მოსაზრება ხატებისა და რელიკვიების თანაგვარი პატივის მიგების შესახებ. ამგვარი დასკვნას უმაგრებს საფუძველს დასავლეთის ტაძრებისა და მონასტრების საგანძურებში გამოვლენილი ბიზანტიურ, ან აღმოსავლურ (სპარსულ) ქსოვილებში შეგრავნილი წმიდა ნაწილები. ეს გავრცელებული პრაქტიკა უკავშირდება აღმოსავლურ ტრადიციას და ასევე შუა საუკუნეების საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტებს. ქსოვილების ტექსტურა, რომელიც კონტრასტშია ფერწერასა თუ ლითონის ჭედურ ზედაპირთან ხატის თაყვანისცემაში ტაქტილობის მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს.			
19	ირმა მამასახლისი	ერთაწმინდის ეკლესიის სიძველეები (შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძურიდან)	2018 წლის 22-23 ოქტომბერი, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
ერთაწმინდის წმ. ევსტათი პლაკიდას ეკლესია XIII საუკუნეშია აგებული. ტაძრის ისტორიის შესახებ წერილობით წყაროებში დაცული მონაცემები შედარებით მოგვიანო ხანისაა. მონასტრის თაობაზე XIII ს-ის შემდეგ არსებული წყვეტილი XVII საუკუნეში სასულიერო და შემოქმედებითი ცხოვრების გამოცოცხლებით შეიცვალა, მას შემდეგ, რაც ერთაწმინდა როსტომ მეფემ თარხან-მოურავებს უბოძა;			

შესაბამისად, ერთაწმინდაში დაიწყო სამონასტრო ცხოვრების აღორძინება. ერთაწმინდის ტაძარი სასწაულმოწმედი იყო და უამრავი შენაწირი ჰქონდა. ეკლესიის უმთავრეს სიწმინდეს წარმოადგენდა წმ. დიდმოწამე ევსტათე პლაკიდას სასწაულმოქმედი მარჯვენა, რომელიც საგანგებო სანაწილეში იყო დაბრძანებული. ტაძრის ერთ-ერთ სიწმინდედ ასევე ითვლებოდა წმ. ევსტათეს ცერი. იმის თაობაზე თუ როდის ან საიდან მოხვდა წმ. დიდმოწამე მხედრის წმინდა ნაწილები ერთაწმინდის ტაძარში, ადრეული ხანის საისტორიო წყაროებში მასალები არ მოიპოვება. საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცული წმინდა ნაწილები, ისევე როგორც წმინდა ნაწილებით შემკული სხვადასხვა სიწმინდეები მრავალგზისი შემოსევების დროს განადგურდა, ნაწილი კი ქვეყნის საზღვრებიდან გარეთ მოხვდა.

ერთაწმინდიდან წაღებული საგანძურის ნაწილს

ჩვენ შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის, ნაქარგობისა და ფერწერის ფონდებში მივაკვლიეთ. ამ ფონდების საინვენტარო წიგნთა აღწერილობის მიხედვით, ეს ექსპონატები ერთაწმინდის ეკლესიიდან არის შემოსული. წინამდებარე ნარკვევში განხილულია ის ექსპონატები, რომლებიც შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის ფონდში დაცული. კვლევა რამდენიმე მიმართულებით ჩატარდა. პირველ რიგში, ეს ექსპონატები შედარდა ძველ პუბლიკაციებთან, რომლებიც ერთაწმინდის ეკლესიის საგანძურს ეხება. აღსანიშნავია, რომ ეს ექსპონატები წარმოდგენილია არა მარტო ხატებით და ჯვრებით, არამედ ისინი შეადგენენ სხვადასხვა დანიშნულების საეკლესიო საგანძურის ნაწილსაც. მათ შორისაა ორი ჭედური ყდით შემკული სახარება.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის დროს წარმოდგენილი ექსპონატები შეჯერდა გ. ბოჭორიძის აღწერილობასთან და დადგინა მათი იდენტობა.

მართალია, ერთაწმინდის ტაძრის კუთვნილი სიწმინდეები გვიანი შუა საუკუნეების ნიმუშებია, მაგრამ ისინი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ამ პერიოდის ოქრომქანდაკელობის ნიმუშების გაცნობის თვალსაზრისით და ამასთანავე თავად ტაძრის ისტორიისათვის.

20	ნინო ციციშვილი	კულტურათა გზაჯვარედინზე: XVIII-XIX საუკუნის ქართული საეკლესიო ხელნაწერის შემკულობა	2018 წლის 28-30 ივნისი თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენცია
მოხსენებაში განხილულ იქნა XVIII-XIX საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელნაწერების ის ნიმუშები, რომელთა მხატვრობა ერთდროულად ამჟღავნებს სიახლოვეს დასავლეთ ევროპული და სპარსულ-ოსმალური ხელოვნებისადმი. ორი განსხვავებული მხატვრული ორიენტირის ერთდროული დადასტურება ხელნაწერთა ამ ნიმუშებში ისეთ საკითხებს მოიცავს, როგორიცაა მათი მიმართება თანადროულ დასავლეთევროპულ და სპარსულ-ოსმალურ ხელოვნებასთან, ასევე ქართულ საერო მინიატურასა და სახვითი ხელოვნების სხვა დარგებთან, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს აღნიშნული ნიმუშების მხატვრულ-სტილური და იკონოგრაფიული თავისებურებები და, ზოგადად, მათი რაობა და როლი თანადროულ ქართულ საეკლესიო მინიატურასა და ზოგადსახელოვნებო სივრცეში.			
21	ნათია ეზანოიძე	ფორმისა და საზრისის ურთიერთმიმართების შესახებ მერაბ აბრამიშვილის	2018 წლის 23-23 ოქტომბერი, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

		შემოქმედებაში	საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
მოხსენების მიზანია, მერაბ აბრამიშვილის მხატვრული ფორმის ანალიზისა და ინტერპრეტაციის, მის შემოქმედებაში გარკვეულ თემათა და მოტივთა ეტაპობრივ ტრანსფორმაციაზე თვალის მიდევნების გზით, აჩვენოს, როგორ განაპირობებს მხატვრული ფორმის ევოლუციას მის მიღმა არსებული საზრისობრივი ველი და ამდენად, როგორ მანიფესტირებს ის ფორმაში. მ. აბრამიშვილის მხატვრობა კულტურულად კოდირებული, სახე-ხატებით „დაწერილი“ ტექსტია, რომელიც ნათლად აირეკლავს მხატვრის ძიებებს, მისი მსოფლხედვის ტრანსფორმაციის პროცესს. მის ნამუშევრებში წლების მანძილზე მეორდება ერთი და იგივე თემები, ხშირად—ერთი და იგივე გამოსახულებებიც, რომელთაც მხატვარი გამუდმებით უბრუნდება და სხვადასხვა პერიოდში მათ განსხვავებულ ვერსიებს ქმნის. თუ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გავადევნებთ თვალს აღნიშნულ გამოსახულებებს, დავინახავთ, რომ მ. აბრამიშვილის მხატვრული ფორმა მკვეთრად ევოლუციონირებს და კონკრეტული მიმართულებით ვითარდება. ერთსა და იმავე მოტივისაკენ მუდმივად მიბრუნება მხატვრის მიზანმიმართულ ძიებაზე მიანიშნებს. თითქოს იგი ცდილობს მოიხელთოს რაღაც არსებითი, მიაგნოს საკუთარი განცდის ზუსტ ვიზუალურ შესატყვისს. მისი განსაკუთრებული მხატვრული მეტყველება ბევრი მუშაობისა და ექსპერიმენტის შედეგია. ყოველ ახალ სურათზე ახალი აქცენტები, ახალი მხატვრული ელემენტი ჩნდება. მხატვარი ნაბიჯ–ნაბიჯ კრებს წარმატებით მიგნებულ სახვით ხერხებს და ბოლო, საუკეთესო ნიმუშებში სწორედ ამგვარი ცალკეული ელემენტების ერთობლიობას ვხედავთ. თუმცა, ეს მოძრაობა, ერთი შეხედვითვე თვალში არ გვხვდება, მაგრამ, როდესაც დაკვირვებას ვიწყებთ, აღმოვაჩენთ, რომ ყოველი ახალი ნამუშევარი ახალ საფეხურზე გადასვლას, სათქმელის დაზუსტებას ამჟღავნებს. აბრამიშვილის მხატვრობაში საზრისის გამოკვეთისა და ფორმათქმნის პროცესები ურთიერთგანმაპირობებელია. რაც უფრო მკაფიო კონტურებს იძენს მსოფლმხედველობრივი პოზიცია, მით უფრო ზუსტდება ფორმა და პირიქით, ფორმათქმნის პროცესში იკვეთება საზრისი. აღნიშნული პროცესი ვლინდება ნებისმიერ თემაზე შექმნილ ნამუშევრებში. თუმცა, ამჯერად, მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით. ამ მიზნით გამოყოფილია მცენარეების გამოსახულებები და სახარებისეული თემები. კონკრეტული ნამუშევრების განხილვის შემდეგ, ნათელი ხდება, რომ ნებისმიერი თემა აბრამიშვილის შემოქმედებაში ბუნდოვანი ხატიდან უფრო მკაფიო, კონკრეტულ, ნათელ და ცოცხალ გამოსახულებამდე მიდის, რომელიც, ამავე დროს, ინარჩუნებს უზოგადესის აღმნიშვნელის ნიშან–თვისებებს. გამოსახულება, ერთდროულად, უფრო და უფრო „ცოცხლდება“, დამაჯერებელი ხდება და, ამავდროულად, უფრო და უფრო შორდება ნატურას. გვიანი პერიოდის ნამუშევრებისთვის ფერის შუქმფენობა და გამჭვირვალობა, სივრცის (სივრცელის) შეგრძნება და ნათელი ტონალობები, კოლორიტის სულ რამდენიმე ფერის ტონებით შექმნაა დამახასიათებელი. ფიგურისა და ფონის ფერის საშუალებით ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯვნა და, ამავდროულად, მათი შუქით გაჯერება და ამგვარად შუქით მათი გაერთიანება, ერთმანეთით განმსჭვალვა ტიპური ხდება ბოლო პერიოდისათვის. საბოლოოდ, მხატვრის შფოთი, რომელიც ნათლად იკითხება ადრეულ ნამუშევრებში, სიცოცხლის მთელი სისავსით განცდად ტრანსფორმირდება და ამაღლებული განწყობის, მაჟორული ტონალობის სახე-ხატებად ფორმდება გვიან პერიოდში.			
22	Natia Ebanoidze	The Method of Citation and Intertextual Relations in the Work of Merab Abramishvili	2018 წლის 17 ივლისი, თბილისი, ოქსფორდის უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია

23	გიორგი (გოგი) ხოშტარია	ლოგიკა, ერთადერთობა და განუმეორებლობა სახვით ხელოვნებაში	2018 წლის 23-24 ოქტომბერი თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
მოხსენების „ღერძული“ საკითხია ლოგიკური აუცილებლობა, მკაცრი დეტერმინებულობა ხელოვნების ისტორიულ პროცესში და განუმეორებლობა. ძირითადად ევროპული მხატვრობის (პროტორენესანსი, ადრეული რენესანსი, მაღალი რენესანსი, გვიანი რენესანსი, ახალი და უახლესი დროის მხატვრობა) და ქართული მხატვრობის მაგალითზე - განიხილება როგორც ზოგადკულტურული, რელიგიური ფაქტორები, ისე დროითი, ეპოქალური, ასევე ზოგადკულტურული და შიდა ევოლუციური კანონზომიერების ჩვენებით.			
24	თეა ტაბატაძე	თეატრი სტუდია „არგონავტების ნავი“ და კირილე ზდანევიჩის არგონავტიკა	2018 წლის 23-24 ოქტომბერი თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
		მოხსენება ეხება კირილე ზდანევიჩის, ლადო გუდიაშვილისა და ალექსანდრე ბაჰბუქ-მელიქოვის უნიკალურ მოხატულობას არტისტულ კაფეში „არგონავტების ნავი“, რომელიც დღეს ოფიცერთა სახლის სახელით ცნობილ ნაგებობაში იყო განთავსებული და 1920-იან წლებში ქართველი მოდერნისტების თავშეყრის კიდეც ერთ, გამორჩეულ ადგილს წარმოადგენდა (სხვა კაფეებს შორის ცნობილია: „იმედი“, „ინტერნაციონალი“, „კაფე-დარბაზი“, „მშური ნუგეში“, „ჭიქა ჩაი“, „ქართული კლუბი“, „ლურჯი გომბეშო“, „ფანტასტიკური სამიკიტნო“, „ფარშევანგის კუდი“, „ქიმერიონი“). მოხსენებაში განხილულია მოხატულობის მხატვრული თავისებურებები და მათი მიმართება თბილისის სხვა და ევროპული არტისტული კაფეების მოხატულობებთან. არგონავტების ნავის მოხატულობის ძირითადი ნაწილიდან დღემდე მხოლოდ კირილე ზდანევიჩის მიერ შესრულებული სცენა იყო შემორჩენილი. თუმცა 2018 წელს ისიც განადგურდა, ყოფილი კაფეს სივრცეში განთავსებული მაღაზიის მეპატრონეთა დაუდევრობით.	
25	სამსონ ლეჟავა	ოქროს საწმისი და ქართული დარბაზი	2018 წლის 20-21 ნოემბერი, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი კონფერენცია ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება
მიღებულია დასაბეჭდად ჟურნალში საქართველოს სიძველენი, #22, 2019.			
26	გიორგი ჭანიშვილი	სამაჩაბლოს არქიტექტურული ძეგლები და მათი კლასიფიკაცია	2018 წლის 3 დეკემბერი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სამეცნიერო კონფერენცია კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ

ტერიტორიებზე			
მოხსენება მიღებულია დასაბეჭდად			
27	გიორგი ჭანიშვილი	ლეონტი ბენუას აგებული ნიკოლოზ რომანოვის სასახლე ლიკანის ტყეპარკში	2018 წლის 1 ივნისი, კაჭრეთი, სასტუმრო ამბასადორი მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი V სამეცნიერო კონფერენცია მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა
„რომანოვების სასახლე“ მდებარეობს ლიკანის ტყე-პარკში. სასახლე თავის მხრივ 42 ჰექტარზე გადაჭიმული ლიკანის სანატორიუმი-კომპლექსის ნაწილი იყო. ამ კომპლექსის მისამართია ბორჯომი-ლიკანი, მესხეთის ქ. #16. ტყეპარკი ბორჯომის სამხრეთ-დასავლეთ განაპირასაა, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. კომპლექსის აღქმა შესაძლებელია სამანქანო ტრასის მოსახვევიდან როგორც კი გავცდებით ბორჯომს. ლიკანის ტყე-პარკი ჩამოყალიბდა XIX-ის დასასრულს და მის ტერიტორიაზე მდებარე ნაგებობები ძირითადად XIX-XXს-ის მიჯნისაა. კურორტის მშენებლობაში მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის სამეფო ოჯახის წევრები. რომანოვების სასახლე აშენდა 1892-1895 წლებში დიდძალად მიხეილის ვაჟის ნიკოლოზ მიხეილის ძე (1859-1919წწ) რომანოვის შეკვეთით. პროექტის ავტორი იყო პეტერბურგელი არქიტექტორი წარმოშობით ფრანგი ლეონტი ბენუა (1856-1928წწ);. მშენებლობას ხელმძღვანელობდა თბილისელი არქიტექტორი წარმოშობით გერმანელი ლეოპოლდ ბილფელდი (1839-1927წწ; რთულ რელიეფზე შეფენილ მრავალფეროვან ტყე-პარკში, არქიტექტორ ლეონტი ბენუას პროექტით აგებული საზაფხულო სასახლე კლასიციზტური აქსესუარებით შეჯერებული ნეომაგრიტანული სტილის ნაგებობაა. გამოყენებულია ხის ხუროთმოძღვრების ელემენტებიც. სასახლე ორგანულად არის ჩაწერილი პარკის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში და მორგებულია ადგილმდებარეობას. სასახლის ფასადების მხატვრულ სახეს განსაზღვრავს ეკლექტიკური სტრუქტურა ფსევდორენესანსული და ნეომაგრიტანული სტილიზებული ელემენტებით. ნაგებობის ზოგადი საფასადო სტრუქტურა ასიმეტრიულადაა დანაწევრებული თარაზული და შვეული აქცენტებით. კვეთილი სახეები კარ-სარკმელთა მოჩარჩოება, ტერასების მორთულობა, ქანდაკებები, სტილიზებული სტრუქტურები და საფასადო მორთულობის ელემენტები კი, სიმეტრიულად არის განაწილებული და ფასადებს ანაწევრებს, როგორც თარაზულად, ასევე შვეულადაც. მხატვრული აღქმა ასევე, განპირობებულია აგურის წყობისა და ქვის ტონალობის კონტრასტულ თანწყობაზე. საინტერესოა სასახლის ინტერიერის სტრუქტურა და მხატვრული სახეც. აქ თითქმის ყველა ოთახი განსხვავებული არქიტექტურული ესთეტიკით არის გაწყობილი. ოთახებში ვხვდებით როგორც ევროპული, ასევე აღმოსავლური სტილის მორთულობას. ინტერიერის თავდაპირველი შემკულობა მეტწილად შემორჩენილია. თუმცა, ნაწილობრივ იატაკი, კედლები და ჭერი შეცვლილია გვიანი რემონტების დროს			

მოწყობილი მარმარილოს, მეტლახის ხის, პლასტიკატის და სხვა ხელოვნური მასალის ფილებით. შენარჩუნებულია კედლის ღუმელები, კედლების მორთულობის ნაწილი და ჭერის მოხატულობა. რომანოვების სასახლე ტყეპარკთან ერთად თავისი კულტურულ-ისტორიული და მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების გამო აღრიცხულია საქართველოს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლად.

28	ასმათ ოქროპირიძე	კიდევ ერთხელ აშოტ კურაპალატის რელიეფის შესახებ	2018 წლის 16-17 ნოემბერი თბილისი, თსუ, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი საერთაშორისო კონფერენცია: ხელოვნებათმცოდნეობა საქართველოში - წარსული-აწმყო-მომავალი
----	------------------	--	--

მოხსენებაში განხილული იყო ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ძეგლი – აშოტ კურაპალატის რელიეფი ოპიზიდან. სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად ამ რელიეფის პლასტიკაში მინიმუმამდეა დაყვანილი ხილული, ფიზიკური სივრცის ასახვა, მაგრამ ვინაიდან სივრცის კატეგორია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია როგორც მსოფლმხედველობრივი, ასევე, შესაბამისად, ესთეტიკური თვალსაზრისითაც, ამიტომ, ბუნებრივია, რელიეფი ასახავს მას თავისებური განზომილებით. კერძოდ, მინიმუმამდე დაყვანილ „ფიზიკურ“ სივრცესთან ერთად ავტორი ასახავს „სივრცეთა“ მთელ ვარიაციას: ეკლესიის, როგორც ცისა და მიწის სივრცეთა შეხვედრას; მეტაფიზიკურ პირველად წერტილს, საიდანაც დაიბადა მთელი სამყარო; თვალების გუგები, როგორც სულის უსასრულო სივრცის მატარებელი და ა. შ.

29	ასმათ ოქროპირიძე	წმინდა ნინოს რელიეფი ოშკის ტაძარში	2018 წლის 18-19 აპრილი, თბილისი, სასულიერო აკადემია – სემინარიის დაარსების 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენცია
----	------------------	------------------------------------	--

მოხსენებაში განხილული იყო წმინდა ნინოს სახელი წმიდა ეფრემ მცირის განმარტების საფუძველზე. იგი ენის ზოგადი კულტურული კონტექსტით იშიფრება.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Tamar Khosroshvili	The aspects of identity in the Nineteenth-century church murals in Georgia	2018 წლის 25-27 მარტი, Cyprus, Nicosia Othello's Island The 6th Annual Conference of Medieval, Renaissance and Early Modern Studies

მოხსენებაში განხილულ იქნა მეცხრამეტე საუკუნის მოხატულობები საქართველოში და მათში ჭარბად გამოვლენილი ნაციონალური შინაარსი და მუხტი.

მოხსენების თეზისები იხილეთ ბმულზე: <http://www.othelloisland.org/2018-abstracts>

2	Giorgi Papashvili	‘Dimitri Ermakov’s “War and Peace.” (poster) Ottoman Territories through the Russian Photographic Lens’	2018 წლის 19-21 ივნისი, Coach University Bosphorus University Istanbul
მოხსენებაში განხილულია 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ამსახველი, მანამდელი და შემდგომი დროის ფოტომასალა, რომელიც ამ დიდ გეოპოლიტიკურ მოვლენას უკავშირდება. კვლევა ეყრდნობა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ ე.წ. ერმაკოვის კოლექციას, რომელიც თავად დ. ერმაკოვისა და სხვა ფოტოგრაფთა ნამუშევრებს მოიცავს. ფოტოგრაფია განხილულია სამხედრო დაზვერვის, აგრეთვე მოგვიანებით კომერციული და სამეცნიერო დატვირთვის გათვალისწინებით.			
3	Nina Chichinadze	Monastic Arts of Mount Athos of Byzantine and Post-Byzantine Periods: Georgian Textual Evidences	2018 წლის 2-9 დეკემბერი, Third International Scientific Workshop of the Mount Athos Centre, Thessaloniki, Greece
მოხსენებაში განხილულია ქართულ ლიტერატურულ წყაროებში დაცული ინფორმაცია ათონის მთის ბიზანტიური და პოსტბიზანტიური ხანის ხელოვნების შესახებ. საკუთრივ, გავანალიზებ ათონელთა ცხოვრებანი (გიორგი მთაწმინდელის იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება და გიორგი მცირის გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება) და ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლის“ ტექსტი. საგანგებო ყურადღება დავუთმე ათონის ივირონის ქართველთა მონასტრის შესახებ ცნობებს. ყურადღება გავამახვილე ათონელთა ცხოვრებებში მოყვანილი ხატის თაყვანისცემის პრაქტიკაზე. ამ წყაროებში დაცული მოწმობები ნათელს ჰფენს ათონის სამონასტრო ხელოვნების ასპექტებს.			

4	Irma Mamasakhlishi	Episodes of Healings by Christ in the Gelati Gospel	2018 წლის 28-29 ივნისი Illuminating the Dark ages Manuscript Art and knowledge in the early Modern World The University of Edinburg
		დასურათებულ ოთხთავეს გამორჩეული ადგილი უკავია ქართულ ილუსტრირებულ ხელნაწერთა შორის. ასეთ არც თუ მცირერიცხოვან ნიმუშთა შორის, განსაკუთრებულად გამოირჩევა 12 საუკუნით დათარიღებული გელათის ოთხთავი. უცნობია ოთხთავის გადაწერის ადგილი. არსებობს მოსაზრება, რომ ის შესაძლოა ათონის მთის ივირონის მონასტერში ანდა კონსტანტინოპოლის დღემდე უცნობ, ქართულ-ბერძნულ სკრიპტორიუმში ყოფილიყო გადაწერილი. როგორც ირკვევა ის გელათის მონასტერში ინახებოდა, ამიტომაც სამეცნიერო წრეებში სწორედ ასეთი სახელითაა დამკვიდრებული. გელათის ოთხთავი 19 საუკუნიდან მოექცა მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების	

არეალში. მის უხვ ილუსტრაციათა შორის სხვადასხვა ციკლები გამოიყოფა, მათ შორის, ქრისტეს სიჭაბუკის, მისი ვნებისა და აღდგომის, ასევე სასწაულებისა და განკურნებების ციკლები. ოთხთავის მნიშვნელობას ისიც წარმოაჩენს, რომ მას მეფე ავგაროზისადმი ქრისტეს წერილი აქვს დართული. განკურნებათა სცენები, რომლებიც მოხსენების მთავარ თემას წარმოადგენს, ფართოდ იყო ცნობილი ადრე შუა საუკუნეებიდანვე. ქართულ ნიმუშთა შორის ყველაზე ადრეულია განრღვეულის განკურნების სცენა სტელაზე, რომელიც მცხეთის მახლობლად იქნა მიკვლეული. ხელნაწერებში ასეთი შინაარსის სცენები ჯრუჭი 1 სახარებაში იყო ჩართული. გელათის ოთხთავი განსაკუთრებულად მდიდარია განკურნებათა გამოსახულებებით. მასში ამ შინაარსის 43 სცენაა ჩართული.

5	Irma Mamasakhlishi	The Cycle of The Life of St Eustathius in the Murals of Ertatsminda Church	2018 წლის 25-27 მარტი The 6th Annual Conference of Medieval, Renaissance and Early Modern Studies Nicosia, Cyprus
---	---------------------------	---	--

წმ. ევსტათე პლაკიდას ტაძარი ერთაწმინდაში 13 საუკუნის მეორე მეოთხედშია აგებული. საეკლესიო წარწერის მიხედვით, ის 1654 წელს მოხატულა. მოხატულობაში დიდმოწამეთა წმ. გიორგისა და წმ. ევსტათეს ცხოვრების სცენებია ჩართული. წმ. ევსტათეს ცხოვრების 5 სცენა სამკვეთლოში შესასვლელის თავზე და ჩრდილოეთ კედელზეა გაშლილი. წარმოდგენილია წმინდანის ხილვა, მისი ოჯახობის ტრაპეზი, ოჯახის ნათლისღება. ციკლი სრულდება წმინდანის

შვილების მარტვილობის სცენით. წმ. ევსტატეს ხილვა ერთ-ერთი მეტად პოპულარული სცენაა შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში. ერთაწმინდის მხატვრობაში ამ სცენებს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მიანიჭებული. მით უფრო, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მოხატულობაში საერთოდ არ არის გამოსახული საუფლო დღესასწაულები თუ სხვა სახარებისეული სცენები.

6	Eter Edisherashvili	On the Crossroads: Georgian Illuminated Charters	2018 წლის 18–20 ივნისი 45th Saint Louis Conference on Manuscript Studies Saint Louis University, USA
---	----------------------------	---	---

მოხსენებაში განხილულ იქნა XVI-XIX საუკუნეების ქართულ მოხატულ ისტორიულ საბუთებში ასახული მხატვრული პროცესები და კულტურული გავლენები. თითოეული საბუთის სტილურ-იკონოგრაფიული მახასიათებლების მაგალითზე წარმოჩენილ იქნა ის მხატვრული ნიმუშები, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში საქართველოსა და ოსმალეთის და სპარსეთის იმპერიასთან თუ დასავლეთ ევროპულ სამყაროსთან სხვადასხვა სახის ისტორიულმა და კულტურული ურთიერთობებმა განაპირობა.

7	Eter Edisherashvili	Georgian illuminated charters: 14th-19th centuries	2018 წლის 20–21 ივლისი Sommer - colloquium, Byzantinische Archäologie und Kunstgeschichte Heidelberg University, Germany
---	----------------------------	---	---

სემინარი მოიცავდა მე-14-19 საუკუნეებში ქართველი მეფე-მთავრების მიერ გაცემული მხატვრულად გაფორმებული ისტორიული დოკუმენტების განხილვას. პრეზენტაციის მიზანი იყო ამ მხატვრული მოვლენის შიგნით მიმდინარე პროცესების წარმოჩენა, რაც თითოეული ეპოქის ნიმუშების მხატვრულ-სტილური მახასიათებლები განხილვისა და მათი თანადროული ისტორიულ-კულტურული მოვლენების ფონზე შეჯერებით გახდა შესაძლებელი.

ისტორიული დოკუმენტების მხატვრობის და თანადროული ეპოქის სახვითი ხელოვნების პროცესების ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას გამომჟღავნდა საბუთების მხატვრული გაფორმების თავისებურებანი, მისი კავშირი თანადროულ მინიატურასა თუ სახვითი ხელოვნების სხვა დარგებთან. ამ ყოველივესთან ერთად, საბუთების მხატვრობის კომპლექსური განხილვისას თვალსაჩინოდ გამოვლინდა

საბუთების გამცემი ისტორიული პირების (მეფეების, მთავრების) ფსიქოლოგიური პორტრეტები, მათი მხატვრული გემოვნება და კიდევ ერთხელ წარმოჩინდა მათი პოლიტიკური თუ კულტურული ორიენტაცია.

7. კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია-რესტავრაციის და კონსერვაციის მიმართულება

№	დამკვეთი ორგანიზაცია, პროექტის სახელწოდება	შემსრულებელი/შემსრულებლები	განხორციელების დრო და ადგილი
1	იკომოს საქართველო, National Trust of Georgia მეტეხის შესახვევის 33 სახლის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა ნაგებობის რესტავრაციის მიზნით	მაია მანია	თბილისი 2018
